



ღაკღაკეთი

მოწყალების კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდეგობთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა ამინ.

სადიდებელი ღვთისა

უფალო ძლიერო, ბეთლემს შობილო, აღგვადგინე დაცემულნი და კვლავ მოგვანიჭე მადლი შენი; მოგვმადლე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩვენისა; მოგვეც სიბრძნე, სიმშვიდე, ერთგულება, ერთსულოვნება, გულის სიწრფელე, რწმენის სიმტკიცე, ჯანის სიმრთელე, მთლიანობა ქვეყნისა, შვილთა სიმრავლე, ნაყოფის სიუხვე, ამალღებული სიყვარული, სასოება შეურყვნელი, რათა ვიხაროთ ორსავე სოფელსა შინა.

. . . და კაცის მჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველო(მ)სათა წინაშე მისსა ლიტანიობითა და დედისა ღმრთისა ხატისა მის თანავე გარეთ განყვანებითა, რომელსა სასოებდა დედა(მ)ჩემი გამოუთქუმელითა სარწმუნოებითა და სამარადისო(მ)თა წინაშემდგომარეობითა და დაუღუძებელითა კითხვითა წმინდისა სახარებისა(მ)თა, ფსალმუნებითა და ლოცვითა, რომელი მე დამიტევა ანდერძობით, მფარველად ორისავე ცხოვრებისა ჩემისა.

ლაკლაკეთი

№2
2013 წელი

სალიტერატურო - სამხატვრო, სამეცნიერო - პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი და დამფუძნებელი **შალვა ველიაძე**

მთავარი რედაქტორის თანაშემწე **ნაზი ველიაძე**

აღმასრულებელი რედაქტორი **გურამ თურმანიძე**

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე **ემენ დავითაძე**

სარედაქციო საბჭო: დავით ბერიძე, მალხაზ ბერიძე, ჯემალ ბერიძე, ლამარა ბალანჩივაძე, ოთარ ბოლქვაძე, ოთარ გოგოლიშვილი, გული გაბაიძე, მურმან დავითაძე, ვაჟა დავითაძე, მიხეილ დავითაძე, გურამ ველიაძე, ზვიად ველიაძე, ერასტი ველიაძე, მაგდა ველიაძე, გივი თურმანიძე, თემურ თურმანიძე, ოთარ თურმანიძე, ნუგზარ ზოსიძე, ავთანდილ მესხიძე, გიორგი რომანაძე, გიორგი სარაჯიშვილი, გიორგი სალუქვაძე, სერგო სამნიძე, გულნარა სოლომონიძე, ოთარ ფუტყარაძე, ცირა ფუტყარაძე, ვაჟა ფარტენაძე, ინგა ფევაძე, გურამ ჩხატარაშვილი, ოთარ ცინარიძე, სერგი ცენტერაძე, იამზე ცენტერაძე, ნონა წულუკიძე, პაატა ჭურკვეიძე, ვასო ხიმშიაშვილი.


ძვირფასო მკითხველო!

გთხოვთ სათუთად მოეპყრათ და გაუფრთხილდეთ ჟურნალს მასში დაბეჭდილი ხატისა და შესაბამისი ტექსტების გამო.

ავტორთა საყურადღებოდ:

საავტორო უფლებები დაცულია. გამოქვეყნებული წერილების მეცნიერულ და დოკუმენტურ სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს. რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sulfaen, 12 pt (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)). შემოსული მასალა ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.





**წმიდანნი მამანი და დედანი
აჭარაში თურქთაგან წამებულნი**



აჭარა საქართველოს გამორჩეული, პირველქრისტიანული კუთხეა, სადაც ჯერ კიდევ I საუკუნეში იქადაგა ქრისტიანობა წმ. ანდრია პირველწოდებულმა. აქვე განისვენებს წმ. მოციქული მატათა (გონიო). აქედან მოყოლებული ჩვენი წინაპრები ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდნენ ჭემმარიტ ღმერთს, სარწმუნოებას და სამშობლოს. ამ ერთგულებისა და სიყვარულის მკაცრი გამოცდა იყო ამ კუთხისათვის XVI-XVIII საუკუნეებში, როდესაც მტერთაგან განსაკუთრებული სისასტიკით იღვენებოდა ჭემმარიტი ქრისტიანული სარწმუნოება, და ნადგურდებოდა ქართული მიწა, ენა, კულტურა. ზღვა სისხლი დაიღვარა ამ დროს აჭარაში, წითლად შეიღება ხმელეთი და წყალი, დაინგრა ასეულობით ეკლესია-მონასტერი, უფლისა და მამულისათვის გმირულად ეწამა აურაცხელი ჩვენი წინაპარი. სწორედ მათმა თავგანწირვამ დღემდე შეგვინარჩუნა რწმენა და გადაგვ-ირჩინა სამშობლო.

ეს წმინდა ხატი წინაპართა მოწამეობრივი წარსულის სახეა.

**ლოცვითა მათითა ქრისტე ღმერთო
აცხოვნე სულნი ჩვენნი. ამინ!**



**აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დედა-საქართველოსთან
დაბრუნების განსაღმბი საქართველოში დევს**

უფალო დიდება შენდა, წყალობით შენითა
დაგვიბრუნე აფხაზეთი და სამაჩაბლო, ამინ!

ილია II

ქვეყნის პოლიტიკას – როგორც მისი ბუნების
ნამდვილ ძალებს, ადამიანის, ხალხის სურვილი
კი არა ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა
სჭედს.

ნიკო ნიკოლაძე

სიფრთხილით, სიფრთხილედ ასწავლეთ
თქვენთა მორჩილთა კაცთა.

ერეკლე II

ადამიანის, ოჯახისა და სახელმწიფოს არ-
სებობა ღმერთის აღიარებით იწყება. ეს მც-
ნება უდავო ჭეშმარიტებაა და გონივრული
გააზრება იმისა, რასაც უნდა ეყრდნობოდეს
ქვეყნის ფუნდამენტური ღირებულებები. ქა-
რთული სახელმწიფოს ბალავარი ეროვნულ
კულტურაზე, - ქრისტიანულ რელიგიაზეა
დაფუძნებული. ეს არის ქართველი ერისთვის
ჭეშმარიტების საზომი, - მოქმედების გზა
ერის საუკეთესო შვილებისთვის ვინც იბრ-
ძოდა, იბრძვიან და მომავალში იბრძოლებენ
ერთიანი, ძლიერი საქართველოსთვის. ნების-
მიერ ეპოქაში ვინც საქართველოში რაიმეზე
განაცხადს გააკეთებს და მოქმედებას დაიწ-
ყებს, ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს ბიბ-
ლია და საქართველოს ისტორია („ქართლის
ცხოვრება“). ჩვენს ქვეყანაში ამ წიგნების
სიღრმისეული ცოდნით არის შესაძლებელი
სამშობლოსთვის სამსახური. აქსიომაა ის,
რომ „ცივილიზებული ქვეყნები წიგნებით

იმართება, არაცივილიზებული კი მხეცებით“.
დღეს ყოველი ჭეშმარიტი ქართველის
ყველაზე დიდი ტკივილი აფხაზეთი და სამაჩა-
ბლოა. მოვუსმინოთ ქართველი ერის სულიერ
მოძღვარს (მწყემსმთავარს), - შემოვიკრიბოთ
ქართველებო უფლის წინაშე და მუხლმო-
დრეკით შევსთხოვოთ: „უფალო დიდება შენდა,
წყალობითა შენითა დაგვიბრუნე აფხაზეთი
და სამაჩაბლო, ამინ! (ილიაII). ყოველი ქა-
რთველი, ღვთისა და ერის წინაშე უნდა ვი-
ყოთ გულწრფელი, „საქართველო ღვთისმშობ-
ლის წილხვედრილი ქვეყანა“ - ჩვენ ამ
ქვეყნის და მიწის შვილები ვართ, ღმერ-
თი ჩვენ არ გვპატიობს იმას, რასაც სხვებს.
„მიწა და ღმერთი საშინელი გამკითხველია“.
ჩვენ „დედა ღვთისმშობლის შვილები“ ვართ,
ყოველმა ქართველმა უნდა იგრძნოს ეს დიდი
მისია და პასუხისმგებლობა. „ღმერთს ვინც
უყვარს მასაც სჯის უკეთური ქმედებისთ-
ვის“, მაღალი ზნეობრივი საქციელით უნდა

კვმედებდეთ ყოველი ჩვენგანი, გონივრულად და შეგნებულად ბოლომდე უნდა ვიხარჯებოდეთ ღმერთისა და სამშობლოს სიყვარულში. ჩვენ არ უნდა შევარცხვინოთ ჩვენი წინაპრების სული, მათი დანატოვარი „ეროვნული გზის“ გამგრძელებელი და ეროვნული ფასეულობების, ტრადიციული ღირებულებების შემნარჩუნებელი უნდა ვიყოთ. - საქართველოსთვის თავდადებული მამულიშვილების, წმიდა პიროვნებების პირადი მაგალითი იძლევა საზოგადოებისთვის ცხოვრებისა და მოქმედების სარბიელს.

ჭეშმარიტად ყველას გვინდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და შრომის სუფევის დამკვიდრება. როდის იყო ქართული სახელმწიფო ძლიერი, როცა ერი და ბერი იყო ერთად, როცა საქართველოსთვის დომინანტი რელიგია მართლმადიდებლური ქრისტიანობა იყო, როცა ერი იყო ერთმორწმუნე და ამასთანავე სამყაროს უზენაესი გამგებლის - ღმერთის ამღიარებელი. როდის დაიწყო ქვეყანამ უკუსვლა, როცა ერი განუდგა უფლის მცნებებს, დაივიწყა ღმერთი. როცა ერის შვილებში ამპარტავნობამ და უკეთურებამ სძლია ღმერთისა და სამშობლოს სიყვარულს. გათითოკაცებულობამ, ზედმეტად ამბიციურობამ და არაზნეობრივმა საქციელმა ჩვენი ქვეყანა დააზარალა. ესაა მიზეზი საქართველოს ავბედითობისა. პიროვნების სულის გაორება იწვევს დამლუპველ ქმედებებს, განსაკუთრებით საშიშია იმ პიროვნების ამპარტავნობა, ვისაც სახელმწიფოს მართვის სადავეები ნებით თუ უნებლიედ ხელთ უპყრია. ირღვევა სამყაროსთან ბუნებრივი კავშირი, - „სამყაროს კი ის ამოძრავებს, ვისთვისაც საკუთარი მე მკვდარია, და მის ადგილას ღმერთი დგას“. თუ კაცი ღვთისნიერია, ამასთანავე გონიერი და წინდახედული (თუ ეშმაკს საკუთარ არსში არ გაულო ფართოდ კარები), მაშინ მტერი რაც უნდა ძლიერი იყოს, ის მაინც ვერ მოერევა. სად არის ჩვენი მხსნელი, - ღვთისმშობლის წილხვედრილი საქართველოს მხსნელი მაღალი ღმერთია - დედა ღვთისმშობელია. სანამ ქართველი ერი სახარებისეული წესით ცხოვრებას არ დაიწყებს, სანამ ეროვნული სუ-

ლისკვეთებით არ დავიწყებთ ცხოვრებას, სანამ ზნეობრივი ცხოვრების დამკვიდრება არ განხორციელდება ქვეყანაში, მანამ ვიქნებით ცოდვაში ჩაყრილები. ყოველმა კაცმა საკუთარ სულში ჯერ ეკლესია უნდა ააგოს და მერე დედა ეკლესიის წიაღს დაუბრუნდეს. კაცობრიობა დღემდე დიდ ცოდვაშია, ვინაიდან ბიბლიის ჰუმანური მსოფლმხედველობა დღემდე, - ჯერ კიდევ მისთვის ამოუცნობი ჭეშმარიტებად დარჩა. მსოფლიო ბოროტება დაენარცხა ეკლესიას. ნაწილობრივ ეს უბედურება გვჭირს ქართველებსაც. ჩვენივე ხელით ვიქმნით თავსატეხს, ბოლომდე არ ვიცავთ ჩვენს ეროვნულ ღირსებას, ტრადიციულ ფასეულობებს. ეს ნიშნა ჩვენთვის ყველა ეპოქაში მარადიული კატეგორიით - საქართველოთი



ქ. თბილისი

გამოიხატება. გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებულად ვებრძვით ჩვენ სამშობლოს, როცა ჩვენ საკუთარ თავს სამშობლოზე მაღლა ვაყენებთ, როცა უნდა ხდებოდეს პირიქით - „საქართველო უპირველეს ყოვლისა“. ასე დაგვემართა, ჩვენ ბედოვლათ ქართველებს წინათ და ახლაც: მე-20 საუკუნის დასაწყისს და დასასრულ პერიმეტრზე. ჩვენდა სამწუხაროდ სენი 21-ე საუკუნეშიც გადმოგვყვა.

ჭკვიანი სხვის შეცდომებზე სწავლობს, ჩვენ კი საკუთარ შეცდომებზეც ვერ ვისწავლეთ: „ბაზალეთის ტრაგედია“ დამლუპველი ფაქტი იყო საქართველოსთვის, ჩვენ გავიმეორეთ იგივე მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როცა ლეგიტიმიურად არჩეულ ხელისუფლებას შიგ საქართველოს გულში ომი გაუუნაღეთ, „მტერი რომ ტყვიას გვესვრის, ჩვენ ვარდები ვესროლოთ“. ზვიად გამსახურდიას ეს გზავნილი ბოროტად მოინათლა მსოფლიო საზოგადოებაში. ამა „სოფლის ძლიერთა“ მას და ქვეყანას დაუწყეს ბრძოლა. მათ შორის აღმოჩნდა ეღუარდ შევარდნამც, მისი მზაკვრული გამონათქვამით: „ქართვე-

ლი ინტელიგენცია ქუჩაშია“. სამხედრო ინტელიგენციის არ არსებობამ და თბილისში დაწყებულმა ომმა მიგვიყვანა აფხაზეთის დაკარგვამდე. მედროვე კრიმინალების ხელში მოქცეულმა ქვეყანამ ვერ განსაზღვრა საქართველოს სტრატეგიული მიმართულებები. ძალაუფლებისა და ქვეყნის თავდაცვითი ძალის ორად გახლეჩამ, ეღუარდ შევარდნაძის მიერ დაპირისპირებულ და კონფლიქტურ მხარეებს შორის „მზაკვრულ ხელშეკრულებებზე“ ხელის მოწერამ დროებით იავარქმნა აფხაზეთი. ღალატის გამო მსხვერპლად შეეწირა უღანაშაულო აფხაზეთის ქართველობა და თვით აფხაზეცი. კრიმინალების წინამძღოლობით სამხედრო ძალის შეყვანა აფხაზეთში ეს იყო ეღუარდ შევარდნაძის შეცდომა და სახელმწიფო დანაშაული. ამას მიუმატა ე. წ. „ბალტიის ჯარების“ შემოყვანა საქართველოში საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად. სამშობლოსთვის გულდამწვარი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ქურდულად გავანადგურეთ. მისი ფორმულა აფხაზეთთან „2+1“ ტაქტიკური სვლა იყო აფხაზური პრობლემის მოსაგვარებლად. ჩვენ მას ვუქილიკეთ, მოძმის წინაშე იარაღი ავიღეთ და ჩავარდით ცოდვაში...



ქ. სოხუმი

კავკასიაში და სახელდობრ, საქართველოში მოსაზღვრე ძალების ინტერესთა ბალანსის არ დაცვამ გამოიწვია კონფლიქტის პროვოცირება სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. საქართველოს სტრატეგიული განვითარების ხედვის არქონამ, ხელისუფლების არამდგრადობის შედეგად გარე ძალამ მოახდინა გართულება საქართველოში და გეოპოლიტიკურ კავკასიაში.

საბჭოთა კავშირის დაშლამ შექმნა ორი პრობლემა: საზღვრებისა და ეროვნებების; თურქეთი მიიღწევის ევროპისკენ, ირანის ფოკუსი ახლო აღმოსავლეთია. რუსეთის საზღვრები უკან ჩრდილოეთით გადაიწევა, კავკასიაში პატარა სახელმწიფოები მიიღებენ დამოუკიდებლობას. შეიქმნება ერთიანი კავკასია (კავკასიური ოჯახი). აფხაზეთში გზას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. მე-19 საუკუნიდან მოყოლებული მთლიანი ფოკუსირება - აფხაზეთი იყო. საქართველოსთვის ამოუცნობი აქსიომა არ არსებობს. აუცილებლად უნდა დავიწყოთ ურთიერთობა პირდაპირ აფხაზეთთან. პოლიტიკური თვალთ შევხედოთ რეალობას და ადექვატურად ვიაზროვნოთ.

გეოპოლიტიკური სივრცის სიმჭიდროვე გვკარნახობს ტრანსნაციონალურ საერთაშორისო ძალთა ბალანსის კანონთა მკაცრ დაცვას. ეროვნული შერიგებისთვის აფხაზეთთან და ოსებთან აუცილებელია მორალური, ეკონომიური და ფინანსური სტიმულირების შექმნა. რომ ვაჯობოთ მტერს, როცა ის ძლიერია და თანაც ფარისეველი, ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ „უცეცხლოდ დავწვათ“. შეუთავსებელ ტენდენციათა შეთავსება სტრატეგიული მიზნის მიღწევისთვის აუცილებელი წინაპირობაა. პოლიტიკურ აზრში მთავარია ურთიერთობის დალაგება აფხაზეთთან და ოსებთან. ჩვენ უნდა გადავდგათ ნაბიჯები მათთან შესახვედრად ყოველგვარი წინაპირობების გარეშე. გამაღიზიანებელი გზავნილები ვერაფერს მოუტანს კარგს - საქართველოს. უპირველესად საქართველომ დიპლომატიური გზით უნდა შესძლოს დარწმუნება კონფლიქტში არსებული მხარის დაყოლიებაზე ჩვენს სასარგებლოდ. სიფრთხილით უნდა ვიაროთ, რომ ავიშოროთ სამხედრო კონფლიქტის ავანტურა. ისტორიული გამოცდილება გვკარნახობს, რომ ჩვენ არ გვაქვს შეცდომის დაშვების უფლება. „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ ზღვარ გადასული ამბიციების, შექმნილი რეალობის არაადექვატურმა შეფასებამ, მეზობელი ქვეყნის პოლიტიკური ინტრიგების არასწორმა ანალიზმა შესაძლებლობა მისცა ჩვენი ქვეყნის მტრულად განწყობილ ელემენტებს ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი დროებით მიეთვისებია. საქართველომ მუდმივად უნდა იქონიოს კავშირი ცივილიზებულ სამყაროსთან,

საქართველო მუდმივად უნდა იყოს ჩართული მსოფლიო გლობალური პროცესების ციკლში, საქართველომ მუდმივად უნდა გააგრძელოს ცივილიზებული ერებთან „მშვიდობისათვის პარტნიორობა“. ამასთანავე ჩვენმა ქვეყანამ უნდა გააძლიეროს ინტეგრაცია საერთაშორისო ინსტიტუტებთან. საქართველოს პარლამენტმა ჩვენს მთავრობასთან ერთად უნდა შეიმუშაოს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების და უსაფრთხოების კონცეფცია. საერთაშორისო სარბიელზე ჩვენ მუდმივად უნდა შევინარჩუნოთ ცივილიზებული და დემოკრატიული ქვეყნის სახე. მუდმივად უნდა ვვითარდებოდეთ ქვეყნის შიგნით სულიერად, კულტურულად, ეკონომიურად, პოლიტიკურად სტრატეგიულად, რომ მზად ვიყოთ ჩრდილოატლანტიკურ და ევროპულ სტრუქტურებში გასაწევრიანებლად.

პოლიტიკური სიღარბაისლით პირდაპირი დიალოგი დავიწყოთ აფხაზებთან და ოსებთან. მუდმივად გვახსოვდეს, სახელმწიფოს პოლიტიკური „ბედი“ ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ ინტერესთა ერთიანობის პრინციპს. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ახალი სახელმწიფოებრიობა ერთნებობისა და თანადგომის პოლიტიკურ პრინციპს უნდა დაეფუძნოს. თანადგომისა და საერთო ნიადაგზე დგომის ეროვნული ტრადიციის აღორძინება არის იმის საშუალება, რომ ჩვენმა ქვეყანამ კვლავ შეძლოს შექმნას ახალი „ოქროს ხანა“. ქართული სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა გარდაუვალი ისტორიული კანონზომიერების ამოცნობაშია. პოლიტიკის ნიშანია დაფაროთ მიზანი და ამოვიცნოთ მტრისა. ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური მეცნიერება და სტრატეგიული მიზნით სვლა ჯერ კიდევ დაბალია.




ქ. ცხინვალი

ეკონომიური ურთიერთობის აღდგენა აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან წინარსწარ განსაზღვრული მოქმედების სტრატეგიულად გათვლილ ხედვაში უნდა იყოს, საჭიროება მოითხოვს ვიაზროვნოთ ეკონომიურად. თავისუფალი ეკონომიური ზონების გახსნა და აფხაზებისა და ოსების ჩართვა ინტერესთა ფოკუსირებას გამოიწვევს პოლიტიკურ ჭრილში. ამ კუთხეებთან მიმართებაში უნდა შეიქმნას ძლიერი თვითმმართველობა, რომელიც კონფლიქტს მოსპობს. პირდაპირ და ხისტად პოლიტიკური გადაწყვეტა ძალიან ძნელია. აფხაზებთან და ოსებთან ძმურად დავიწყოთ საუბარი, უნდა აღდგეს გარდასული ერთობა. ამ კუთხის შვილებს - აფხაზებს და ოსებს მივცეთ საშუალება ეკონომიური ურთიერთობით თვითონ გამოვიდეს მდგომარეობიდან.

ლტოლვილების საკითხი აფერხებს პროცესების დაწყებას. მათი დაბრუნება აფხაზეთში და სამაჩაბლოში უნდა იყოს საერთაშორისო საზოგადოების ხელში. მთავარი და არსებითი როლი ამ საშვილიშვილო საქმეში უნდა იკისროს საქართველომ, შემდეგ რუსეთმა და დასავლეთმა.

ჩვენი მაღალი ეროვნული შეგნებით სულის მახვილით უნდა შევებრძოლოთ ერთიანი, ძლიერი და ცენტრალიზებული ქართული სახელმწიფოს დაუძინებელ მტრებს. საფუძველშივე უნდა ჩაიკლას ყველა ის მცდელობა, რომელიც მიმართული იქნება ქართული სახელმწიფოს გაძლიერების წინააღმდეგ. გამოწვლილვით უნდა შევისწავლოთ პრობლემების წარმოშობის მიზეზები და დავსახოთ მიზანმიმართული მოქმედებები. დავუმკვიდროთ ქართველ ერს ღირსეული არსებობის საფუძველი. ჩვენდა საბედნიეროდ, დღეს საქართველოში არსებობს ყოველნაირი რესურსი: პოლიტიკურ - დიპლომატიური, ეკონომიურ - ფინანსური რათა ძირითად გადასაწყვეტ პრობლემებს მაღალი ღმერთის შემწევობით გასაღები მოვარგოთ. კეთილს ჩავეჭიდოთ, ზეციური მაღლი რომ მოვიპოვოთ, ღვთის მოშიშობა უნდა იქცეს ერის მკურნავ მირონად.



**პატრიარქი სხალთის ეპარქიაში
და 1400-ზე მეტი ნათელღებული**

საოცრებამდე უსაზღვროა განგება ღვთისა, არც მის მოწყალებას აქვს საზღვარი. ჭეშმარიტად, ამ განგებამ და მოწყალებამ დააყენა თქვენს წინაშე ჩემი სიმდაბლე, როგორც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მამამთავრისა, - ბრძანა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სვეტიცხოველში, აღსაყდრების ზეიმზე.

იმ დღიდან 35 წელი გავიდა. 2013 წლის 4 იანვარს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა ადამიანს, რომელსაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრობა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე არგუნა განგებამ. 35 წლის წინათ სხალთის ტაძარში შესვლაც კი იკრძალებოდა. უფალმა მას არგუნა მეტი ღვთიური გზით წარემართა წმინდა ეკლესიის მომავალი საქმიანობა. სხალთის ზარებმა მისი აღსაყდრებიდან 12 წლის შემდეგ მრევლს უხმეს, ასევე აღსაყდრებიდან 29 წლის გასვლის დღეებში სხალთის ეპარქია დამოუკიდებელ ეპარქიად დადგინდა და მისი წინამძღვრობა მეუფე სპირიდონს დაეკისრა.

იმხანად ეპარქიაში ქედის, ზვარეს, ხულოს ტაძრები და სხალთის მონასტერი მოქმედებდა. ღვთის ნებით სამლოცველოები გაიხსნა დაბა შუახევში, ხიჭაურის დასახლებაში ხულოს ცენტრში კი დასრულდა სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა. 2007 წლის მაისის გიორგობიდან ახალი ტაძარი იკურთხა მარეთის ხეობის გამონათლევის უბანში, ტაძრები შენდება ხიჭაურის დასახლებაში, დაბა

ქელაში, ზესოფელში. სულ მალე დაუბრუნდება პირვანდელ არქიტექტურას, აღსდგება მის მომიჯნავედ იოანე ნათლისმცემლის მცირე სალოცავი. ყველაფერი ეს უფლის ნებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით კეთდება. იგი იმ ქვეყნის მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავარია, სადაც დაფლულია იესო ქრისტეს კვართი, რომელი ქვეყანაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ხვდა წილად, იმ წინაპართა შთამომავალია, რომელსაც წმინდა მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ ქრისტიანობა იქადაგეს.

დაბადების 80 წლისთავისა და აღსაყდრებიდან 35 წლის იუბილის დღეებში სრულიად საქართველოს კათალიკოს - პატრიარქი ცალკეულ ეპარქიებს ეწვია. 2013 წლის ივნისში სხალთის ეპარქიაში მისი ჩამობრძანება მართლმადიდებელმა მრევლმა, სხალთის, მეზობელი და შორეული ეპარქიების მღვდელმთავრებმა, მღვდელმსახურებმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქედის, შუახევის, ხულოს მუნიციპალიტეტების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების პირველმა პირებმა ნამდვილ ზეიმად აქციეს.

დიდი ხანია შუახევის ცენტრს ზაფხულის ადრიანი დილით ასეთი ხალხმრავლობა არ ახსოვს. აქ მოვიდნენ სხალთის, ბათუმისა და ლაზეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის, შემოქმედის, ნეკრესის, ფოთისა და ხობის, ბოლნისის, ურბნისისა და რუისის ეპარქიების მღვდელმთავრები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა, უმაღლე-

სი საბჭოს წევრები, სტუმრები მეზობელი თურქეთის რესპუბლიკიდან, საქართველოს დედაქალაქიდან, სხვა კუთხეებიდან.

მათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს საზეიმო დახვედრა გაუმართეს.

* * *

საპატრიარქოს სხალთის ეპარქიის ხიჭაურის რეზიდენციაში მისული პატრიარქი საზოგადოების წარმომადგენლებმა, მართლმადიდებელმა მრევლმა, საპატრიარქოს ხიჭაურის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, მოსწავლეებმა მიაცილეს. ისინი უწმინდესმა და უნეტარესმა დალოცა.

შეხვედრების შემდეგ უწმინდესი და უნეტარესი ხულოში ახლად აშენებულ ტაძარში მიბრძანდა.

* * *

„შევთხოვ უფალს, რომ საქართველოს ამ ერთ-ერთ წმინდა მხარეში, აჭარაში, სადაც I-საუკუნეში წმინდა ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა სახარება კვლავ გაიხსნა ტაძრები“, როცა ადრე სხალთაში ჩამობრძანდა და 1989 წლის 19 აპრილს სტიქიის შედეგად დაღუპული 23 ადამიანის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა.

ისმინა უფალმა მისი ვედრება. ტაძარი, რომელიც ხულოს საეპისკოპოსო ბარათი გახდა, მომლოცველებს ვეღარ იტევდა. 60-ზე მეტი მღვდელმსახური 1400-ზე მეტი ადამიანის ნათლობას აგრძელებდა. მრევლს ვერ იტევდა ტაძრის შემოგარენი. ამდენი გაღიმებული, მოსიყვარულე, მოზეიმე ადამიანი ერთბაშად ხულოს არ ახსოვდა.

ჰუსეინ ბილისი 60 წელს გადაცილებულია. იგი და ისა ალთუნი თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველები არიან. მათ მამა-პაპისეული მრწამსი დაიბრუნეს. ხულოს ტაძარში მართლმადიდებლობას ეზიარნენ. მიიღეს ნათლობის სახელები და ქართული გვარები. ამიერიდან ისას-(იოსებ წითელაძედ) მოიხსენიებენ, ხოლო ჰუსეინს - (გიორგი მაღაყმაძედ).

- ჩვენ წელს სხალთა-ხიხანის ხეობაში სელიმობის დღესასწაულს დავესწართ, - გვითხრა ჰუსეინ (გიორგი) მაღაყმაძემ. თვალი შევაავლეთ სხალთის ტაძარს, ვნახეთ მთას შერწყმული ხიხანის ციხე. სელიმობაზე დავთქვით, რომ სხალთის ეპარქიაში პატრიარქის ჩამობრძანებისა და ხულოს ტაძრის კურთხევის დღეს მართლმადიდებლობას ვეზიარებოდით. ღმერთმა ინება და ამიერიდან ამ სარწმუნოებას დავუბრუნდით. იმედია ჩვენს გზას თურქეთსა და ირანში მცხოვრები ასეულობით ქართველი გაყვება.

აჭარაში მოღვაწე მწერლები და პოეტები ემენ დავითაძე, ვახტანგ ლლონტი, ანზორ კუდბა, მწერალთა თაკაკაცი დავით თედორაძე სხალთის ეპარქიაში გამართული საღვთო დღესასწაულების მონაწილენი არიან. ამჯერად მათი მეგზურობა ქალაქ ბათუმის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს გენო თებიძეს ეთავა.

- სხალთა, ხულო, დიდაჭარა, გამონათლევნი, ზვარე, ხიხანი და ვერნები ჩემი საფიცარი ადგილებია, - გვითხრა დავით თედორაძემ. 40 წელზე მეტია ცხოვრების ფერხულში ვარ, მაგრამ ერთ დღეში ასეთი ხალხმრავალი ნათლობა არ მახსოვს. ესაა ჩვენი წარსულიდან დაბრუნება, ნათელის ბნელეთთან გამარჯვება. ხომ ვამბობდი: „ვაზი სულში გადავმაღლე, ჯვარი - ჩუქურთმებში, ვერ ჩამიქრეს წმინდა ხატთან სანთლის შუქი მთებში“.

სულ ნათელი გზებით იარონ იმ ადამიანებმა, რომლებიც დღეს მართლმადიდებლობას ეზიარნენ.

* * *

უწმინდესი და უნეტარესი ილია II ტაძარში შებრძანდა. მან მრევლს, ტაძარში მიბრძანებულ სტუმრებს ქადაგებით მიმართა: „დღეს ჩვენ აღვსილნი ვართ განუზომელი სიხარულით. იმ კუთხეში ვართ, სადაც პირველ საუკუნეში წმინდა ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ სახარება იქადაგეს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ჩვენ ვიმყოფებით წმინდა ადგილზე, სადაც პირველად დაირწო აკვანი

ქრისტიანობისა. და აი ამიტომ მე გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს, როგორც უდიდეს დღესასწაულს, რომ ადგილობრივი ხალხი თავის ჭეშმარიტ სარწმუნოებას უბრუნდება. შევთხოვ უფალს, რომ დალოცოს და აკურთხოს ჩვენი ერი და ჩვენი ქვეყანა.

საქართველო არის წილხვედრი ქვეყანა ღვთისმშობლისა. იგი წმინდა ქვეყანაა, სადაც ქრისტეშობიდან 600 წლით ადრე ჩამოტანილი იყო სხეულის ნაწილები წმინდა ილია წინასწარმეტყველისა. ჩვენ ვევედრებით უფალს ამ დიდი წყალობისათვის. ჩვენ ვევედრებით უფალს, რომ მეტი მადლი მოჰფინოს მადლიან მიწას.

ღმერთი გვაძლევს სიბრძნეს, ღმერთი გვიჩვენებს გზას სასუფევლისაკენ. დღეს ამ ტაძარში 1400-ზე მეტი ადამიანი მონათლა. ყველას გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს და წმინდა ნათლობის მიღებას. თქვენ ყველანი ამიერიდან ჩემი ნათლულები იქნებით. წყალობა ღვთისა იყოს თქვენთან. ამინ!

თავის ქადაგებაში პატრიარქი შეეხო ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, იქადაგა ცოდვისა და მადლის გარჩევაზე. მრევლს მეტი სიბრძნისა და თავშეკავებისაკენ მოუწოდა. მიგვანიშნა გლობალიზაციის პერიოდის მნიშვნელობაზე. წინაპრების დანატოვარს, ეროვნულ წეს-ჩვეულებებს მოვეფეროთ, შევინარჩუნოთ, - ბრძანა მან: მამული, ენა, სარწმუნოება იყოს დაცული, - ბრძანებდა წმინდა ილია მართალი. ჩვენ დავუმატეთ ამას: ღმერთი, სამშობლო და ადამიანი, - შეგვაგონა პატრიარქმა.

პატრიარქის ნათლულთა რიცხვმა ხულოში 1400-ით მოიმატა, ახლა უკვე მისი 16 ათასზე მეტი ნათლულია, მალე დღის სინსთლეზე გამოვა წიგნი, რომელშიც უწმინდესისა და უნეტარესის ნათლულები იქნებიან შეტანილნი. იქ ჩაიწერება იმათი გვარები, სახელები, რომლებიც პატრიარქმა 1989 წლის 29 მაისს და 2013 წლის 17 ივნისს მონათლა.

„ადამილოცნიხართ! ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ. ღმერთმა დალოცოს თქვენი ოჯახები. მრავალჟამიერ ყოფილიყოს თქვე-

ნი სიცოცხლე! ღმერთმა დალოცოს ჩვენი ქვეყანა. გაამთლიანოს, გააძლიეროს სრულიად საქართველო. ამინ! - ამ სიტყვებით დაასრულა უწმინდესმა და უნეტარესმა თავისი ქადაგება.

სხალთის ეპარქიის მღვდელთმთავარობა 2009 წლის დეკემბერში მეუფე სპირიდონს ანდეს. პატრიარქმა მას მადლობა გადაუხადა იმ მოღვაწეობისათვის, რაც საერო და საღვთო საქმეში მიუძღვის. მასვე უდიდესი წვლილი აქვს ზესტაფონში, ნინოწმინდაში საბავშვო სახლების, ხიჭაურში საპატრიარქოს უნივერსიტეტისა და წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლის გახსნაში.

უწმინდესმა და უნეტარესმა მეუფე სპირიდონი დიდი ღვაწლისთვის მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა. გაწეული რუღუნება დაუფასდათ ეპარქიის მღვდელმსახურებს, დეკანოზებს, ევდემოზს, სვიმონს, მატათას, მამებს: მოსეს, ლაზარეს, პეტრეს, რაჟდენს.

* * *

მამა-პაპეული რწმენის ამ დიდ ზემოს ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი იობიც (აქიაშვილი) ესწრებოდა, იგი პირველი მღვდელი იყო, რომელმაც საუკუნოვანი მიწუმათების და აკრძალვის შემდეგ სხალთის ტაძარში წირვა-ლოცვა დაიწყო. ხულოში ახლად კურთხეულ ტაძარში მოსვლამდე სხალთაში იყო, მონიხულა ის სიახლენი, რაც მისი მღვდელთმთავრობის შემდეგ სხალთაში გაკეთდა.

ძალიან მიხარია, როცა ამ გადასახედიდან მოვლენებს ვაფასებ. ფაქტიურად დაწყებულია აჭარის მოსახლეობის დედაეკლესიასთან დაბრუნება.

ქრისტიანობის საფუძველი ამ ხალხში იმთავითვე დევს. ღვთის ნებაა ერთ დღეს 1400-ზე მეტი ადამიანის გაქრისტიანება. მე მჯერა, რომ ღვთის მადლით აჭარის ყველა სოფელში ეკლესია აშენდება.

ბოლნისის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი მეუფე ეფრემი ყოველ ზაფხულს რამდენიმე დღით თავის მშობლიურ კუთხეში ჩამოდის. იგი მთა ღომაზე ჯვარობის დღე-

სასწაულს ესწრება - ხოლმე. მან ხულოში 1400-ზე მეტი ადამიანის ნათლობა ასე შეაფასა: - „ეს არა მარტო აჭარისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის უდიდესი დღესასწაულია. ჩვენს ერს, ჩვენს ეკლესიას ამ მოვლენას ვულოცავ. ჩვენს ქრისტიანულ სამყაროს ახალნათელღებული სულები შეემატა. ხულოში იკურთხა დიდებული საკათედრო ტაძარი, ყველაფერი ეს ღვთის დიდი წყალობაა.“

აჭარაში დიდი მადლია და ერის გამთლიანებასა და გაერთიანებაში ეს კუთხე თავის სიტყვას იტყვის. წმინდა ანდრია პირველწოდებულის მადლი არასოდეს დაიკარგება. ქრისტიანულმა სულმა ახალი ძალით იფეთქა გვიხარია, რომ ჩვენი კუთხის შვილები ძირძველ მრწამსს იბრუნებენ, რაშიც ჩვენი პატრიარქის როლი განუზომელია“.

* * *

ზაფხულის წვიმამ ხიჭაურსაც გადაუარა. ასეულობით მართლმადიდებელი უწმინდესისა და უნეტარესის თაყვანისმცემელი ხიჭაურში შეიკრიბა. დიდი შეხვედრა შედგა სასწავლო ცენტრის კლუბში ერთად უწმინდესმა და უნეტარესმა მიგვილო. ქვეყნის მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი მთიან აჭარაში მიმდინარე პროცესებით დაინტერესდა მისთვის საინტერესო თემებზე ამომწურავი პასუხები რომ მიიღო თავისი მოსაზრებანი შემოგვთავაზა.

აჭარის მთიანეთში უნდა განვავითაროთ ქსოვის, ხეზე კვეთის, ხალხური რეწვის დარგები. ხულოში მეკარტოფილეობისა და მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივები უნდა ავითვისოთ, ადგილებზე პროფესიული სასწავლებლების გახსნას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო.



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი საეკლესიო მოღვაწეებთან და საზოგადოებასთან ერთად აბუსერისძე ტბელის უნივერსიტეტში შეხვედრისას.

გამომშვიდობებისას სამახსოვრო სუვენირებიც გვიბოძა.

* * *

ნიჭაურის წმიდა აბუსერიძის ტბელის უნივერსიტეტის კულტურის ცენტრის დარბაზი ეპისკოპოსთან შეხვედრის მსურველებს ვერ იტევდა. შეხვედრა სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე სპირიდონმა გახსნა. უწმინდესა და უნეტარესს მიესალმნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარე ჯემალ (მათე) ფუტკარაძე, ხულოს, შუახევის გამგებლები გურამ ხოზრევანიძე და თამაზ დავითაძე, საპატრიარქოს ნიჭაურის აბუსერიძის ტბელის უნივერსიტეტის პროფესორები ნინო ჩელებაძე, როინ მაღაყმაძე, იოსებ სანიკიძე, მედეა რიჟვაძე, პოეტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ემენ დავითაძე, საპატრიარქოს ხულოს აბუსერიძის ტბელის სკოლის პედაგოგი ეთერ დეკანაძე, რევაზ ფევაძემ-საკუთარი, ხულოს სკოლების მასწავლებლებმა კი ქართველი პოეტების ლექსები წაიკითხეს, ხულოს კულტურის ცენტრთან არსებული, ეპარქიის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსაბლის და უხუცესთა ანსაბლების „არგინეთის“, „ოთოლთას“, „ბერმუხას“ მოცეკვავეებმა „მთიულური“ და „განდაგანა“ შეასრულეს. ქედის კულტურის ცენტრის გოგონათა ანსაბლის, სხალთის ეპარქიის მგალობელთა გუნდის წევრებმა იმღერეს. უწმინდესი და უნეტარესი თითოეულ ნომერს ტაშით აჯილდოებდა. ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გურამ ხოზრევანიძემ მხატვარ სიმონ ართმელაძის ფერწერული ტილო „ჩვენი ისტორია“ უსახსოვრა პატრიარქს.

შეხვედრისა და მხატვრული პროგრამების დასრულების შემდეგ პატრიარქმა ბრძანა: „ვფიქრობდი ვინ უფრო ბედნიერია, თქვენ თუ მე? ვიტყვი რომ ყველაზე ბედნიერი ვარ მე, რომ გხედავთ თქვენ, ვხედავ გაბრწყინებულ აჭარას. ძალიან ბევრი მიფიქრია ვინ ვართ ჩვენ-ქართველები. გვახსოვდეს, რომ ჩვენში ძლიერი გენია - შოთასი, დავით აღმაშენე-

ბლის, თამარის, სხვათა დიდებულთა და ეს გენი უნდა გამობრწყინდეს, გამოვლინდეს და ეს გამოვლინება მე გუშინ და დღეს ვნახე აქ - ხულოში. ერსელ კიდეც მინდა მივულოცო ეს ამაღლება მეუფე სპირიდონს, უმაღლესი ჯილდო - მთავარეპისკოპოსობა. გაოცებული ვარ როგორ შეძელით ამ მოკლე ხანში ამდენის გაკეთება. ერთი რამ უნდა გირჩიოთ: არასოდეს არ დაემყოფილდეთ მიღწეულით. მომავალზე, წინსვლაზე, პროგრესზე ფიქრი აუცილებელია. მაგონდება დედაჩემის დარიგება: ის ამბობდა, რომ გაჭირვებას არ შევურიგდეთ, გამოუვალ გზაზე არ ვიფიქროთ. კედელი, ჩიხი არ არსებობს. ნიჭის გამობრწყინებაა საჭირო, ქართველი კაცი კი ყველა ნიჭიერია, ის ბედნიერ მომავალს დაინახავს“.

პატრიარქმა ერთხელ კიდეც დალოცა თავისი ნათლულები და ის ბედნიერი დღე ისურვა, როცა სხალთის ეპარქიაში კიდეც გაიჩნეს ახალ ნათლულებს. დალოცა ნიჭაურის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, მიულოცა წარმატებები და ნიშნად დიდი სიყვარულისა, საპატრიარქოს ნიჭაურის უნივერსიტეტს წმინდა სპირიდონის ხატი უსახსოვრა. მან ასევე სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსს სპირიდონს 5000 ევრო გადასცა ხელმოკლე მთიელების ერთჯერადი დახმარების მიზნით. ეს დახმარება როგორც ქრისტიანულ, ასევე მუსლიმანურ ოჯახებს დაურიგდებათ, - ასეთი იყო პატრიარქის სურვილი.

ნიჭაურში გამართულ შეხვედრას აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია ესწრებოდნენ.

- ეპარქიის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ჩამობრძანება და დიდი ნათლობა, - გვითხრა ავთანდილ ბერიძემ, - ვისურვებ, რომ ასეთი მასობრივი ნათლობები გაგრძელდეს. ეპარქია აღმავლობის გზაზეა. პატრიარქის ლოცვა კურთხევა არ მოჰკლებოდეს სხალთის ეპარქიას და სრულიად საქართველოს.

სიტყვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უფიდეისა და უნეტარების ილია II-სადმი*

(ქვეყნდება სრულად)



სწორუპოვარო სიბრძნითა, უზღვარსამანო ღვაწებითა და უშრეტო სიკეთითა, უწმიდესო და უნეტარესო!

თქვენი ჩამობრძანება აჭარაში, თქვენმიერ 17 ივნისს კურთხეული და აღსრულებული, მრევლის სიმრავლითა და აქაურთა ქრისტესმიერი რწმენისადმი სწრაფებით ჯერ-აქამომდის უმასშტაბო, - საყოველთაო სახალხო ნათლობა ქრისტიანობის პირველ-კერა დიდ-აჭარის ხელოში, ჩვენი კუთხის წმიდა პირველმნათვლელთა სახელობის ეკლესიაში, თქვენი დღევანდელი მობრწყინება წმიდა აბუსერიძე ტბელის სასწავლო უნივერსიტეტში ხიჯაურს და აგერ, ხვალ, ბათუმში აღთქმული საყოველთაო ნათლობა, - ამ კუთხეს დააჩნდება, როგორც სულიერების ყვაელობა და, წმიდა ტბელის ენითვე რომ გამოვთქვათ, - „ნათელი დაუღამებელი“.

მინდა ამ სიტყვით უდიდესი მადლიერება გაავიწყლოვანოთ, რომელიც ამავდროულად სიტყვა-სათქმელი იქნება სრულიად საქართველოს პოეტთა და მწერალთა, საზოგადოდ, დიდთა და მცირეთა კალმოსანთა კრძალული სახელით, წმიდა ტბელის უნივერსიტეტის პროფესორ - მასწავლებელთა უბიწო ენით და ჩვენივე რიცხ-

ვმრავალი შევირდ-სტუდენტების, მათთან ერთად ყმაწვილთა და მოწიფულ მოწაფეთა გულწრფელი გულით; გვსურს ყველამ ერთად წელთუხნიერეობა და ჯანის სისალე გისურვოთ თქვენგან და თქვენთა წინამორბედთაგან ნალოც ჩვენი მამულის და სულიერად ნაწრთობ-ნაჯანსაღე ჩვენი ერის საკეთილდღეოდ. გვინდა გითხრათ, რომ ჩვენ არ ვთვლით ჩვენს აღსაზრდელებს მხოლოდ სტუდენტებად და მოწაფეებად, ჩვენ მათ შვილებად და შვილიშვილებად მივიჩნევთ, ცხადია, ოსტატ-შევირდობის წინაპართაგან ნანადერბევი ტრადიციული ეთიკისა და საწყაულის დაცვით... გაბრძნებით, ასე მიგვაჩნდება მომავალშიც და ანდერძად დაუუტოვებთ ამ ზრუნვას ჩვენს შემდგომებს, - დღეს, ხვალ და აწ და მარადის, უკუნითი - უკუნისამდე, რამეთუ ვიცით და ეცოდინებათ, რომ ეს ამ კუთხეს, ამ ხეობას სჭირდება ფრიად და ფრიად, ნამეტარად დღეს, და დასჭირდება უფრო უაღრეს - მომავალში!

გუშინ ხულოს წმიდა პირველმოციქულთა სახელობის ტაძარში თქვენი ნათლული გახდა ჩემი სამი წლის შვილიშვილი - ნინო. იგი კვირტია, ნერგია იმ რიცხვმრავალ დავითაძეთა მოღვმისა და გვარისა, რომელიც თქვენ წელს, 22 თებერვალს, დაგვილოცეთ სამების დიდ საკათედრო ტაძარში და, ჩვენი, ექვსი ჯვრის მადლით შემკული, იმ საგვარეულო ღერბის მომავალი ერთგული მხევალთაგანია, მადლიან იმ დღეს თქვენ რომ გვიკურთხეთ, დაგვიმწყალობეთ, დაგვილოცეთ და თქვენის მაღალი ნებით მისი ასლი საქართველოს დედა-ეკლესიის, - სამების წმიდა ტაძარში დავანებულ სიწმინდეებთან ერთად შენახვის ღირსად მიგვიჩნიეთ.

მინდა ვისარგებლო იშვიათი ბედნიერი შემთხვევით და, საზოგადოდ, გულწმინდა მადლო-

* მისასალმებელი სიტყვა შემოკლებით წარმოთქმულია 2013 წლის 18 ივნისს, ხიჯაურში, წმიდა აბუსერიძე ტბელის უნივერსიტეტში, პატრიარქის სტუმრობისადმი მიძღვნილ საზეიმო შეხვედრაზე.

ბა შემოგებლოთ, - აწ უკვე ნეტარებად ქცეულ თქვენეულ ნათლობებს გარდა, საქართველოში ქართულ გვართა დალოცვის ძვირუძვირესი ტრადიციის დამკვიდრებისათვის, რაც ამავედროუ-

ლად, ერთხელ და სამარადისოდ, ყოველთა ამ გვართა და გვარისშვილთა ჭეშმარიტ რწმენაზე დადგინების შეუქცევადობის გარანტიაა, - თქვენეულად შორს ჭვრეტით გახეულ-დანახული



მარცხნიდან: პატრიარქი (1) უნივერსიტეტის რექტორთან (2) და სხვა თანმხლებ სასულიერო მოღვაწეებთან ერთად.

და ღრმა სიბრძნით გააზრებული... ჩვენც და სხვებიც ამას მამულისათვის ზრუნვით, მისი მოერთგულე შვილ-შთამომავლების გამრავლებით, გაზრდით, დაფრთხილებით და გაძლიერებით უპასუხებენ, რის ფიცად, ლოცვად და ერთგულებადაც დღეს თქვენთან, როგორც საქართველოს დედა-ეკლესიის ისტორიულად უთვალსაჩინოეს მწყემსმთავრთა შორის უთვალსაჩინოეს მწყემსმთავართან და სულიერ მოძღვართან, ეს პატარა ფიც-ლექსი უნდა აღმოვთქვათ:

ბიბლია

ბიბლია ჩვენი ხიბლია,
ჩვენ ვართ იმისი ნიბლია.
ვგალობთ, სხვა რა შეგვიძლია,
მით ვცოცხლობთ, რაც რომ გვივლია.

ბიბლია ჩვენი ხიბლია
ჩვენ ვართ კი მისი ნიბლია.
ბნელი ნათელით იძლია,
ვგალობთ, სხვა რა შეგვიძლია.

ვიცით, ვინც სადაც ივლიან,
ბოლოს ღვთის კარზე მივლიან.
სიცოცხლე, მზეებერ ღვივლივა,
იქ გაწყდა, იქ მიილია.

სული სულია, ვინძლოა
თუ სადმე ბრმად წაიძლია,-
მისთვისაც კი მიიცლიან,
ამორთმევ - ამოიცლიან...

ბიბლია ჩვენი ხიბლია,
ის განა მართო წიგნია?!
მით გავექლოთ, რაც გაგვიძლია,
მით გავექლოთ, რაც გაგვიძლია!!!

სულ დასასრულ გვსურს მაღლობა მოგახსენოთ ჩვენი უნივერსიტეტის დამაარსებლისა და პირველი რექტორის, ჩვენი კუთხის - აჭარის და სრულიად საქართველოს სულიერებისა და სიმტკიცისათვის დაუძინებლად მზრუნველის, მისი მაღალუსამღვდელოესობის, სხალთის ეპისკოპოსის, - მეუფე სპირიდონის სხალთის მთავარეპისკოპოსის უმაღლეს ხარისხში აყვანისათვის.

გვფარავდეს ღმერთი, უფალმა გააძლიეროს და გაგვიძლიანოს ჩვენი სამშობლო!





პატრიარქი აჭარაში ანუ 2013 წლის აჭარული ქრონიკები

1.

აჭარის მთებს უფლის მაღლი ათოვს,
მთებს, გაპონილს სისხლით მამა-პაპათა,
პატრიარქი ჩამობრძანდა ბათომს,
პატრიარქი დღეს აჭარლებს მონათლავს.

პატრიარქი ნათლიაა იმისი,
ვინაც რწმენით ღმერთის სახლთან მიდის,
ორი ათას ცამეტი წლის იენისი
აჭარული ქრონიკაა დიდი.

3.

აჭარაში ნათლობაა დიდი,
ბევრი მზე და ბევრი ათინათია,
აჭარის გზა იმ ტაძართან მიდის,
ჩემოდენა სანთლები რომ ანთია.

დრო სულ ახალ ქორონიკონს წერს,
იესოა დიდზე დიდი სიმართლე.
რომ შემეძლოს ჩემ დარჩენილ წლებს
ჩემს პატრიარქს ჩემი ხელით მივართმევ.

არც კი ვიცი, რა სახელი დავარქვა,
პერანგა თუ თეთრობი თუ მთაწმინდა?!
პატრიარქმა აჭარლები მონათლა,
აჭარაში უფლის მაღლი გაწვიმდა.

ქრისტეს ნათელს შეერია ჩემი ძმაც,
გვინდა ყველას სალოცავი გავუთბოთ,
ჩემ დარჩენილ სიცოცხლეს, რომ შემეძლოს,
ჩემს პატრიარქს უყოყმანოდ დავუთმობ.

2.

სხალთის ტაძარს გაუმრთელდა კედელი,
ვენაცვალე მის მირონს და ფრესკებს,
ინათლება ჩაქველი და ქედელი,
აჭარლებო უფალია ჩვენკენ!

(ბათუმი)
გადმობეჭდილია:
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“
141, შაბათი, 27 ივლისი, 2013.

დულს მირონი და იღვრება ნათელი,
აჭარელი სულ ამ გზებით ივლის,
მოინათლა ათასობით ქართველი,
ორიათას ცამეტი წლის იენისს.



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

მაღლი აწვიმს სოფლებსა და ქალაქებს,
სინამდვილეს გაექცევი ვერსად,
ეპარქიას უფლის ნება განაგებს
და მეუფე დიმიტრი გვყავს მწყემსად.

ტაძრები სულ ნათლულებით აივსო,
მირონი დულს, რძე მეგონა ირმის,
სადაცაა გამოჩნდება იესო,
აჭარისწყალს ფეხით ჩამოივლის.



**სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქს
ილია II-ს**

სული შენი სამოთხის ყვავილებად შლილია,
გული უანგარობის თაფლად გადმოღვრილია,
გრძნობა, უნატიფესი, ლოცვად განფენილია,
ვინ ხარ, ვისი გორის ხარ, საქვეყნოდ ცნობილია.

ყლორტი, შენი ოცნების, რწმენით გაფოთლილია,
ხედი, შენი ცხოვრების, ღვაწლით დაფერილია,
მოდგმა შენი და ფესვი უფლის დალოცვილია,
ერის სულის სიწმინდედ მოვლენილო, ილია!

საქართველო, ჯვარცმული, ღვთისმშობლის ხვედრწილია,
ბედის დაუნდობლობით სხეულდაფლეთილია,
ფიქრთა ბრბოში დამაშვრალს, გაგკრთომია ძილია,
მონუმენტად, სიმტკიცის, აღმართულხარ, ილია!

ვინც სიყრმიდან, ობლობით, თავბედდასეტყვილია,
უღიმღამო ცხოვრებით სასოწარკვეთილია,
როცა მელანქოლიურ ჩიხში ჩაკეტილია,
ჭეშმარიტი მიხვედრით აღუღაბებ, ილია!

ვინ საუნჯე კაცობის, ვინ პატივაყრილია,
ვინ გულხალისიანი, ვინ გულჩათხრობილია,
სიყვარულით საზრდოობს, ვინც კეთილშობილია,
კარგი ხოტბად ქცეული, ცუდი დაგმობილია.

დაილოცოს, ვინც შენებრ, ღინჯი, ნაბიჯფრთხილია,
ერთგულების ქომაგად, ვით ხმაღამოწვილია,
სულ და ხორცგანწმენდილი სახე, შენი, ილია,
ღვთაებრივი მოძღვრების ეტალონად ქმნილია.

ვინ შეიცნოს, ამქვეყნად, რამდენი ცოდვილია,
ვინ ლატაკი, დევნილი, ძირ-ბუდეშლილია,
მსგავსთა ცრემლი, გოდება, შენი სიმძიმელია,
შემწეობა-ნუგეშით მადლმდებელი ილია!

სიკეთისკენ ისწრაფვის, ვინც კეთილად ზრდილია,
დიდ მიზანთან მიღწევა არც ისე ადვილია,
წუთისოფლის ბუნება ბრძოლა და ჭიდილია,
გაიმარჯვებს, ვინც ჭკუა-გონებით მახვილია!

კაცი ქვეყნის წინაშე, როცა ვალმოხდილია,
ჩუქურთმა შემოვლებულ სვეტად ჩამოქნილია,
უხსოვარი დროიდან ვისაც ერქვა ილია,
უმრავლესი, მათ შორის, ღმერთის ჩაკოცნილია.

გახსენება ზეკაცთა, ყოველ დროში ტკბილია,
ისტორიის გულში ვინც სანთლად ჩაღვენილია,
სიცოცხლე-სიკვდილს შუა რა მოკლე მანძილია,
უკვდავია, ვინც შენებრ ღმერთზე მინდობილია.

კვალი შენი სიწმინდის მადლით სხივმოსილია,
ცის ტაძრისკენ სავალი გზები შენთვის ხსნილია,
ვისაც უყვარს სამშობლო, ყველა შენი შვილია,
ქართულ საპატრიარქოს კვარცხლბეკი ხარ, ილია!



სხვისი მეჩეთი რად უნდა... *

ახალგაზრდობას დღესაც გონებას რისთვის უბნელებთ ნისლით?
ნუთუ არ გჯერათ, რომ აჭარლები ქართველები ვართ სისხლით.
ჩვენს მამის მამებს უწინ ეძახდნენ გივის, თამარს და შოთას,
თქვენ კი სხვის წესებს ებლაუჭებით, გული საითკენ შფოთავს?!
გაჰყევთ წინაპართ ნათელ ბილიკებს, შვილებს რად უბნევთ გზა-კვალს?
დრო გადის რისთვის ვეღარ სცილდებით უცხო ადათებს, მზაკვარს,
რა ეტყვით მიწას მზიურ აჭარის, შეჩუქურთმებულ მთებით,
ქართველი კაცის ხელით მოქარგულს, ბალ-ვენახებით, ზვრებით?!
დღესაც ცრემლები ქართული ვაზის ატყვია არე-მარეს,
ღვინის ქვევრები დღესაც ამშვენებს მზიურ აჭარის მხარეს.
რა დაგავიწყებთ ოსმალთა რისხვას, წინაპართ სისხლის დენას.
დღესაც ალერსით, თბილად შენახულს მშობლიურ დედა-ენას!
ბრძოლით დაუცავთ ერთგულ წინაპრებს დედის მანდილი წმიდა,
ქართულ სოფელში ცხოვრობთ, ირჯებით, მეჩეთი სხვისი გინდათ,
ლალობთ, მრავლდებით, გულში იხუტებთ ქართული მიწის სითბოს,
სამ საუკუნის ცრუ, შავბნელ წარსულს, კვლავ უკან უცქერთ, თითქოს!
გითხრან არ იყოთ თქვენ ქართველები, თუ დაუჯერებთ, მითხარ,
ვიცი, დაძვრება ბნელ ბილიკებით თითო-ოროლა ვირთხა...
დღეს საქციელი ზოგიერთების სულში სხვაგვარად ატანს,
სადმე თუ თავი ბელელს გამოხრავს, ვუსაყვედუროთ კატას.
დროა დაფიქრდეთ, გვიჯობს ღვიძლ ქართულს გავყვეთ ბილიკებს ნათელს,
სხვისი მეჩეთი მითხარ რად უნდა, სულით და ხორციით ქართველს?!

5/II-1989 წელი.

გთხოვთ ლექსის ჰონორარი გადაურიცხოთ საქართველოს
ეთნოგრაფიული საზოგადოების ფონდს.

* ლექსი, მოიძია გურამ თურმანიძემ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ავტორის გარდაცვალების შემდეგ და პირველად ქვეყნდება. ფიქრი, რომელიც ავტორს წაჰყვა, დღესაც სადღეისოა, ლექსს ვაქვეყნებთ, ავტორის ბოლო თხოვნასაც ვურთავთ, თუმცა, ვერ ვუსრულებთ, რადგან ჩვენი ჟურნალი უჰონორაროა

(რედაქციის შენიშვნა).

რუსეთ-ოსმალეთის ომი 1877-78 წლებში

რუსეთ-ოსმალეთის ომი 1877-78 წლებში რუსეთის წამოწყებული იყო ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელის მოსაპოვებლად და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ოსმალეთის იმპერიისგან წასართმევად. 1877 წლის 12 აპრილს კიშინიოვში მყოფმა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს ოსმალეთთან ომის შესახებ.

საომარი მოქმედებები

ბალკანეთის ფრონტი

საომარი მოქმედებები თავიდანვე დაიწყო ორ ფრონტზე – ბალკანეთსა და კავკასიაში. ოსმალეთის არმია ომის დასაწყისისათვის 450 ათას კაცს ითვლიდა, აქედან 338 ათასი ბალკანეთის ფრონტზე იმყოფებოდა, ხოლო 70 ათასი – კავკასიის ფრონტზე. 1877 წლის აპრილში რუსეთის არმიამ გადალახა მდინარე პრუტი და რუმინეთის ტერიტორიაზე შევიდა. 1877 წლის მაის-ივნისში მიმდინარე ცხარე ბრძოლების შემდეგ რუსებმა ბულგარულ მოლაშქრეებთან ერთად მდინარე დუნაი გადალახეს. ამის შემდეგ რუსეთის არმია სამ ნაწილად გაიყო: გენერალ იოსებ გურკოს კორპუსს უნდა გადაეღებინა ბალკანეთის მთები და გადასულიყო ოსმალეთის არმიის ზურგში ადრიანოპოლის რაიონში. გენერალ ნიკოლოზ კრიდერის კორპუსს უნდა ემოქმედა რუსეთის არმიის მარჯვენა ფლანგზე და დაეკავებინა მნიშვნელოვანი სიმაგრე პლევენა. ტახტის მემკვიდრის ალექსანდრე ალექსანდრის ძის კორპუსს უნდა ემოქმედა რუსეთის არმიის მარცხენა ფლანგზე და დაეკავებინა მნიშვნელოვანი სიმაგრე რეშჩუკი. იოსებ გურკოს კორპუსმა სწრაფი შეტევა განახორციელა, დაიკავა ბულგარეთის ძველი დედაქალაქი ტირნოვო და შეუდგა ბალკანეთის მთებზე გადასვლას.

ოსმალეთის სარდლობამ მიზნად დაისახა რუსეთის არმიის სამხრეთ ბალკანეთიდან

განდევნა. ოსმალეთის არმია სულეიმან-ფაშას სარდლობით 1877 წლის ზაფხულში დიდი მონღოლებით უტევედა შიპაის უღელტეხილზე გამაგრებულ რუსების რაზმს. მაგრამ რუსეთ-ბულგარეთის ერთობლივმა არმიამ არ დაუშვა ოსმალეთის არმიის ჩრდილოეთ ბალკანეთში გადასვლა. 1877 წლის ნოემბერში პლევენის გარნიზონის ოსმალურმა სარდლობამ კაპიტულაცია გამოაცხადა. პლევენის აღებამ გადამწყვეტი გავლენა იქონია ომის მსვლელობაზე. 1878 წლის იანვარში იოსებ გურკოს კორპუსმა სოფია დაიკავა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ თურქები დაამარცხა ფილიპოპოლთან, რუსეთის არმიის მეორე კორპუსმა 1878 წლის 8 იანვარს ადრიანოპოლი დაიკავა.

კავკასიის ფრონტი

საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა კავკასიაში, კერძოდ საქართველოში. ქართველებს იმედი მიეცათ, რომ აჭარა და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ამჯერად მაინც დაუბრუნდებოდა დედასამშობლოს.

საომარი მოქმედებები კავკასიის ფრონტზე დაიწყო 1877 წლის 30 აპრილს. ამავე წლის მაისში რუსებმა აიღეს ბაიაზეთი და არტაანი. რუსეთის არმიამ არ ისარგებლა მოპოვებული უპირატესობით და ბათუმის მაგივრად გეზი ყარსისაკენ აიღეს, ბათუმზე შეტევა კი ოზურგეთიდან დაიწყო. ამ სტრატეგიული შეცდომის წყალობით რუსეთის სარდლობამ ინიციატივა ხელიდან გაუშვა. რუსეთის არმიამ ყარსი ვერ აიღო, საჭირო გახდა ხანგრძლივი ალყა. ამან ოსმალეთის სარდლობას საშუალება მისცა ჯარების მობილიზება მოეხდინა. რუსეთის სარდლობა მიხვდა საკუთარ შეცდომას და არზრუმის მიმართულეობით დაიწყო შეტევა. დაგეგმილი შეტევა დაგვიანდა და ამჯერადაც ხელიდან გაუშვეს უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა.

1877 წელს ოსმალებმა სასტიკად დაამარცხეს ერევნიდან ბაიაზითის მიმართულებით შეტევაზე გადასული რუსეთის ჯარები, ხოლო ამავე წლის 25 ივნისს ზივინთან განცდილი მარცხის შემდეგ რუსებმა დატოვეს ომის დასაწყისში დაკავებული ტერიტორიები. 1877 წლის ივნისიდან-სექტემბრამდე რუსეთის არმიის მდგომარეობა მცირე აზიის ფრონტზე მძიმე იყო. რუსებმა მარცხი განიცადეს ასევე აჭარის ტერიტორიაზე. ასევე დამარცხდნენ რუსები აფხაზეთშიც. 1877 წელს ოსმალებმა გუდაუთასთან დესანტი გადმოსხა და სოხუმისაკენ დაიძრნენ. რუსებმა სოხუმი უბრძოლველად დატოვეს. თურქებმა თითქმის ნახევარი აფხაზეთი დაიკავეს. აფხაზეთში გენერალ იაკობ ალხაზიშვილის სარდლობით სასწრაფოდ გაიგზავნა დამხმარე ძალა, რომელიც რუსეთის რეგულარული ჯარისა და ქართული სახალხო ლაშქრისაგან შედგებოდა. გადამწყვეტი ბრძოლა ოქტომბრის თურქების მარცხით დამთავრდა და უკან დაიხიეს. 1877 წლის 2 სექტემბერს რუსეთის ჯარები სოხუმში დაბრუნდნენ. მალე თურქებმა აფხაზეთი მთლიანად დატოვეს.

აღნიშნული ფაქტის შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა, რუსები შეტევაზე გადავიდნენ არზრუმის და ყარსის მიმართულებით. 18 ნოემბერს რუსეთის ჯარებმა ქართული სახალხო ლაშქრის დახმარებით ყარსი აიღეს, რაც თურქთა დიდი მარცხი იყო. 1877 წლის დეკემბერში რუსებმა დაიკავეს ხერთვისი, არტანუჯი და ბათუმისაკენ გავიდნენ, თუმცა აჭარელი ბეგების პოზიციის გარკვევამდე ბრძოლის დაწყებას ერიდებოდნენ, ასეთ ვითარე-


ბაში შერიფ ხიმშიაშვილმა რუსებს აჭარაში შესვლა სთხოვა მათაც აღარ დააყოვნეს და ახალციხის მხრიდან რუსეთის ჯარები აჭარისკენ დაიძრნენ. თურქეთი კი თავგამოდებით იცავდა არზრუმს.

რუსეთის წარმატებებმა შეაშფოთა ევროპული სახელმწიფოები, ისინი სულთანს ზავის დადებას ურჩევდნენ. ევროპის ქვეყნებთან გართულების თავიდან აცილების მიზნით ალექსანდრე II-მ სულთნის პირობა მიიღო და 1878 წლის 19 (31) იანვარს ადრიანოპოლში დაიდო რუსეთ-ოსმალეთის დროებითი ზავი.

ომის შედეგები

დროებითი ზავი განახლდა 19 თებერვალს. სტამბოლიდან დასავლეთით 12 კმ-ის დაშორებით დაიდო სან-სტეფანოს ზავი, რომლის მიხედვითაც სერბეთმა, მონტენეგრომ და რუმინეთმა მიიღეს დამოუკიდებლობა, ბულგარეთმა შეიერთა მაკედონია და ოსმალეთში შემავალ ავტონომიურ სამთავროდ იქცა. ოსმალეთის ჯარები არ უნდა დარჩენილიყვნენ ბულგარეთში, ხოლო ციხესიმაგრები უნდა დაენგრიათ. მიუხედავად იმისა, რომ ბულგარელები ფორმალურად ოსმალეთის მმართველობის ქვეშ რჩებოდნენ 1908 წლამდე, მათ გარკვეული თვითმმართველობა ჰქონდათ მოპოვებული ოსმალეთისგან. ომს შედეგად მოჰყვა ბულგარეთში მუსლიმთა ეთნიკური წმენდა.

რუსეთმა ამავე ზავით მიიღო სამხრეთი ბესარაბია. კავკასიაში რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა: არტანანი, ყარსი, ბაიაზეთი, აჭარა ბათუმითურთ.





ავთანდილ ღიასაშიძე

დოქტორანტი, ისტორიკოსი, ფილოლოგი, იურისტი
შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის
პირველი მოადგილე

ქრისტიანობისთვის ბრძოლის ისტორიიდან აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში (XVI საუკუნის 70-იანი წლები -XIX საუკუნის 70-იანი წლები)

შესავალი

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ილია ჭავჭავაძე 1877 წლის 28 აპრილის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ოსმალის საქართველო“ წერდა:

„დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათ ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან, ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იღუმალად აღიარებს ქრისტიანობას, რომ დღესაც ათსა თუ თორმეტის წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთ მოსანათლავად, ზოგი ჩვენებურათ ჯვარსაც იწერს ოსმალების იღუმალად თურმე“ [1].

XVI საუკუნის დასასრულს და XVII საუკუნის დასაწყისში ოსმალეთმა სამხრეთი საქართველო, რომელშიც აჭარაც შედიოდა, მიიტაცა და იქ თავისი მფლობელობა დაამყარა. დაიწყო „ოსმალობის“ პერიოდი, რომელიც მე-16 საუკუნის 70-იანი წლებიდან მე-19 საუკუნის 70-იანი წლების ბოლომდე გრძელდებოდა. დამპყრობელმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა საქართველოს ამ მხარეში დამკვიდრებულ ქრისტიანულ სარწმუნოებას, ქართულ ენას, კულტურას, ზნეჩვეულებებს. ძალით, ცეცხლითა და მახვილით დაიწყო მაჰმადიანური სარწმუნოების შემოტანა-დამკვიდრება. იგი განსაკუთრებით ქრისტიანულ სარწმუნოებას ებრძოდა. თავის მხრივ, სამხრეთ საქართველოს ამ ძირძველი ქართული მხარის მოსახლეობა ძალ-ღონეს, სიცოცხლეს არ იშურებდა ქრისტიანობის შესანარჩუნებლად, მაგრამ მტრის მრავალრიცხოვნებამ, სისასტიკემ და დაუნდობლობამ აგრეთვე ამ მიმართებით მის მიერ მიზანმიმართულად გატარებულმა სხვა ღონისძიებებმა თავისი გაიტანა. ქრისტიანობა ძლეულ იქნა.

მრავალი ქრისტიანული ტაძარი დაშლილი, განადგურებული იქნა ან მეჩეთად გადაკეთდა. მხოლოდ ზოგიერთი ძლივს გადაურჩა მოძალადე მტრის და ღროის ქარტეხილს. ქრისტიანობა, რომელიც ადრე, კერძოდ XVII საუკუნემდე ამ მხარეში სახელმწიფო რელიგია იყო XIX საუკუნისათვის ოსმალთა მოძალადეების სისასტიკის გამო მოსახლეობის ნაწილის მიერ მალულად აღევლინებოდა.

ქრისტიანობისა და მისი გადარჩენა-შემონახვისათვის დიდი ბრძოლა გასწია საქართველოს ძირძველმა და განუყოფელმა კუთხემ აჭარამ, მისმა მოსახლეობამ, მიუხედავად ამისა აღნიშნული საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო სისრულით დღემდე მანც არ არის შესწავლილი.

1970-1980 წლებში რვა ტომად გამოიცა „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ [2]. 2012 წელს 4 ტომად გამოიცა საქართველოს ისტორია [3]. 2007, 2008, 2009 და 2012 წლებში გამოცემულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, 4 ტომად [4], ასევე 2012 წელს 4 ტომად გამოცემულია მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია [5] და სხვა, თუმცა, სამწუხაროდ, აჭარაში, ისევე, როგორც ოსმალეთის მიერ მიტაცებულ სხვა ძირძველ ქართულ მხარეებში, ქრისტიანობისათვის ბრძოლის ისტორია და ფაქტები აღნიშნულ ნაშრომებში მხოლოდ გაკვრით ან საერთოდ არ არის ასახული. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად დასაწყის ნაბიჯად მიმაჩნია წინამდებარე ნაშრომი, რაც თემის აქტუალობაზე მეტყველებს და მის მონოგრაფიულად შესწავლას საჭიროებს.

თავს კმაყოფილად ჩავთვლი აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად და ამ მეტად ისტორიული მნიშვნელობის მქონე თემის შესწავლა-წარმოჩენისათვის მცირე რამ თუ შევძელით.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევი თემის ირგვლივ საინტერესო ცნობებს ვპოულობთ ქართველი ერის ლიდერის ი. ჭავჭავაძის ისეთ ფუნდამენტალურ სტატიაში, როგორიცაა „ოსმალთა საქართველო“ [1], XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XX საუკუნის დასაწყისი პერიოდის ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებში, როგორებიც არიან დ. ბაქრაძე [6], გ. ყაზბეგი [7], პ. უმიკაშვილი [8], თ. სახოკია [9], ა. ფრენკელი [10], ე. თაყაიშვილი [11]. აღნიშნულ საკითხს თავიანთ შრომებში მეტ-ნაკლებად ეხებიან აგრეთვე ცნობილი მეცნიერები, ისტორიკოსები და ფილოლოგები ივ. ჯავახიშვილი [12], ს. ჯანაშია [13], ნ. ბერძენიშვილი [14], ვ. იაშვილი [15], შ. მეგრელიძე [16], ხ. ახვლედიანი [17-18], ჯ. ნოღაიდელი [19], შ. ფუტყარაძე [20], ნ. შენგელია [21] და სხვები. მათ ნაშრომებში სათანადოდაა გაანალიზებული ოსმალთა ბატონობის დამყარება სამხრეთ საქართველოს ძირძველ ქართულ მხარეებში და, მათ შორის, აჭარაში, ოსმალების დაუნდობელი ბრძოლა ამ მხარის მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრისა და ძალადობრივი რეჟიმით ქრისტიანობის ნაცვლად მაჰმადიანური სარწმუნოების დანერგვა, რასაც აჭარის მოსახლეობის თავგანწირული წინააღმდეგობა მოჰყვა, მაგრამ მრავალრიცხოვანმა და ძლიერმა მტერმა მაინც იმძლავრა, ყოველი ღონე იხმარა აჭარაში ქრისტიანობის აღმოსაფხვრელად. ყოველივე ამ მიმართებით მეტად მნიშვნელოვანია დიდი ეროვნული მოღვაწის, მოგზაურის, ისტორიკოსის და ეთნოგრაფის ზ. ჭიჭინაძის მიერ 1915 წელს გამოცემული სპეციალური ნაშრომი „ქართველების გამაჰმადიანება ანუ გათათრება“, [22], რომელშიც ცალკეულ პირთა მოგონებებზე და ფაქტებზე დაყრდნობით დეტალურადაა შესწავლილი ოსმალეთის მიერ მიტაცებულ მხარეებში და, მათ შორის, აჭარაში მოსახლეობის მიერ ქრისტიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის და საბოლოოდ, იძულების გზით მისთვის უცხო სარწმუნოების-მაჰმადიანური სარწმუნოების მიღების ფაქტები. თუ არა ზ. ჭიჭინაძის აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანი შრომა, ქრისტიანობისათვის თავდადებული ბრძოლისა და თავგანწირვის ამსახველი ისეთი მნიშვნელოვანი მასალები და ფაქტები მომავალ თაობას არ გადმოეცემოდა. საკვლევი თემის ირგვლივ ასევე საყურადღებოა ზ. ჭიჭინაძის სხვა ნაშრომებიც, მათ შორის „ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთ საქართველოსი“ [23], „ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრება“ [24], „მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები

საქართველოში“ [25] და სხვები. ჩვენი საკვლევი თემა უმთავრესად სწორედ ზ. ჭიჭინაძის აღნიშნულ ნაშრომებს ემყარება.

ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებისა და ოსმალთა ძალადობრივი რეჟიმის აჭარაში მაჰმადიანური სარწმუნოების დანერგვის თაობაზე მნიშვნელოვან მასალებს გვაწვდის თავის ნაშრომებში ისტორიკოსი ხარიტონ ახვლედიანი [17:25-37; 18:38-44].

აჭარაში ოსმალთა მფლობელობის დროს ქრისტიანობისათვის ბრძოლის ისტორია მოკლედ შესწავლილი აქვს ისტორიკოსს და ჟურნალისტს ი. ბეჭირიშვილს თავის საყურადღებო ნაშრომში „ქრისტიანობა აჭარაში“ [26].

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის კალისტრატეს „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელიც გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა 1946 წლის 8 იანვარს [27] და აჭარაში „ოსმალთა“ უარყოფით შედეგებს ეხება.

საკვლევი თემის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ბ. დიასამიძის მონოგრაფია „ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში“ (34) და ე. დავითაძის წიგნი „საფლის აღმაშენებელი“ (35-36).

ზ. ჭიჭინაძის შემდგომ საკვლევი თემის სპეციალური შესწავლა და მითუმეტეს, მონოგრაფიის გამოცემა არ მომხდარა. ამ მიმართებით ქართული ისტორიოგრაფია ვალშია ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე.

2. აჭარა-ქრისტიანობის აკვანი საქართველოსი

საქართველოს ისტორიაში აჭარას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სწორედ ამ მხრიდან ჯერ კიდევ I საუკუნიდან დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება წმინდა ანდრია მოციქულმა, აქედან მოეფინა ქრისტიანობა საქართველოს. საამისოდ უტყუარ ცნობას გვაწვდის ლეონტი მროველი, რომელიც აღნიშნავს:

„მოვიდა... ანდრია ქალაქ ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა, სადა იგი დაჰყო ჟამი მცირედი... და შევიდა ქვეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგება სახარებისა,...

შეწევნითა ღრმთისათა და წმინდისა მის ხატისათა ყოველნივე მადლობით მოითმინა, ვიდრემდის ყოველივე მოაქცია და მოიყვანა სარწმუნოებად. და დაადგინა მღვდელნი და დიაკონნი, და დაუდვა წესი და საზღური სარ-

წმუნობისა. და აღაშენეს ეკლესია შუენიერი სახელსა ზედა ყოვლად-წმინდისა ღვთისმშობლისასა“ [28:39].

ამიტომაც სამართლიანად წერდა ი. ჭავჭავაძე: პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში (რომელშიც აჭარაც შედიოდა-ა.დ.) მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპთმსახურება სუფევდა [1].

IV საუკუნიდან (317 წ.) ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. მას შემდეგ საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში ფართოდ დაიწყო ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებლობა. ამენდა ეკლესია - მონასტრები. განვითარდა ქრისტიანული კულტურა. ეს მნიშვნელოვანი პროცესი ოსმალთა დამპყრობლებმა შეაჩერეს, როცა აჭარაში თავიანთი ბარბაროსული ბატონობა დაამყარეს.

3. ოსმალთა ბატონობა აჭარაში. მათი მიზნები და მოქმედებანი ქრისტიანობისა და ყოველივე ქართულის მოსასპობად, მოსახლეობის ძალისმიერი მეთოდებით გასამაჰმადიანებლად

ოსმალთა წესისა მათისაებრ იწყეს მძლავრებად ქუეყანათა ვახუშტი ბატონიშვილი [29:714].

1453 წელს ოსმალებმა კონსტანტინეპოლი აიღეს, ხოლო 8 წლის შემდეგ ტრაპიზონის საკეისრო შემუსრეს და უშუალოდ მოადგნენ საქართველოს სამხრეთ სამანებს [17:5]. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „დაიპყრა ხონთქარმან ტრაპიზონ-აზრუმი და ეკირთებოდნენცა ოსმალნი მცირედ-მცირედ კლარჯეთსა და ჭანეთსა“ [29:705]. ისტორიკოს ზაზა შაშიკაძის გამოკვლევებით აჭარის ხეობა 1561 წლიდან უკვე ოსმალეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი ხდება [30:151] და მასში ზემო და ქვემო აჭარის სანჯაყებს აარსებს და ახალციხის (ჩილდირის) ვილაეთს უერთებს. 1582 წელს აჭარა ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყებულ მანუჩარ II ათაბაგს მიემხრო. 1587 წელს ოსმალებმა აჭარა ხელახლა დაიპყრეს. 1609 წელს გურიელმა აჭარიდან ოსმალები გარეკა და ის გურიის სამთავროს შეუერთა [31:326], მაგრამ შემდგომში მათთან ომის გაგრძელება ვერ შეძლო და 1614 წელს გურიელი იძულებული გახდა აჭარა ოსმალეთისთვის დაეთმო [31:326; 32:247]. ასე დაასრულა ოსმალეთმა აჭარის დაპყრობა, აღწერეს ის და შეუდგნენ თავიანთი მმართველობის დანერგვას.

ეხება რა ოსმალთა ბატონობის დამკვიდრებას, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს: ოსმალთა გაბატონებამ მცირე აზიაში და კონსტანტინეპოლში მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, მეტადრე ეს უკანასკნელი მონაპირე კუთხე, საშინელს განსაცდელში ჩაავდო, საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთი დაუცხრომელი სიმედვრით საქართველოს ამ ძვირფასი და მშვენიერი ნაწილის ჩაყლაპვას ლამობდა. ყოველგვარი საშუალებით, პოლიტიკური თუ სარწმუნოებრივი დევნით და ეკონომიკური შევიწროებით იგი ცდილობდა, რომ ქრისტიანობა აქაურ ქართველთა შორის დაემხო და ქვეყანა გაემაჰმადიანებინა [12:33]. ოსმალთა დროს ახალციხის საფაშო (ფაშალიკ) კვლავინდებურად მთელი ჭოროხის მხარესაც შეიცავდა და 24 თემად ანუ სანჯაყად იყოფოდა [12:33]. აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი წერდნენ: „თურქები... მხეცურად არაადამიანურად სდევდნენ ქართველი ხალხის წმინდათა-წმინდას-მის ენას, მის კანონებს და ტრადიციებს, მამა-პაპათა კულტურას და სარწმუნოებას, ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თურქულ ენას და ისლამს“ [13].

„ოსმალეთმა შეუძლებელი გახადა მის მიერ მიტაცებული ქართული ოლქების შემდგომი განვითარება. დამახასიათებელია, რომ ქართულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ დამპყრობელთა მიერ შემოდებულ წესებს, ყოვლად უცხო და შეუფერებელს ქართული ცხოვრებისათვის, უწოდა **ოსმალთა**, რომელიც უსამართლობის სინონიმად გადაიქცა“ - წერდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე 1946 წელს [27].

თურქებმა მის მიერ დაპყრობილ აჭარაში სასტიკი და გაუსაძლისი რეჟიმი დაამყარეს.

4. ქრისტიანობისათვის ბრძოლა აჭარაში

300 წელს გრძელდებოდა უსწორო ბრძოლა. კალისტრატე [27].

1. ბრძოლა მამა-პაპათა ქრისტიანულ რჯულზე დასარჩენად

„ქართული ქრისტიანობის გაქრობა, ქართული წყობილების მოშლა და მის ნაცვლად მაჰმადიანობისა და თურქობის დანერგვა, ქვეყნის დაცლა ყოველივე დოვლათისაგან და მისი გადაქცევა ტყვის მყიდველთა ველურ ბუნებად, - ასეთი იყო ოსმალეთის „სახელმწიფოებრივი შემოქმედების მიზნები მის მიერ დაპყრობილ ქართულ ქვეყნებში“, - აღნიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი [14:280].

ოსმალეთმა აჭარაში „მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო გამაჰმადიანების პროცესი და მოელს მე-18 და მე-19 საუკუნის დამდეგამდე გაგრძელდა“, - მიუთითებს აკად. ივ. ჯავახიშვილი [12:33].

ოსმალეთის პოლიტიკა, როგორც პროფ. შ. მეგრელიძე მიუთითებს, - იქითკენ იყო მიმართული, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში აღმთავრებულ ქართული ზნე-ჩვეულებანი, რელიგია და სხვა; დაევიწყებინათ მშობლიური ქართული ენა და ყოველივე ქართული“. ...აჭარაში დღემდე შემონახული უძველესი მატერიალური კულტურის ძეგლები: საცხოვრებელი, თავდაცვითი და საკულტო (ეკლესიები) ნაგებობები და ასეთთა ნანგრევები, რომლებიც თავიანთი მაღალი ხელოვნებით ახლაც აკვირებენ მნახველებს. და, რაღა თქმა უნდა, აჭარის მოსახლეობა ადვილად არ დათმობდა იმ კულტურას, რომელთანაც იგი საუკუნეებით იყო შეზრდილი. იგი არ თმობდა თავის ზნე-ჩვეულებებსა და ქრისტიანულ სარწმუნოებას, ხანგრძლივ და დიდ წინააღმდეგობებს უწევდა მტერს. თურქი დამპყრობლები მაჰმადიანური რელიგიის გავრცელებისათვის, ხალხის ეკონომიკის მოშლისა და ფიზიკური მოსპობისათვის ცეცხლსა და მახვილს მიმართავდნენ [16:9].

ოსმალები ეკონომიკურ ზეგავლენას ახდენდნენ აჭარის ქრისტიანულ მოსახლეობაზე. ქრისტიანებს გადასახადს აწერდნენ ყოველგვარ უძრავ ქონებასა და შემოსავალზე. ამ მიზნით ოსმალებმა სპეციალური გადასახადი – **ისფენჯი** დააწესეს. ეს გადასახადი არამუსლიმან მოსახლეობაზე მასიურად იყო გაწერილი და იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობა მასიურად ქრისტიანი ან ახლად გამუსლიმანებული იყო [21:246].

ამრიგად, ისფენჯი იყო ქრისტიან მოსახლეობაზე გაწერილი გადასახადი, რომლის გადახდა ევალებოდა ზემო და ქვემო აჭარის მკვიდრთ. გადასახადს იხდიდნენ წელიწადში ერთხელ, ბუნებრივია, ამით ისინი დროებით ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას [21:246]. ოსმალოს ხელისუფალთ ასევე სხვა მორწმუნეთათვის სპეციალური გადასახადი – „ზიმი“ ჰქონდათ დაწესებული [17:26].

ქრისტიანი მოსახლეობა მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებებს, მაჰმადიანური რელიგიის მიღებით კი დიდ პრივილეგიებს და ჯილდოს ღებულობდა. ქრისტიანს სიკვდილით დასჯა ელოდა უბრალო დანაშაულისათვის და მხოლოდ მაშინ ეპატიებოდა სასჯელი თუ იგი გამუსლიმანდებოდა [16:10].

ქრისტიანობის მოსპობასა და ქართველი ხალხის ძალად გამუსლიმანების დამადასტურებელი

ლი მასალები საკმაოდ მოიპოვება. მაგალითად, ახალციხის მუზეუმის ხელწერათა ფონდში დაცულია მესხის (გვარამიძის) წერილი, რომელშიც ნათქვამია: „რომელ ხორციელ ენას შეუძლია, რომ წარმოთქვას თვითუღონი იმ დროინდელი ქრისტიან მამათა და დედათა დასჯა-ტანჯვანი... ვის ცოცხალს ტყავს აძრობდნენ, ვის ოთხ პალოზედ გაკრულს ბაწრებით გუდათ იღებდნენ, ვის ნაკუნ-ნაკუნად სჭრიდნენ ხმლითა და ხანჯლით გულ-მუცელს უპობდნენ, ვის შამფურებზედ გაცმულს ცოცხალბრივ ცეცხლზედ მწვადივით სწვავდნენ, ვის შიშველს გახურებულს საჯდომზედ ავლებდნენ... რკინის საწვავებით ხვრეტდნენ, ვის აღუღებულ წყალში ხარმავდნენ, ვის გამდნარ ტყავს ასხამდნენ პირში, ვის ანთებულ კირში ავებდნენ“ [18:39].

ქრისტიანობას არ თმობდნენ აჭარელები.

ისტორიკოსი ხ. ახვლედიანი სათანადო გამოკვლევებზე და დოკუმენტებზე დაყრდნობით სამართლიანად აღნიშნავს:

„აჭარის არცერთი კუთხე არ გამუსლიმანებულია თავისი ნებით.

ამას ადასტურებენ ისტორიული საბუთები და იმ დროის მომსწრენი“ [18:40].

მეტად საინტერესოა სოფ. ორცვის მცხოვრების აბღულ მიქელაძის ნაამბობი აჭარელთა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის და ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებისათვის. იგი აღნიშნავს „აჭარელები... ოსმალოს ასი წელიწადი ებრძოდნენ ქვეყნის დაჭერის დროს, მერე სჯულის გამოცვლის გამო ჰქონდათ ჩხუბი, ხოცვა, ჟლეტა, წყვეტა და სისხლის ღვრა. ყოფილა ისეთი დრო, რომ ესენი ოსმალოს სისხლს დალევენ თმის დროს ნამეტურ მაჭახლელნი. ამათ მოაბეზრეს ოსმალნი; ივინი ვერას აწყობდნენ. ამ საუკუნეში აჭარლებმა კინაღამ გარეკეს აქედან, ომი ასტეხეს და ოსმალოს ბევრი ჯარისკაციც მოუკლეს. ოსმალმა დიდის ტანჯვით და შრომით გამაჰმადიანა აჭარელები, მაგრამ სრულიად მაინც ვერ მოიმხრო თვისკენ, ამათში ქართული ენა ვერ მოისპო, მცირედაც ვერაფერი ავნო“ [22:36]. ამასთან ზ.ჭიჭინაძე გადმოგვცემს ერთ-ერთი შავშეთელის ნაამბობს შავშეთელების ოსმალოებისადმი შიშის და მათი მოკლე პერიოდში გამაჰმადიანების გამო. ამასთან აღსანიშნავია, რომ შავშეთიდან ბევრი მათგანი აჭარაში გაქცეულა, რადგანაც გამაჰმადიანება არ სდომებიათ [22:44], აჭარაში კი ქრისტიანობას მედგრად იცავდნენ. აჭარაში ყველაზე დიდხანს სხალთის ხეობის (ხულოს რაიონი) მოსახლეობას შემოუნახავს ქრისტეს რჯული. ზაქარია ჭიჭინაძეს ჩაუწერია სხალთას ნაამბობი უსუფ ბოლქვაძის მიერ, რომელიც გადმოგვცემს:

„ამ ხეობაზედ (სხალთის ხეობა ა.დ.) ქართველებს დიდი ხანი შეუნახავთ თავი, მაგრამ ბოლოს მაინც ბრძოლა მობეზრებით და გამაჰმადიანებულან. რამდენიმე სოფელს კი საიდუმლოდ დიდხანს გაუმაგრებია თავი“ [22:65]. მისივე გადმოცემით „ გაუმაჰმადიანებელი დარჩა სოფ. ყინჩაური, რომელიც სხალთის ხეობაზედ მდებარეობს. ყინჩაურელებმა დიდხანს იმაგრეს თავი, ამისი მიზეზი იყო სოფ. ყინჩაურის მღვდელი, რომელიც მეტად მწიგნობარი ყოფილა, მქადაგებელი და ქრისტიანობის მოყვარე. ეს მღვდელი ამაგრებდა თავის ხალხს. ეს მღვდელი წინამძღვრობდა მათ.

ოსმალთს უქუმათს ეუბნებოდა:

– ჩვენ დაგვაყენეთ ჩვენს რჯულზედ და ჩვენ არაფერს დაგიშავებთ, თქვენი ერთგულნი ქვეშევრდომნი ვიქნებით.

სამართალი ამის ნებას აძლევდა, რადგან ის მღვდელი, მეტად მოხერხებული კაცი ყოფილა, მასთან კერპი და თათრების მოძულე [22:66].

საყურადღებოა მშობლიური საქართველოს დიდი მოტრფიალის, ქედის ხოჯის ახმედ ხალიფაშვილის ნაამბობი, სადაც ქრისტიანობის გადარჩენისათვის აჭარელთა თავგანწირვა და სისხლის დაღვრას ეხება. იგი გადმოგვცემს: **ძველად ხოჯა ხერხეულიძე ასე იტყოდა: რომ ნებით არცერთი მხარეა გამაჰმადიანებული, სადაც კი გამაჰმადიანებულან ყველგან ძალით მომხდარა. ზეგნელების აჭარლები არანაკლებ უტანჯიათ. ნახევარი ზეგანი ფოცხოვისა და ქვაბლიანისკენ გაწყდა ბრძოლაში, რადგანაც არ თათრდებოდნენო, დანდალმ ზეგანს მიჰბაძა და მიტომ გაწყდნენ ესენიც ბრძოლაშიო. დანდალოს აჭარამ მიჰბაძა და აჭარაშიაც დიდი სისხლი დაიღვარა. ხოჯა ხერხეულიძეს კარგად ახსოვდა ის დრო, როცა აჭარაში ხალხი ქრისტიანობდაო“ [22:11].**

მამა-პაპათა ქრისტიანული რჯულის გადასარჩენად ყველაზე დიდი ბრძოლა სოფელ დანდალოს მცხოვრებთ (ქედის რაიონი) გაუმართავთ, რომელშიც აქტიურობით დედაკაცები გამოირჩიოდნენ; საამისოდ მეტად მნიშვნელოვანია თვით სოფელ დანდალოს მცხოვრებ ავალიანის ნაამბობი: აჭარაში გათათრების გამო დიდი ბრძოლა დანდალოს ხალხმაც გამოიარა. ...მთელი დანდალო მკაცრად დადგა ოსმალთს წინააღმდეგ სჯულის გამოცვლის გამო, თვით დედაკაცებმაც კი აიღეს ხმალ-ხანჯალი ხელში და გამოვიდნენ საბრძოლველად ამათ გარდასწყვიტეს, რომ ან მამა-პაპის რჯულზე უნდა დაერჩეთ და ან უნდა გაეწყდეთო, ჩვენი გათათრება (გამაჰმადიანება-ა.დ.) არ შეიძლებაო. ამათ დაიწყეს ბრძოლა, საკვირველი საქმე დაჰმართეს ოსმალთ, ოსმალნი ათასობით დახოცეს, მაგრამ ბოლოს მაინც

ოსმალნი მოერივნენ. დანდალოს ერი დამარცხდა და ამ დამარცხებით მთლად გაწყდა ხალხი, გაწყდა ისე, რომ არსად ერთი კაციც არ დარჩენილა, ქალი, ბავშვი და სხვანი მთლად დახოცეს, გაწყვიტეს, რადგან ამათ დიდი ზარალი მისცეს ოსმალთ, დიდალი ხალხი დაუხოცეს, ამის გამო მოსპეს ოსმალთ ესენი და ვინც დარჩა ისინიც ოსმალში გარეკეს. მთელი დანდალო ცარიელი დარჩა [22:86]. სარწმუნოებისათვის თავდადებულ ქალთა რიცხვი გაცილებით დიდი იყო დაბალი სოციალური წრიდან. მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორიას მათი სახელები არ შემოუნახავთ. ქრისტიანობის დაკარგვის შიშით, სოფელ მარადიდში ერთ ღამეს ტყეში, ეკლესიის გვერდით, ექვს დედაკაცს ხანჯლით მოუკლავთ თავი, ორს თოკით ჩამოუხრჩვია, სამს თავი მოუწამლავს [20:44; 22:91].

სოფელ მერისის მცხოვრებლებმაც ოსმალებს, რომლებმაც ისინი ჭოროხის მდინარესთან მიიყვანეს გასამაჰმადიანებლად, უარი უთხრეს ქრისტეს რჯულის დათმობაზე. მაშინ ოსმალთ უბრძანებიათ, ადიდებულ მდინარეში შესულიყვნენ და ვინც გადარჩებოდა აღარ გაამაჰმადიანებდნენ. მართლაც იქ მყოფმა მერისლებმა ადიდებულ ჭოროხს მისცეს თავი, ჭოროხი ამ დროს დიდი ყოფილა და ყველა ეს საბრალოები შიგ დამხრჩვალან და ერთიც არ გასულა გაღმა [22:90].

აჭარის მოსახლეობის მიერ ქრისტიანობის შენარჩუნების თაობაზე საყურადღებო ცნობებია გადმოცემული ჩაქვისთაველ (ქობულეთის რაიონი) ჯიჯავაძის ნაამბობში. იგი ამბობს: „აჭარაში გათათრების საქმე ერთობ გაძნელებულა. ზოგიერთ მოხუცებული კაცები და ნამეტურ დედაკაცები ქრისტიანობაზე მაგრა იღვნენ.

...მაღე აჭარის მოხუცებულნი შეუკრებიათ და საფრინხანაში დაუმწყდევიათ, საპატიმროში ხოჯები მიუგზავნიან და ხოჯებს ლოცვები დაუწყიათ. ზოგიერთი მოხუცებულნი მიუზიდნიათ და ზოგნი კი ვერა. ვინც ვერ მოაქციეს, ესენი აჭარისწყლის შესართავთან მიურეკიათ, სადაც ძველად თამარ მეფის ხიდი ყოფილა. აქ დადეს თავსაკვეთი და უთხრეს მათ:

- მოხუც ბერო კაცნო, რაზედ იფუჭებთ თავს, მოდიტ გონს, იწამეთ წმინდა მუჰამედი და ისლამი. ...მოხუცებულებმა იწამეს მაჰმადიანობა, მაგრამ ბარე სამისათვის, რომლებმაც არ იწამეს მაჰმადიანობა მოუჭრიათ თავიო. ეს ამბები მომხდარა ამ ორასი წლის წინად [22:74]. ერთ დღეს კი ქედამი 50 კაცი და დედაკაცი დაუსჯიათ ქრისტიანობის გამო [22:85].

1726 წელს აჭარაში ქრისტეს რწმენის აღიარებისთვის ოსმალოებს უწამებიათ ქართველი

ქრისტიანები. ბევრი მათგანი დაუსჯიათ სიკვდილით. საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია მეორის 1985 წლის 24 ივნისის ბრძანებაში ვკითხულობთ „1726 წელს თურქეთის მიერ წამებული ქართველნი აღიარებულ იქნენ წმინდანად. მათი ხსენება ზეიმით აღინიშნოს საქართველოს ეკლესიის მიერ ყოველ წელიწადს ივნისის თვის პირველ კვირას (ახალი სტილით)“ [20:74].

ოსმალეთის მიერ აჭარის დაპყრობის შემდეგ აჭარლებმა საკმაოდ დიდხანს შეინარჩუნეს ქრისტიანობა. მე-18 საუკუნის ნახევრამდე აჭარაში ქრისტიანობა ბატონობდა თუმცა საბოლოოდ იგი მინც მაჰმადიანურმა სარწმუნოებამ შეცვალა [15:78].

1920 წლის 5 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე თასნიმ ხიმშიაშვილი წერდა: „თურქები აქ (აჭარაში-ა.დ.) ქრისტიანობის ნაცვლად მუსლიმანობას ნერგავდნენ და ცივილიზაციის ნაცვლად მეჩეთის კულტურა დაამკვიდრეს, რითაც იქაური ქართველები სარწმუნოებით გათიშეს თანამემამულეებისაგან, დაამორეს ისინი ერთმანეთს“ [26:52].

ოსმალებმა მის მიერ დაპყრობილ აჭარაში სასტიკი და გაუსაძლისი რეჟიმი დაამყარეს. მათ სასულიერო ხელისუფლებასთან სპეციალური სექტა შექმნეს, რომელთა მთავარი მიზანი იყო ქართველ მაჰმადიანებისათვის შეემუღებინათ სიტყვა ქართველი და საქართველო, ქრისტიანი ქართველები [24:80] და ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ამ ავაზაკური მიზნის მისაღწევად.

2. ქრისტიანული სარწმუნოების მალულად აღვლენა და შემონახვა

ჩვენ ვლოცულობდით ეკლესიის ნანგრევებში ძველი ჩვეულებებისამებრ, ვიცოდით, რომ ჩვენი მამა-პაპანი ერთ ღროს ქრისტიანები იყვნენ. ქედელი დიასამიძის ნაამბობი. [6:49]

მე-18 საუკუნის შუახანებიდან მე-19 საუკუნის დამდეგისათვის ძირითადად დასრულდა აჭარაში მაჰმადიანური სარწმუნოების გავრცელება, რაც ოსმალო დამპყრობლებმა აქაურ მცხოვრებლებს იძულებით მიაღებინეს. როგორც ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელმაც 1672 წელს იმოგზაურა ჭოროხ-აჭარისწყლის ხეობით თბილისისაკენ, წერდა, რომ „აჭარაში ეკლესიები და ციხეები ბევრი იყო, მაგრამ ოსმალებმა დაანგრიეს“ [26:48].

ოსმალები ჩვენი ხალხის გამაჰმადიანების შემდეგ ქართული კულტურის კვალსაც არ ტოვებდნენ. სპობდნენ მატერიალური და სული-

ერი კულტურის ძეგლებს, სწვავდნენ წიგნებს და სხვა [18:41]. იმისთვის, რომ აჭარელთა შეგნებიდან აღმოეფხვრათ ქრისტიანობის ნაშთები, ოსმალებმა მათი დოკუმენტური წყაროები და ისტორიული ძეგლებიც გაანადგურეს [19:18].

აღნიშნულის მიუხედავად მაჰმადიანობის დროსაც, როგორც ნური ბერიძის ნაამბობიდან ვგებულობთ: „ესენი (აჭარლები-ა.დ.) თურმე არ სტოვებდნენ ქრისტიანულს წესებს და ყოველს საქრისტიანო დღესასწაულებსაც იხდიდნენ. მაგალითად აღდგომას ღებავდნენ წითელ კვერცხებს და წაიღებდნენ ხოლმე სხალთის ეკლესიაზედ და შესწირავდნენ, ხულოს ეკლესიის ნანგრევებთან, აგარის და სხვა მხრის ეკლესიებთან. ეს ჩვეულება ხულოს ხეობაში დღევანდელამდე არის დაშთენილი და აქ დედაკაცები დღესაც ღებავენ კვერცხებს და აღდგომა დღეს ზოგიერთი ეკლესიის ნანგრევებთან მიიტანენ“ [22:81]. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზ. ჭიჭინაძე აჭარაში მოგზაურობდა 1891 წლიდან, ხოლო მისი წიგნი „ქართველთა გამაჰმადიანება“ გამოცემულია 1915 წლისათვის, ნური ბერიძის ნაამბობი მეტად მნიშვნელოვან ფაქტებს გვამცნობს აჭარელთა მიერ ქრისტიანობის შემონახვა - აღვლენის თაობაზე.

საყურადღებოა სოფ. აჭყვისთაველი 110 წლის ქამყარადის ნაამბობი, რომელიც აღნიშნავს, რომ „ოსმალების აქ (ქობულეთ-აჭარაში - ა.დ.) დაბინავების შემდეგ ჩვენებურიები აქ არ დგებოდნენ, ნახევარი ჩაქვა და ქობულეთი გურიაში გადასახლდა, სახლ-კარს ოხრად ტოვებდნენ და მიდიოდნენ გურიელებისაკენ, რადგანაც გამაჰმადიანების ემინოდან“ [22:105]. ამასთან ქამყარაძე დასძენს: „თუმცა გავმაჰმადიანდით, მაგრამ ეკლესიებს და ხატებს პატივს ვცემდით, ბევრი ჩვენებური ეკლესიებშიც დაიარებოდნენ სალოცავად და ჯამეებშიც“ [22:109].

როგორც ცნობილია ოსმალთა მფლობელობის პერიოდში, 1873 წელს აჭარაში იმოგზაურა ცნობილმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელმაც ქედამი ღამე დიასამიძის ოჯახში გაათია. დიასამიძეს მისთვის უთქვამს:

„ჩვენ ვლოცულობდით ეკლესიის ნანგრევებში ძველი ჩვეულებებისამებრ ვიცოდით, რომ ჩვენი მამა-პაპანი ერთ ღროს ქრისტიანები იყვნენ და რომ ჩვენ თვითონ მოდგმით გურჯები ვართ... ძველი ქრისტიანული ჩვეულებებიდან ზოგი რამ დღემდე შემორჩენილია, მაგალითად კვერცხის შეღებვა სააღდგომოდ [6:49].

გიორგი ყაზბეგი, რომელმაც გრიგოლ გურიელთან ერთად ზემო აჭარაში იმოგზაურა 1874 წელს, ზემო აჭარის წარსული ცხოვრების საუკე-

თესო ძეგლად მიიჩნევა სხალთის ეკლესიას[7:42], რომლებსაც აქაური მცხოვრებლები დიდი პატივისცემით ეპყრობიან და მის სასწაულმოქმედებაზე აქაურები ბევრს გვიამბობენო[7:43].

ზოგ ადგილას გამუსლიმანებული ქართველები ასრულებენ ზოგიერთ ქრისტიანულ წესებს და ჩვეულებას. მაგ. ყურბან ბაირამობის (მუსლიმანთა აღდგომა) ამზადებენ შეღებილ კვერცხებს და მი-აქვთ ეკლესიის ნანგრევებში[11:217].

პეტრე უმიკაშვილი 1877 წლის 9 ივნისს გაზ. „ივერიაში“ წერდა: „აჭარლებს კარგად ახსოვთ, რომ ჩვენი ძმანი არიან მხოლოდ სარწმუნოებით განვსხვავდებით. ძველი შენობების, ციხეების და ეკლესიების პატივისცემა აქვთ და იციან, რომ საქართველოს მეფეების ამენებულებია. ზოგიერთს საყდრის პატივისცემა ისეთი აქვთ, რომ ხელის ხლება დიდ ცოდვად მიაჩნიათ და სასწაულებსაც ლაპარაკობენ. ორს ხოჯას სხალთის ეკლესია, უნდოდან მქეთად გადაექციათ, საყდარმა ორივე ჭკუაზე შეშალა და ტყეში მხეცებივით ატარაო“[8]. ამდაგვარი ცნობები აქვს ზ. ჭიჭინაძეს თავის წიგნში „მუსულუმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“[25:173]. ანალოგიურად ეშინიათ ღორჯომში ძველად არსებული და შემდგომში დანგრეული ეკლესიის ნანგრევებისა [9:176].

მეტად საყურადღებო ცნობას გვაწვდის რუსი ისტორიკოს-იურისტი ალექსანდრე ფრენკელი, რომელიც 1879 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში „ნარკვევები ჩურუქ-სუ-ზე და ბათუმზე (ქართული თარგმანი გამოიცა 2012 წელს)“ წერს: „ქობულეთლებმა მითხრეს, რომ მუსლიმანობა რამდენიმე ხნის წინ მიიღეს. ქაქუთის, ნაცხავატევის, აჭის და საერთოდ ქობულეთის ჩრდილო ნაწილის მცხოვრებლებმა, რომლებიც გურიას ესაზღვრებიან, სულ 25-30 წლის წინ მიიღეს საბოლოოდ მუსლიმანობა“ [10:118].

მაჰმადიანური სარწმუნოების გავრცელების მიუხედავად ქობულეთში მაინც ადგილი ჰქონია ქრისტიანულად მონათვლის ფაქტებს. გაზეთ „დროების“ კორესპონდენტისათვის მნიკოლაიშვილისათვის 70 წლის ქობულეთელს უთქვამს, რომ „მე ვარ მონათლული ქართველის მღვდელის კალანდარიშვილისაო. ამითი და სხვა გარემოებებითაც ჩვენ ვეკუთვნიან ქართველობას და არა თათრებსო“ [33].

ოსმალეთის მთავრობა ქართველ მაჰმადიანებს სულიერად მოკვლას უბრებდა [23:204], მაგრამ მათ საწადელს ვერ მიაღწიეს. ქართულმა სულმა, გენმა და სისხლმა, წარსულისადმი პატივისცემამ თავისი ქნა. აჭარის მოსახლეობა, რომელიც 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ

დაუბრუნდა დედა-საქართველოს თანდათან კვლავ დაადგა ქრისტიანული აღმსარებლობის გზას.

დასკვნა

აჭარის, როგორც საქართველოს ძირძველი და განუყოფელი კუთხის ისტორია საქართველოს ისტორიასთან ორგანულ კავშირშია. ამის თვალსაჩინო მაგალითია ოსმალთა ბატონობის პერიოდში (მე-16 საუკუნის 70-იანი წლები - მე-19 საუკუნის 70-იანი წლები) აჭარის მოსახლეობის ბრძოლა ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებისათვის.

მას შემდეგ რაც XVI საუკუნის ბოლოს და კერძოდ, 1614 წელს ოსმალები დაეუფლნენ აჭარას, მათ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ყოველივე ქართულს, განსაკუთრებით ებრძოდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, ქრისტიან აღმსარებლობას და ამ მხარეში სურდათ მისი ამოგდება.

აჭარის მოსახლეობა გმირულად და თავგანწირვით იბრძოდა თავისთავადობის შენარჩუნებისათვის ქრისტიანობისა და ქართული ენის გადარჩენისათვის. ამ მიმართებით განსაკუთრებული სიმამაცით გამოირჩეოდნენ სხალთის მხარის ცალეული სოფლების, კერძოდ, სხალთის, ყინჩაურის სოფლების ქრისტიანები.

ქრისტიანული რჯულის გადასარჩენად ყველაზე დიდი ბრძოლა სოფელ დანდალოს მცხოვრებთ გაუმართავთ. აქ მამა-პაპათა სარწმუნოების დასაცავად, ხმალ-ნაწვლით საბრძოლველად დედაკაცებიც გამოსულან. დანდალოს მთლიანად აჭარა-ქობულეთის მოსახლეობამაც მიბაძა. მოსახლეობა თავს არ ანებებდა ქრისტიანობას და მისთვის თავს სწირავდა ამიტომაც იყო, რომ 1726 წელს აჭარაში ქრისტეს რწმუნის აღიარებისათვის ნაწამები ქართველი ქრისტიანები სრულიად სამართლიანად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II 1985 წლის 24 ივნისის ბრძანებით აღიარებულ იქნენ წმინდანებად.

მას შემდეგ, რაც ოსმალებმა XVIII საუკუნის 50-იან წლებიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე მოახერხეს აჭარის მოსახლეობის ძალით გამაჰმადიანება. აქაური მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ჩუმად მაინც აღავლენდა ქრისტიანულ სარწმუნოებას, პატივს სცმდა ეკლესიებს და ხატებს, ბევრი მათგანი ეკლესიებშიც დაიარებოდნენ, თვით XIX საუკუნეშიც ამ მხარეში ადგილი ჰქონდა ქრისტიანული წესით მონათვლის ფაქტებსაც.

აჭარაში ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობისათვის ბრძოლის ისტორიაა და ამიტომაც საკვლევი თემაც მეტად აქტუალურია.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. გაზ. „ივერია“, №9, 28 აპრილი, 1877 წ.
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები 8 ტომად, გამოცემული თბილისში 1970, 1973, 1979, 1973, 1970, 1972, 1976, 1980 წლებში.
3. საქართველოს ისტორია 4 ტომად, თბ. 2012 წ.
4. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, 4 ტომად, გამოცემული ბათუმში 2007, 2008, 2009, 2012 წლებში.
5. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ოთხ ტომად. თბ. 2012 წ.
6. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987 წ.
7. გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995 წ.
8. პ. უმიკაშვილი, ოსმალის საქართველო, აჭარა გაზ. „ივერია“, №15, 9 ივნისი, 1877 წ.
9. თ. სახოკია, მოგზაურობანი, გურია, აჭარა, სამუხარჯ-ანო, აფხაზეთი, 1985 წ.
10. ა. ფრენკელი, ნარკვევები ჩურქ-სუ-ზე და ბათუმზე, თბ. 2012 წ.
11. ე. თაყაიშვილი, ემიგრანტული ნაშრომები, თბ. 1991 წ.
12. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, თბ. 1996 წ.
13. ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ, გაზ. „კომუნისტი“, №24, 14 დეკემბერი, 1945 წ.
14. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი მე-3, თბ. 1966 წ.
15. ვ. იაშვილი, აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში. ბათუმი. 1948 წ.
16. შ. მეგრელიძე აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი, 1956 წ.
17. ხ. ახვლედიანი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1978 წ.
18. ხ. ახვლედიანი, სახალხო - განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1956 წ.
19. ჯ. ნოლაიძე, ნარკვევები და ჩანაწერები, IV, ბათუმი, 1981 წ.
20. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, I, თბ. 1998 წ.
21. ნ. შენგელია, ოსმალური გადასახადები და საგადასახადო სისტემა აჭარაში XVI-XVIII საუკუნეებში, იხ: სამხრეთ-დასავლეთ-ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტ.მე-2, ბათუმი, 2009 წ.
22. ზ. ჭიჭინაძე, ქართველების გამაჰმადიანება ანუ გათათრება, თბ. 1915 წ.
23. ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთა საქართველოში, ბათუმი, 1911 წ.
24. ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება, თბ. 1916 წ.
25. ზ. ჭიჭინაძე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ბათუმი, 1913წ.
26. ი. ბეჭინაძე, „ქრისტიანობა აჭარაში“, ბათუმი, 1991 წ.
27. კალისტრატე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. წერილი რელაქციის მიმართ, გაზ. „კომუნისტი“, 8 იანვარი, 1946 წ.
28. ქართლის ცხოვრება, ტ.1, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1955 წ.
29. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება ტ. IV, თბ. 1973 წ.
30. ზ. შაშიკაძე, ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრებული III, ბათუმი, 2002 წ.
31. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს სსრ. თბ. 1981 წ.
32. საქართველოს ისტორია, ლექსიკონი, შედგენილი, რ. მეტრეველი. თბ. 1979 წ.
33. გაზ. „დროება“, №110, 26 ენკენისთვე, 1875 წელი.
34. ბ. დიასამიძე, „ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში“, ბათუმი, 2002 წ.
35. ე. დავითაძე, „სოფლის აღმაშენებელი“ (წიგნი პირველი), თბილისი, 1990 წ.
36. ე. დავითაძე, „სოფლის აღმაშენებელი“ (წიგნი მეორე), თბილისი, 1992 წ.

2013 წელი.

რეზიუმე

წინამდებარე საკვლევი თემა „ქრისტიანობისათვის ბრძოლის ისტორიიდან აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში (XVI საუკუნის 70-იანი წლები – XIX საუკუნის 70-იანი წლები) აქტუალურია. იგი წარმოაჩენს აჭარის მოსახლეობის იმ ნათელ, გმირულ მაგალითებს, რაც ქრისტიანობის შესანარჩუნებლად, რომ გასწია „ოსმალის“ პერიოდში.

შესავალ ნაწილში ძირითადად მოცემულია თემის აქტუალობა. ასევე მიმოხილულია საკვლევი თემის დაკავშირებული ძირითადი ლიტერატურა. სათაურში „აჭარა ქრისტიანობის აკანი საქართველოსი“ გადმოცემულია აჭარაში ქრისტიანობის შემოსვლა-გავრცელება წმინდა ანდრეას მიერ, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება, საკვლევი თემის, რამდენადმე სრულყოფილად წარმოაჩენს თემა „ქრისტიანობისათვის ბრძოლა აჭარაში“, რომელიც ასახავს აჭარელთა 300 წლიან ბრძოლას ქრისტეს რჯულის შესანარჩუნებლად. წარმოაჩენს საქართველოს ამ ძირძველი ქართული მხარის მოსახლეობის თავგანწირული ბრძოლის ფაქტებს და მაგალითებს ქრისტიანობისათვის. ამ მხარეში მაჰმადიანური სარწმუნოების დამკვიდრების შემდეგ წარმოჩენილია, ის ცნობები და ფაქტობრივი მასალა, რომლებიც აჭარელთაგან ქრისტიანული სარწმუნოების მალულად აღვლენა-შემონახვას რომ ეხება.



ერთი სოფლის ხუთი საისტორიო ფურცელი

(ნაწყვეტი წიგნიდან „დავითაძეთა საგვარეულო წიგნი-ისტორია“)

სოფელ გოგიეთის შესახებ ძველი ისტორიული წყაროები და დოკუმენტები ჯერჯერობით მიგნებული არ არის. იგი ასევე ხსენებული არ არის ზ. შაშიკაძის და მ.მახარაძის მიერ მიგნებულ-გამოცემულ, ამ ბოლო დროს განმარტებულ „აჭარის ლივის ვრცელ და მოკლე დავთარში“ (თბ. 2011 წ.), რომელიც საგადასახადო მიზნით 1566-1574 წლებში ოსმალებს შეუდგენიათ, სადაც სოფელი ტბეთის ციხის რაბათი 12 კომლითაა მოხსენიებული და წარმოდგენილი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დროს გოგიეთი არ არსებობდა, ჩვენი კვლევა სულ სხვას ადასტურებს, იგი ერთ დროს დიდი და ძლიერი სოფელი იყო. ამასვე შენიშნავს ზაქარია ჭიჭინაძე, რომელიც თავის დროზე ჩვენს მხარეში ყოფილა და მისეული აღწერა 1913 წელს გამოცემულ წიგნში „მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“-შეუტანია: „გოგაძე, 30 კომლი. ძველად დიდი სოფელი ყოფილა. ისლამის მიღების გამო გოგაძენი აქ ძლიერ ეურჩებოდნენ ოსმალოს მთავრობას. ბევრნი ამათვანი მიშობილ იქმნენ და ბევრნი გურიაში გაქცეულნი. დღესაც არიან აქ ამ გვარის ხალხნი, მაჰმადიანები, თავიანთის გვარებით დაშენილი“. (ზ.ჭიჭინაძე, „მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“, ახალი გამოცემა, თბ. 2013, გვ. 224). მკვლევარის ამ შენიშვნაში გოგაძე გვარს არ გულისხმობს, იგი სოფლის სახელწოდებაა, ამიტომ ბუნდოვანია ფრაზა „ამ გვარის ხალხნი... თავიანთის გვარებით დაშენილნი“, უნდა იკითხებოდეს „ამ სოფლის ხალხნი“. აქვეა მოხსენიებული ადრე ამ სოფლის შემადგენლობაში შემავალი უბანი „ლომსაძენი“ 15 კომლით და უბანი „ვახ-

ტანგის - ძენი“, 10 კომლით, შემდეგ სოფელი ტბეთი სახელდება - 30 კომლით. (პირველი დღევანდელ ლომსიანიძეებს=ლომსიანეთს გულისხმობს, მეორე კი დღევანდელ ვახტანგიძეებს=ვახტანგეთს).

... რისთვის შევჩერდი გოგიეთზე ასე საგანგებოდ? მაინც და მაინც არც იმისთვის, რომ იგი ჩემი შშობელი სოფელია... გარდა იმისა, რომ იგი, სხვებთან ერთად, დავითაძეთა ერთ-ერთი ტრადიციული საცხოვრისია, ჩვენთვის მას უფრო დიდი ღირსება გააჩნია, - ეს მის წარსულს შეეხება: ბიბლიაში იესოს სასწაულებრივი ფერისცვალების შესახებ ვკითხულობთ: „1. ექვსი დღის შემდეგ წაიყვანა იესომ პეტრე, იაკობი და მისი ძმა იოანე და მაღალ მთაზე აიყვანა ისინი განმარტოებით. 2. და იცვალა მათ წინაშე ფერი, და მზესავით გაბრწყინდა მისი სახე, და ნათელივით გასაბეტაკა მისი სამოსი“ (სახარება მათესი, თავი მეჩვიდმეტე).

ოსმალთა შემოსევამდე სოფელ გოგიეთში, ე. წ. „მეხრიების“ უბანში კმარებული სივრცის შემალღებულ ადგილას, რომელიც მისნაირივე მეორე, - ვახტანგეთის უბნისკენ გამაცქერალ მყისიერი დაფერების მხარეს, „შიდვაკის“ (შვიდ-ვაკის) ღელეს და მის მარცხენა ნაპირზე გაშლილ, ამავე სახელწოდების ჭალებს გადაჰყურებს, ადრე იესო ქრისტეს ფერისცვალების ნიშნად აგებული თაბორის მთის მონასტრის მოსახლე ფერისცვალების ეკლესია (ქილისა) იდგა, რომელიც ოსმალებმა აქ შემოჭრისთანავე (სავარაუდოდ 1547-1566-1625 წ.წ.) დაანგრიეს, ხოლო მათვე მისი უკანასკნელი მღვდელი, რომელსაც მამა-დავითი ჰრქმევია და გვარადაც დავითაძე ყოფილა, მოწამეობრივი

სიკვდილით აღუსრულებიათ (რის შესახებაც მე თითქმის ნახევარსაუკუნოვან ნაგროვებ მასალებზე დაყრდნობით ადრეც ვწერდი. ჟურნ. „ჭოროხი“, 2011 წ. 1, გვ. 109). ეს ადგილი ნაქილისვარად (ქილისა-თურქ. kilise ბერძ. *ἐκκλησία* ეკლესია) - ნაეკლესიარად იწოდებოდა და იწოდება.

ზაქარია ჭიჭინაძე სოფელ გოგიეთის შესახებ თავის ძუნწ ცნობაში აქ ეკლესიის არსებობას არ ასახელებს. ეჭვგარეშეა, იგი აქ უშუალოდ ადგილზე მისვლით არ ყოფილა, ცნობებიც ახლო-მახლო სოფელში მოსვლით აქვს აღებული, რასაც იგი არც თუ იშვიათად მიმართავდა, სხვანაირად, შეუძლებელია მისთვის ეკლესიის შესახებ ცნობა არ მიეწოდებინათ, რომლის შესახებ გადმოცემამ აგერ აქამომდე მოაღწია. ან არა და მისი არსებობა სხვაგან აქვს გადატანილი, როცა „ლომსაძენის“ 15 კომლიან უბანზე წერს: „ამ სოფლის მაღლა, ერთს ტყიან მთაში, სდგას პატარა ეკლესია. ამ სოფელში ძველად ლომსაძენი მდგარან, ბევრი ამათვანი იმერეთში გაქცეულან“ (ზ. ჭიჭინაძე, იქვე გვ. 25). ან იქნებ, სულაც შეიძლება, ამ უბნის ზემოთაც მართლა იდგა ეკლესია და მისი კვალი დღეს საძებარი გვაქვს... და რომც მდგარიყო, ნაკლებსარწმუნო ჩანს მტკიცება (რ. სურმანიძე), რომ ეს სოფელი XVII-XVIII სს სასულიერო მოღვაწე ლომსიანიძის სავარაუდო ადგილსამყოფელია (რ. სურმანიძე, ქრისტიანული ძეგლების ტოპონიმი და ძველი საეკლესიო მოღვაწენი, ბათ., 2013, გვ. 19), უფრო სწორი უნდა იყოს იქვე მისივე აღიარება, რომ იგი შავშეთის დიობანში მოღვაწეობდა (რასაც მოღვაწის ანდერძმინაწერიც ადასტურებს), წარმომავლობით კი სოფელ წყალსიმერელია. სადაც უბანი ლომსიანეთიცაა (რ. სურმანიძე, იქვე გვ. 161-162) და მას გოგიეთის ლომსიანეთთან არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო, დასახელებულ საუკუნეებში აქ საამისო საქმიანობისთვის საჭირო მოქმედი კერა არ დასტურდება.

ისევ ზ. ჭიჭინაძეს დავუბრუნდეთ: მიუხედავად ბუნდოვანებისა, მოგზაურის ჩანაწერები ზოგ მნიშვნელოვან ცნობას მაინც შეიცავს: „ლომსაძენს“ იგი ცალკე სოფლად მოიხ-

სენიებს და არა სოფელ ტბეთის შემადგენლობაში, რომელიც ადმინისტრაციულად შემდგომ რატომღაც ტბეთს მიაკუთვნეს, არა და იგი გეოგრაფიულად სოფელ „გოგაძეს“ (გოგიეთის) გაგრძელება უფროა. აკი ავტორისეული ჩამოსახლება ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს: „გოგაძე-ლომსაძენი-ვახტანგის-ძენი“. და მხოლოდ ამის შემდეგ სახელდება სოფელი ტბეთი. „ლომსაძენი“ (ლომსაძეები-ლომსანეთი-ლომსიანეთი) რომ ამ უკანასკნელისა ყოფილიყო, ზ. ჭიჭინაძე მას იმასთან ახლოს მოიხსენიებდა, ერთმანეთს არ დააშორიშორებდა. სამაგიეროდ უფრო კონკრეტულია ტბეთის შესახებ ცნობები: „ტბეთი, 30 კომლი. ტბეთის ისტორიული ტაძარი აქ არა სდგას, ეს ტაძარი ამ ხეობის გაღმაა. ტბეთი კარგა დიდს ადგილებს, დიდს ხეობას ეწოდება.“ (თხრობისას ამ ფრაზის ამ ნაწილში ზ. ჭიჭინაძე აქედან არც ისე დაშორებული შავშეთის ქედის გადაღმა არსებულ ტბეთის ისტორიულ ტაძარს და შავშეთის ტბეთის „დიდს ადგილებს“ და „დიდს ხეობას“ განმარტავს, რომ მკითხველს აქაური გაუნმაურებელი ტბეთი იმ განმაურებულ ტბეთში არ აერიოს, შემდეგ ისევ აქაურზე თხრობას უბრუნდება): „...ამ სოფლის ეკლესია მთლად დაქცეულა, აქა-იქ ქვებილა ჰყრია“. თხრობა კატეგორიულ-მტკიცებითია. ჩანს მკვლევარი სწორედ აქამდე მოვიდა და გოგიეთზე ცნობებიც აქ და აქედან აიღო. გოგიეთის ფერისცვალების ეკლესიაც სწორედ ამის გამოა გამორჩენილი და სწორედ ამიტომ არა აქვს მოხსენიებული, თანაც ამ დროს იგი ოსმალთა მიერ უკვე უკვალოდ დაქცეული იყო. სამაგიეროდ, ავტორის ხაზგასმა, რომ მოსახლეობა ამ და სხვა სოფლებიდან მიგრირებულია, უეჭვოა, ასევე ეჭვს არ იწვევს წიგნში ყველგან მისი ნათქვამი, რომ ოსმალთა მიერ წამოწყებულ მოსახლეობის გამუსლიმანება=გადაგვარება=ასიმილირების პროცესში, ცალკეულ, ერთეულ იშვიათ გამონაკლისთა გამოკლებით, საგრძობი იყო ადგილობრივი, უცხო სარწმუნოებაზე უკვე მოქცეული რენეგატი ხოჯა-მოლუბის წვლილი... აი რამდენიმე ციტატა მოგზაურის წიგნიდან: „საზოგადოდ უნდა ვსთქვათ,

რომ უფროსის სასულიერო წოდების კაცნი უფრო ფანატიკოსები არიან, ვიდრე სოფლის უბრალო ხოჯები. ფანატიკოსები არიან ნამეტური ის ქართველთა მოღვაწეები და ხოჯები, რომლებიც ოდესმე სტამბოლში ყოფილან, ეს ფანატიკი მოღვაწეები თავიანთ დედა ენად ქართულს ენას არა სთვლიან, თუმცა არც არაბული იციან რივიანად“ (ზ. ჭიჭინაძე, დასახ. წიგნი, გვ. 68). ზოგიერთ „ინიციატორ“ გამუსლიმანებულთა ანტიეროვნულ ქმედებას ავტორი ასე ახასიათებს: „ასე არავის ეჯავრება აქეთ ქართველობა, როგორც მოღვაწესა და მოღვაწესა. ისინი უქადაგებენ ხალხს, რომ გბულდეთ ქართველებო, იმათ მოიყვანეს აქ რუსნიო. იმათთვის სამოთხეც - კი არ არსებობსო. ჯეენეთში (სამოთხეა) მარტო ჩვენებური კაცი შევა, იმის კარი ქართველებისთვის დახშულია და არც რელიგია(ა) იქ მათთვის მომზადებულიო. ჩვენ რომ ვიხოცებით, ჩვენი ხორცი კვდება მარტოდ, სული - კი ჯეენეთში მიდის. ქართველი-კი რომ კდება, სული იღუპება და ჰქრება სულით ხორციითაო“... (ზ. ჭიჭინაძე, დასახ. წიგნი, გვ. 123); აღმაინი რომ გადააშენო, გადაავარო და გადააჯიშო, ჯერ ეროვნულობის ცოდნა უნდა დაუკარგო, უვიცად გადააქციო, იცოდა ეს მომხდურმა, ამიტომ დასაყრდენს ამ საქმეში ისევ უცხო, მის მიერვე ნაიძულებ რჯულის ფანატიკოს მიმდევრებში პოულობდა, აი ერთი ამონაწერიც ქართული წიგნისა და წიგნიერების დევნის შესახებ: „ოსმალთ ქართულ წიგნებსა და ენასაც თავის დროსვე მიაპყრეს ყურადღება. ქართულის ენის და მწიგნობრობის წინააღმდეგ მოღვაწეობა და ხოჯებმა დაიწყეს ბრძოლა. ტრაპიზონსა და სტამბოლში ნასწავლი მოლა-ხოჯები ხაფიზნიც და ყურანის ზეპირად მცოდნენი სასტიკად სდევნიდნენ ენასა და წიგნებსაც. ჩვენ თათრები ვართ და არა ქართველებიო. სჯულიც თათრული გვაქვს და ენა და წიგნიც თათრული უნდა გვქონდესო, ამბობდნენ ისინი. ეცადეთ, რომ ქართული დაივიწყოთ და ის ენა ისწავლოთ, რომელიც ღვთის ენაა და რომლითაც ლაპარაკობდა ჩვენი მუჰამედიო. ქართული წიგნებიც ან დასწავით, ან წყალში გადაყარეთ, რადგანაც უწმინდურიაო“ (ზ. ჭიჭინაძე, დასახ. წიგნი გვ. 133-134).

ასეთი იყო ვითარება მაშინდელ აჭარაში და ეს ამონაწერებიც მხოლოდ იმ ძნელბედობის საერთო სურათის წარმოსადგენად მოვიტანე, წარსული წარსულია და დღეს დღევანდლებს იმაზე პასუხი არ მოეთხოვებათ გარდა შესაფერი ხსოვნისა...

დავუბრუნდეთ ისევ გოგითში, „მეხრიების“ უბანში მდგარ ფერისცვალების ეკლესიას. მიმდინარე წელს ამ თვალთ კიდევ ერთხელ საგანგებოდ მოვიწინაშულე ეს ადგილი და ფირზედაც აღვბეჭდე. ადგილი ვრცელ სივრცეშია, ამაღლებული, სამხრეთით მყისიერად დაგვერდებული, რომელზე გადამდგარი კაცის თვალმზერა ქვევით სოფლის შემოსასვლელამდე სწვდება. აქედან ხელისგულივით ჩანს სოფლის მოზრდილი უბანი-ვახტანგეთი. როგორც ცნობილია, ჩვენი წინაპრები უსაფრთხოებისა და ხილვალობა-თვალსაწიერის სიფართოვის მიზნით სწორედ ამგვარ ადგილებს ირჩევდნენ ეკლესია-სამლოცველოებისთვის. დღეს ეკლესიის საძირკვლები თვალხილულად არსად ჩანს,



აქ იდგა გოგითის ფერისცვალების ეკლესია

აღარც ნარჩენები. გამორიცხული არ არის დანგრევის შემდეგ ბარბაროსებს მისი ქვები სწორედ ამ მყისიერ ციცაბო დაღმართში გადაეყარათ, რაც გორვით ხეობამდე ჩაიყრებოდა. არც ის არის გამორიცხული, ისინი სხვა რამ დანიშნულებით წაელ-წამოეღოთ... გამოეყენებინათ იგი სხვა საკულტო დანიშნულების შენობის ან, რაც უნდა სათქმელად მძიმეც იყოს, ღვიძლი რწმენიდან ზოგ უკიდურესად მოწყვეტილთ-საკუთარი საცხოვრებელი სახლების ქვედა, ქვისსარ-

თულიანი ნაწილის მშენებლობაშიც... ან სულაც, შეიძლება სულიერი განსაცდელის წინაშე მდგარ მოსახლეობას დაენაწილებინოს სიწმინდის გადასარჩენად. ვარაუდი ბევრი შეიძლება, საქმეში სინათლის შეტანა კი შემდგომი კვლევა-ძიებითაა შესაძლებელი.

ეკლესიის ადგილის წინა მხარე დღეს საფლავეებს უჭირავს, რომელიც თანდათან მატულობს და ნაეკლესიარისკენ მიიწევს, რომლის შეჩერებაც ალბათ უფრო საუბრაობესო იქნება! საკუთრივ ეკლესიის ადგილზე, თვითონაც მახსოვს, ჩემს ბავშვობაში სამი თუ ოთხი 6-8 მეტრამდე სიღრმისა და ოთხამდე მეტრი დიამეტრი სიგანის მრგვალი ორმო იყო ამოჭრილი, კედლები ოთხივეს ქვით ჰქონდა ამოყვანილი (ამ ქვებზე დაკვირვებაცაა საჭირო). ისინი მწვანე, დაჭრილი, მარილ დაყრილი, შემლაშებული ბალახის ე. წ. „სილოსის“ მასის ზამთრისთვის შესაბამისად გამოიყენებოდა, ერთ-ერთი აქ დღესაც ჩანს და ლამის პირთამდეა ამოვსებული. მისი დღევანდელი დარჩენილი სიღრმე 2-მეტრამდეა, სიგანე 4-მეტრამდე, დანარჩენი სამი კი



„სილოსის“ ორმო ეკლესიის ადგილზე

წაფარებულია და მათი კვალიც აღარსად ჩანს. შემთხვევითი არც ის არის, რომ საამისოდ სწორედ ეს ადგილი შეარჩიეს უღმერთო კომუნისტებმა და ეკლესიის (ქილისეს) ნარჩენებს, მათი ჭკუით, საბოლოოდ მოუღეს ბოლო. ამის გამო ამ წმინდა ადგილს „სილოსები“ შეერქვა. საფელთან შეთანხმებით აქ ჩატარებული ფრთხილი სადაზვერვო არქეოლოგიური გათხრა, ადგილზე არსებულ ქვებზე დაკვირვება,

შესაძლოა, ამ თვალსაზრისით რაიმე საინტერესო საიდუმლოს შემტყობარადაც გამოდგეს.

აქედან არც ისე შორს, სოფლის ქვედა უბნისკენ ჩამავალი გზის ე. წ. „ჩახრახის“ მარჯვენა მხარეს, დაბორცვებაზე, ქრისტიანული წესით და მიმართულება შენარჩუნებით გამართული, დღესდღეობით სოფელში ყველაზე თვალხილული, ქვა-ჯვარდასმული ძველისძველი საფლაავია, თანაც მთელ იმ მიდამოში ერთადერთი. ვარაუდით იგი, გამორიცხული არ არის, ეკლესიის სწორედ იმ უკანასკნელი მწყემსის ძვალთშესალავი იყოს, წამებით მოკვდინების შემდეგ მოსახლეობის მიერ აქ ჩუმად დაკრძალული, ამიტომაც უნდა იყოს იგი აქ ერთადერთი და ეული (აღრე მე ამაზეც ვწერდი, ჟურნ. „ჭოროხი“, 2011 წ. № 1 გვ. 109, 112). სიტყვა, აქაც არქეოლოგთა და ანთროპოლოგთა სათქმელია, ცხადია, გათხრითი სამუშაოს წარმოების ისევ სოფელთან შეთანხმებით. თითქოს გაკვირვებას იწვევს დღეს მისი აქ არსებობა. საქმე ისაა, რომ მართალია, დღეს, აწ უკვე შეცვლილი ინფრასტრუქტურის ფონზე შეიძლება ძნელად დასაჯერებელი გვეჩვენოს და ჩანდეს, მაგრამ არ არის გამორიცხული, ნაეკლესიარისკენ აქამდე გაგრძელებაზე და მთლიანად გვერდობის ბოლომდე, ეს ერთგვარად გამორჩეული, სოფლიდანაც განაპირა, თანაც ერთნაირად თანდათან უწყვეტად შემალღებული ადგილი მთლიანად ეკლესიისა ყოფილიყო, ხოლო მოსახლეობა აქ გვიან, ეკლესიის დაქცევის შემდეგ გაჩენილიყო. მოგვიანებით გაიჭრა საურმე, შემდეგ სამანქანე გზა სოფლის მეორე და მესამე უბნებისკენ (ვახტანგეთი, ლომსიანეთი), რამაც დაფერდების ერთი მთლიანი კონსტიტუცია დაარღვია, გაყო, სწორედ ამის გამო აღმოჩნდა საფლაავი, ნაეკლესიარსა და მას შორის დღეს ერთგვარ გამყოფად არსებულ დღევანდელი სამოსახლოების ბოლოს. ეს რომ ასე იყო, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ძველად მთლიანად აქაურობას მოსახლეობა სახელად „სერს“ უწოდებდა, შემდგომ და დღესაც კი აქ მოსახლეებს – სერიენტებს, – რის სსოვნაც აქ დღესაც არსებობს. ამასთან, მთლიანად სერი, ძირიდან თითქმის ნაეკლესიარამდე ქვის ყორე-გალავანითაა გამოყოფილ-გამოცალკევებული, მოპირდაპირე მხარეს კი ყორე-გალავანის ნაცვ-

ლად მხოლოდ აქა-იქ მიწის შემამაგრი გზის დამცავი ნაყორია. ამასაც სპეციალისტის თვა-



ქრისტიანული საფლავი

ლი და გონება სჭირდება (ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მხოლოდ წარსული ისტორიული სინამდვილის გასაზრებლად და არა ვისამე დღევანდელი რასამეს კერძო კუთვნილების ეჭვქვეშ დასაყენებლად).

ზემოთ „სილოსი“ და სასილოსე ორმოები იმიტომ ვახსენე, რომ მახსოვს, ონავარ ბავშვებსაც „სილოსის“ მზადებისას უფროსები კიბით ორმოში (სასილოსე ხაროში) ჩაგვიშვებდნენ, თამაშის ნებას გვაძლევდნენ და ასერივად შიგ ჩაყრილ მწვანე ბალახს გვატკეპნიებდნენ. თვითონ კი მას ფენდნენ, ასწორებდნენ ერთ ადგილზე ჩაყრილს მთელ ორმოში, ათანაბრებდნენ და ხის ურო-სატკეპნელათი ტკეპნიდნენ. ეს მე უფრო იმიტომ დამამახსოვრდა, რომ ბავშვები კი არა და, სწორედ ის უფროსები მაჯავრებდნენ, აქ შენი დიდი დედეი (ბაბუა) ლოცულობდა, შენ კი მის ნალოც ადგილს ფეხებით ჯლაგნიო... მე ეს ამბავი ჩემს ბიოგრაფიულ წიგნშიც მაქვს მოთხრობილი.

ამგვარად, აქ ამკარად ორ ღირსსაყურადღებო რეალობასთან გვაქვს საქმე, - ერთდროს მდგარ **ფერისცვალების ეკლესიის ნაეკლესიარ ალაგთან** და მასთან დაკავშირებულ **ქრისტიანულ საფლავთან**.

აქედან გზას თუ გააგრძელებთ, აივლით ადგილებს, - კვირიაულს, ნაკანაფვარს, ნაფოშტვარას, ჭოჭნარს, სატალახეს, ბოლოს შავწყალას და ამ სოფლის თავში, მთა წმინდა სერის (მწვერვ. ზღვ. დონ. 2464 მ.) გადმოღმა, ე. წ. გომანის ფრიად ვრცელ, დაფერდებულ ტიალ მიწაზე მოხვდებით, სადაც, გადმოცემით, მომხვდურ ოსმალო გადამთიელებთან აქაურ დამხვდურთ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გადაუხდიათ. ამ მთას და მწვერვალს ზოგი ან დაუფიქრებლად, ან კიდევ ფსევდოპატრიოტული მიდგომით სახელსაც უცვლის და უწოდებს მას ტბეთს (სამწუხაროდ, ეს მთა შეცდომით ტბეთის სახელწოდებით არის შეტანილი ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიამაც... ინფორმატორი ქ. ჯაყელი, ტ. 9, გვ. 680.), ზოგიც კიდევ სხვას. ტბეთი (ტბათი) ძვირფასი სოფლის ძვირფასი სახელია, განა ეს არ კმარა? არა და მთას, რაც თავი მახსოვს, წმინდა სერი (წმინდი-სერი), წმინდა სერის მთა (წმინდი-სერის მთა) ჰქვია. ეს დიდებული სინტაგმური სახელწოდება შემთხვევით არ ჰქვია მას, იგი თავისთავში უთუოდ რაღაც დიდ საიდუმლოს უნდა ინახავდეს. სიტყვა „წმინდა“ აქ არ უნდა გულისხმობდეს აჭ. დიალექტში აწსებულ

„წვილის“ გაგებას (შდრ. წმინდა წელი), არც უბრალოდ სისუფთეს (შდრ. წმინდა წყალი - წდე წყალი) მას სიწმიდის, წმიდა ადგილის, ამ ადგილის სიწმიდეზე მინიშნება - ხაზგასმის დათვირთვა უნდა ჰქონდეს და აქვს, რაც ამა თუ იმ ადგილს მასთან დაკავშირებული განსაკუთრებული მოვლენის გამო მიერქმევა - ხოლმე.

ეს რომ ასეა და ვარაუდი საფუძველს მოკლევადი არ უნდა იყოს, ამას ერთი სხვა ხალხური გადმოცემაც ადასტურებს, რომელიც მე იქ ჩავიწერე. ესაა თქმულება გორი-კილდეზე (გორის კლდეზე) ეს კლდე წმინდა სერის (წმინდი სერის) ახლოს, ე.წ. „იათაღის“ თავზე მდებარეობს. ხალხური გადმოცემით ამ კლდესთან ორი გაქვავებული (ზოგის თქმით, - გაყინული) ადამიანი უპოვიათ, ისინი ნაომგარის (ნაომარას) ომიდან გამოქცეულან და აქ თავის შესაფარებლად რომ მოსულან გაქვავებულან (თუ გაყინულან). ნაომგარი//ნაომარა კი ამჟამად ტყე-ბუჩქნარ შერეული, ერთი ვრცელი ადგილია აქედან არც ისე შორს. ზოგი მომხდარს ომიდან გამოქცევის ცოდვას უკავშირებს, ზოგი სასწაულმოქმედებას. ასეა თუ ისე, წარსულში და დღესაც, იქ გამვლელნი „მათი სულების მოსახსენიებლად და პატივსაცემად ერთმანებზე ჭახტავენ (აწყობენ) ქვებს სიმაღლეზე. კლდე დიდი და ფართოა, დღეს იქ ბევრი ასეთი ერთიერთმანებზე შეჭახტული (შედგმული) ქვებია. ზოგჯერ აქ სოფელ ქიძინიძეების მხრიდან მოსახლეობა ან მწყემსები ამოდიან, ნამცხვარი და ტკბილეულობა ამოაქვთ, უცხოსაც შეწირვით გაატანებენ. კლდის თავზე, 15-მეტრამდე სიმაღლეზე, კლდეზევე თაროსავით არსებული კორდია, ისინი ამ კორდზე ადიან და ლოცულობენ. ახალგაზრდები კი პურმარილობენ. სწორედ ამ კლდის ძირში შვერილებზეა ერთმანებზე აჭახტული (შემოწყობილი) ქვებიც. იტყვიან: ვინც ყველაზე მაღალ და ყველაზე ბევრ ქვას შეჭახტავს (შემოაწყობს) სიმაღლეზე, უფრო ბევრ მაღლს მოიგებსო. ორი კაცი რომ გაქვავდნენ (თუ გაიყინენ), ნაომგარზე თურქებთან (მთხრობელი ოსმალებს გულისხმობდა ე.დ.) ომი იყო, იქიდან მომავალნი იყვნენო, ასე

იტყვიან...“ (მთხრობელი ალი (ნოდარ) ახმედის ძე ბათაძე, იმ ხანად ამ მთაზე მწყემსად მყოფი, 52 წლის, სოფელ გოგიეთის მკიდრი. ჩავიწერე 2013 წლის აგვისტოს თვეს).

თქმულება საინტერესოდ მივიჩნეე და ამიტომაც მოვიტანე აქ. პირადად მე იმჯერად, იქაურობისთვის ჩვეული უცაბედი გაავდრებისა და სეტყვის გამო, კლემდე ასვლა და ნათქვამის თვალთ ხილვა ვერ მომიხერხდა.

როდესაც ისტორიული წყაროები ცოტაა ან სულ არ მოიპოვება, მაშინ თქმულება-გადმოცემები და ტოპონიმები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ-ხოლმე! წმინდა სერის სახელწოდებაზე ვამბობდი, აქ ამ თქმულების განსწავლაც ამან განაპირობა. ხალხი აქაურობას და მსგავსი სახელწოდებების შერქმევას ისტორიულ მოვლენას უკავშირებს. ამიტომ მისი შეცვლა და გადასახელება არავის ეპატიება, მას რაც ხალხმა უწოდა და შეარქვა, ის უნდა დაგუბახოთ. ცოტა უადგილოა, მაგრამ ბარემ აქვე დავსძენ, სოფელ გოგიეთის იქით, შავშეთის ქედის ჩრდილო ფერდობებზე, არყიძირის მთის სამხრეთ-დასავლეთ ტყეში გაჩენილ-ჩამომავალ მდინარესაც, რომელსაც მდინარედ ქცევისთანავე აქ, სათავეში ბოგილი (ბოგილის ღელე) ჰქვია, სახელს უცვლიან და რამდენ რა ადგილსა თუ დასახლებასაც ჩაივლის, იმ სახელს არქმევენ: გუდნის წყალი (გუდნის ღელე), ტბეთის წყალი (ტბეთის ღელე, მდინარე ტბეთი) უჩამბის წყალი (უჩამბის ღელე და ა. შ.)... არა და მდინარის სახელწოდება, ჰიდრონიმი ის არის, რაც სათავეში ჰქვია, სათავეში კი მისი სახელი ბოგილია (ბოგილის წყალი, ბოგილის ღელე, ბოგილი-ღელე). განა ხერთვისთან ჩამომავალ მტკვარს „ხერთვისს“ ეძახიან ან ბორჩხასთან ჩამომავალ ჭოროხს - „ბორჩხას?“ ორივენი თავისი სახელებით აღწევენ, - პირველი კასპიის, მეორე კი - შავ ზღვამდე და ვითომ რად არ უნდა ჩაჰყვეს ბოგილის წყალს (ღელეს) თავისი სახელი აქედან - ჩირუხის წყლამდე სულ რაღაც 17-იოდე კილომეტრში, ვიდრე იგი სხვა წყალს, სხვა მდინარეს შეუერთდებოდეს? ისევ წმინდა სერს, წმინდა სერის მთას დაუბრუნდეთ... ამ მთის ქვედა მხარეს, თითქმის ბოლოში, საიდანაც მკაფიო დამრეცი

მიდამო და ტყე იწყება, ჩემს მწყემს-ბაღ-
ლობიდან ერთი ვრცელი საფლავი მახსოვდა,
სახელად არაბულ-ოსმალური მოქცევით -
„ყერიბ მეზელულს“ || „ყერიბ მეზერს“ (ყარი-
ბი საფლავი-ყარიბის საფლავი) ეძახოდნენ,
რომელთან ახლოს გავლისასაც, გამვლელს,
ხალხური წეს - ადათისამებრ, სამოწყალოდ,
ახლო-მახლოდან აღებულ - მიტანილი ერთი
ქვა ან კენჭი მაინც უნდა დაეგდო... ხოლო



„ყერიბი მეზერი“ (უცხოის საფლავი)

თუ ვინმეს საგზალი თუ სასმელ-დასალევიც
თან ჰქონდა, ლუკმა გაეტეხა და შესანდო-
ბარიც შეესვა, სხვაგვარად დიდი ცოდვა დაე-
დებოდა... შესანდობარისა რა მოგახსენოთ,
მაგრამ ჩვენ მწყემს-ბავშვები, უფროსებისგან
გაფრთხილებულნი და მათზე წაბაძულნი,
ზედ კენჭსაც ვაგდებდით და „ზარმლობითაც“
(საგზლობითაც) აქ „ვზარმლობდით“ (ვსადი-
ლობდით), წყალს კი აქვე, მის ცოტა ზემოთ,
ცივ-ყინტარო „გომანის წყაროზე“ ვაყოლებ-
დით. ის წყარო დღესაც დის და დღესაც
არსებობს იქ.



წყარო უცხოის საფლავთან

თაობიდან-თაობაზე გადმოცემული ტრა-
დიციით, რომელმაც, ვამბობ, ჩემს ბავშვობამ-
დე, იქიდან კიდევ აგერ აქამომდე მოაღწია,
საფლავი სულერთთავად ქვის გორას დაამს-
გავსა, მას კი „ყერიბი მეზელული“ (თურქ.
mezarlik), „ყერიბი მეზერი“ (არაბ. kerib
mezar)-„ყერიბი“||„ყარიბი“ საფლავი ერქვა.
ყარიბი (არაბ. قبر ლარბ-„უცხო“) უცხო
სიტყვაა და ქართულით ორგვარად იმარტება:
1. ძვ. უცხოობაში მყოფი, გადახვეწილი; უთ-
ვისტომო. 2. გადატ. უპატრონო, საცოდავი,
საწყალი, ღარიბი (ქართ. ენ. განმ. ლექსიკ.
ტ. მე-8,თბ., 1962, სვეტ. 510). არაბულით, -
უთვისტომოს, ღარიბს, ღატაკს, გაჭირვებულს
ნიშნავს (შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარუ-
ლი დიალექტი, ლექსიკა, ბათ., 1971, გვ. 371).
არაბულია მეორე სახელწოდების ნაწილიც:
მეზერ-ი (არაბ. mezar - საფლავი) - სიტყ-
ვის სემანტიკა ნათელია, მაგრამ აქ სულ სხვა
სინამდვილესთან გვაქვს საქმე: ეს სხვა არა
იქნებოდა და არის რა, თუ არა იმ ომში დაცე-
მულ გმირთა ან გმირის სამარხი; გმირულად
თავშეწირულ შინაურთა ცხედრების ან ცხ-
ედრის, ასე ვთქვათ, ძმათა სასაფლაო. თუ ჩვე-
ნამდე მოღწეულ ხალხურ სახელს გავეყვებით
და პირველს ვიგულისხმებთ, - ჩვენ წინაპარ-
თა რაინდობის და კაცთმოყვარეობისადმი
მოკრძალების გრძნობით განვიმსჯელებით, -
ვიტყვი: უცხო, უთვისტომო ან იქნებ მტერიც
კი ზეზე, ყორნების საჯიჯგნად არ დაუტოვე-
ბიათო, - თუ მეორეს, - მათი გულმოწყა-
ლეობა, ღვთისნიერობა მოგვხიბლავს, ხოლო
თუ ჩვენეულ, არც თუ უსაფუძვლო ვერსიას,
- სამშობლოსადმი მათი თავდადების სიამაყ-
ით აღვივსებით. მაგრამ რამდენადაც საქა-
რთველოში, საუკუნეების მანძილზე, შემოჭ-
რილ მტაცებელ გადამთიელთა პატივიმიგება,
დამარხვა და მათ ძვალთშესალაგ ალაგთა
დამახსოვრება-უკვდავყოფა ჯერ აქამომდე
არ თქმულა, გამოთქმა - „ყერიბი მეზელული“
(„ყერიბი მეზერი“) - „ყარიბი საფლავი ||
ყარიბის საფლავი“ - უფრო ოსმალთა გავ-
ლენა გამოვლილი, საფლავში მყოფის შესახებ
მახსოვრობადაკარგული ხალხისმიერი, ფონე-
მურად სახეშეცვლილი ტერმინი უნდა იყოს
და იგი უფრო უცხო მომხვდურთან ბრძო-

ლაში დაცემულ უცნობ გმირთა ან გმირის სამუდამო განსასვენებელს უნდა წარმოადგენდეს, სხვაგვარად ხალხი მის ესოდენ ხსოვნას ასე უკვდავად არ შეინახავდა, ხოლო ვინმე შემთხვევითი საპყარის და მით უფრო უთვისტომოს საფლავი რომ იყოს, თაობიდან-თაობას ბეჯითად არ გადასცემდა და არ უკვდავყოფდა! ფაქტი კი ერთია: ის ყორე-ლორდ სამარხი, ყორღანი (ხალხ. „ჭორტე“) დღესაც იქაა და არსებობს. თუ ამასაც შესაბამისი წესით არქეოლოგიურად შევისწავლით, შესაძლოა, ჩვენეული ვარაუდი სიმართლედ და დასტურად გამოდგეს და გვექცეს. აქვე პარალელისთვის შევნიშნავ, რომ ერთი ასეთი საფლავი, ოღონდ ხალხის მიერ წმიდანის საფლავად შერაცხული, ხულოს სოფელ კალოთის სამოვრებზეცაა მიგნებული, ოღონდ მას ზედ ნაცვლად გროვისა („ჭორტესა“) მთელ სიგრძეზე ერთი ბრტყელი, მთლიანი ქვა ადევს. ვინც განიწმინდება და ზედ დაწვება და დაიძინებს, ხილვა ეწვევა და რაც რამ გასაჭირი აქვს, სიმართლე და გამოსავალი ძილშივე ეკარნახება. ამის შესახებ მე ადრეც მქონდა გაგონილი, რაც ახლანდელმა მთხრობელმა, დაწვრილებით მაცოდინა, მანვე მე ერთი უშვილოდ უმართებულობით მიჩნეული ქალი დამისახელა, რომელსაც ამ რიტუალის შესრულების შემდეგ ძილში შვილიერება ეუწყა და შემდეგ, მალე, ხილვა აუხდა კიდევ, ვაჟი შეეძინა. დასახელებული ქალი ჩემთვისაც ნაცნობი აღმოჩნდა, რომლის ვინაობასაც გასაგები მიზეზის გამო მე აქ არ ვასახელებ.

ისევ ჩვენს თხრობას ვუბრუნდები. აქედან არც ისე შორს, მთას თუ შეჭყვები, აივლი ადგილებს, - იათაღს, (თურქ. yatak-საწოლი. აქვეა ხარი-იათაღი//ხარების (პირუტყვის) საწოლი. სახელწოდებაც ამის შემოკლებაა, უფრო დაუჯერებლად ან იქნებ სულ შორიდან - გაწყვეტილ, დაცემულ „დაწვნილ“ მეომართა გამო ეწოდა...) საწუმპარას, კაჟიან ფერდს და სტრატეგიულად მეტად მოხერხებულ, ვრცელ, აწ უკვე ტყეშერეულ ველთან გადახვალ, რომელსაც, ზემოთ ვთქვი, სახელადაც ნაომგარი (ნაომარი || ნაომარა) ჰქვია. მე იგი ანაქრონიზებულად 35 - წლის წინ ერთ-ერთ ჩემს ისტორიულ პოემაშიც ვახსენე და ეპილოგადაც

გამოვიყენე („ძლევაი უკუნისა“, ისტ. პოემა, გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათ., 1978, გვ. 134-136). იმ ველსა, საზოგადოდ, ამ ომგადახდილ მიდამოსა და ჩვენამდე მოღწეულ ამ იდუმალ სამარეს (გინდა „გორიკილდის“ ◀ „გორის კილდის“ ◀ „გორის კლდის“ თქმულებას შორის) რალაც კავშირი გამორიცხული არ უნდა იყოს... არც მთას შემთხვევით არ უნდა ერქვას წმინდა სერი|| წმინდი-სერი.

ამგვარად, გორი-კლდის თქმულებაზე რომ არაფერი ვთქვათ, სამივე ეს ერთად, ერთ ჯაჭვში ასე გამოიყურება: **ნაომგარი – წმინდა-სერი – ყერიბი მეზერი** (ანუ იგივე უცნობის საფლავი)...

ერთიც უნდა გავიხსენო: ბავშვობიდან დამამახსოვრდა, არ ვიცი მთელ ამ შემოგარენში ყველაზე ცივი წყარო-წყლის სურვილითა და მიზეზით, არ ვიცი კიდევ გადმოცემათა გადმონაშუქის ინერციით გომანში, წყაროსთან ჩვენი სოფლის მოქეიფე, ზარხოში ჯეელი ბიჭები აღიოდნენ, სუფრეული და ღვინო ზურგზე მოკიდებული გოდრით აჰქონდათ, ზაფხულის იმ პაპანაქებაში, დღეს ჩემდა გასაკვირად, უთუოდ დიდ ცეცხლს ანთებდნენ და ლუკმასაც ისე ტეხდნენ (ეს ჩვევა მგონი დღესაც შენარჩუნებულია და აკი წყაროც ისევ გადმოჩნხუნებს). ცხადია, ამით და ამ დროს ისინი გარდასულებსაც იხსენიებდნენ... ზაფხულის თვე, - აგვისტოს 25 ხომ ოსმალთა უღლის გადაგდების და აჭარის გამოხსნის თვე-დღეა. თუ არა უფრო ... მეორე ვარაუდი და წარსულითგან დარჩენილი ტრადიცია - გადმონაშუქი, - მამ რატომ მაინცა და მაინც ამ თვეში აღიოდნენ ისინი იქა? რატომ მაინცა და მაინც უცნობ საფლავთან ახლო მომდინარ „გომანის წყაროსთან“ ირჩევდნენ ადგილს და არა აქედან სულ ახლოს არსებულ, არა ნაკლებ ცივ იათაღის წყაროსთან? და ბოლოს, იმ ხვატ-პაპანაქებაში ცეცხლის გაჩაღება რალა იყო? ზედ ხომ ისინი არც არაფერს წვაგდნენ... იქნებ ეს სწორედ ძველთაგან დარჩენილი წმინდა სანთლის ანთების ან ახალადათური მარადიული ცეცხლის დანთების ქვეცნობიერად გადმოცემულ-გადმოყოლილი რიტუალის იმიტაცია იყო?!

თხრობის თითქმის დასასრულს კი ერთ-საც მოვიგონებ: ბავშვობაში ჩემი ნენე, მამაჩემის დედა, მერიემი (მარიამი) სამწყემსურში ხშირად მიახლებდა ხოლმე მორბედად (საქონლის მომბრუნებელ-მომდენად). იგი საქონლის არეკვისა და ფერდობებზე შედენისას („შეძახებისას“) სწორედ იმ უსახელო საფლავთან მიდიოდა, მეც უთუოდ თან მივყავდი, მაღლიაო ასე მეტყვოდა, კენჭების მიყრის შემდეგ, თვითონ კარგა ხანს ჩუმად იდგა და მისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. ახლად ვხვდები, იგი გარდასულთა (გარდასულის) ლოცვამოსახსენიებელს წარმოთქვამდა. ხოლო წყაროსთან „ზარმლობის“ (სადილობის) შემდეგ ჭადის ნამცეცები („ფუნჩხები“) რომ დარჩებოდა, („გაჩეჩებოდა“) „სუფრას“ ქსოვილის ნაჭერის აკალთვით აიღებდა, იმ საფლავზე მიჰქონდა და ზედ დაჰყრიდა... მაღლია, მის სულის „მიეგებაო“, - ასე იტყვოდა.

ამ წელს, ახლა უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, კიდევ ერთხელ საგანგებოდ მოვინახულე მე ის ადგილიც და საფლავიც და ფოტოებიც გადავიღე. სამოწყალოდ მიტანილ ქვა-კენჭთა გროვა („ჭორტე“) ძლიერ ამალღებულა, მაგრამ მის ზედა მხარეს, წყაროსა და მას შუა, საძოვრებისკენ მიმავალ სამანქანე გზას გაუვლია და ჩანს საფლავზედ მიყრილი ქვის მესამედი ანუ საფლავის ზედაპირის ზედა ნაწილიც მძიმე ტექნიკას წაუხვევტია, ამიტომ ქვის გროვის კონუსი იმ მხრიდან ჩამოთლილ-ჩამოჭრილი და დარღვეულია, - ამის გამო ზედა



გზა „ყვრიბ მეზურთან“ (უცნობის საფლავთან)

მხარე დამცრობილად, ქვედა კი ფართოდ გამოიყურება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ეს რომ არა,

„შეწირულ“ ქვა-კენჭთა რაოდენობა - „ყორღანი“ („ჭორტე“) გაცილებით მეტი იქნებოდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტაბუღადებული წეს-ჩვევა წეს-ჩვევობდა, სხვაგვარად იგი იქ ასე უხვად ვერ მოგროვდებოდა...

ვფიქრობ ჩვენი ვალი და ვალდებულებაა იმ იდეალებით მოცულ სამკვლევ სათანადო წარწერიანი ჯვარ-ნიშანის დადგმა, უფრო ახლებური ზრუნვა, მოვლა შენახვა, იმ ფრიად საჭირო სასაძოვრო სამანქანე გზისაც შემოვლით ცოტა შორს გადაწევა-გადანაცვლება, იქ დაცემულ გმირთა თუ გმირის სახსენებელი დღის, თუნდაც იგივე აგვისტოს 25-ის დაწესება, ყოველ ამ დღეს იქ ასვლა, პატივის მიგება და ამ ფორმით და გზით (მისი) მათი არდავიწყება - უკვდავყოფა! ამას მე იმ სოფლის, - გოგეთის მკვიდრთა, განსაკუთრებით ახალგაზრდების საყურადღებოდ ვამბობ, მათვე ვუბარებ და ვთხოვ - საჭიროა ფიქრი და ძალისხმევა ერთდროს ამავე სოფელში არსებული ფერისცვალების ეკლესიის ნაფუძარზე კვლავ ჩვენი, ძველი, მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის აღდგენა-წამომართვა, ცხადია, იგივე ფერისცვალების სახელწოდების გაცოცხლება-შენარჩუნებით - ამით სოფელსაც ძველ ღირსებას დაუბრუნებთ და საკუთარ თავსაც სახელს შევმატებთ, მომავლებს კიდევ სწორ სულიერ გზაზე შევაყენებთ. ვიდრე ეს, სულიერობით მეტისმეტად საშური და უცილობლად საჭირო-სავალდებულო საქმე ღვთის ნებით და ღვთისნიერ შვილთა ძალისხმევით აღსრულდებოდეს, საჭირო და აუცილებელია სხალთის ეპარქიის ფრიად მზრუნველი, საქართველოზე, აჭარაზე დაუძინებლად მოამაგემოფიქრალ მთავარეპისკოპოსზე, მის დიდ უსამღველოესობა მეუფე სპირიდონისადმი თხოვნით მიმართვა და მისი კურთხევით, ზედ წმინდა სერზე, ადგილმდებარეობა ნაომვარზე, იმ უცნობის საფლავზე, სოფელ გოგეთის ფერისცვალების ეკლესიის ნაეკლესიარ ადგილზე და მისი უკანასკნელი მწყემსის ქრისტიანულ სამკვლევზე წმინდა ჯვრების აღმართვა. დღეს და მომავალში ამ საქმის მოთავედ და სრულმქმნელად კი მე, უპირველესად, ისევ და ისევ, ამავე სოფლის დიდად პატრიოტი, თავიანთ ძველ-უძველეს წინაპართა ღვაწლ-ამავის მცოდინარ-დამფასებელი, საღად მოაზრავნე და ენერგიული მოწინავე ახალგაზრდობა მეგუღვის, ამის ხსოვნას, სურვილს და თხოვნას მე მათ ვუტოვებ.

ვასწავლოთ მომავალი წარმატებებისთვის

(ინტერვიუ აქტუალურ თემაზე)

ის სახელმწიფოა ძლიერი, რომელიც მომავალ თაობას თავის პოლიტიკით ზრდის.

პლატონი=არისტოტელე

ეროვნული თვითშეგნება, ჩვენი ქვეყნის საერთო ინტერესები გვაკლდებულებს მეტი ყურადღება დაუთმოთ მომავალი თაობის აღზრდის საშვილიშვილო საქმეს. სამშობლოს მიმართ მოვალეობის გრძნობა, საზოგადოების ერთიანობისა და კეთილდღეობისთვის ზრუნვის შეგნება მოითხოვს ჩვენგან ახალგაზრდა თაობის სამშობლოს ინტერესებით აღზრდას და მეტ პასუხისმგებლობას მათი მსოფმხედველობის ჩამოყალიბებაში. ეროვნულობის განცდა, ეროვნულობის შეგნება ქართველი ერის პრობლემური საკითხია, სხვა ერებთან შედარებით. ამიტომ ჩვენი მომავალი თაობა უნდა აღზარდოს: ერთიანი ეროვნული ხედვა-აღქმის, ეთნიკური ფესვების, ისტორიული წარსულის, ტრადიციულ რელიგიურ-კულტურული ღირებულებების ცოდნის საფუძვლებით. ახალგაზრდობა თავის ბუნებრივ ქართულ გარემოს - განათლებისა და განვითარების გზას უნდა დაუბრუნოს. ღვთისა და სამშობლოს სიყვარულის რწმენით, ეროვნული სულისკვეთებით, წესიერად (ბუნებრივად) უნდა აღიზარდოს მომავალი თაობა. ყველაზე დაცულ, სულიერად მომზობლავ, ეკონომიურად უზრუნველყოფილ გარემოში უნდა იზრდებოდნენ ისინი. გარემოებამ უნდა შთააგონოს ახალგაზრდებს ცოდნის მიღების აუცილებლობა და სამშობლოსთვის სიყვარულით თავდადება.

ეროვნული ხასიათის, ცხოვრების პრინციპებისა და ცხოვრების ღრმა ცოდნით უნდა აღვჭურვოთ მომავალი თაობა. ჭეშმარიტების სარტყელით შევძლოსოთ ისინი, რათა ბოლომდე დაცული იქნეს, ჩვენი ეროვნული მეობა, ეროვნული ღირსება. ოჯახთან და საზოგადოებასთან ერთად მომავალი პიროვნების ჩამოყალიბება და პროფესიული დაოსტატება საგანმანათლებლო ინსტიტუტების ძირითადი მიზანი უნდა იყოს.

ახალი 2013-2014 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ჩვენ შევხვდით აჭარის

ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველ მოადგილეს სულიკო თებიძეს და რამდენიმე კითხვით მივმართეთ მას.

- ბატონო სულიკო, საქართველოს გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე საქართველოს განათლების სამინისტროს, სახელდობრ, აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რა სტრატეგიული ხედვა გააჩნია, ეროვნული განათლების, ეროვნული იდეოლოგიის ფუნდამენტური ღირებულებების საფუძველზე მომავალი თაობის აღზრდის საქმეში?

- აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ფიქრობს, რომ რეგიონში გააუმჯობესოს საპანსიონო მომსახურება, კერძოდ, ჩვენ აჭარაში გვაქვს ოთხი პანსიონი, მათგან ერთი რეაბილიტირებულია, სამს კი ჭირდება რეაბილიტაცია, ამიტომ მომავალი წლისთვის გათვალისწინებულია სამივე პანსიონის რეაბილიტაცია. ალბათ ბიუჯეტით გამოიყოფა, რა თქმა უნდა მისთვის საჭირო მილიონ 140 000 ლარი. გარდა ამისა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ფიქრობს, რომ მაღალმთიან აჭარაში, კერძოდ ქედაში, შუახევში, ხულოში ეტაპობრივად აშენდეს რამდენიმე პანსიონი თანამედროვე დონის აღჭურვილობით, თანამედროვე ინფრასტრუქტურით. მცირეკონტიგენტისანი სკოლის ბავშვებისთვის იმ ხეობებში, სადაც არ არის შესაბამისი პირობები, შეუქმნათ ყველა პირობა ნორმალური სწავლებისთვის.


- ბატონო სულიკო, რა მიმართულებით განისაზღვრება განათლების პოლიტიკა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. სკოლადაშთავრებული ახალგაზრდები რა მიმართულებით აგრძელებენ სწავლას?

- სამწუხაროდ პედაგოგის პროფესია ბოლო ათწლეულების განმავლობაში იყო და არის

არაპრესტიჟული, მისი დაბალი ანაზღაურებით და ძალიან ბევრი ნიუანსებით. ამიტომ, სახელმწიფომ ერთ-ერთ პრიორიტეტად დაისახა, რომ როგორმე გაუმჯობესდეს მასწავლებელთა მდგომარეობა და მასწავლებლის პროფესია გახდეს პრესტიჟული. ამ მხრივ გადაიდგა რამდენიმე ნაბიჯი, კერძოდ იქნებ ვინმემ იკამათოს, რომ უმნიშვნელოდ, მაგრამ საკმაოდ გაიზარდა მასწავლებელთა ხელფასი - დაახლოებით 100 ლარის ოდენობით, გარდა მაგისა თქვენთვის ცნობილია, რომ ყოველი წლის ბოლოს აიღებენ მეცამეტე ხელფასს - პრემიის სახით. მე ვთვლი, ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია, რომ სახელმწიფომ 17 სპეციალობიდან 14 პედაგოგიურ სპეციალობას სრულად აფინანსებს. ამან გამოიწვია ის, რომ თუ წინათ, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკით, იყო სპეციალობები, რომელზეც მუდმივად წლების განმავლობაში არ იყო კონკურსი, წელს ყველა სპეციალობაზე კონკურსი შედგა. ამგვარად ერთ-ერთი შედეგი უკვე არის.

- ინგლისური ენის მასწავლებლების მასიურ მოწვევას, როდის ჩანაცვლება ადგილობრივი კადრები, რას აკეთებს ამ მხრივ სამინისტრო?

- უცხო ენების მოთხოვნილებიდან გამომდინარე ძალიან ბევრი საკმაოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ამთავრებს უმაღ-



პირველკლასელი

ლეს სასწავლებლებს. ამიტომ უცხოეთიდან მოწვეული მასწავლებლების ჩანაცვლება, მე ვფიქრობ, ეტაპობრივად მოხდება - ადგილობრივი კადრებით. ჩვენ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გვაქვს პროგრამა, კერძოდ - „ვასწავლოთ მომავალი წარმატებებისთვის“, სადაც გამოყოფილი არის 163 000 ლარი და ამით ჩვენ, ვიწვევთ ცხადია, კონკურსის შედეგად და მაღალმთიან რეგიონში ვუშვებთ რამდენიმე სპეციალობის მასწავლებელს, მათ შორის უცხო ენის მასწავლებლებსაც. უკვე ეს კონკურსი ჩატარდა, 16 სექტემბრიდან მუშაობას შეუდგა დაახლოებით მათ შორის ოცამდე უცხო ენის მასწავლებელი. ვფიქრობთ, რომ ამ საგანზე მოთხოვნილება უფრო მეტია რაიონებში, ამიტომ მომავალი წლისთვის ვფიქრობთ, ამ პროგრამის ბიუჯეტი უფრო გავზარდოთ.

- კანონი ვერ აწესრიგებს ხანდაზმული მასწავლებლის ყოფნის საკითხს სკოლაში. ახალგაზრდა სპეციალისტი აცილდა სკოლას. ბოლო 20 წლის განმავლობაში სკოლის მიმართ სწავლების ხარისხის კონტროლი მოშლილია. საჭიროა შეიქმნას განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში სწავლების ხარისხის მაკონტროლებელი ორგანო?

- საუბარი იმაზე თითქოს პენსიონერი მასწავლებლები სკოლიდან უნდა წავიდნენ, სრული დარწმუნებით მინდა გითხრათ, რომ ტყუილია. პირიქით, არიან პენსიონერი მასწავლებლები, რომელთაც აქვთ ძალიან მაღალი კვალიფიკაცია და გამოცდილება. პირიქით, მათი გამოცდილება როგორმე უკანა თაობამ უნდა გაიზიაროს. რაც შეეხება სკოლებში სწავლების ხარისხის კონტროლს, ამაზე სერიოზულად მუშაობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. რამდენიმე ვერსია განიხილება, ერთ-ერთი ვერსიით შეიძლება რესურს ცენტრებში შტატები დაემატოს - ფუნქციები გაიზარდოს ან ერთ-ერთი ვერსიით შესაძლებელია, რაღაც სპეციალური სამსახურები შეიქმნას და მათ შეითავსონ მაკონტროლებელი ფუნქციები. თქვენთვის ცნობილია, რომ უკვე მიღებულია, თითქმის გადაწყვეტილია საკითხი და მასწავლებელთა სერთიფიციერებას დაემატა კიდევ ერთი კომპონენტი, რომელიც განსაზღვრავს, კერძოდ სკოლაში მიღწეულ შედეგს. სკოლაში მიღწეული შედეგი, რომ გაიზომოს, აუცილებლად საჭიროა ასეთი სამსახურის შექმნა. ამაზე მუშაობს განათლების სამინისტრო.

- ბატონო სულიკო, წიგნიერების საკითხი ბიბლიოთეკების გაუქმებით არ გამოსწორდება. სკოლის ადმინისტრაცია მაღალმთიან რეგიონის სკოლებში დაბალანაზღაურებადია...

- სამწუხაროდ წლების წინ გაუქმდა სოფლის ბიბლიოთეკები და სოფლები, განსაკუთრებით ეს შეეხება მაღალმთიან რეგიონს - დარჩნენ წიგნების მომსახურების გარეშე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ როგორმე გავაუმჯობესოთ სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, ამიტომ მიმდინარე წელს უკვე დავიწყეთ ახალი პროგრამა - სკოლის ბიბლიოთეკების განვითარების პროგრამა. ამისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი არის 80 000 ლარი. უკვე ამოცხადებულია ტენდერი და ბათუმს გარდა ყველა რაიონში შევიტანთ, თითოეულ სკოლაში დაახლოებით 4 000 ლარის ღირებულების წიგნს და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საკმაოდ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

რაც შეეხება სამტაატო განრიგს სკოლები-სას, იყო შემთხვევები, რომ ხშირად ძალიან საჭირო იყო რომელიმე შტატი, კერძოდ ეს კვლავ ეხება მაღალმთიან რეგიონებს, მაგრამ მას საქართველოს განათლების სამინისტრო არ უმტკიცებდა. ამ მხრივ, ამ დღეებში ყველა სკოლა მიიღებს ახალ დებულებას, სადაც

კათვალისწინებული იქნება რეგიონის პრობლემებიც.

- ახალი სასწავლო 2013-2014 წლის დაწყებასთან დაკავშირებით, რა სიახლეებია დაგეგმილი?

ახალი სასწავლო წლიდან რამდენიმე სიახლეა დაგეგმილი და მე მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე მოგასწავნებთ. მე ვთქვი, რომ ჩვენ ვფიქრობთ, საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას - აღჭურვის პროგრამას. გარდა ამისა ჩვენ ვიწყებთ სპორტის განვითარების ხელშეწყობისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამას. დაგეგმილია მომავალი სასწავლო წლიდან და ყველაზე მეტად რაც მოსახლეობას აინტერესებს, - სტუდენტთა დახმარების პროგრამა. წელს ეს ბიუჯეტი შეადგენს 665 000 ლარს. მომავალი წლიდან ვზრდით ამ ბიუჯეტს და ალბათ გვექნება 950 000 ლარი. სიახლეც გვექნება, ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ის არის, რომ წელს სექტემბერში ბათუმში გაიხსნება მასწავლებელთა სახლი, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებას, ასე რომ სამინისტრო, სახელმწიფოს საერთო ზრუნვიდან გამომდინარე, ყოველნაირად ზრუნავს საქმის საკეთილდღეოდ.



დაბა შუახევის საჯარო სკოლის მოსწავლეები

დ ე ბ ი უ ტ ი

ზურაბ ჯაფარიძე



დედამიწა

შიშმა დააპურა შენი ოცნებები,
ბუხრის საკვამურში ღამე მშობიარობს,
მე კი, დედამიწავ, ისე მოგედები,
რომ მზემ უნებართვოდ ვერ შემოგიაროს.

მოგითვისინიერებ ცა-მზიდ ქარბორბალებს,
მთვარეს ვარსკვლავების ეტლში შეგიბამ და
ხარის რქაზე შემდგარს, ისე გაბზრიალებ
დროში დაგკარგავ, და შენი გალაქტიკაც

ველარ დაგატყდება თავზე ქვა-მეხად და
ველარ დაგამადლებს ჰაერს, მზეს და მიწას,
მუხაში შეგახვევ, ლექსში ჩაგკეცავ და
ასე მოგიტაცებ, ჩემო დედამიწავ.

28. 02. 2013 წ.

* * *

ფუტკრებს გაუმართავთ ღოღი, ბედაურად
პეპლებს აჭენებენ, დააფარფატებენ,
მაშინ, როცა ირემს ცივი წყარო სურდა,-
მე კი ნადირობა გავიადათწესე.

შეგხვდი ნაკადულთან, ქვაზე ჩამომჯდარი
დალაღს გვირილებით რთავდი, ამინდვრებდი,
როგორ ვიფიქრებდი, - შეველად წამომხტარი
ასე ადვილად თუ გრძნობებს ამირევდი.

ელვამ დამირბინა უცებ, თმის ღერომდე,
შენს ლანდს, მონარნარეს, ისე ავეღვენე
როგორც შევარდენი, ხეთა კენწეროებს,-
ნიავეს გაჰყვება და გაასწრებს და მერე
ნადავლს დააცხრება, როგორც ოცნებებში,-

შენი გულბანდი და ყელი დავიმშვენე.
მოგინადირე და მერე ორლობეში
წამოგეწიე და... დაგიჩემე.

25.05.2013წ.

გამითამამდი

გამითამამდი,
თავზე ხელგადასმული ბავშვივით
გამითამამდი გულო,
მინდა ოცნება ისევ ჩაგაცვა,
იმედი დაგიპურო...

გამითამამდი,
ცელქი კვიცივით ამიხუნტრუცდი
ბებერ ვენებში სისხლო.
უნდა გაგიშვა, გაინავარდე,
თან დაგაკავო, - ვინძლო.

გამითამამდი,
მოგებულებით გამიამაყდი
ვერგალეწილო ყანავ,
ღრმა ბავშვობიდან ამომიმღერდი
დედის ნამღერო ნანავ.

28. 04. 2013.

სად ეხეტები

შენ ალბათ შორს ხარ, ძალიან შორს,
ხატავ ნაკვალევს,
მიგაქვს ბილიკი ფაფუკ თოვლზე-
ვფიქრობ და მართლა ციცქნა ფეხებით, ვერ გავიგე,
რატომ მაწვალე
და სად წახვედი, უჩემგულოდ, -
სად ეხეტები.

მალე გადნება ეს თოვლი და
მაგ შენს ნაკვალევს,
გულში ჩაიკრავს ის ბილიკი, -
სადაც გივლია,
მაგრამ არ ვიცი ეს გრძნობები.
ვის დაეუმალო,
რომელიც ასე გაგითელავს,
გადაგივლია...

17. 06. 2013.



წვიმს!

ღმერთი ცრემლებს ღვრის,
გულს სიყვარული სდის,
შენი მონატრება მჭირს.
წვიმს!

სადღაც გული იწვივს,
სადღაც სული კრთის,
მიწას შენი სუნი ასდის
კვლავ მონატრება მჭირს...
წვიმს!

გრძნობების წვიმა წვიმს
არტერიებში სისხლად,
შენი სიყვარული მდის.

* * *

პირველი გრძნობა,
პირველი ვნება,
პირველი ცრემლი,
პირველი სევდა..
პირველად ცოლი...
და გულის ტკენა,
პირველი მწველი
კოცნის შეგრძნება.
პირველი შვილი,
პირველი შველა,
პირველად უფლის
დიდი შეგრძნება.
პირველი მამა...
პირველად კვდება...

პირველად სულში
სისხლი მეღვრება
პირველად მაშინ...
პირველად ახლა,
პირველად წარსულს...
პირველად აწმყოს
ველარ ვგრძნობ,
ველარ ვგრძნობ,
ველარ ვგრძნობ
ვერა.

* * *

წვიმს...
კვლავ შენზე ფიქრი მდის,
მონატრებისგან ხელები კრთის,
სიყვარულისგან ღუმილი მჭირს.
წვიმს.....
წვიმის წვეთები მეძახის მთის...
იქ შორეული ფოთლები თრთის,
იქ სიყვარულის მთვარე მიცდის.
წვიმს...
მენატრება ჰაერი მთის,
სიყვარულისგან ცრემლებიც მდის,
მე უშენობა მართლაც შემშლის.
წვიმს...
შენთან მინდა იქ..
სადაც პირველათ ვიგემედ წვიმა
და საოცარი ჰაერი მთის
გახედე გარეთ ?!
კვლავ, ისე წვიმს.

* * *

ლამაზ ფიქრების წვიმა,
გაწვიმდა გუშინ ღამით,
მენატრებოდი სიზმრად,
მომნატრებიხარ ცხადშიც.
ღამე არ მაძლევს საშველს,
შენთან მოსვლის და ნახვის.
არადა შენთან მინდა,
აქედან ვიხსნი აღვირს...
სარეცელი და ვნება,
სიტუბო, სიამე, ბავშვი,
სულ ყველაფერი მინდა,
არა სიზმარში, ცხადში...

* * *

სიტყვამ დაკარგა თავისი ფასი
და მარცვლებს უცებ დაეწყოთ ხმობა

ახლა დავთესე მე ერთი ლექსი
რომელმაც შენი მოისხა ხოტბა.
სიტყვას საიტყვაში მე ისე ჩავწნავ
ვით სიყვარულის უნაზეს გრძნობას
გიძლერებ ისე ვით მღერის გელი
და მერე ლამაზ სიზმრებად მოვალ.

* * *

გულის გულიდან გადმომეღვარე,
ვით კანდელს სანთლის წმინდა წვეთები,
ლექსებად მოვალ, გრძნობებად მოვალ,
მოვალ სიცოცხლის თავგამეტებით!
შენ გულის ბაღში აღმოვცენდები,
ვით ქრისტეს ცრემლზე, „ქრისტეს ცრემლები“



დედა, მე მოვინათლე!

ცივი დილაა. ჯერ კიდევ ძილბურანშია ბათუმის ქუჩები, ძილისათვის ვერ იცლის ზღვის ტალღები, გამუდმებით რომ ეხეთქებიან ნაპირს თავისი ძლიერების დასამტკიცებლად.

ზღვის გასწვრივ მარადმწვანე მცენარეებბ ამაყად იცქირებიან. ისინი ერთდროულად სამსვიდესაც გამოსცემენ და სილამაზესაც. ერთ-ერთი ხის ძირას გაგანა იჯდა და ზღვას გაჰყურებდა. შორს იყურებოდა, მაგრამ ფიქრები შინაგან სამყაროს არ სცილდებოდა. ცისკარზე დედას უთხრა სავარჯიშოდ მივდივარო. აქ კი უღონოდ იჯდა, თვითონაც არ იცოდა რა უნდოდა. ასე უხმოდ ეგდო ერთ ადგილს, მერე კი იმავე ქუჩით სახლისაკენ გაეშურა.

გზად ღვთისმშენებლობის შობის ტაძართან შეჩერდა. შეჭირვებული ადამიანები ალაყაფის კარებთან შეგროვებას იწყებდნენ. თითო-ოროლა გროშის შეგროვების იმედით ადგილებს ისე იკავებდნენ, თითქოს პარტერში სხდებოდნენ. სახტად დარჩენილი გოგონა გაქვავებული იდგა ტაძრის შესასვლელთან, თითქოს აქამდე არასოდეს შეუნიშნავს ამ ნაგებობის სილამაზე. — როგორ? განა ყოველ დღეს ამ ქუჩაზე არ დავდივარ სკოლისაკენ მიმავალი? რა დავინახე ახლა აქ ისეთი, რაც არსოდეს დამინახავს? თითქოს თვალი აეხილოა --- ჰოო... მივხვდი... ღმერთო ჩემო, რატომ არის ეს ტაძარი სხვებისათვის ახლობელი, ჩემთვის კი უცხო? თითქოს შუამავალი მჭირდებოდეს მასთან მისასვლელად.

---შეუდექი ქრისტეს გზას --- რადგან ძალამ ჩაცმასა ყურში.

---ეს რას ნიშნავს?

---მოინათლე.

---ეს შეუძლებელია. დედა არ დამთანხმდება.

---აღმსარებლობა თავისუფალია.

---კარგი, თანახმა ვარ.

გოგონამ რალაც ჩაიფიქრა? რამაც მისი თვალებიდან ნათველი გააქრო.

სახლში დაბრუნებულს დედა სალოცავზე დაჩოქილი დახვდა. ის მისთვის გაუგებარ ენაზე თმერთა ევედრებოდა.

დედამ მოხედა და ისე გასძახა:

---ნატა, უჭმელი სკოლაში არ წახვიდე.

---რალაც არ მშია დედიკო.

---იცოდე მეწყინება.

---კარგი, როგორც შენ გსურს ისე იყოს.

ნატა დაგიქრდა... ყოველთვის დედის სურვილის შესრულება უწევდა, ავლა კი ისეთი რამ ჩაუფიქრა, რაც სხვაგვარად უნდა გაეკეთებინა. საქართველოს ისტორიის კითხვა უყვარდა. იცოდა, რომ ქრისტიანობა მისი სამშობლოს ნაწილია.

ჰოდა, სხვანაირად რა გზით შესძლებდა სამშობლოსთან უფრო ახლოს მისვლას? მას კეთების სურვილი ჰქონდა ჩადებული პატარა ჩიტის გულში.

დედის ხათრით წაიხეძა. სარკის წინ გაიკეკლუცა, ჩანთას ხელი დაავლო და მეზობლის ბავშვებთან ერთად სკოლისაკენ გაცქრიალდა.

ნატამ ყველა გაკვეთილი კარგად იცოდა, თუმცა არცერთი გაკვეთილის მოყოლის სურვილი არ ჰქონია. იქნებ ვინმესთვის გამემხილა ჩემი აზრებო. სწორედ ასეთ ადამიანად მისი მერხის მეგობარი აჩიკო მიიჩნია. აჩიკო ჭკვიანია, თანამედროვეა, ქრისტიანია, იქნებ რჩევა-დარიგებაც კი მომცესო. დიდი გამოცდილება არ ჰქონია ცხოვრებაში, მაგრამ ვაჟებს უფრო გამჭრიახად თვლიდა კლასში, ვიდრე სუსტი სქესის წარმომადგენლებს. როცა ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე საუბარს დაიწყებდნენ, ნატა სიცილით კვდებოდა. როგორ შეიძლება ქალი მამაკაცის თანასწორი იყოს. ასე ამბობენ, რომ ქალი მამაკაცის ნეკნისაგან განჩნდაო. ე. ი. ღმერთმა მას მამაკაცის გული არ გაუნაწილა -- გულადი რომ არ ყოფილიყო, გონება არ გაუნაწილა -- ძლიერი რომ არ ყოფილიყო. ხელი არ გაუნაწილა -- შემოქმედი რომ არ ყოფილიყო, ქალისთვის ღმერთმა მხოლოდ ნეკნი გაიმეტა, ანუ სისუსტე. ნატას აზრით ქალი შეეცდებოდა ყველაფერში მამაკაცისათვის მიებადა, მისი ტოლი და სწორი ყოფილიყო. ამიტომ ნატამ თავისი აზრების გასამხელად ვაჟი ამოირჩია.



გაკვეთილების შემდეგ ნატა აჩიკოს წინ გადაუდგა. ნატას ძალიან სერიოზული სახე ჰქონდა.

--- რა გემართება ნატა? ღლეს ვერ გცნობ?

--- შენთან საუბარი მინდა.

--- ისაუბრე მერე, რა გიშლის ხელს?

--- აქ არა, წამოდი ტაძარში შევიდეთ.

--- ოჰო, როდის მერე დაუწყე ეკლესიაში სიარული?

--- ღლეს დიდიდან.

--- კარგი, წავიდეთ.

სკოლისა და ეკლესიის შუაში გიმნაზია იყო. შიშნულით შეწუხებული ბავშვები შემოხვეოდნენ მეფუნთუშეებს. როგორც იქნა გააღწიეს ხალხმრავლობას.

ტაძრის შესასვლელთან აჩიკო შეჩერდა, პირჯვარი სამჯერ გადაიწერა, ჯიბიდან ხურდა ფული ამოიღო და პატარა სკამებზე მსხდომ ქალბატონებს ჩამოურიგა, შემდეგ ნატას მოკიდა ხელი და ტაძრის კბეს აუყვა.

ტაძარში შესვლისთანავე აჩიკო მისტიკურ სამყაროში გადავიდა, მის გვერდით მყოფი ნატა სულ დაავიწყდა. აჩიკო მიდიოდა ხატებთან, იჩქებოდა, პირჯვარს იწერდა, მოკრძალებით ეამბორებოდა და რაღაცას თხოვდა ჩურჩულით. თითქოს გაახსენდაო - ნატასკენ გაიხედა - ბოლიში, დიდი ხანია ეკლესიაში არ შემოვსულვარ, გული ვიჯერე ხატებთან ლოცვით-უთხრა მას.

--- როგორ, იშვიათად შემოდიხარ ეკლესიაში?

აჩიკომ დაიმორცხვა, გამბედაობა ეყო და თავისი ნაკლი აღიარა, რამაც შნო და ეშხი კიდევ უფრო შემატა.

--- იცი, ნატა, - განა ყველა ქრისტიანი ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობს, სულაც არა. ზოგიერთი ორმაგ თამაშს თამაშობს. ეკლესიაში შემოდის, რომ ნაცნობებს მისი ღვთისმომიშობა

აუწყოს, საერო ცხოვრებაში კი უამრავ სიბილწეს ჩადის.

--- აჩიკო, სიტყვა ვეღარ გააგრძელა ნატამ, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ბედავდა.

--- ნატა, იქნებ გამაგებინო ღლეს რა გემართება?

ნატამ ძალა მოიკრიბა და ერთი სულის მოთქმით წინადადება წარმოთქვა:

--- აჩიკო, ჩემგან ქრისტიანი ადამიანი ღადგება?

გაოცებული ყმაწვილი უყურებდა ადამიანს, რომელიც თითქოს სასწორის ერთ მხარეს იდგა, მეორე მხარეს იხრებოდა და ხელით აწვევებოდა, მისი გადაძლევა უნდოდა იმ ადგილიდან, სადაც ის იმყოფებოდა.

ამ დროს ეკლესიის მსახურმა დაიძახა - ნათლობაზე მოსულები მოემზადეთ ნათლობისთვის.

--- ნატა, მოდი მოინათლე.

--- ასე უცებ, ამას მოფიქრება არ უნდა?

--- აქაურობას შენი თვალები შეჰყურებს. მეტი რაღა გინდა? ჯიბეში ფული მაქვს... წინადადება აღარ დაამთავრა, თითქოს გაფრინდა, რაღაცეები იყიდა, ხელი ჩაავლო ნატას და ნათლობის კუთხისაკენ გააქანა.

ნატა მისდაუნებურად გაყვა აჩიკოს. ერთდროულად ორი გრძნობა ბობოქრობდა მასში: შიში და სიხარული. შიში იმის გამო, თუ როგორ უნდა დაბრუნებულიყო სახლში ასეთი ნაბიჯის შემდგომ და სიხარული იმის გამო, რომ ის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი ხდებოდა.

მღვდელმა თავისებურად განალაგა ნათლები და ნათლულები. გაუგებარი ცერემონიის მონაწილე გახდა ნატა. თითქოს სიზმარში იყო, მამოს ხმა ჩაესმა - ნათლობის სახელი მითხარი.

--- მე მინდა სარა ვიყო.

რას ამბობ ნატა, - ხელი მიკრა აჩიკომ - სარას თავისი სურვილი ძალიან გვიან შეუსრულდა. იქნებ გადაიფიქრო. ნუთუ გჭირდება ცხოვრებაში განსაცდელეები?

--- მართალია დიდი განცდები დიდი ადამიანების ხვედრია, მაგრამ ცხოვრება ჩვეულებრივი ადამიანებისთვისაც წინააღმდეგობებით სავსეა.

გაოგნებული უყურებდა აჩიკო თავის მეგობარ გოგონას. თორმეტი წელია ერთ მერხზე სხედან და ღღემდე ვერ იცნობდა თურმე მის სულს.

დამთავრდა ნათლობა. ვაზის ვჯვარი ჩამოჰკიდა გულზე აჩიკომ ნატას. გადაეხვია, მისი

თვალეები ნატას ეუბნებოდნენ, რომ შეეცდებოდა ღირსეული ნათლია ყოფილიყო.

ეკლესიიდან გამოსული ბავშვები სხვადასხვა გზით წავიდნენ. ნატამ შარფი კარგად შემოიხვია ყელზე და ისე შევიდა სახლში. ღიმილი სახეზე შეაშრა. დედა ლოცულობდა.

--- ეს რა ჩავიდინე? - გაიფიქრა ნატამ. დედამ რომ გაიგოს თავზარი დაეცემა. რამდენ ხანსაც შესძლებს, იმდენ ხანს შეინახავს ამ საიდუმლოს. ხვალინდელი დღე უფლისააო. დაე, ასე იყოს.

ნატა გონს მოეგო. დედას ყელზე შემოეხვია. მოეფერა. სკოლის ამბები მოუყვა. სკოლის დამთავრებას ორიოდე კვირა აკლდა. მომავალ გეგმებზე ისაუბრეს. დედა აღტაცებული იყო შვილის გამჭრიახობით, დახვეწილი მეტყველებით, საუბრის დამაჯერებლობით. უყვარდა შვილის შექება, მაგრამ მისი განებივრებისაგან შორს იჭერდა თავს...

ნატა დედასთან ერთად ცხოვრობდა. ქალებს ნებსით თუ უნებლიეთ ხშირად უხდებოდათ ერთმანეთთან შეხება... დრო გადიოდა... ერთხელ საუზმობისას დედა - შვილი პირისპირ ისხდნენ. თითქოს გაახსენდაო - დედამ შვილს ეჭვით შეხედა.

--- ნატა, უკვე რამდენი ხანია ყელზე რაღაცეები გაქვს შემოხვეული. ეს მოდაა, წესად გექცა, თუ, რამე მოხდა ისეთი, რაც მე არ ვიცი? (დედა გუმანით ხვდებოდა რაღაცას. თითქოს ვიღაცამ რაღაც დაასწრო, რაღაც წაართვა, რაღაც გამოუსწორებელი მოხდა).

ნატას სულში თითქოს ბომბი აფეთქდა. რისიც ეშინოდა და კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა, უკვე ის კითხვა იყო დასმული. ახლა მხოლოდ პასუხი იყო სათქმელი. მერე და როგორი პასუხი - მართალი პასუხი, ჭეშმარიტი პასუხი, ქრისტიანისათვის დამახასიათებელი პასუხი. ნატამ პასუხის გასაცემად პირი ისე ნელა გააღო, როგორც მოჭრიალე კარს სჩვევია.

--- დედა, მე მოვინათლე!

ნატა ხმაურმა მოაფხიზლა. დედა სკამიდან უგონოდ დაეცა იატაკზე. ყველაფერი უცებ მოხდა: სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმების შემოსვლა თუ მეზობლების ჩურჩული ოთახის კუთხეში.

დედას დანა პირს არ უხსნიდა. სიტყვა არ დასცდენია მომხდარზე. ყველა წავიდ-წამოვიდა. დარჩნენ ისევ ორნი აქამდე პატარა, მაგრამ ახლა უკვე ორივესათვის დიდ სახლში. ნივთებს თავისი ფუნქცია დაკარგოდათ, არაფერს არავინ



ადარ ესაუბრებოდა, ოჯახში სრული სიცარიელე იყო. იღუმალი, ცულის მომასწავებელი სიჩუმე იყო. ასე გაგრძელდა თვეზე მეტი ხანი. ნატას გარეგნულად სიმშვიდე შენარჩუნებული ჰქონდა. ბოლო ზარი, გამოცდები, ჩვეული სიღინჯით დაამთავრა.

ყველაფერში დედა-ეკლესია ეხმარებოდა. ყოველ დღეს გაკვეთილების შემდეგ მიდიოდა ტაძარში და დიდხანს ლოცულობდა იბერიის ღვთისმშობლის ხატთან. სულიერ დედას ზორციელი დედის გულის მობრუნებას სთხოვდა. ცხოვრებაში უკეთესის მოლოდინში იყო.

დედა კრინტს არ ძრავდა სახლში. უნდოდა ზეგავლენა მოეხდინა შვილზე. ის კი ჯობრზე პატიებას არ ითხოვდა. სიჩუმემ დედა შეამფოთა, ააფორიაქა. შვილის თვალთვალი გადაწყვიტა. რამდენიმე დღის თვალთვალის შემდეგ დედა პანიკაში ჩავარდა. ნატა ერთიდაიგივე მიმართულებით მოძრაობდა ყოველ დღეს-სახლისკოლა-ტაძარი. დედას ძალიან აინტერესებდა რა ხდებოდა ტაძარში. ამიტომაც ჩუმად, მალულად შეიპარა ტაძარში. ნატა საოცრად ლოცულობდა, პირფარს იწერდა მუხლმოდრეკით და ჩურჩულით რაღაცას ევედრებოდა. ნატა ტირიდა. მისი ცრემლების ნიაღვარს თვით კოკისპირული წვიმაც კი ვერ შეედრებოდა.

აღელვებისაგან დედა სულ ერთიანად ცაჩაცახებდა. მიხვდა თავის შეცდომას. ისიც კარგად იცოდა, რომ თავისი გზიდან თვითონ არ გადავიდოდა, მაგრამ სხვის გზაზე გადალობებისათვის სირცხვილის გრძნობამ ლოყები შეუფუკლა.

როგორც ქურდულად შეიპარა ტაძარში, ისევე შეუმჩნევლად გამოიპარა. მის გულში მრისხანება გამქრალიყო. ახლა დარცხვენილი, უნიათო, დამარცხებული და ამასთან განარებული იყო. მისი გადასახედიდან ნატა უფრო მაღლა იდგა, ვიდრე თვითონ. ეს მას სრულიად აკმაყოფილებდა და ამისი შეცვლის არავითარი სურვილი აღარ ამოძრავებდა...



ჯემალ ქათამაძე

არ იქნება, სიამაყით არ ვთქვა; ჯემალ ქათამაძე ციხისძირის მოლივლივე ზღვის, მოკამკამე ცისა და ხავერდოვანი ველ-მინდვრების შვილია, ამიტომაცაა მისი პოეზია ესოდენ სათუთი, ნაზი, ამაღელვებელი და ფერადოვანი. წერდა და ქმნიდა სიტყვაკაზმულ ლექსთა კრებულებს, მაგრამ უპრეტენზიოდ; „მე ოკეანის ერთი პატარა წვეთი ვარ, მაგრამ ოკეანეც ზომ წვეთებისგან შედგება და ოკეანეს შეხლა-შემოხლაში წვეთებიც დებულობენ მონაწილეობას“. ეს სიტყვები პოეტის იმ თავმდაბლობაზე მიგვანიშნებს, რომელიც არ აძლევს უფლებას შოთას, ილიას, ტატოს, გალაქტიონის გვერდით დააყენოს თავი. თუმცა მკითხველი იგრძნობს და შეიტკბობს ჯემალ ქათამაძის პოეზიას, რომლის ლირიკული გმირი მუდამ დასტრიალებს სამშობლოს, მის საგალობელს წარმოთქვამს.

სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლას არასდროს დაავიწყდება დიდი პოეტის სახელი. მრავალი შინაარსიანი, ემოციებით დატვირთული ღონისძიება მიუძღვნა სკოლამ პატიოსან შემოქმედს. წლების მანძილზე ციხისძირის სკოლა პოეტ ჯემალ ქათამაძის სახელს სიამაყით ატარებდა. დღესაც გრძელდება ლალი, ბუნებრივი და ემოციური, ფერადოვანი პოეტური სიტყვის ღაღადი. იზრდება თაობები, მათთვის ჯემალ ქათამაძის პოეზია კვლავაც ჩაუმქრალ კერათა შუაცეცხლიდან ამოკრეფილი ნაკვერჩხლებია, ნედლსურნელოვანი, ძარღვიანი, რომელითაც ჩამოიქნა მთელი პოეტური ელვარება, რომელმაც XXI საუკუნეს გადმოაბიჯა, გვანათებს მისეული ცეცხლით, გვაღელვებს მისეული ზღვის დღევით და გვათბობს მისეული სიყვარულით.

სასაფლაოზე

ჩემი ტოლები უკვე აქ წვანან და მათ საფლავებს რიდით ჩავუვლი. ასე მგონია, იმათ სიკვდილში, თითქოს მე მქონდეს დანაშაული.

გავარდა თოფი და აცილდა მოლალურს ტყვია, იმ გაწბილებულ ტყვიას ახლა სიცოცხლე ჰქვია, რა კარგი დღეა!

დღეს

უშენოდ ერთი გავიდა წელი, გაცივდა გული, სახლი და კერა. შემაჟრიალებს დარდები მწველი, შენი სიკვდილი მაინც არ მჯერა.

გაღიმებული მხვდებოდი სახლში, მონატრებული ყოველთვის ჩემზე, ამხელა კაცი გეგონე ბავშვი, მიხუტებული ღუმილით მკერდზე.

შემოვადებდი ჭიშკარს და ხელად დავიძახებდი ხმამალა: დედა! ახლა რად ტირის ტირიფი ველად, სიცარიელე რად შემეფეთა.

პატარა საფლავს, პატარა ხესთან, ჩემი ცრემლები ბალახებს რწყავენ. მაინც ცოცხალი მგონისარ, დედა, და არ ჩავიცვამ არასდროს შავებს



ღამესიზმრა

წუხელ, ისევ ღამესიზმრა,
 საქართველოს შიოდა...
 ანგელოზის მოსავლენად
 ქალს მუცელი სტკიოდა,
 ღვთის კურთხეულ ქართულ მიწას
 ცრემლი ღვარად სდიოდა,
 ცის წუხილი ღრუბელ-ღრუბელ
 წვიმად ჩამოსდიოდა.
 გიორგი გზას გაჰყურებდა...
 მარიამი სტიროდა...
 ილიას ხმა გაბზაროდა...
 სულხან-საბას სციოდა...
 წუხელ მიწაც კანკალებდა...
 ციდან ქვები სცვიოდა...
 მთვარეს ძალა წართმეოდა...
 ველარ ამოდიოდა...
 ზღვა ნაპირებს აწყდებოდა...
 ქაფი გადმოდიოდა...
 დედას ძუძუ ასკდებოდა...
 შვილი ვერ მიდოდა...
 წუხელ, წუხელ...საზარელი...
 ქარი ურცხვად ჰკიოდა...
 საქართველოს ქართველების
 მთლიანობა შიოდა..

* * *

ჩვენ შეგვეშალა...
 ვერცხლეულისთვის
 გათლილ თაროზე
 ქვიშა დავეარეთ...
 მარგალიტები დავუფინეთ
 ღორებს სადგომში
 დავასამარეთ სამართალი...
 რწმენა გავროზგეთ,
 რადგან კეისარს კეისრისა
 არ ვუწყალობეთ,
 ჩვენ შეგვეშალა...
 ვერცხლეულისთვის
 გათლილ თაროზე
 ქვიშა დავეარეთ....

* * *

წყარომ თქვა: - შევჩერდებიო,
 დარმა თქვა: - გაავადრდებიო
 ზღვამ - გაწოლილმა პირალმა
 ხმელეთად გადავიქცევიო,
 მიწამ, სიცხისგან დამსკდარმა,
 თქვა: - უმიზელოდ ვკვდებიო.
 მთამ - აზიდულმა ზეცამდე:
 ვხედავ, ყველაფერს ვხვდებიო...
 ავღარი უფრო გაავდა,
 თქვა: მე თქვენს გამო ვყვირიო.
 სულმა თქვა: ამგვარ ტკივილებს
 ერთად წაიღებს ჭირიო,
 დროზე დავტოვებ სასახლეს
 არ მინდა მარტოს ღზინიო.
 გული ატოკდა, გადიდა,
 თქვა: - მეც თქვენსავით ვჩივიო
 უნდა შევწყვიტო სიცოცხლე, -
 ასე როდემდე ვივლიო.
 სხეულმა ამოიკვნესა
 სიტყვა რად დავძრა ძვირიო,
 უსულოსა და უგულოს
 შემრჩა ძვალი და რბილიო,
 თვალები - გაორებული
 დამონებული ტვინიო...
 ცამ გაიოცა სამყაროს
 რატომ შეუკრავს პირიო!?
 ლოცვად აქცია ყოველი
 ჩვილს უთხრა: ნუღარ ტირიო.

* * *

...იგი თამადად აირჩიეს,
 გახადეს გმირი,
 ტვირთის ზიდვაში ჩაახამეს
 საწყალი ვირი.
 მახათა ნემსით მოუკერეს
 საცოდავს პირი,
 მისი დარდი მკლავს,
 უმიზეზოდ,
 მე როდი ვსტირი.

კლიმრი სოფელი, კლიმრი აბრარული სექტორი ფერმერთა გაერთიანების ბაზაზე

სოფლის გაძლიერება, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება ქვეყნის ბუნებრივი განვითარების მთავარი და აუცილებელი პირობა უნდა იყოს სახელმწიფოს მხრიდან, სუბსიდიებითა და გრძელვადიანი კრედიტებით გამყარებული.

სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტმა 2013 წლის 6 სექტემბერს ჩაატარა 2014-2017 წლების სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტული პროგრამების წარდგინება. შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ სამინისტროს, აჭარის ხუთივე რაიონისა აგრარული სექტორის თანამშრომლები, დარგის სპეციალისტები, ფერმერები, აგრარული სექტორის ბიზმესმენები. სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული პროგრამების წარდგინება განახორციელა სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ლევან ბოლქვაძემ. მან ვრცლად და ამომწურავად ისაუბრა 2014-2017 წლებში გათვალისწინებული პრიორიტეტული პროგრამების სხვადასხვა და ცალკეულ დეტალებზე.

ბატონმა ლევან ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ აჭარაში მცხოვრები მთისა და ბარის მოსახლეობის, ფერმერების, აგრობიზნესის დაწყების სურვილის მქონე პიროვნების ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავდა 2014-2017 წლებში განსახორციელებელი სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტული პროგრამა. პროექტით გათვალისწინებულია: ფერმერული მეურნეობის განვითარება, სადემონსტრაციო აგროსერვის ცენტრების სრულყოფილი გამართვა, მიზნობრივ პროგრამებში მოსახლეობის ჩართულობის აქტუალობა, ფერმერთა საკონსულტაციო სამსახურის უწყვეტი მუშაობა, მიწის დათმუებების მექანიზმული ფორმით უზრუნველყოფა (მოტობლოკების მიწოდება

თანადაფინანსებით), ნიადაგის გაკულტურება (მომეტებული მჟავიანობის მქონე მიწისთვის



კალციუმის შემცველი დეპეკაციური ტალახის შემოტანა თანადაფინანსებით), მცენარის მავნებელ დავადებათა პრევენცია (მინერალური სასუქების შესყიდვა), კარტოფილის მექანიზმული სარგავის, სათიბელა მოტობლოკებისა და სარეველა მცენარეების ჩამცეხის მიწოდება. (თანადაფინანსებით), მებოსტნეობის, მეთესლეობის განვითარების ხელშეწყობა (სათბურების მიწოდება თანადაფინანსებით), მრავალწლიანი კულტურების ფერმერებზე მიწოდება (სუბტროპიკული ხურმა, 100 ათასი კაკლის ნერგი, კივი, მოცვი და სხვა), გაეროს პროგრამით ხილის გადასამუშავებელი საწარმოს გამართვისთვის ფერმერთა ხელშეწყობა, მეცხოველეობის განვითარებისთვის ჯიშთგანახლების სადგურების ამოქმედება, რძის გადამამუშავებელი ხაზი-აპარატურისა

და რძის სეფერატორის მიწოდება. მეფუტკრეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა (თაფლის საწურის და სკის მიწოდება თანადაფინანსებით), სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (როგორც აქ წარმოებულის და შემოტანილის) სერტიფიცირება სურსათის ეროვნული სააგენტოს („აისოს“) მიერ. ამ და სხვა მიზნობრივი (2014-2017 წლების) პროგრამისთვის გათვალისწინებულია 3 მილიონ. 030,300 ლარი.

პრიორიტეტული პროგრამის წარდგინება-განხილვის შემდეგ ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსს ლევან ბოლქვაძეს.

- ბატონო ლევან, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბუნებრივია მთლიანობაში აქვს სამამულო პროდუქციის წარმოების სტრატეგიული განვითარების გეგმა და რაში მდგომარეობს იგი?

- ძლიერი სოფელი, ძლიერი აგრარული სექტორი, უვნებელი სასურსათო პროდუქცია, ჩვენი მოსახლეობისთვის. ამას ემსახურება, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტრო თავისი ყველა ხუთივე მუნიციპალიტეტში შემავალი რგოლებით, ასევე აგროსერვის ცენტრები თავისი ლაბორატორიებით. ყველა მოწოდებულია იმისთვის, რომ ჩვენთან ერთი ძირითადი დიდი პროგრამა: - ფერმერული მეურნეობების განვითარებისთვის ხელშეწყობაა მთავარი თვალთხედვის საზომი, - ვინაიდან ეს პროგრამა მთლიანობაში არის იმ დიდი სტრატეგიული ხედვის ნაწილი, რომელიც შემუშავებულია 2014-2017 წლებისთვის - ძლიერი აგრარული სფერო. რა გზებით შეიძლება ამის მიღწევა. - მოგეხსენებათ, ჩვენი რეგიონი მცირემიწიანია, თავისი მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობიდან გამომდინარე საშუალოდ ფერმერი, კერძო მეურნე, რომლის საკარმიდამო მიწის ფონდი დაწყებული ზოგან 500 კვ. მ-დან აღწევს 5 000 კვ.მ; იშვიათად ერთი ან ორი ჰექტრის მფლობელი ფერმერი. ამ მოცემულობაში არ შედის ქობულეთის ჩაის გადაამუშავებელი „აგროფირმა“, რომელსაც 400 ჰექტარი მიწა აქვს გაპიროვნებული და შპს „მარადილი“ 50 ჰექტარით.

გვინდა, რომ ჩამოყალიბდეს ფერმერული მეურნეობების გაერთიანება. ფერმერები გაერთიანდებიან მათი სურვილითა და ნებაყოფილობით. ფერმერებს ექნებათ საშუალება შეადგინონ მათი კუთხისთვის დამახასიათებელი პრიორიტეტები. ამ ფორმით გაერთიანებულ ფერმერებთან და აგროფირმებთან სამინისტროს უფრო უადვილდება მუშაობა. ასეთი გაერთიანების და ფირმისთვის განმსაზღვრელი იქნება ერთი ძირითადი დარგი სხვა თანმდევ დარგთან ერთად, ისინი ერთი სახელითა და პირობით ჩამოყალიბდებიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე, ხარისხზე და რაოდენობაზე. ფაქტია ისიც, რომ მცირე ბიზნესი აუცილებლად განსავითარებელია, პროგრამის აქტუალობიდან გამომდინარე ჩვენი მიზანია მოსახლეობაში გავავლით მოთხოვნები პროგრამაში ჩართულობაზე. ჩვენს პრიორიტეტულ პროგრამას აქვს არა მარტო დარგის განვითარების დატვირთვა, არამედ სოციალურიც. პარალელურად სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე არის მიმართული აღნიშნული პროგრამები. დიდი ბიზნესის გვერდით შესაძლებელია მცირე და მარტივი აგრობიზნესის კეთება, რომლის ფინანსური შემოსავალი ერთ სრულფუძიანი ოჯახის მოთხოვნებს სრულად დააკმაყოფილებს. მთავარია მონდობა, საქმის ცოდნა (ასალი ტექნოლოგიებით) და გამოცდილების მიღება. ამისთვის ჩვენი აგროსამსახურები მზად არიან კონსულტაციები გაუწიონ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

- ბატონო ლევან, რამდენად არის დაცული ჩვენი მოსახლეობა (მომხმარებელი) ბაზარზე შესყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (როგორც ჩვენთან წარმოებულის, ისე საზღვარგარეთიდან შემოტანილის) ვარგისიანობითა და ჯამრთელობისთვის-უვნებლობით. რომელი სააგენტოები აწარმოებენ სურსათის სერტიფიცირებას. ამჟამად რა პროდუქტები გაგვაქვს ჩვენი ქვეყნის გარეთ?

- სურსათის ეროვნული სააგენტოს მონაცემით ბაზარზე არსებული ოცდაათი პროცენტი სურსათისა არ შეესაბამება ქვეყნის მიერ დადგენილი ნორმატივის მონაცემს. ეს პროდუქცია ამოსაღებია. ქვეყნის საზღვარს გადმოკვეთილი პროდუქცია უნდა შემოწმდეს.

ფიტოსანიტარული კარანტინი აკონტროლებს საზღვარზე გადმოკვეთილ პროდუქციას, ჩვენმა ლაბორატორიამ დაადგინა მიმდინარე წელს სასაზღვრო-საბაჟო ზოლში შემოსული 200 ტონა კარტოფილის უვარგისობა და უკან მიუბრუნა გამოძგზავნა ქვეყანას. საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი სურსათის კვლევის შესახებ. პროდუქციას უნდა ჰქონდეს „აისოს“ სერთიფიკატი, ადგილზე უნდა მუშაობდეს სურსათის ეროვნული სააგენტო. ჩვენთან წარმოებულ საექსპორტო პროდუქცია სერთიფიცირდება „გლობალსტანდარტის“ (გერმანული სტანდარტის) მიერ. აქ წარმოებულმა ციტრუსმა მიიღო ევროსტანდარტის სახე. ორთაბათუმის მეციტრუსეობის ასოციაციამ ავსტრიაში გაგზავნა სასინჯი 50 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, რომელმაც მოწონება დაიმსახურა. „გლობალსტანდარტის“ ლაბორატორიაში ხარისხით ბრენდირებული პროდუქცია ბაზრისთვის იქნება კონკურენტუნარიანი. რაც შეეხება ჩაის პროდუქციას ევროსტანდარტის ღონეზეა სერთიფიცირებული. „გლობალსტანდარტის“ ხარისხის მისაღებად ჩვენს ფერმერებს სჭირდება ცოდნა და მეტი გამოცდილება... საქართველოში წარმოებული თაფლის პროდუქციის ხარისხის სტანდარტის მისაღებად აუცილებელია აშენდეს თაფლის გადასამუშავებელი ქარხანა, ამისთვის ორ მილიონი ლარია საჭირო.

- მრავალწლიანი კულტურების დანერგვის მიზნით რა სიახლეებს უნდა ელოდოს მომავალში ჩვენი ფერმერები?

- ჩვენი რეგიონი მდიდარია მრავალწლიანი კულტურებით. ჩვენ ძირითადი აქცენტი ავიღეთ ისეთ მრავალწლიან კულტურებზე, რომელიც მეტ ეკონომიკურ შემოსავალს და მოგებას მისცემს ჩვენს ფერმერებს, ეს პროდუქცია კი ევროკავშირის ქვეყნებისთვის იქნება მოთხოვნილების მქონე. ჩვენ ვქმნით ისეთ პრეცედენტს, როცა ჩვენს ფერმერებს მაქსიმალურად შეეძლებათ გამოიყენოს მის ირგვლივ ყველა მიწის რესურსი. ჩვენი კუთხე მდიდარია ხილის რესურსით, ამ მრავალფეროვანი და მრავალწლიანი კულტურებიდან ფერმერებს ვთავაზობთ მეტი სარგებლიანობის მქონე კულტურულ ჯიშებს: მოცვი, კაკალი, თხილი, სუბტროპიკული ხურმა, ვაზი, კივი. მაღალ-

თიან რეგიონში სადაც მეწყერსაშიშია და სხვა კულტურების დანერგვა არაეფექტურია, მიზნობრივი პროგრამით კაკლის გაშენება მოსახლეობას მოუტანს კარგ შემოსავალს, თანაც კაკლის შენახვა და რეალიზაცია ადვილია. კაკლის გაშენება გაამყარებს მიწას თვითდატერასებით. მთის მრავალ ადგილზე მოცვის გაშენება მნიშვნელოვან ფინანსურ შემოსავალს მოუტანს ჩვენს მოსახლეობას. მაგალითისთვის ერთ ჰექტარზე შესაძლებელია სამ ტონამდე მოცვის მიღება. 1 კგ 5 ლარად მოგვცემს 15 000 ლარს. სუბტროპიკული ხურმის გაშენება შეიძლება შუახევამდე. მოთხოვნილება მასზე დიდია უკრაინაში, ასევე შემოთავაზება გვაქვს რუსეთიდან. ქედაში და შუახევში მოწვეულმა ყურძნის ფასმა: ცოლიკაურის - 1.70 ლარი, ჩხავერის - 3.50 ლარამდე გაიზარდა. „აიპი“ აწარმოებს ვაზის ნერგებს: ჩხავერი, ცოლიკაური. მისი მიღება ხელმისაწვდომია ყველა ფერმერისთვის. მომავალში გაიზრდება ყურძნის მოსავალი, იგი ქედა-შუახევში 500 ტონამდე მიაღწევს. ჩხავერზე და ცოლიკაურზე მოთხოვნილება დიდია, თბილისის „კახური ღვინის მარანმა“ ჩვენთან გააფორმა ხელშეკრულება. ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს როგორც ეკონომიური შემოსავლების ზრდას, აგრეთვე ფერმერები შეიძენენ მათთვის საჭირო ტექნიკას.

კარგად გვინდა შევისწავლოთ ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნის ღონე. დაბალი ზონისთვის მთლიანად, სადაც ციტრუსის მოყვანა ჭირს, უნდა განვითარდეს მებოსტნეობა. სათბურების გამოყენება და მასზე მოთხოვნა მომავალში გაიზრდება. ქალაქ ბათუმის გარე უბნებში, ქობულეთში შესაძლებელია სათბურების ფართო მასშტაბით გამართვა. მებოსტნეობით ქობულეთში მსხვილი ბიზნესი და სხვა ინვესტორები არიან დაინტერესებულები. 50 კვ. მ-ის მქონე სათბურის გამართვით შესაძლებელია შვიდ სულიანმა ოჯახმაც საკუთარი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს და ბაზარზეც გაიტანოს მის მიერ წარმოებული პროდუქცია.

- ციტრუსოვანი მოსავლის გასაღება (მიმდინარე წელს) როგორ მოხდება, რა გზებით?

- საჭიროა ახალი ტექნოლოგიების დანერგვით ყოველწლიურად ციტრუსის წარმოე-

ბის თანაბარი რაოდენობის მოსავალი მივიღოთ. სხვათაშორის ციტრუსის მოსავლის ჯერადობა ყოველწლიურობით უნდა შევცვალოთ. წელს ფერმერები 100 ათასი ტონა ციტრუსის ნაყოფს მოიწვევენ,ოქტომბრის ბოლოს გვექნება გამართული 15-20 მიღება-გადამუშავების (დამხარისხებელ-შემფუთავი) თანამედროვე ხაზები, რომლებიც პარალელურად გადამზიდავ - გამსალბებელ კომპანიებთან იქნებიან მიბმულნი ხელშეკრულებით. ფერმერს აღარ ექნება პრობლემა ციტრუსის გასაღებაზე. წელს მევენახეებზე გაწეული დახმარების მსგავსად განსაზღვრულია სუბსიდიების გაღება ინდუსტრიის განვითარებისთვის. ამ სუბსიდიით ჯერ ფერმერთან მივა თანხა,მერე ციტრუსის შემსყიდველთან. ეს მექანიზმები კარგად გვაქვს დახვეწილი. წელს რუსეთში ციტრუსის რეალიზაცია მოსახერხებელი იქნება. რუსეთის სანიტარული სამსახურის წარმომადგენლებმა ჩვენთან სტუმრობისას მოიწონეს ჩვენთან წარმოებული პროდუქციის ხარისხის განსაზღვრულობა (პროდუქციის შემოწმება, ხარისხის სტანდარტი), ფიტოსამსახურის მუშაობა ჩვენს საბაჟოებზე და განაცხადეს: დღეიდან ქართულ ჩაის, ციტრუსა და თხილს რუსეთის ბაზრისკენ გზა ხნილი აქვს.

- ბატონო ლევან, მოგეხსენებათ კომუნისტურ ეპოქაში მიწის არასწორმა გამოყენებამ ნიადაგი გამოფიტა და არარაციონალური გახდა. როგორ ხდება ამჟამად ნიადაგის კვლევა (გაჯანსაღება), სათანადო ღონისძიებების გატარება?

აჭარაში ამჟამინდელი მონაცემით გვეყავს 55 000 ფერმერი, ნიადაგის საერთო სახე-სურათი (ნიადაგის შემადგენლობა) რომ გვცოდნოდ, ჩვენ ავიღეთ ას-ასი მიწის სინჯი კუთხის ყველა პერიმეტრზე ქობულეთიდან ხულომდე; ყველა თემში, ყველა სოფელში (პატარა დასახლებებშიც კი მაგ. ცეკვა, ვარჯანაული) ფერდობი-ექსპოზიცია არ გამოგვიტოვებია. რა პირობები და პრობლემები აქვს მიწასთან დაკავშირებულ ფერმერს. ყველაზე მეტად, რაც შემოწმებამ (ნიადაგის სინჯებითა და ლაბორატორიული კვლევით) დაგვანახა ქობულეთის, ხელვეჩაურის, ნაწილობრივ ქედის მიწა არის მჟავე ნიადაგიანი. მასში სასარგებლო ნივთიერება ნაკლებია და მცენარე

ფესვს ვერ ინვითარებს, (განსაკუთრებით ეს აისახება ბოსტნეულზე). ამისთვის საჭიროა „ქიმიური მელიორაცია“, ნიადაგის გაჯანსაღება. დაგეგმილი გვაქვს ორი ათას ხუთას ფერმერის - დაახლოებით 800 ჰექტარი მიწა „გავაკულტუროთ“ - შემოგვაქვს „დეპეკაციური ტალახი“ (შაქრის ჭარხლის ანარჩენი გორის ქარხნიდან) რომელშიც კალციუმის შემცველმა 3ნ პროცენტია და ნიადაგში „დეპეკაციური ტალახის“ შეტანის შემდეგ, 15-20 წლის განმავლობაში ნიადაგს აღარ დაჭირდება მჟავიანობისგან განეიტრალება. გაზაფხულზე ჩატარებული ეს პროცედურა შემოდგომაზე აისახება მოსავლიანობაზე.

- ბატონო ლევან, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის წელს გამოიყო ორი მილიარდი დოლარი, როგორი ასახვა ჰქონდა ჩვენს რეალობაზე.

ბიზნესზე (სოფლის მეურნეობის განვითარებაზე) ორიენტირებული ფინანსური უზრუნველყოფის ხელშეწყობა იყო ეს ბანკების საშუალებით - კრედიტების სახით. სულ 14 მიზნობრივ პროგრამაზე იყო გათვლილი. მთლიანობაში გამოყოფილი თანხიდან 700 მილიონის ათვისება მოხერხდა. აქედან 400 ათასი - აჭარაში ბანკებმა სესხები გასცა სოფლის მეურნეობის ბიზნეს გეგმებზე. ჩვენმა ფერმერებმა და აგრობიზნესით დაინტერესებულმა პირებმა სოფლის მეურნეობის დარგზე მორგებული ბიზნეს -პროექტით, (სადაც გაწერილი იქნება შემოსავალ-გასავალი ფინანსური ფორმით) უნდა მიმართონ საფინანსო ინსტიტუტებს. ურთიერთდამაჯერებელი შეთანხმების საფუძველზე ნებისმიერი მსურველი მიიღებს ბანკიდან სესხს. მოვიყვან ასეთ მაგალითს - ადლიელმა წულუკიძემ ბანკს წარუდგინა ბიზნეს-გეგმა საბუღალტრო აღწერილობის ანგარიშგებით, უაპელაციოდ მიიღო ბანკიდან სესხი, 200 კვ.მ. კაპიტალური სათბურის ასაგებად. მთავარია ჩვენმა ხალხმა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მიმდინარე საქმიანობა თავის თვალსაწიერში მოაქციოს, ახალ დარგობრივ რეალობებს საქმის შესწავლით და გამრჯე შრომით გაამყაროს. ურთიერთმომგებიანი საქმიანობით სოფელიც გაძლიერდება და ქვეყანაც წინ წავა.

**ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოს საზღვაო
ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარების შესახებ***

საზღვაო ხელისუფლების ახალი ბიზნეს-გეგმის ძირითადი მიზნები:

1. საზღვაო ხელისუფლების (საზღვაო სააგენტოს) გადაქვემდებარება ახალ მინისტრთა კაბინეტზე;
2. ჰიდროგრაფიული სამსახურის დაქვემდებარება საზღვაო მართველობას (მხოლოდ მოქმედების კოორდინაცია)
3. საერთაშორისო ჰიდროგრაფიულ ორგანიზაციაში შესვლა;
4. „შავი ზღვის დაცვის ინსპექციის“ - ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სტრუქტურაში დაბრუნება, რომელიც ადრე შედიოდა ამ სამინისტროს შემადგენლობაში, მაგრამ შემდგომ მისი ეფექტურობა დაყვანილი იქნა ყველაზე დაბალ დონეზე;
5. საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში სანავიგაციო შეტყობინების და გაფრთხილებების, მეტეო გაფრთხილებების გადაცემის სისტემების დანერგვა;
6. IMO-ს 9 საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია) კონვენციასთან სასწრაფო მიერთება ასევე „საწვავით დაბინძურების პასუხისმგებლობის“, „ბალასტური წყლების მართვის“, MARPOL-ის (გემებიდან დაბინძურების თავიდან აცილების საერთაშორისო კონვენცია) მექვესე დანართის და ILO-ს (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია) კონვენციის „მეზღვაურთა ახალი შრომის პირობების“ შესახებ და ასევე არანაოსნობის სახეობების წყალგაზების მოხმარების საერთაშორისო კონვენციებთან მიერთება;
7. საერთაშორისო ჰიდროგრაფიულ ორგანიზაციაში საზღვაო ელექტრონული და ნავიგაციური რუკების ამონაჭრების დამტკიცება საერთაშორისო დონეზე (პოლიტიკურად

- მნიშვნელოვანი მომენტი საქართველოსთვის, რადგანაც რუსეთს აქვს პრეტენზია ჩვენი რეგიონისათვის საზღვაო რუკების გამოცემაზე, განსაკუთრებით აფხაზეთის რეგიონისთვის);
8. სანაპირო დაცვის ფუნქციების გადახედვა, ზოგიერთი პოლიციური ფუნქციების მოხსნის სახით;
 9. I-ს რეზოლუციის თანახმად აღიარებული ორგანიზაციების რაოდენობის აღდგენა და გაფართოება; (კერძოდ უკრაინულ, თურქულ, ქართულ, ბერძნულ გემებზე ტექნიკური ზედამხედველობის განმარტოვებული აღიარებული ორგანიზაციების აღიარება);
 10. საზღვაო ხელისუფლების პირდაპირი კავშირის აღდგენა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან;
 11. ევროკავშირის მოქმედების აქტივიზაცია საზღვაო განათლების სისტემის აღიარების საკითხში; (დღევანდელ დღემდე არავითარი მხარდაჭერა არ იყო სახელმწიფოდან, სამინისტროებს ყოველთვის ეკავათ პასიური დამკვირვებლის პოზიცია), იმ შემთხვევაში თუ ეკონომიკის და ევროინტეგრაციის (გ.ბარამიძე) სამინისტროებს, რომ მიეღოთ ჩვენს მიერ შეთავაზებული აქტიური და დაბეჯითებითი პოზიცია უსაფრთხო ნაოსნობის ევროსააგენტოსთან პირდაპირ შეხვედრაზე, მაშინ 2010 წელს ევროპა არ შეაჩერებდა ჩვენი საზღვაო დიპლომატიის აღიარებას.
 12. საზღვაო აკადემიის სტრუქტურისა და სტატუსის შეცვლა;
 13. საზღვაო სასწავლო დაწესებულებების ასოციაციის შექმნის იდეის მხარდაჭერა და მათი ინკორპორაცია საზღვაო განათლების სფეროს შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში.

* გაგრძელება. (დასაწყისი იხილეთ ჟურნალი „ლაკლავი“ 1, ივნისი, 2013 წ.)



ნიზაციებში;

14. საქართველოს საზღვაო განათლებაში კლასტერის შექმნა;
15. ევროპული პრაქტიკის შესაბამისად დისტანციური საზღვაო განათლების სისტემის ჩამოყალიბება;
16. დამტკიცდეს „ზღვაში ნავთობის ავარიული ჩაღვრის ლიკვიდაციის ეროვნული გეგმა“;
17. გადაიხედოს სამხედრო-საზღვაო კონცეპცია ფოთში ნავსადგურებისა და საზღვაო-სამხედრო ბაზების დაცვის საკითხში (როგორც მინიმუმ, მიწების და წყალქვეშა-დივერსიულ საფრთხესთან ბრძოლის საკითხში);
18. საზღვაო ხელისუფლებაში შეიქმნას მცირე ქვეგანყოფი, როგორც ნავსადგურების საჯარო ადმინისტრაცია;
19. გადაიხედოს საკითხი სახელმწიფო ჯილდოებით კონკრეტული პირების დაუმსახურებელი დაჯილდოების კანონიერების (ი.მარაბიძე - საზღვაო აკადემიის უფროსი და გ.უნაპკოშვილი), მაშინ როცა საზღვაო ტრანსპორტის დამსახურებული თანამშრომლები (თ.ხოხობია - ფოთის ნავსადგურის უფროსის მოადგილე და ვ.თავბერიძე - ფოთის ნავსადგურის კაპიტანი, რომლებიც 2008 წ/ აგვისტოს ომის დროს, პირველი დღეების ინტერვენციის პირობებში, როცა ფოთის ნავსადგურის პრაქტიკულად მთელი ხელმძღვანელობა გაიქცა, დარჩნენ თავიანთ ადგილებზე და საომარი პერიოდის პირობებში ახორციელებდნენ ფოთის ნავსადგურის შეუჩერებელ მუშაობას) დარჩნენ ყოველგვარი ყურადღების გარეშე სახელმწიფოს მხრიდან და ბოლოს კი დარჩნენ სამუშაოს გარეშეც.
20. საზღვაო ხელისუფლებისათვის შემუშავდეს ბიზნეს გეგმა 5-10 წლის პერიოდით, რაც მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა საზღვაო ხელისუფლებისათვის (კანადელი ექსპერტების მიერ მომზადებული ბიზნეს გეგმა გადაგებული იქნა ეკონომიკის სამინისტროსა და ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიერ, რადგან არ ჯდებოდა მათ კონცეპციაში, როგორც დარგის მართვის ავტორიტარული და ვოლუნტარული მეთოდი);
21. სანაოსნო კომპანიის ჩამოყალიბება-ძალიან პერსპექტიულია, მაგრამ არაა რეკომენდებული მისი შექმნა, როგორც სახელმწიფო დაწესებულება და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე (გადასახდლების გადამხდლების ფული). მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო სანაოსნო კომპანიას არ შეუძლია ეფექტური არსებობა. საჭიროა შეიქმნას მასტიმულირებელი საგადასახადო სივრცე სანაოსნო საქმიანობაში ინვესტიციების მოსაზიდად, მაგალითად, სანაოსნო კომპანიები 5 წლით განთავისუფლდნენ ყველა გადასახდლებისაგან, დადგინდეს საშელ-ავათო კრედიტები გემების შესასყიდად, მათ შორის საგადასახადო პრეფერენციები ბანკებისათვის ნაოსნობაში ინვესტირების შემთხვევაში, მაგრამ იმ პირობით: მართვა, ეკიპაჟი - ყველაფერი ადგილობრივი. დაწყებული ნულოვანი საგადასახადო დაბეგვრით, 5 წლის შემდეგ შეიძლება 4 პროცენტისანი საგადასახადო დაბეგვრის შეყვანის დაწყება და შემდგომი 10 წლის განმავლობაში 10 პროცენტამდე მიყვანა და ასე შემდეგ.

ის პოლიტიკა, რომელიც განხორციელებული იყო ბოლო 2 წლის განმავლობაში სამინისტროში გემების რეგისტრაციასთან დაკავშირებით იყო არასწორი, რადგანაც მიზნად ისახავდა ძველი ფლოტისგან განთავისუფლებას (თავის დაღწევას) გემების პრიმიტიული გზით რეგისტრაციიდან მოხსნით და იმ იმედით, რომ იქნებოდნენ ახალი გემები, რომლებიც მოექცეოდნენ მხოლოდ საერთაშორისო საკლასიფიკაციო საზოგადოების ასოციაციის წევრი ქვეყნების ზედამხედველობის ქვეშ. შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ვინც ლე-ბულობდნენ ასეთ გადაწყვეტილებას ბოლო

ორი წლის განმავლობაში აბსოლუტურად არ ჰქონდათ წარმოდგენა ნაოსნობის ფინანსურ ბუნებაზე. პრობლემა რთულია, მაგრამ მე შევეცდები ავხნა მარტივად - ახალ გემებს (10 00 000 ევრო) არავინ ყიდულობს ნაღდი ფულით, მხოლოდ საკრედიტო და მორტგეიჩი სხემით, შესაბამისად როცა თქვენ მიმართავთ ბანკს კრედიტისათვის, თქვენ უნდა ჩადოთ ეს გემი და აქ წამოიჭრება საკითხი, სად რეგისტრირდება გემი (ვისი დროშის ქვეშ). ჩვენთან 1998 წლიდან, როცა ჩვენ ვიწყებდით ღია რეგისტრაციას ზუსტად კობირებული იყო გემის რეგისტრაციის სტანდარტული წესები და მორტგეიჩის კვიპროსის და მალტის წესები, მაგრამ ჩვენ არ გვქონდა ბანკების ნდობის ასეთი ფაქტორი ქვეყნის შიგნით არასტაბილურ პირობებში. ჩვენ ორჯერ ვეცადეთ ბანკებთან პრობლემების გადაწყვეტას, (ეგრეთწოდებული საქორწილო კონტრაქტი), იყო შეხვედრები ლონდონში, მაგრამ საქორწილო კონტრაქტი არ შედგა. ამიტომ ჩვენ გვყავდა მცირე გემთმფლობელების გემები, რომლებიც ყიდულობდნენ ძველ გემებს შედარებით მცირე თანხებით (1-5 000 000) ევრეთ წოდებული ნაღდი ფულით, შესაბამისად მათ არ შეეძლოთ თავისთვის ნება მიეცათ ძვირფასი პირველი კლასის საზოგადოების ტექნიკური მომსახურებისათვის და ამასაც დაემატა ქვეყნის პოლიტიკური პრობლემები (კონფორმაცია რუსეთთან, რომელმაც გამოიყენა 2005 წლიდან საერთაშორისო კონვენციის მექანიზმი ჩვენი დროშის ქვეშ მცურავ გემების მიმართ, ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები წარვადგინეთ საგარეო საქმეთა სამინისტროში და თანდართულია საქართველო-რუსეთის წინააღმდეგ სასამართლო მასალებთან სტრანსპორტის სასამართლოში), საზღვაო ადმინისტრაციის სტრუქტურებში არა ერთჯერადმა რეფორმებმა ითამაშა ნეგატიური როლი ტექნიკური მდგომარეობის საკითხებში, რომელიც პრიმიტიულად დადიოდა პერსონალის სისტემატიურ შემცირებაზე, რომლებიც 3-6 თვის მანძილზე იყვნენ დათხოვნილები და არ შეეძლოთ შეესრულებინათ თავიანთი ვალდებულებები (ბოლოს და ბოლოს ჩვენ აღარ შეგვრჩა

დროშის ინსპექტორი). რაც შეეხება მაღალი რისკის კატეგორიაში ყოფნის პრობლემებს ეს ჯერ კიდევ 1993 წლიდან წარმოიშვა, როცა ასეთ სიაში პარიზის მემორანდუმმა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს 56 გემის გულისთვის 1993 წლის შუაში შესაბამისი წერილი მიღებული იყო გენერალური მდივნის ბატონ შელერის მიერ), არა იმიტომ, რომ ჩვენ დავიწყეთ ღია რეგისტრაცია 1998 წელს;

22. გადაიხედოს საზღვაო სააგენტოს მოსაკრებლების სტრუქტურა, გაუქმდეს მოსაკრებლები მეზღვაურებიდან, დაბრუნდეს მოსაკრებელი გემების რეგისტრაციიდან, გადაიხედოს გემების მოსაკრებლის ნუსხა. მიზანშეწონილია შემცირდეს რაოდენობა უცხო ელემენტების ხარჯზე, როგორცაა სააგენტოში დანერგილი პოლიციური მეთვალყურეები და დამყარებულ იქ, როგორც გამოსასწორებელი განყოფილებების ზედამხედველობის დეპარტამენტი. მოხდეს ზოგიერთი კატეგორიის სპეციალისტების რაოდენობის ოპტიმიზაცია-მაგალითად სრულებით გაუმართლებელია ხუთი იურისტის ყოფნა (თავის დროზე მათი რიცხვი იყო მხოლოდ სამი და იყვნენ უფრო პროდუქტიულები), ასევე ეკონომისტები - სააგენტოსთვის საკმარისია ორი ფინანსისტის ყოფნა, (მათ შორის ბუღალტერის)

23. ახალი საზღვაო ნავსადგურების განვითარება - საჭიროა ეს საკითხი მოყვანილ იქნას გონივრულ ცივილიზირებულ პროცესში, როდესაც პრიორიტეტული გახდება არა ადამიანთა გარკვეული ჯგუფის პირადი სურვილი ააშენონ ნავსადგური - საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე, ეკოლოგიური და ეკონომიკური ექსპერტიზის გარეშე, უსაფრთხო ნაოსნობის შეფასების უზრუნველყოფის გარეშე (ორივე პროექტი - ლაზიკას და სუფსის, მშენებლობა იწყება და საპროექტო დოკუმენტაციის და მათი ექსპერტიზის გარეშე), რამედ პირველ რიგში ჩატარებული იქნება ზემოაღნიშნული ექსპერტიზის სახეობები და ამის შემდეგ გადაწყვეტილი იქნება ნავსადგურების მშენებლობების საკითხი. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ლაზიკის მშენებლობა პირველ რიგში მიაყენებს კოლოსალურ ზიანს ბათუმისა და

ფოთის ნავსადგურებს (დააფრთხობს უკვე არსებულ ინვესტორებს, მაგალითად ბათუმში იგეგმება ახალი გადაამტვირთავი ტერმინალის მშენებლობა მეცხრე ნავმისადგომზე, ხოლო ფოთში იგეგმება საკონტეინერო და მარცვლის ტერმინალების მშენებლობა). ამის გარდა, საჭიროა საკითხის შესწავლა-არსებობს თუ არა საერთოდ საკმარისი ტვირთნაკადების საჭირო მოცულობა ამ ნავსადგურებისათვის, იმ პირობებში, როცა უკვე არსებული ნავსადგურები ვერ იყენებენ თავიანთ სიმძლავრეებს (მაგალითად ყულევი აშენებულია 20 000 000 ტონა ნავთობის გადამუშავების სიმძლავრით, ხოლო რეალურ შემთხვევაში გაჭირვებით მოიძებნა 5-6 000 000 ტონა), და მზად არის თუ არა რკინიგზა, რომელსაც აქვს თავისი პრობლემები (ხაშურის კვანძი), გაატაროს ტვირთის ასეთი მოცულობა (რომლის მოცულობა ძალიან საეჭვოა) ჩვენ კორიდორზე გამავალ ტვირთების მოცულობაზე გავლენას ახდენს საქართველოსა და აზერბაიჯანის რკინიგზების შეუთანხმებელი სატარიფო პოლიტიკა. ახალი სუფსის ნავსადგურის მიმართ ასევე ვარაუდობდნენ ნავთობის, მარცვლის და ჩასაყრელი ტვირთების, 40 000 000 ტონა სიმძლავრის ტერმინალების მშენებლობას. ასევე მისაღებია მხედველობაში, რომ სუფსის რაიონში არსებობს „მინებისაგან ყოფილი საშიში ზონა“ რომელიც არ არის გამოკვლეული და არავინ არ იცის თუ რა მოხდება თუ ფსკერზე ნამდვილად რამე არის, რადგან ყულევის მშენებლობის დროს გაუენებელყოფილი იყო 87 მინა და ბომბი და მხოლოდ საკვირველმა გამართლებამ გადაგვარჩინა უბედური შემთხვევისგან.

მიაქციეთ ყურადღება არსებული ნავსადგურების ჯამურ სიმძლავრეს-ყულევი 20 000 000 ტ; ფოთი 8 000 000 ტ; სუფსა ტერმინალი 5 000 000 ტ; ბათუმი 11 000 000 ტ. სულ 46 000 000 ტ; რომლებითაც იგეგმება დაემატოს ახალი ნავსადგური სიფსა 40 000 000 ტ; ლაზიკა -??? ალბათ არა ნაკლებ 40 000 000 ტ. ანუ კიდევ მივიღებთ დამატებით 80 000 000 ტ.?! რისთვის?! სად ვნახავთ 126 000 000 ტ. ტვირთს? ასეთ მოცულობას ევროპელი ექსპერტებიც კი არ გვემავდნენ მსოფლიო

კრიზისამდე საუკეთესო წლებში TRACEKA-ს კორიდორისათვის. საჭიროა მშენებლობას მიეცეს ეკოლოგიური და ჰიდროლოგიური შეფასება ამ რაიონების ეკოლოგიურ ზემოქმედებაზე ისეთი უზარმაზარი ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობაზე, როგორიცაა ტალღებდამცავი ნაგებობები და ნავსადგურების ნავმისადგომები. მოქმედ ნავსადგურებში ჩვენ უკვე გვაქვს სერიოზული პრობლემები ეკოლოგიის დარღვაში (გემებიდან ნარჩენების მიღება და მათი უტილიზაცია) მკვეთრად გაიზარდა ბალასტური წყლების ჩაღვრა, მაგრამ ამ წყლების ანალიზი ტარდება მხოლოდ ზღვის წყლის სიმკვრივის შესაბამისობაზე და ნავთობპროდუქტების აკის არსებობაზე, და სრულებით არ ტარდება ამ რეგიონისთვის მანე ორგანიზმების არსებობის ანალიზი.

24. თევსაჭერი ფლოტი (და მეთევზეები) - თევზჭერა იყოფა ორ სახეობად:

* პირველი სახეობა --- ადგილობრივი თევზჭერა:

• მეორე სახეობა --- საოკეანო;

ორივე ძალიან განვითარებული იყო საბჭოეთის დროს.

ადგილობრივი -- თევსაჭერი კოლექტივების და კოოპერატივების ხარჯზე და ისინი ეფექტურად უზრუნველყოფდნენ თევზისა და თევზპროდუქტების ადგილობრივ მოთხოვნებს, არა მარტო რესპუბლიკურ, არამედ საკავშირო მასშტაბით. მიუხედავად ამისა, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების პირობებში, დღეს იმყოფებიან მძიმე მდგომარეობაში. დღეს 21 სეინერიდან 15 უზრუნველყოფს თევზჭერას, მაგრამ ისინი ძალიან მძიმე ტექნიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებიან. არსებობს მხოლოდ ერთი გზა ამ პრობლემის გადაჭრის --- ახალი თევსაჭერი გემები (საშუალო ღირებულება დაახლოებით 350-450 000 ევრო) და მეთევზეების გადამზადება.

არსებობს სხვადასხვა მეთოდი, მაგრამ ის არც ისე ბევრია - ან ახალი სეინერების ყიდვა და გადამზადება ადგილობრივ სასწავლო დაწესებულებებში ან შეღავათიანი კრედიტები და ადგილობრივი ძალებით მშენებლობა (ბათუმში არსებობს მცირე კომპანია „ელდორადო“, რომელიც აშენებდა სეინერებს და დღეს გააჩნია

ორი მზა კორპუსი, მაგრამ არ გააჩნია მოწყობილობა, იმის გამო, რომ არ არის დამკვეთი მშენებლობის დასრულებაზე).

მე რეკომენდაციას ვიზღვევი სახელობრივ ბოლო მეთოდზე და ამიტომ უფრო დეტალურად აღვწერ იდეას ადგილობრივი კომპანიით. მთავრობა ადგილობრივ კომპანია „ელდორადოს“ აძლევს მიზნობრივ დაკვეთას, არსებული ორი სეინერის კორპუსის დამთავრებაზე და 10 ახალი სეინერის მშენებლობის დაწყებაზე, ამასთან მომავალი გეგმების მშენებლობაში მონაწილეობას მიიღებენ თვით მეთევზეები, ამით უზრუნველყოფილი იქნება მათი დასაქმება მშენებლობის პერიოდში და შემდგომში ისინივე წავლენ თევზის რეწვაზე. სამთავრობო ხარჯები, გამოყოფილი მშენებლობაზე დაიფარება დაჭერილი თევზის ხარჯზე, ხოლო პარალელურად საწირთა თევზის კონსერვირების და თევზის ფქვილის ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა, რომელიც უკვე არსებობს (ფოთში 5 კომპანია), მაგრამ ისინიც იმყოფებიან მძიმე მდგომარეობაში თევზის სამრეწველო ჯერის არარსებობის გამო.

ერთდროულად საჭიროა თევზსაჭერი გემების უსაფრთხო დგომის საკითხის გადაჭრა ბათუმში, ეგრეთ წოდებულ „მელკი მორიაზე“ (რადგანაც ბათუმში ასეთი დგომის ადგილი იყო ლიკვიდირებული), ამავე ბაზაზე შეიძლება განხორციელდეს ზემოთაღნიშნული სეინერების მშენებლობა. ასევე არსებობს დგომის პრობლემა ფოთშიც, იქ ისტორიულად შენარჩუნებულია ადგილი ნავსადგურში, მაგრამ იქაც იყო მცდელობა მათი განდევნის. მათი პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება დგომის ადგილის გადატანით ყულევში: იქ მდინარე ხობზე არის ყოფილი სამხედრო ბაზა ნავმისადგომით და საკმარისი ტერიტორიით, თუ ის გადაეცემა მეთევზეებს, მაშინ მეთევზეთა კომპანიები თვითონ შეძლებენ მის წესრიგში მოყვანას. ამით იქნება შექმნილი სამრეწველო-ეკონომიკური ჯგუფი: გემის მშენებლობა მისი ექსპლუატაცია - თევზის დაჭერა და მისი გადამუშავება, შენახვა და რეალიზაცია. ესე იგი ერთგვარი გლობალური კოოპერაცია: წარმოება-მოპოვება-რეალიზაცია.

კიდევ უფრო სწრაფად და ადვილად შეიძლება მათგან არა საშემოსავლო მოსაკრეფლების ამოღების საკითხის გადაწყვეტა (ხლვაში გასვლისთვის ნავსადგური მეთევზეებისგან

იღებენ 150 ზ და ფოთის ნავსადგური მათგან იღებს დგომისთვის 5 000 ზ თვეში), რომელიც გადასახედა, ხოლო მათი ყულევში გადაყვანით ეს საკითხი თავისთავად მოიხსნება. იმ პირობით, რომ ეს პროგრამა იქნება დავალებული კომპენტენტური ბიზნესმენებისათვის-სეინერების მშენებლობა - გიზო ნაცვალისზე (ელდორადო) და მეწარმეები დავით ბაბილუა და გურამი დოლბაია (კომპანია პალიასტომი -2004) - პროგრამა უკვე ერთი წლის შემდეგ მოიტანს პირველ რეზულტატებს, ხოლო მთლიანად რეალიზებული იქნება 3-4 წლის შემდეგ.

მეორე სახეობა - საოკეანო თევზჭერა. ესაა თევზჭერა ღია ოკეანეში, საოკეანო ტრაულერებით, საბჭოთა დროს ჩვენ გვყავდა ღიდი ფლოტი ფოთში 20 ტრაულერისგან შემდგარი. ეკონომიურად ძალიან მომგებიანი საქმე, მხოლოდ შემდეგი პირობების შესრულებით: საქართველოს შესვლით ჩრდილოატლანტიკური „ტუნეცის“ ჯერის შეთანხმებაში დეა ანალოგიური შეთანხმებები წყნარ ოკეანეზე, რადგანაც აუცილებელია თევზის ჯერაზე კვოტების მიღება, რომლებიც ნაწილდება ამ შეთანხმებების შესაბამისად და იქ უდიდეს როლს თამაშობენ ამერიკელები, რომლებსაც შეუძლიათ მხარდაჭერა ჩვენს შესვლაზე.

აქ არის შენატანების პრობლემა, რომლებიც ითვლება დარეგისტრირებული გემების ტონაჟით. არც თუ ისე შორს ეს თათხა შეადგენდა 80 000 ევროს ყოველწლიურად და ამ თანხის გადასახელად მზად იყვნენ რამდენიმე ქართული თევზსაჭერი კომპანია, მაგრამ იმ პირობით, რომ ისინი მიიღებენ ამ კვოტების გაყიდვის ნებართვას. ამავე დროს კომპლექსურად შეიძლებოდა ახალი სატრალე ფლოტის შექმნის საკითხის გადაწყვეტა კვოტებისა გემების იპოტეკისაგან შემოსავლების ხარჯზე. მიუხედავად ამისა ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და კომიტეტი, რომელიც გასცემს ადგილობრივ კვოტებს თევზჭერაზე, არ იყვნენ შეთანხმებული იმ უბრალო მიზეზით, რომ ისინი კარგავდნენ კორუფციული გარიგებების მირების წყაროს. ჩვენ რამდენჯერმე წამოვწიეთ ამ ხელშეკრულებაში შესვლის შესახებ საკითხი და ვიყავით მიწვეული ლისაბონში მოლაპარაკებებზე, მაგრამ იდეა არ იყო მხარდაჭერილი სამინისტროში, ამიტომ ჩვენ მოგვიწია მობოდიშება სამდივნოს წინაშე.

ტარიელ მბრალიძე

წმ. აბუსერიძის ტბელის
სახელობის უნივერსიტეტის
ისტორიის აკადემიური დოქტორი

ცინარეთის ციხე – კოშკი

სოფელი ცინარეთი მდებარეობს შუახევის რაიონში, მარეთი-ჩირუხისწყლის მარცხენა შენაკად უჩამბა-ბოგილისწყლის ხეობაში, შუახევის რაიონული ცენტრიდან 12 კმ-ის მოშორებით. შუახევი-ცინარეთის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს, მდინარე ბოგილისწყლის მარცხენა სანაპიროზე. ბუნებრივი კლდის უზარმაზარ მასივზე აღმართულია საფორტიფიკაციო ციხე-კოშკი.

ადგილობრივ მცხოვრებთ კლდის ბუნებრივი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოუყენებიათ. კლდის აღმოსავლეთ თითქმის შუა მონაკვეთში იარუსისებური, მოზრდილი, ბუნებრივი მოედნის მსგავსია შემორჩენილი. მოსახლეობა ამ ადგილს „დიდ კალოს“ უწოდებს. ციხეს ჰქონია „პატარა კალოც“, რომელიც შუახევი-ცინარეთის საავტომობილო გზის გაყვანამ შეიწირა.

კლდის ძირში, მის ჩრდილო ნაწილში შემორჩენილია მთლიანად დაცული, დაახ. 1,5 ტ. ლიტრაჟობის ქვევრი, რომელიც მიწაშია ჩაკრული. სოფლის უხუცეს მკვიდრთა გადმოცემით, იქვე ახლოს მდებარე წყაროდან თიხის მიღების საშუალებით მოედინებოდა წყაროს წყალი, რომელიც აღნიშნულ ქვევრში გროვდებოდა.

ჩრდილოეთი მხრიდან ავედით კლდის თავზე, რომლის ფართობი (36-40 მ²). ზედაპირი უსწორმასწოროა, ნაწილი დაფარულია მცენარეული საფარით. ციხის გალავნის ნაშთები შემორჩენილია ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. დანარჩენ ადგილებში კედლის ნაშთები კლდის პირამდე მორღვეულია.

შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ გალავნის კედლები კლდის გარეპირზეა მორგებული. ამოყვანილია დულაბზე კლდის ნამტვრევი ქვებისგან. ციხის გეგმას კლდის რელიეფი განსაზღვრავს. ძეგლის ჩრდილო-

აღმოსავლეთ ნაწილში გვხვდება დაკრული ქვევრების მთლიანი თუ დაზიანებული ნიმუშები, რომელთაც აქვთ საკმაოდ მასიური, ბრტყელი ქობა, ტანი ქედებით შემკული.

ციხის ზედა ნაწილში, მის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში დაცულია კლდეში ნაკვეთი დაახ. 150-200 ლიტრაჟობის მქონე, ოთხკუთხა ფორმის წყლის რეზერვუარი. როგორც ვხედავთ, წყლით მომარაგების საკითხი საკმაოდ გონივრულადაა გადაჭრილი.

კოშკი ოთხივე მხრით მიუდგომელია. ეტყობა თავის დროზე მასთან დასაკავშირებლად გამოიყენებოდა ასაწვევი კიბე. კიბის აწვევის შემდეგ კოშკი აუღებელი ხდებოდა.

ცინარეთის ციხიდან შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მარეთის ხეობის, ოქროპილაურის, დარჩიძეებისა (გოგოლაურის) და თვით ხიხანის, ასევე ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობ ციხეებთან დაკავშირება.

ციხე-კოშკიდან კონტროლდებოდა შუა საუკუნეების საქარავნო გზის გარკვეული მონაკვეთი. გურიის რეგიონიდან მოკლე გადმოსასვლელით დანდალოს თაღოვანი ხიდის, კავიანის, ცინარეთის ციხის, ნათლისმცემლის ეკლესიის, წინაველას თხემისა და ჯვარიმინდორის გავლით უკავშირდებოდა სამხრეთ საქართველოს ისტორიულ პროვინციებს.

ჩვენ მიერ სოფ. ცინარეთში ჩაწერილ იქნა შემდეგი ტოპონიმიკური მასალა: ნაქერვალი, ნაომარი, ვენახი, მარიაშეთი, ჩიხური, ციხისძირი, კილთაშუა, ნაფეტვარი, ნისანი ფერდი, ნაოსპარი, სამელეთი, ხიხნები და ა. შ.

სოფლის მკვიდრ არჩილ ხუჯაძის (84 წლის) გადმოცემით, ციხის ირგვლივ ერთ დროს თურმე პური ითესებოდა. ციხის ქვემოთ დაახ. 50-60 მ მოშორებით XX საუკუნის 50-60-იან წლებში შუახევი-ცინარეთის საავტომობილო გზის გაყვანისას დანგრეულა „პატარა კალო“. მისივე თქმით, თამბაქოს ჩითილების

გამოყვანისათვის საჭირო შავი ნოყიერი მიწის (ტყიმიწა) შეგროვების დროს ციხის ახლო-მასლო, მის შემოგარენში უჩამბის ხშირად ჩნდებოდა თიხის ნატეხები და ძვლოვანი მასალა.

ოქროპილაურის ციხისა (იგი მდებარეობს მარეთი-ჩირუხისწყლისა და ბოგილისწყლის ხერთვისში, რომელიც, ერთი მხრივ, კეტავს ბოგილის, ხოლო მეორეს მხრივ, ჩირუხისწყლის ხეობას. ამდენად, იგი ძალზე სტრატეგიულ ადგილასა აკებული) და უჩამბა-ცინარეთის ციხის საშუალებით მთლიანად შესაძლებელი იყო უჩამბის ხეობის გაკონტროლება, რომელიც საგულდაგულოდ ყოფილა ჩაკეტილ-გამაგრებული. საფორტიფიკაციო სისტემის აღნიშნული ნაწილი მჭიდროდაა გადაჯაჭვული შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობის სასიმაგრო ნაგებობათა ერთიან სისტემასთან.


აუცილებელ ამოცანად მიგვაჩნია ციხე-კოშკის დროული არქეოლოგიური შესწავლა, ხოლო შემდეგ გამაგრებითი და საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარება, რომლის გარეშე ძველი შეიძლება განადგურდეს.

2009 წელს ბოგილისწყლის ხეობაში, სოფ. წაბლანაში შევისწავლეთ (ა.კახიძე, შ. მამულაძე, ტ. ებრალიძე, შ. ველიაძე, გ. დუმბაძე) „ნათლისმცემლის გორა“. გამოვლინდა დარბაზული ტიპის ეკლესია. იქვე გადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზა. ეკლესია და მასთან ახლოს მდებარე ციხე-კოშკი ვფიქრობთ, ერთი და იმავე XI-XII სს. ფუნქციონირებდა.

ამდენად, აღნიშნული ხეობის შემდგომი კომპლექსური შესწავლა¹ იმედია უფრო მეტ მასალასა და არგუმენტს მოგვცემს ჩვენი მოსაზრებების გასამტკიცებლად.



1. ცინარეთის ციხის შესახებ ჩვენთვის არაფერი იყო ცნობილი. დღემდე არც ერთ ავტორთან არ შეგვხვედრია ცნობა მის შესახებ. მეგზურობისთვის, საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდებისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამ ხეობის მკვიდრთ, ცნობილ ჟურნალისტს ბატონ ოთარ ცინარიძეს (სოფ. ცინარეთი) და ბატონ შალვა ველიაძეს (სოფ. წაბლანა).



**„ქალაქის მალაზია თბილისში“, „კონვერტების
გამომჭრელი“, „თავადი“, „მელქისე“, „ბესიკი“
და „ბესიკურის“ შემქმნელი ბაბაშვილი**

„საფლავსა ამას შინა მდებარე არს თავადი ბესარიონ იობი-
ან-გაბაშვილი, რომელიც წარმოგზავნილი იყო იმერთა მეფისაგან
დესპანად, რუსეთის დიდებულების საიმპერატორო კარისადმი და
მიიცვალა აქა იასსა“.

(ეპიტაფია საფლავის ქვაზე).

ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომის: „ხელოსნობა, მრეწველობა, ვაჭრობა საქართველოში და მისი წარმომადგენელი დ.ზ. სარაჯიშვილი“-ს (1911), მიხედვით, კომუნისტურ ყოფაში სარაჯიშვილზე ტაბუ დადებული წიგნით მკვლევრები არ ისარგებლებდნენ და ბესარიონ გაბაშვილის ბიოგრაფიისათვის ცნობები გამორჩებოდნენ. ასეა თუ

ისე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია სდუმს განსახილველი ცნობების შესახებ.

ჭიჭინაძე აღნიშნულ წიგნში წერს: „1750 წელს თბილისში ქალაქის მალაზიის პატრონი ერთი მდიდარი მოქალაქე იყო, მერე ამის ამხანაგი მელექსე ბესიკი იყო... ქალაქი მოქონდათ ამსტერდამიდან, სტამბოლიდან, რუსეთიდან... ბესიკმა იცოდა კონვერტების გამოჭრა... იმერთ მეფის სოლომონ პირველისაგან მან თავადობაც მიიღო“. იმ დროში ქალაქის მალაზიის თბილისში არსებობის შესახებ, თუ საიდან მოჰქონდათ ქალაქი საქართველოში ისტორიისათვის საინტერესო ცნობაა. ასევე, საინტერესოა ბესიკისათვის თავადობის მიღება, ხოლო კონვერტების მოჭრის ცოდნა უჩვეულო შემთხვევაა ერის ისტორიაში. 1896 წლის ბროგჰაუზისა და ეფრონის ლექსიკონის მიხედვით, კონვერტის ხელით დამზადება რთული საქმე ყოფილა (შენიშვნა: 93 წლის, სამაგიდო წიგნის: „ქართული ბეჭდვითი სიტყვის ისტორიის“ ავტორი, ბატონი ანტონ მამრიკიშვილი, რომელიც 52 წლის განმავლობაში მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბის მთავარი ინჟინერი იყო გაკვირვებას ვერ მალავს, ხოლო უნივერსიტეტის სტამბის პროფესიონალი მუშაკი ბატონი გურამ ხოსროშვილი ამბობს: „კონვერტის ხელით გამომჭრელი, შინაგანად უნდა გრძნობდეს თავის საქმეს, მარტო ყალიბი არ კმარა“. ბესარიონი ამ მხრივაც ყოფილა ბუნებისაგან დაჯილდოებული.



ბესიკ გაბაშვილი

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ნათქვამია: „წერილის ჩასადები ბრტყელი ოთკუთხა ქალაღდის პარკი, ფრანგული სიტყვა კონვერტი, ჩვენში რუსული ენის მეშვეობით შემოვიღაო“. რუსული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში (ოთხტომეულში), კონვერტის განმარტება არ წერია, არც რუსული ენის განმარტებით (ჩვიდმეტტომეულში) ლექსიკონშია კონვერტი ნახსენები, მხოლოდ გერმანულიდან თარგმნილ (რუსულ ენაზე) მაქს ფასმერის კაპიტალურ ნაშრომში: „რუსული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონშია“ (ტ. 2. მოსკ. „პროგრესი“. 1986) ნათქვამი: „კონვერტი შესულია რუსულ ენაში პეტრე პირველის ეპოქიდან დაწყებული, გერმანულის გზით – უვერტ. ფრანგულად – ცაუვერტ, ცოუვერი, დაფარებას ნიშნავს. ფრანგული ენის კაპიტალურ ლექსიკონებში, ვერ ნახავთ კონვერტის განმარტებას დღევანდელი მნიშვნელობით. ამ ლექსიკონებში ჩანს ტერმინ „კონვერტის“ ნახესზობა გერმანულიდან, რაც სამართლიანია.

რადგან წერილს კონვერტი ჭირდება და კონვერტს მარკა, ამიტომ კონვერტის შექმნის ისტორიასთან დაკავშირებული მასალები ვეძებთ მარკის ისტორიის ლიტერატურაში, რაც უშედეგო აღმოჩნდა.

ბეჭდვის ისტორიაში ამსტერდამი XIV-XVIII საუკუნეებში წარმოადგენდა ერთ-ერთ აღიარებულ ცენტრს, შესაძლებელია, კონვერტის გამოჭრის ყალიბიც იქ დამზადებულიყო. ამსტერდამთან სავაჭრო ურთიერთობის დროს, რადგან ქალაღდს ჩვენი წინაპრები იქაც ყიდულობდნენ, შესაძლებელია კონვერტის ყალიბი „ჩრდილოეთის ვენეციიდან“ ჩამოეტანათ.

წერილებისათვის კონვერტები გახდა ფართო წარმოების საგანი XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან, როცა სახელმწიფოებმა გაათანაბრეს წერილების გაგზავნაზე ერთიანი ფასები. მანქანური მეთოდით დაიწვეს კონვერტების ფაბრიკული წესით გამოშვება. „ფაბრიკული მეთოდით კონვერტების დამზადება გაცილებით გაადვილდა, მაგრამ მაინც, დამზადების პროცესი შრომატევადი იყო“.

„ბესარიონს და ზაქარიას ისეთი კონვერტების გამოჭრა სცოდნიათ, რომ იმერეთში ყველას უკვირდათ. იმერეთი მეფეთა თხოვნას ესენი სწერდნენ და ამათისავე კონვერტებით გზავნიდნენ აქეთ-იქითა“ (ზ. ჭიჭინაძე).

შენიშვნა: ენციკლოპედია (ლექსიკონი) ერის სულიერების სარკეა, მასში ჩახედვით, უნდა შეიძლებოდეს ზუსტი ცნობების მიღება, ამიტომ საკითხი კონვერტის შესახებ ჭეშმარიტი უნდა იყოს.

განხილული პერიოდი ის დროა, როცა პოეტს – „მელექსეს“ უწოდებდნენ, ხოლო წერილს – „წიგნს“. რუსეთში კონვერტის არსებობა შეიძლება იცოდნენ (?), მაგრამ მოჭრაზე რა მოგახსენოთ. იმ დროისათვის რუსეთიდან გამოგზავნილ წერილს კონვერტით ვერ მივაგენით, რაც ახსნიდა რუსეთში კონვერტის არსებობას, ხოლო რუსეთიდან საქართველოში მიღებული წერილი – „გრაგნილის“ სახით, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში რამდენიმე სახის დევს.

ბესარიონის ბიოგრაფიული ცნობები, შეიძლება ითქვას „ღარიბია“. იგი თავდაპირველად ოჯახში იზრდებოდა. განათლება მამისაგან მიუღია. ამბობენო, „ლიტერატურისადმი სიყვარული ზაქარიას „გადაუციაო“. უსწავლია საკათალიკოზო სკოლაში. შემდეგში, მეფის კარზე გაუგრძელება ყოფნა ბატონიშვილებთან ერთად, სადაც მიუღია კარგი სწავლა-აღზრდა. შეუსწავლია სპარსული ენა, მწერლობა და სხვ.

ახალგაზრდობაში ბესიკს დიდი სახელი შეუძენია. სამეფო სამსახურში საკმარისად დახელოვნებულია და ერეკლე II-ის თხოვნით სპარსეთშიც წასულა, „ყენის წინაშე, შესახებ საქართველოს უმაღლესის და დიდის მდიდარის პირებისაგან დაბეზღებულის და სამეფოს აწეწილის საქმეების გამო. სპარსეთში ყოფნის დროინდელი საჩუქრები შეუძენია, მას შეუსწავლია უფრო კარგად სპარსული ენა, მწერლობა და განსაკუთრებით სიმღერები. „ზოგიერთები უწყიან, რომ ბესარიონისათვის – „ბესიკი“ სპარსეთში დაურქმევიათ“. სპარსეთიდან დაბრუნებული „დიდის პატივით მიუღია მეფე ერეკლეს“.

ბესიკის ბუნებასა და გარეგნობას ასე აღწერდნენ: „თვალსაჩინო კაცი იყო, კარგი ხმა ჰქონდაო, თარისა და ჩონგურის დაკვრა იცოდაო და ამით მრავალთათვის იყო სანატრიო... მოქეიფე ხალხი სულში ისომდაო... უსიკვდილოდ პატიუობდნენო: ამქრის დღესასწაულებში, სამღვთოებში, შეგირდების დალოცვაში, ქორწილებში, სხვა სამხიარულო შემთხვევებში. ბესიკის სადღეგრძელო ყველას პირზე ჰქონია მიკვრებული... მშვენებით სავსე ბესიკი მრავალ მდიდარ ქალთათვის ყოფილა სანატრელი ქმრობისა...“

ლორჯ ბუხრის ქედს იხურავდა, ლორჯს ყაით-ნიანს კაბას იცვამდა, დიმიკიტონის ახალუნს, ქულაჯასა და ყელზედაც ქალღალასა, ლორჯ განიერ შარვალს იცომადა. ჰყვარებია ნაბდის დახურვა, ცხენზე ჯდომა, ჯირითი და სხვანი“. ამ მონაცემებზეა დაყრდნობილი, განსაკუთრებული გარეგნული, თუ სულიერი ბუნების პატრონის, სევედის ბაღის მკვიდრის წარმოსახვითი პორტრეტი გუდიაშვილისეული ნახატი (1940) – ორიგინალი, რომელიც ამჟვეებს გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმს.

ბესიკის ლექსები სწრაფად ვრცელდებოდა ხალხში, რადგან თვითონ იყო დამწერი, დამღერი, დამკვრელი და მუსიკის შემწეობი. თუ იმასაც დაუმატებთ, რომ „კარგი ხმა ჰქონდა“, დღევანდელი გადასახედიდან ძნელი არ არის ვიფიქროთ, თუ რა პოპულარობით უნდა ესარგებლა და რა სიყვარული უნდა მოეპოვებინა ხალხში. ცნობილია, რომ „თბილისის ერთ მეღუქნე გადამწერს ხელობათ ჰქონია ბესიკის ლექსების გადაწერა. ამიტომაც, რომ „ტანო ტატანოს“ ლექსებმა მრავალი ხელნაწერი კრებულის სახით მოაღწია. ხელოვნებათმცოდნეებში გავრცელებულია აზრი, რომ ჩვენ დრომდე მოღწეულია ბესიკის ლექსებზე შექმნილი, მისი რამდენიმე მაშინდელი მუსიკა.

ბესარიონ გაბაშვილის (1750-91) მამა დეკანოზი ზაქარია თეიმურაზ II-ის მოძღვარი იყო, „მისი ერთგული დღევანდელი მლოცველი და დიდად გაწრთენილი პირი“. ზაქარია აქებდა მეფეს და „მის ორგულთ ისე სწყევლიდა ხოლმე, რომ მის გამო მეფე დიდ საჩუქრებსაც აძლევდა. ანტონ კათალიკოსს გადაემტერა და ლათინთა სარწმუნოებისაკენ მიდრეკილება დასწამა... დიდი ალიაქოთი ასტეხა სამღვდლოებაში. თეიმურაზმა კათალიკოზი რუსეთში განაძევა, ზაქარია კი დარჩა გამარჯვებული“.

მომხდარა ერეკლე მეფის საწინააღმდეგო „შეთქმა“-შეთქმულებაში ერია ვინმე დათუნა ფეიქარი, მას ზაქარია დეკანოზმა აღსარებაში ცნობები ათქმევინა. მეფეს მოახსენა. შეთქმულნი რიყეზე დახოცეს. მეფემ დათუნა ფეიქარს აზნაურობა მისცა და ყმები აჩუქა, ხოლო ზაქარიას დიდი მამულები არგუნა“.

ერეკლე II-ის ბიძაშვილი, საქართველოს კათალიკოსი (1744) ანტონ I-ლი (1720-88) ერის კაცობაში თეიმურაზ ბატონიშვილი, ევროპული ორიენტაციის მომხრე იყო. იგი დაუახ-

ლოვდა თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებს. ამით ისარგებლა მისმა მოწინააღმდეგე ჯგუფმა. ჯგუფს ერთ-ერთი ინიციატორი, ზაქარია გაბაშვილი (1783. გელათის მონასტერი) მეთაურობდა. ანტონ I-ის „მწვალებლად“ აღიარეს. მცხეთის საგანგებო საეკლესიო კრებამ, 1755 წელს ანტონ I-ლი კათალიკოსობიდან გადააყენა.

1756 წელს ანტონ I-ლი რუსეთს გაემგზავრა, სადაც სინოდის წინაშე თავი იმართლა. 1763 წელს ერეკლე II-ემ ანტონი რუსეთიდან დააბრუნა, ხოლო საეკლესიო კრებამ კვლავ კათალიკოსად აირჩია. 1764 წელს მოწვეულმა საეკლესიო კრებამ ზაქარია გასამართლა და სამღვდლობის ხარისხი ჩამოართვა, თან დაადგინა, „მიუღებთ სახელსაცა, რომელი ეწოდებოდა მღვდლობისა შინა, მით რომელ არანათლისღებასა შინა წოდებული იყო სახელი იგი მის ზედა, არამედ მღვდლობასა შინა და, რომლითა სახელითა იწოდებოდა ერისკაცობასა შინა, ვბრძანებთ, რათა იგივე სახელი ეღებოდეს ამიერიდან“.

გასამართლებისა და სამეფო კარიდან გაძევების შემდეგ ზაქარიას ოჯახი ერთხანს შეუფარებიათ თეიმურაზ II-ეს და ანახანუმს. ზაქარიაც დადგომია რუსეთის გზას, გიორგი ვახტანგის ძესთან შესახვედრად და საშველად ასტრახანიდან მიუწერია წერილი მოსკოვში დახმარებისათვის.

ბესიკის წინაპრები დმანისელები ყოფილან, ორბელიან-ყაფლანიანთა სამფლობელოდან. დეკანოზი ზაქარია დმანისიდან სამისიონერო მიზნით ქიზიყში გადასულა, დაუმსახურებია ყურადღება და მეფის კარის დეკანოზობის ხარისხი მიუღია. იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ მიხედვით ზაქარია ყოფილა, „ძველთა ფილოსოფიის სწავლათა შინა გამოცდილი ღვთისმეტყველებასაცა მიწვენილი მშვენიერი რიტორი და უცხო მოქალაქე. ამან იღვაწა ქიზიყსა შინა ქადაგებითა, რომელთა შორის შევიდა მცირედ ლეკიანობა და მალე მოაქცივნა იგინი. ეს იყო მშვენიერი მწერალი და მთხზველი მაღალისა ფრასსა ზედა, უცხო პიტიკოსი და მღვდლობითა სრული, რომელიცა იქმნა მეფეთა მოძღუარიცა“.

რუსეთიდან უიმედოდ დაბრუნებული ზაქარია იმერეთში გადასახლდა, სადაც „შესაფერისი პატივითა და ყურადღებით მიიღეს“. 1777 წლის დამდეგს ბესიკი იძულებული გამხდარა, თბილისში დაბადებულს, თბილისი მიეტოვებინა და იმერეთის

მეფის კარზე ეპოვნა თავშესაფარი. არ გაუჭრია ბესიკის ნამღერ ერეკლესადმი შემკობას: „ქრითთა შემწყნარე,ობოლთ პატრონი და გლახაკთ მოწყალეოს“. ბატონიშვილების დავითისა და ბაგრატის „ისტორიაში“ წერია, რომ „გაბაშვილი ბესარიონი იმყოფებოდა ექსორია ქმნილი მამითურთ თვისით იმერეთს ანტონის გამო კათალიკოზისა“.

„ბესიკი იმდენად უარყოფითად იყო განწყობილი ბერმონაზვნების მიმართ, რომ ისინი მას თურმე „ანტიქრისტეს უწოდებდნენ და სთხოვდნენ,„დაგვისხენი ამისგანო“. „ქრისტეს მოადგილემ ანტონიმ „ისხნა ბერმონაზვნები ბესიკისაგან, მისი მოშორებით,იმერეთში გადასახლებით. ერეკლე II-ის „ბრალი“ ბესიკის განდევნის ისტორიაში, ისაა, რომ მან არ გამოიყენა თავისი ავტორიტეტი და ძალაუფლება და წინ არ აღუდგა შურის მძიბელი კათოლიკოსის სურვილებს“ (კ. კეკელიძე).

ერეკლე II-რე საკმაოდ ტოლერანტულად იყო განწყობილი კათოლიკე მისიონერის მიმართ. ანტონ I-ის მეშვეობით ხელს უწყობდა მისიონერთა საქმიანობას, ალბათ, რადგან ფიქრობდა მათი საშუალებით ევროპასთან კავშირითიერთობების დამყარებას.

იმერეთის დიდი მეფის სოლომონ I-ლის (1752-84) კარზე ნიჭიერი და განათლებული ბესიკი განსაკუთრებულ ადგილს იჭერს. 1778 წელს 28 წლის პოეტი, მეფემ ირანში გაგზავნა ქერიმ-ხანთან. ბესიკს ხანი გარდაცვლილი დახვდა. ჩაიშალა ოსმალეთის წინააღმდეგ სპარსეთის გამოყენების შესაძლებლობა. ერთი წლის შემდეგ სპარსეთიდან ბესიკმა მეფეს, ალექსანდრე ბაქარის ძე ჩამოუყვანა.

სოლომონ მეფეს გაბაშვილებისათვის „რაჭაში მამულები უჩუქებია, რადგანაც ღომის ჭამას შეჩვეულები არა ხართ, თქვენ იქით პურის მოყვანას შეიძლებთო. ვილაც წულუკიძის ნაოხარი მამულები უბოძებია. ბესარიონი და სხვა ამათი გვარის კაცები ყველგან თავადად არიან მოხსენიებულნი“. ქუთაისის ტოპონიმი მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელი „გაბაშვილების“ გორა, გაბაშვილების, იმ დროში დასახლებაზე გვაფიქრებინებს.

სოლომონ მეფის „მესაიდუმლე მდივანი“ რუსეთის მთავრობას, რომელსაც მართავდა იმპერატორი (1762 წლიდან) ეკატერინე II-რეს (1729-96) უგზავნიდა თხოვნის წერილებს კონვერტებით.

სოლომონ მეფის გარდაცვალების (1784. დაკრძალულია გელათში, მთავარ მონასტერში) შემდეგ, იმერეთის ტახტზე ავიდა მისი ბიძაშვილი დავით II-ეს ძე გიორგი VII-დე, რომელმაც იმეფა 1784-89 წლებში. ამ პერიოდში ბესიკი რუსის მთავრობას წერდა, რომ ახალციხეში კონსული დასოს, ეგების მისის მეოხებით ქრისტიანეთ გაყიდვა და ტაციაობა მოისპოსო, – ამასთანავე ავალბდა, რომ ეგები გვიშუამდგომლობთ ოსმალოს მთავრობასთან, რომ მათ შეღავათი მოგვცენო, რომ თავისუფლად მივიდოდეთ ხოლმე ბათუმისა და სხვა ნავთ საყუდლებთანო, თორემ საქმეს გვიჭიანურებენ და ვერსად წავსულვართო. შემდეგ ამას აღუწერია ბათუმის მიდამოები და სხვანიც, თუ საიღამ უფრო სიადვილით შეიძლება ზედ მისვლა და ალება მათიო“. მოსაზრება მდგომარეობის აღწერისა, ამბობენ ბესიკს „სასარგებლოდ მიაჩნდაო“.

დავით II-რემ რუსეთში ელჩებად ბესარიონი და მისი ბიძაშვილი სიმონი გაგზავნა (1787). რუსს ხელმწიფეს მფარველობა, „იმერეთში დამხმარე ლაშქრის შემოყვანა და ქვეშევრდომობა სთხოვა. მოსკოვში დახვედრილან ბატონიშვილები, „ბალშიაც მიუწვევიათ, დიდკაცობის თავშეყრაზე“. ბესიკზე უთქვამთ – „ქართველების პოეტიო“. კედელზე ღვთისმშობლის ხატი დაუნახავს და ექსპრომტად წარმოუთქვამს – „ჯერისაებრ“, ანუ ყოვლადწმიდის ქება: „ჯერისაებრ ქება შენი არვის ძალუმს, ღვთისა სძალო, ჯერ არს შეკრბენ ანგელოსნი, ქვეყნიერი კაცნი, ქალო, ჯობს, რომ გიძღვრან კინამ-კასნი, გუნდრუკ-მური და შტახს-ალო, ჯვარცმულისა ქრისტეს დედავ, ცოდვილს მკურნე, დედოფალო“.

ძმები გაბაშვილები მოსკოვიდან პეტერბურგში გადასულან. მთავრობისაგან დაიმედებულნი კრემლჩუკში წასულან და იქიდან საქართველოში დაბრუნებულან.

სუსტი ნებისყოფის დავით II-რეს გამო, ბესიკი-მდივანი, ხელთ იგდებს სამეფოს მართვა-გამგეობას; და არ წყვეტს მოლაპარაკებებს რუსეთთან.

სოლომონ I-ის ანდერძით ტახტზე მისი ძმისშვილი დავით არჩილის ძე უნდა ასულიყო, მაგრამ ტახტი დავით გიორგის ძემ დაიკავა. დავით II-ეს რადგან პირი რუსეთისაკენ ჰქონდა, ამიტომ ოსმალეთი და ადგილობრივი თავადები გადაიმტერა. ორი დავითი თავიანთი მომხრეებით

ერთმანეთს საომრად შეხვდნენ. დავით გიორგის ძე დამარცხდა და ახალციხეში გაიქცა.

იმერეთის უკანასკნელი გვირგვინოსანი მეფე დავით არჩილის ძე ტახტზე ავიდა, ზედსახელად – სოლომონ II-რე (იმეფა 1789-1810 წლებში).

ბესიკი აგრძელებს რუსეთთან მოლაპარაკებებს. ის ჩადის კრემენჩუკში, სადაც იმყოფება გენერალი პოტიომკინი, შემდეგ გადადის კიშინიოვში, ხოლო იქიდან მიჰყვება პოტიომკინის ბანაკს ქ. იასში (რუმინეთი), სადაც მოულოდნელად გარდაიცვალა. აქვე დაასაფლავეს საკრებულო ტაძარში.

უცოლშვილომ, 41 წლისამ, ლექსის საზომის „ბესიკურის“ შემქმნელმა, დიდად დაფასებულმა და მიჩნეულმა „მელექსეთაშმა“, რომელიც „რუსთაველისებრ ხმატკბილობით არ აკლებდა არცერთ გვარსა“, „დაასრულა ძველი ლიტერატურის ისტორიის დიდება“.

ბესიკის საფლავის ქვა ოსე გაბაშვილმა დალო. რა იქნებოდა იმ დალოცვილიშვილს ტექსტში, ბესიკისათვის გაემეტებინა ერთი სიტყვაც – „პოეტი“, მაშინ ხომ თავსატეხი გაუჩნდებოდათ ნატადრალზე ქვაფენილის დამგებთ და ბესიკის საფლავი არ დაიკარგებოდა.

„ბესიკის საფლავის ქვა მარმარილოა. სწორედ ამ სიძვირფასემ და ქვაზე ამოტვიფრულმა ორ ენაზე წარწერებმა გადაარჩინა იგი... ფიქალზე ამოღარულია ორი პატარა ჯამი... ჩიტებისათვის არისო... ნაწვიმარზე წყალი დგება, ჩიტები სვამენო... პოტიომკინის ბრძანებით ბესიკი დაუმარხავთ „ვინერის“, ანუ პარასკევას ძველ ტაძარში, რომელიც სიძველის გამო აიღეს 1879-80 წლებში... ზოგი მიცვალებული გადაიტანეს... ზოგის ნეშტი ღამით ტომრებით უზიდნიათ „ეტერნიტეს“ სასაფლაოზე... ზოგი უპატრონო საფლავები ისე დაუტოვებიათ... ქვა კი გოლიას მონასტერში გადაუტანიათ, 1922 წელს“ (გოგლა ლეონიძე). „ამჟამად საფლავის ქვა ინახება მოლდოვის (ქ. იასის, რუმინეთი) ისტორიულ მუზეუმში“ (ვ. მაჭარაძე).

ბესიკის საფლავის ქვაზე წარწერა ბერძნულიდან თარგმნა პროფ. ალიკო ალექსიძემ: „თითქოს სამარიდან, თქმული, მფარავ კაცს არა უბრალოს (ჩვეულებრივს) და ქვასთან შეუთავსებელს გვარტომობით იბერიელს და წარმოშობით წარჩინებულს კამკამა ვარსკვლავის (სადარს) ზაქარიას ძე, ბესარიონს, უღირსეულესს

ბუნებით, ელჩობით წარმოგზავნილს კოლხეთიდან მეფის კარზე, მაშინ მიუზღო ვალი უფალს სახელოვანმა, რომელმაც იცოცხლა აღსასრულად იმომოცი წელი. აღესრულა ღვთის შობიდან 1791 წ. იანვრის 24“. გამართულია 8 მარცვლიანი ბერძნული ლექსით. ქართული წარწერა კი ასეთია: „საფლავსა ამას შინა მდებარე არს თავადი ბესარიონ ზახარიას ძე იობიან გაბაშვილი, რომელიცა წარმოგზავნილ იყო იმერთა მეფის დავითისაგან დესპანად რუსეთისა დიდებულისა საიმპერატოროსა კარისადმი და მიიცვალა აქა, იასს, წლისამ (40) წელსა ჩღუა (1791). იანვარს კდ(24) მხილველთაგან შენდობასა მიხზოველი“.

მართკუთხედის ფორმის ქვას გვერდზე გაყვება „ჩუქურთმა – ყვავილის დიდი ბუტკო ნაყოფ-დასხმული... ბესიკის ქვაზე ამოჭრილია არაბული ციფრი „6“... ეს რუმინელი პროფესორის იორგას მიერ არის დანომრილი და ნიშნავს, რომ ის შეტანილია მის წიგნში – „წარწერები იასის ეკლესიიდან“. მე-6 ნომრის ქვეშ აღნიშნული იყო: ქვა ქართული წარწერით“ (გ. ლეონიძე).

„ქ. იასში ყოფნის დროს ბესიკისაგან დაწერილი ზოგიერთი წერილები მე მაქვს, რომლითაც ის პოტიომკინს ეხვეწება, რომ საქმე დროით იქმნეს და მეც მალე განმთავისუფლეთ, რომ ჩემის მეფის კარზე წავიდეო, რადგანაც ჩემი მეფის საჭიროება თხოულობს, რომ მე მალე ჩავიდე და ყოველისფერი ვაუწყოვო განსაკუთრებით თქვენი და ოსმალის ომისათვის... ბესიკის ზოგიერთი ლექსი 1848 წელს დავით ჩუბინაშვილმა შეიტანა ქართულ ქრესტომატიამში, იბეჭდებოდა „სახანდარში“, ამ ბოლო დროს ყველა ესენი შევაგროვე და წიგნად გამოვეცი. ბესიკის ლექსი – „სევდის ბაღს შეველ“ მარი ბროსემ ფრანკ-ზულად გადათარგმნა და დაბეჭდა, რუსულადაც არის თარგმნილი და დაბეჭდილი, წარსულ საუკუნეში საიათნოვას სომხურადაც გადაუთარგმნია“ (ზ. ჭიჭინაძე).

ახლა კი, პასაჟები გიორგი ლეონიძის წიგნიდან – „გამოკვლევები და წერილები (1958). „გილოცავთ ამხანაგო ლეონიძე, დადასტურდა ბესიკის საფლავის ადგილმდებარეობა... ხელთ გვაქვს „ვინერის“ ტაძრის ნასაყდარალის გეგმა... საკურთხეველის წინ ციფრით „6“ აღნიშნულია ბესიკის საფლავი... დაუმარხავთ საკურთხეველის წინ 6-7 ნაბიჯზე... ტაძრის ალების შემდეგ

საკურთხევლის ადგილას ნიშა დაუდგამთ... აქ მარხია ბესიკი!.. აქ ჩააწვინეს იანვრის გაყინულ მიწაში ჭაბუკი ბესიკი, რომელმაც უკვე დაავიროვნა თავისი პოლიტიკური საქმიანობა და ექსპარებოდა სამშობლოსაკენ, ანა დედოფლისაკენ...

მეც მომხვდა სოფლის მკვლელი ბრწყყალები, ბესიკი სიკვდილს არ ვემალები, თავი მაქვს მისთვის შენაწირები!..

გაკვირვებული გაიძახიან – რას ვიფიქრებდით, რომ ჩვენ ქალაქში ქართველი პოეტი ასაფლაავია!.. ომმა აგვირია სახელ-კარი...

მოდით მიჯნურნო შემობრალეთ, მოვლეთ ჩემს არეს, მკვდარი მიჯნური დამიტირეთ, დამფალ სამარეს! ვაი, სიცოცხლეო, უკუღმართო, დანაჩარებო!..

როგორ? პორტრეტიც არა გაქვთ? – დიახ, აქ იასში დარჩა ყველაფერი, უკანასკნელი ამოსუნთქვაც, უკანასკნელი ლექსიც... აქ, ამ მოედანზე, ამ მოკირწყლული ქვების ქვეშ ბესიკია დანაცრებული... ბესიკი ჩივის... მთა-ველ-წყალი სულ დავლახე,

მიკვირს შემრჩა კაცის სახე...

თბილისიდან გაპარვით (1777) გარდაიხვეწა, შემდეგ იმერეთიდან ასტრახანს გადახვეწილმა მოიარა ირანი, ნეშტი, გილანი, შირაზი, ახლა უკან დაბრუნება განსაცდელიანი გზებით იმერეთში, შემდეგ რუსის ბრძოლაში მონაწილეობა და დაჭრილობა: „სისხლითა ვიდრემდე ნამსახურს“ (იმერთა მეფე დავითი), რუსეთს მგზავრობა – მოსკოვს, პეტერბურგს, კრემენჩუკს, კიშინიოს და ბოლოს იასსში ჩასვლა... იასსი განთქმული იყო მაღარით: „იასი ესე ქალაქი თითქმის ჭაობიან-გაუშრობელი“ (იონა გედევანიშვილი), „იასი ჰავითა არ არის კარგი ციებ-ცხელება იცის. ვიტყვი, სახლსა შინა არ დაავდებს ერთსაცა... გარდა ამისა, არ მდინარე ქალაქისა ამის წინამდებარე მცირე დამპალი, რომელსაცა უწოდებდნენ პახლო წურბელითა სავსე... და ამის გამო არაკეთილსა ჰავასა და არა შემრგოსა იტყვიან („მიმოსვლა“)... ბესიკი, ფელდმარშალ პოტიომკინით (1791 წელი 5 ოქტომბერი) განდა მსხვერპლი (1971 წელი 24 იანვარი) მაღარისა... ბესიკის სიკვდილის ამბავი დღესაც საიდუმლოებით არის მოცული... მწერალი ქალი ოლღა ფორშთან შემთხვევით... ჩამოვაგდე

ბესიკზე საუბარი... ფორშს წამოაგონდა, რომ მას სადღაც აქვს წაკითხული, რომელიღაც ფრანგი დიპლომატის (პოტიომკინის კარზე ნამყოფს) მემუარები, სადღაც ნათქვამია, რომ პოტიომკინის კარზე ვინმე ჭაბუკი ქართველი დესპანი მოწამლეს რომანულ ნიადაგზე (თითქოს ეკატერინე მეორის თუ პოტიომკინის კარის ინტრიგების წყალობით). ფორშმა ვერ მოიგონა მემუარების ავტორის ვინაობა... ბესიკის მოწამვლა რომანულ ნიადაგზე იქნებ დასაჯერებელი იყოს, მაგრამ პოეტის სიკვდილი, იმ შემთხვევაში თუ მემუარისტის ცნობა მართალია, შესაძლებელია პოლიტიკური მიზეზითაც იყო გამოწვეული... იმერეთის დესპანის სიკვდილში ხომ არ ურევია ხელი სტამბოლისა... აზიური ხერხებით თავიდან მოიშორეს იმერეთის დესპანი...

„მე ბესიკს მემართა საწუთრო ვალთა.

მომერივნენ მტერნი მკვლელად და მკვლელად“...

„ეპოქებიანთ შესაწევნებლად წინააღმდეგობათა მტერთა ზედ მხედრობა 12 ათასი... ამას გარდა წყალობა და ნიშნების სამეფო: გვირგვინი სამეფო, სკიპტრა სამეფო, პორფირი სამეფო, ლურჯი კაკალერია, ღერბი სადავითო სახლისა სამეფო, დროშა სამეფო, ძვირფასი ბეჭედი, საათები ბრილიანტით მოჭედილი სხვადასხვა... და თქვენი უმაღლესობისათვის სადედოფლო ნივთები ეპოქებიანა შესაბამი თქვენისა დიდად მშვენიერებისა. ესენი მახსოვს რომელიც ამაში აღწერილ არის ნიშნები... და ესენი ყოველივე დიდმან კნიაზმან (პოტიომკინმა) ჩემს ძმას ბესარიონს აჩვენა და ჩააბარა. უნდა წამოსძლოლოდა ზემოთქმულს გენერალ მაიორს ჩემი ძმა ბესარიონი და შავი ზღვით აფხაზეთისაკენ უნდა გამოსულიყვნენ. ჩემს ძმას ბესარიონს შეემთხვა უბედურება და გარდაიცვალა იმჟამად... და მუნ დაამარხვინა დიდმან კნიაზმან სამიტროპოლიტოსა ტადარსა შინა... მერმედ ჩემი ბიძაშვილი სვიმონ მოემზადებინა წარმოსასვლელად ბესარიონის მაგივრად და ამის მზადებაში დიდი კნიაზიც გარდაიცვალა და ესრეთ დაშთა ამდენი მოწყალება მისის დიდებულების ხელმწიფის ეკატერინესი“, წერდა ბესიკის ძმა ოსე დედოფალ ანას... შესაძლოა მტრის ფარულ მახვილ-სამსალამ გააქრო გარდახვეწილი, მწერი პოეტი უცხოეთში, სამშობლოს გარეთ“.

ქართული წიგნის ბეჭდვის სათავეები

დღეს, როდესაც თანამედროვე ტექნოლოგიებმა ინფორმაციის გავრცელებაში სასწაული მოახდინა თავისი სისწრაფითა და ოპერატიულობით, ურიგო არ იქნებოდა გაგვეხსენებინათუ საიდან წარმოიშვა ბეჭდვის ეს საოცარი ტექნოლოგიები და რა გზა გაიარა ქართულმა ბეჭდვითმა ორგანოებმა იმ მიღწევებამდე, რაც დღეს გაგვაჩნია.

დამწერლობის წარმოშობის უამრავი მოსაზრებიდან ერთ-ერთი კონცეფცია დენიზ შმანდტ - ბესერატს ეკუთვნის. მისი ჰიპოთეზის თანახმად, დამწერლობა კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის იმ ფორმებიდან უნდა მომდინარეობდეს, რომლებიც ადრეულ მიწათმოქმედ საზოგადოებებში ჭარბი პროდუქტის აღრიცხვის საჭიროების გამო წარმოიშვა. განსხვავებული გეომეტრიული ფორმის თიხის ფიგურებით (ინგლ. ტოკენს) ფრინველების, მარცვლეულისა თუ სხვა პროდუქტის აღწერამ კაცობრიობის ისტორიაში პირველი სიმბოლური სისტემა მესოპოტამიაში წარმოიშვა. იგი გავრცელებული იყო მთელ ახლო აღმოსავლეთში ძვ. წელთაღრიცხვის VII ათასწლეულიდან.

პირველი საბეჭდი პრესი გერმანელმა ოქრომჭედელმა, შემდგომ კი პირველმა გამომცემელმა იოჰან გუტენბერგმა 1440 წელს, ე.ი. ჯერ კიდევ საღმრთო რომის იმპერიაში შექმნა. გუტენბერგმა პირველი წიგნის ბეჭდვა 1455 წელს დაასრულა, რომელიც 180 ეგზემპლარად დაიბეჭდა. მარკ ტვენი ამბობდა: „სამყარო, როგორც არის იგი დღეს, კარგი თუ ცუდი - გუტენბერგს ეკუთვნის“.

ევროპაში ქალაქის წარმოება პირინეის ნახევარკუნძულზე, დღევანდელ პორტუგალიასა და ესპანეთში, მეათე საუკუნეში, არაბთა ბატონობის ხანაში, გავრცელდა. იქიდან კი 1400 წლისათვის იტალიისა და სამხრეთ საფრანგეთის გავლით გერმანიამდე მიაღწია. ყველაზე ძველი ევროპული ქალაქის დოკუმენტი, სილოსის მასალა, ესპანეთში, მისალის წმინდა დომინგოს მონასტერშია დაცული. იგი 154 ფურცლისგან შედგება და 1151 წელს პირინეის ნახევარკუნძულზე, ქალაქ ხატივიამია შექმნი-

ლი. ცნობილია, რომ იტალიაში ქალაქს უკვე 1726 წლიდან აწარმოებდნენ.

რაც შეეხება ქართული ხელნაწერებისა და წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან - ქართულ ხელნაწერ ტრადიციას და წიგნის ხელოვნებას თექვსმეტსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მისი წარმოშობა და შემდგომი ცვლილება უკავშირდება საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მრავალ ასპექტს - სარწმუნოებრივსა და პოლიტიკურ ორიენტაციას, სოციალურ ურთიერთობებს, საგანმანათლებლო ტენდენციებს, მხატვრული აზროვნებისა და მატერიალური კულტურის განვითარებას.

ქართული ხელნაწერი წიგნი არ შექმნილა მსოფლიო ცივილიზაციისაგან მოწყვეტილ გარემოში, ქრისტიანული მსოფლმხედველობის შეთავსების მიზნით, მან იმთავითვე მიმართა ყურადღება ქრისტიანობის უმნიშვნელოვანესი ცენტრებისკენ და შემდგომაც, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, ვითარდებოდა თანაღროულ აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროსა (სირია - პალესტინას) და კონსტანტინეპოლთან მჭიდრო კულტურული კავშირების გზით. შესაბამისად, ქართულმა ხელნაწერმა წიგნმა დღემდე შემოინახა ადრეული ქრისტიანული მწერლობის იმგვარი ძეგლები, რომელთა სხვაენოვანი ტექსტები - ბერძნული, სირიული, არაბული, კოპტური, ლათინური, სომხური თუ სლავური - დღეისთვის დაკარგულად ითვლება. ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში მან გაიზარა მცირე და ახლო აღმოსავლეთისა და ბიზანტიის წერილობითი კულტურების გამოცდილება, სრულად შეითვისა როგორც წიგნის შემეცნებით - საგანმანათლებლო ფუნქციის ამსახველი მრავალფეროვანი მასალა, ასევე მისი მხატვრული გაფორმების და საწარმოო პროცესების შესახებ შუასაუკუნეებში არსებული ცოდნა.

გვიან შუა საუკუნეებში ქართულმა სამწიგნობრო ტრადიციამ ყურადღება ევროპული ტენდენციებისა და გამოცდილებისკენ მიმართა. ევროპულ კულტურასთან კავშირმა ხელი შეუწყო ქართული ხელნაწერი წიგნის გრავირებისა და ბეჭდვითი საქმის განვითარებას.

დღეისათვის ცნობილია ქართული ხელნაწერი წიგნის 11 ათასამდე ეგზემპლარი, რომლებიც ინახება როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის უმნიშვნელოვანეს წიგნსაცავებში.

ეროვნული სტამბის - ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურული წარსულის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია, ქართული წიგნების ბეჭდვის დაწყება შორეულ რომში მთელი ოთხმოცი წლით უსწრებს პირველი სტამბის ამოქმედებას საქართველოში (1629 - 1709 წწ.).

1609 წელს რომში გამოვიდა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი - ქართულ - იტალიური ლექსიკონი. ამ წიგნის თავფურცელს აწერია, რომ იგი შეადგინა სტეფანე პაოლინიმ ქართველ ნიკიფორე ირბაქის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის) დახმარებით. ეს წიგნი შეიცავს 300-მდე ქართულ სიტყვას, ქართულ ანბანსა და იტალიური სიტყვების საძიებელს. წიგნი დაიბეჭდა სარწმუნოების გამავრცელებელ სასულიერო საზოგადოების სტამბაში. პროფესორი გრ. წერეთელი წერს, რომ ეს ლექსიკონი არაერთხელ ყოფილა გადაბეჭდილი და რომ ერთი ამათგანი დაცულია ვატიკანში.

ამავე წელს რომში დაიბეჭდა მეორე ქართული წიგნი - „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“. რომში XVII საუკუნის განმავლობაში დაბეჭდილ წიგნთაგან ცნობილია სულ ხუთიოდე დასახელების გამოცემა, მათ შორის მისიონერ ფრანცისკო მარია - მაჯიოს „ქართული ენის გრამატიკა“ (პირველი გამოცემა - 1643 წელს, მეორე - 1670 წელს). წიგნები აწყობილია მხედრული და ნუსხური შრიფტით.

მეოთხე ქართული წიგნი რომში 1681 წელს დაიბეჭდა. მას ასე იხსენიებს მიხეილ თამარაშვილი: „საქრისტიანო მოძღვრება სიმბოლოებით დარიგებული კარდინალ ბელარმინოსაგან და გადმოთარგმნილი პატრი ბერნარდი მარიამისაგან ნეაპოლიელისა, კაპუჩინი, მქადაგებელი და მღვთისმეტყველი, იტალიანურის ენისაგან მხედრული ქართული ენითა.“ აქ მოხსენიებული მთარგმნელი ბერნარდო მარიამი ნეპოლელი ერთი იმ მისიონერთაგანი ყოფილა, რომლებიც საკმაოდ კარგად ფლობდნენ ქართულს და წიგნებსაც თარგმნიდნენ ქართულად. ჰუგო შეხარტს ტორე-დელ-გრეკოში (იტალიაში), კაპუცინთა ძველ ეკლესიაში უნახავს 14 ქართული ხელნაწერი, ბერნარდო ნეაპოლელის

ხელით გადაწერილი. 1741 წელს დაიბეჭდა დავით ტუკლაშვილის მიერ თარგმნილი და მომზადებული საქრისტიანო მოძღვრება.

XVII საუკუნის ბოლო წლებში საქართველოში შექმნილი აუტანელი პოლიტიკური ვითარების გამო მოსკოვს გადახვეწილი ცნობილი პოეტი და მწიგნობარი, მეფე არჩილ მეორე უკავშირდება დასავლეთ ევროპიდან ჩამოსულ განათლებულ უცხოელებს - ამსტერდამის ბიურგომისტრს ნიკოლა ვიტცენს და შვედ მეცნიერს დიპლომატ იოჰან შპარგენგელფერდს, ხოლო მათი მეშვეობით ამსტერდამში მოღვაწე უნგრელ მიკლოშ კიშს და იწყებს სტამბის მოწყობასა და საგამომცემლო საქმიანობას. მან შეადგინა ქართული ასოების დამწერლობის ნიმუშები და გაუგზავნა ამსტერდამში სახელგანთქმულ ასოთმქანდაკებელსა და წიგნების ამწყობს მილოშ ტოტფალუმ კიშს, რომელმაც 1687 წელს თავისი შრიფტისათვის გამოიყენა ეს ნიმუშები და მიიღო ქართული ასოთმთავრულის, ნუსხა-ხუცურისა და მხედრული შრიფტების პირველი ანაბეჭდები.

არჩილ მეფემ მოსკოვში სინოდის სტამბასთან დააარსა ქართული წიგნსაბეჭდი, სადაც 1705 წელს გამოსცა „დავითნი“. არჩილს სურვილი ჰქონდა გამოეცა სახარება და ხელნაწერებსაც აგროვებდა, მაგრამ არ დასცალდა. 1713 წელს ის გარდაიცვალა. არჩილის ხელნაწერები, შრიფტი და სტამბა დარჩა მის ასულს დარეჯანს. დარეჯანმა ქართული წიგნის ბეჭდვა მღვდელმონაზონ ქრისტეფორე გურამიშვილის და არქიმანდრიტ გერმანეს დახმარებით განაახლა. აქ გამოცემულ წიგნთაგან აღსანიშნავია „პირველი სასწავლო ყრმათათვის“, ის სავარაუდოდ, 1732 - 1737 წლებში უნდა დაბეჭდილიყო (ზუსტი თარიღი უცნობია). 1736-37 წლებში დარეჯანის სტამბაში, პეტერბურგში, ქრისტეფორე გურამიშვილი გამოსცემს რუსულ-ქართულ ანბანს ლოცვებითურთ, რომელიც ბრწყინვალედ იყო გაფორმებული და ახლდა ლათინური და გერმანული შენიშვნები. 1737 წელს მოსკოვში ქართულ საგამომცემლო საქმიანობას სათავეში ჩაუდგა მთავარეპისკოპოსი იოსებ სამეხელი - კახეთის მეფის მდივან-მწიგნობრის თამაზ ქობულაშვილის შვილი. ამ პერიოდში ის იმპერატრიცა ანა იოანეს ასულის ბრძანებით, ნოვგოროდის მიტროპოლიტის თეოფინე პროკოპოვიჩის თანაშემწედ დააწინაურეს და ამავე დროს პირველი ხარისხის იურიევის ანუ წმინდა

გიორგის მონასტრის წინამძღვრობა უბოძეს. ამ დროიდან იგი აქტიურ მოღვაწეობას იწყებს ქართული საქმისათვის. იოსები ცდილობდა ქართული სტამბა მოეწყო მოსკოვში, მით უფრო, რომ ამ პერიოდში, პოლიტიკური ვითარების გამო, თბილისში სტამბის მუშაობა შეწყდა. ასეთივე სურვილი ჰქონდა ბაქარ ბატონიშვილსაც. დარეჯანის სტამბა პატარა იყო და არ კმაროდა მათი სურვილის განხორციელებისათვის. იოსებ სამებელმა 3-4 წლის განმავლობაში თავისი სამსახურით მოახერხა საკმარის თანხის მოგროვება სტამბის დასაარსებლად და წიგნების ბეჭდვის დასაწყებად. ამ საქმის შესრულება იოსებმა მიანდო თავის ახლო ნაცნობსა და სანდო პირს, მღვდელმონაზონ ქრისტეფორე გურამიშვილს. მანაც 1737 წელს სამებელის ხარჯით შეიძინა დარეჯან ბატონიშვილის სტამბა, ტექნიკურად გააუმჯობესა და საკმარის კარგად მოწყობილი სტამბა გამართა. სტამბის ზედამხედველობაც მას ჩააბარეს.

ცნობილია, რომ 1737-44 წლებში მოსკოვის ქართულ სტამბაში დაიბეჭდა 11 სქელტანიანი წიგნი, ძირითადად სასულიერო ლიტერატურა. მათ შორის იყო „ზადიკი“, „დავითნი“, „სახარება“, „ტესტამენტი“, არსენ იყალთოელის თარგმანი იოანე დამასკელის „გარდამოცემა აუცილებელი მართლმადიდებლისა სარწმუნოებისა“, „მარხვანი“ და სხვა. სამწუხაროდ, ეს გამოცემები არ შემორჩენილა. გადმოცემით, იოსებ სამებელი გარდაიცვალა გზაში, როდესაც მოსკოვიდან წამოსულა და თან სტამბაც წამოუღია. დაუმარხავთ ქალაქ ასტრახანში. ანდერძით მას სტამბა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრისათვის (გარეჯის უდაბნოში) დაუტოვებია.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში რუსეთში ქართული წიგნის ბეჭდვა განახლდა თბილისის მიტროპოლიტის ათანასე ამილახვარის თაოსნობით. პლატონ იოსელიანის ცნობით, ათანასე ამილახვარი ვახტანგ VI-ეს გაჰყოლია რუსეთში. აქ იგი ეკურთხა არქიმანდრიტად. ათანასე თეიმურაზ და ერეკლე მეფეებთან დაახლოებული და მათი სანდო პირი იყო. 1752 წელს ის გაგზავნილი იქნა რუსეთში დახმარების სათხოვნელად, ათანასემ რუსეთის მთავრობის პასუხი სვიმონ მაყაშვილის ხელით გაუგზავნა მეფეებს და თვითონ მოსკოვში დარჩა. რუსეთის მთავრობამ მას საცხოვრებლად ჯვართამაღლების მონასტერი მიუჩინა. 1761 წელს მან

სინოდისგან ქართული სტამბის დაარსების ნებართვა გამოითხოვა. ერთი ცნობით, მან ბაქარის ვსესვიატსკოეში დარჩენილი სტამბის ნაწილი შეიძინა, გამართა და დაიწყო საქმიანობა. 1766 წლის შემდეგ მის მიერ მოსკოვში დაბეჭდილი წიგნები არ მოგვეპოვება.

როდესაც ქართული წიგნის წარმოშობის შესახებ ვსაუბრობთ, აუცილებლად მეფე ვახტანგ VI (1675-1737) გვასხენდება, ვინაიდან უშუალოდ მის სახელთანაა დაკავშირებული პირველი ქართული სტამბის დაარსება, რომელიც თბილისში, მტკვრის სანაპიროზე საგანგებოდ აგებულ შენობაში განთავსდა 1708-1709 წლებში. მან სტამბის გამართველად ბულგარეთიდან მოიწვია სახელგანთქმული ოსტატი მიხაი იმტვანოვიჩი, წარმოშობით ქართველი ბულგარელი განმანათლებლის, სასულიერო მოღვაწისა და მესტამბის - ანთიმოზ (ერობაში ანდრია) ივერიელის მოწაფე. ანთიმოზმა ვახტანგ VI-ს სტამბის გამართვისათვის საჭირო ყველანაირი ტექნიკა და მასალა გაუგზავნა. შეიქმნა და ჩამოისხა პირველი ქართული შრიფტი. პირველი ქართული წიგნები, რომლებიც 1709 წელს ვახტანგისეულ სტამბაში დაიბეჭდა, შავი საღებავით, ნუსხური შრიფტით იყო დაბეჭდილი. ვახტანგმა ნუსხური შრიფტის მაგივრად ბეჯღავაში შემოიღო არსებული უფრო მარტივი მხედრული ანბანის შრიფტი. შემდეგ წიგნებში შრიფტთა სხვადასხვაობა შეინიშნება. სტამბაში შემოვიდა წითელი საღებავიც. აქ დასტამბული წიგნები ტოლს არ უდებდა ევროპაში დაბეჭდილს, ის იყო უმაღლესი დონით შესრულებული, თავისი როგორც მხატვრული, ისე ტექნიკური თვალსაზრისით.

1712 წელს თბილისის სტამბაში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. მას თან ახლდა კომენტარები, რომელიც სულხან საბას ძმამ ნიკოლოზ ორბელიანმა, იგივე თბილელმა, გერმანე მღვდელმონაზონმა, კვიპრიანე სამთენელმა, გარსევან - გაბრიელ მღვდელმა, ვახტანგის ძმამ კათალიკოსმა დომენტიმ და თვით ვახტანგმა დაურთეს. ეს იყო „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მეცნიერული შესწავლის მცდელობა, რაც საკმარისად წარმატებულად მოხერხდა. კათალიკოსი დომენტი მეცნიერება რუსთველოლოგიის დამფუძნებლად ითვლება.

1712 წელს ვახტანგი სპარსეთში გაიწვიეს, რის შემდეგაც სტამბამ მუშაობა ბევრად შეანელა. 1721-22 წლებში სტამბას ერთგვარი

აღორძინება ჰქონდა. ვახტანგის ვაჟმა ბაქარმა და ვახუშტი ბაგრატიონმა გამოსცეს ვახტანგის თარგმნილის „ქმნულების ცოდვის წიგნი“ ანუ „აიათი“ - სასკოლო სახელმძღვანელო და სამეცნიერო წიგნი. ბოლო წიგნი, რომელიც 1722 წელს აქ დაიბეჭდა, იყო „ჟამნი“. 1723 წლის დასაწყისში ოსმალთა შემოჭრის გამო სტამბის მუშაობა შეწყდა. ვახტანგ VI იძულებული გახდა დიდი ამალით რუსეთში გადახვეწილიყო.

1749 წელს ერეკლე II აღადგინა თბილისის სტამბა. 1782 – 1785 წლებში საგამომცემლო საქმეს აყვავების ხანა დაუდგა. გაუმჯობესდა და გაფართოვდა სტამბის შრიფტი და მოწყობილობები, მაგრამ 1795 წელს ალა - მაჰმად - ხანის მიერ თბილისის აოხრების დროს სტამბა ხელმეორედ დაინგრა. სამაგიეროდ მუშაობა გააცხოველა მოსკოვის ათანასე ამილახვარის სტამბამ, ხოლო 1796 – 1801 წლებში მოზდოკის ქართულმა სტამბამ, რომელიც გაიოზ რექტორმა დააარსა.

1793 წელს იმერეთის მეფემ სოლომონ II მესტამბე გ. პაიჭაძეს დაავალა სტამბის მოწყობა. მან ერთ წელიწადში სტამბაც გახსნა და პირველი წიგნიც გამოსცა. 1803 წელს ამ სტამბას სათავეში ჩაუდგა მოზდოკის სტამბიდან გადმოსული რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილი. იმერეთის სტამბა 1809-1811 წლებში მუშაობდა სოფელ წესში, 1815 – 1817 წლებში კი საჩხერეში (ზურაბ და გრიგოლ წერეთლის კარმიდამოში). ამის შემდეგ წიგნის გამოცემა კვლავ შეფერხდა. 1801 – 1837 წლებში გამოვიდა მხოლოდ შვიდი წიგნი, მათ შორის „ოსური საცისკრონი ლოცვანი“, რომელიც აწყობილია ნუსხური შრიფტით და დართული აქვს ოსური ბგერების გამომხატველი ნიმუშები.

ცნობილია აგრეთვე, რომ მოსკოვისა და პეტერბურგის გარდა სხვადასხვა დროს ქართული წიგნი გამოდიოდა აგრეთვე პარიზსა და მონთიბანში (საფრანგეთი), ლონდონში, ბერლინში, ვენეციაში, კონსტანტინეპოლში, კაკაზში, ბაქოსა და სხვ. მაგრამ ეს თითო-ორთა გამოცემა მხოლოდ ამა თუ იმ პერიოდის შემთხვევითი მოვლენა იყო და უმნიშვნელო გავლენას ახდენდა ქართული მწიგნობრობის განვითარებაზე, თუმცა მათ გარკვეული როლი შეასრულეს ქართული წიგნის ისტორიისათვის.

1836 წელს ქართული წიგნის გამოცემა თბილისში კვლავ გამოცოცხლდა. 1850 წელს დაიწყო ქართული კომედიების სერიის გამოცე-

მა (გიორგი ერისთავის „გაყრა“). 1851 – 1867 წლებში სულ 142 ქართული წიგნი გამოვიდა. ბეჭდვითი საქმის განვითარებაში განუზომელი წვლილი მიუძღვის ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. გარდა თბილისისა, სტამბები დაარსდა ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ოზურგეთში, ზუგდიდში, სენაკში, ხონში, გორში, თელავში, სიღნაღსა და ზესტაფონში. თბილისში ამ დროისათვის არსებობდა 19 სტამბა, სადაც იბეჭდებოდა წიგნები, ჟურნალები და გაზეთები (აქვე აღსანიშნავია, რომ პირველი ქართული გაზეთი 1819 წელს დაარსდა. მას ჯერ „საქართველოს გაზეთი“, ხოლო შემდეგ „ქართული გაზეთი“ ეწოდებოდა. საყურადღებოა, რომ ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემათა ისტორია „საქართველოს გაზეთით“ იწყება და ის იმდროინდელ საქართველოში ერთადერთი პერიოდული გამოცემა იყო).

XIX საუკუნის სამოციანი წლებისათვის საქართველოში განვითარდა საგამომცემლო საქმე და ქართული წიგნის ბეჭდვა აღარ შეწყვეტილა. პირიქით, დღეისათვის წიგნის გამოცემა გარკვეულწილად ბიზნესის სფეროდ იქცა, თუმცა ფაქტი რჩება ფაქტად, საქართველოში წიგნის გამოცემას თავისი ისტორია და უდიდესი მემკვიდრეობა გააჩნია, იგი იყო და არის ქართველი ერის ერთ-ერთი კულტურული ღირებულება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე ი. წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული ტერმინი. თსუ, შრომები, XXXIX, თბ. 1950
2. კარანაძე მ. ქართული წიგნის ყდის ისტორია, თბ. 2002
3. კარიჭაშვილი დ. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, თბ. 1929
4. კურდღელაშვილი მ. ქართული სტამბის ისტორიიდან, თბ. 1959
5. დეფლორი დენისი, მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის, თბ. 2009
6. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ელექტრონული მისამართი:
1. WIKIPEDIA.ORG
2. bechdvisistoria.narod.ru
3. geomanuscript.ge
4. dzeglebi.ge



კეთილი საქმე სარკვევით...

(კომენტარი ა. ჩაჩანიძის მიერ გამოცემულ წიგნზე „ჩვენი სკოლა“)

დღემდე შუახვევის რაიონის შესახებ გამოიცა ათზე მეტი წიგნი („შუახვევი“, „გამონათლევის გამონათება“, „ჩემი ციური ხომალდი“, „მარეთის ხეობა“, „ჩემო სკოლაჲ, მაღალ მთაზე დადგმულ“, „შუბანი“, „კვიახიძეები“...) რომლებიც ქებით მოიხსენიებენ ჩვენს მხარეში სხვადასხვა დროს მოვლინებულ პედაგოგებს, მედიცინის მუშაკებს, აგრონომებსა და სხვა სპეციალისტებს.

2010 წელს ბატონ ანდრო ჩაჩანიძის რედაქტორობით გამოიცა წიგნი „ჩვენი სკოლა“ (წიგნი II, აჭარა, ნაწილი I). კარგის, მაღლობის მეტი რა გვეთქმის ამ გამოცემის მიმართ; მართლაც დიდი შრომა გაუწევიათ, მაგრამ გვაქვს შენიშვნებიც:

მეტად სამწუხაროა, რომ აჭარის მაღალმთიანი რაიონების თითქმის არც ერთი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი სრულყოფილად, თუნდაც სიით, არაა წარმოდგენილი, ასე მაგალითად, უჩაბის, ოლადაურის, ნიგაზეულის, ჩანჩხალოს, ინწკირვეთის (შუახვევის რაიონი), ღორჯომის, ხულოს, აგარის (ხულოს რაიონი) სკოლებიდან.

მაღლობის ღირსია არიან გოგაძეების, წაბლანის (შუახვევის რაიონი) საჯარო სკოლების დირექტორები: შოთა ჯიბლაძე და ზვიადი ველიაძე. რომელთა საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულების შედეგად მშობლიური სკოლების ისტორია და პედაგოგიკური შესაძლებლობისამებრ სრულყოფილად წარმოჩინდა.

1915-1980 წლებში აჭარის მთიანი რეგიონის სოფლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (იმერეთიდან, სამეგრელოდან, გურიიდან) მოწვეული მასწავლებლები სოფლის გლეხთა ოჯახებში ცხოვრობდნენ და უფასოდ ბინით, სათბობით, სურსათით უზრუნველყოფილი იყვნენ.

პედაგოგი აჭარაში საყოველთაოდ აღიარებული პიროვნება იყო. მათი რაოდენობა დაახლოებით ოცი ათასამდეა. მართო შუახვევის რაიონში მოვლინებულ მასწავლებელთა და მედიცინის მუშაკთა დიდმა ნაწილმა სოფლის მკვიდრებიდან შექმნა მყარი, კულტურული მრავალშვილიანი ქართული ოჯახი.

შუახვევის რაიონში მოვლინებულ პედაგოგთა დიდმა ნაწილმა სკოლაში ნაყოფიერი შრომით,

ხანგრძლივი მოღვაწეობით დატოვა კვალი ნათელი. ასეთები არიან:

კალანდარიშვილი სარდონ ღომენტის ძე - საქართველოს და აჭარის დამსახურებული მასწავლებელი,

ჩხაიძე ეთერ დიმიტრის ასული - აჭარის დამსახურებული მასწავლებელი (ტბეთი),

ვაშალოძე მამია თეოფილეს ძე - აჭარის დამსახურებული მასწავლებელი (ტბეთი),

რუსიძე იზოლდა (ტბეთი),

სურმავა ენუქი (ტბეთი, ბარათაული, დღვანი, ლომანაური),

კაკაურიძე სერგო გიორგის ძე (შუბანი), ჯაოშვილი ნელი (უჩაბა),

არჯევანიძე ლეონიდე (ოლადაური),

ოსიძე მამია (გორი), ანთაძე დავით (შუახვევი)

და სხვები არ არიან წიგნში მოხსენიებულნი.

ეს ის წლებია, როცა ზემო აჭარაში არ იყო საავტომობილო გზები, ელექტროენერგია, რადიოტელევიზია, მაგრამ ამის გამო მათგან პრეტენზიები არასოდეს გვსმენია.

რაც შეეხება ტბეთის (შუახვევის რაიონი) საჯარო სკოლის მონაცემებს, სამარცხვინოა დღეს ამ სკოლის ისტორიის ასეთი არცოდნა ან უგულვებელყოფა, დავიწყება იმისა, თუ რა დიდი საქმე გააკეთეს დღევანდელთა მიერ დაწუნებულმა იმ 70-მდე პედაგოგმა, რომლებიც არსად მოიხსენიებიან. ესენი არიან: კაცაძე გიორგი - გამგე, თოხაძე ივანე, ჯინჭარაძე პროკოფი - გამგე, ტყეშელაშვილი პანტელეიმონ, ჩემია შალვა, ურუშაძე შალვა, - გამგე, ორაგველიძე ლუბა მელიტონის ასული, ჩიქოვინიძე ქსენია, ცოტაძე თამარი, გოგიჩაიშვილი თამარი, გოგიჩაიშვილი ვალერი - გამგე, მურვანიძე ეკატერინე, მელაძე დიმიტრი დიმიტრის ძე, სარჯველაძე ივანე, ნემსაძე შოთა დავითის ძე - დირექტორი, ჯანგველაძე კარლო ხარიტონის ძე, ტაბიძე გიორგი მარკოზის ძე, მეძველია ვიქტორ ამბროსის ძე (ამირანის ძე), შოვნაძე ვერა ბესარიონის ასული, შოვნაძე ტატიანა ბესარიონის ასული, როყვა ოლია ნიკოლოზის ასული, მუქერია ფატი მიხეილის ასული, რამიშვილი ქეთო - დირექტორი, იობაძე ალექსანდრე

ლუკას ძე - დირექტორი, მანატიძე ვაჟა არტემის ძე, ჩიქვანია ლილი დომენტის ასული, ხანთაძე ამბროსი პროფილეს ძე, ავალიანი თამარ ეზეკის ასული, უშველიძე თამარ დომენტის ასული, თოდრაძე ვალიდა პავლეს ასული, ღლონტი ალექსანდრე ივანეს ძე - დირექტორი, ჩხაიძე ეთერ დიმიტრის ასული, ძნელაძე შოთა, ზაქარეიშვილი იაშა ვლადიმერის ძე, ანთაძე დავით ირაკლის ძე, კალაძე ჯაბა გერასიმეს ძე, ჭილაძე მარო, შანიძე ციალა მიხეილის ასული, იობაძე ნადია ანტონის ასული, ალანია თინათინ ნიკოლოზის ასული, ამაღლობელი ვახტანგ გიორგის ძე, სანიკიძე ვარდუშა ილიას ასული, ჩიმაკაძე ლილი ალექსანდრეს ასული, ხურცილავა თინათინ, ლეჟავა გულნარა სამსონის ასული, რუსიძე იზოლდა ვასილის ასული, ზაქარეიშვილი გიორგი, ვაჩიშვილი მერი თომას ასული, გუკასიანი ტატანა, ჯიქია პატკუ რაფიელის ასული, ნემსაძე შოთა, ჩახვაძე გრიშა, ნაყოფია ანთიმოს, თოლორაია კოლია, თოლორაია ვიქტორ, გრიგოლია თალიკო, გოგოშაია აკაკი, მეგია ვარლამ, მამალაძე დარეჯან, სვანიძე ეთერი, ზაქარეიშვილი გიორგი, ჯიშკარიანი გალინა, მალაზონია თინა, ჯღამაძე ლილი, ჯღამაძე ლენა, კარაიანი ლენა, შოვნაძე პანტელეიმონ, მუკასიანი ტატანა, სურმავა ენუქი - დირექტორი, ღუმბაძე ალექსანდრე - დირექტორი.

კიდევ მეტი, გამოტოვებულია სოფლის სახელისა და ღირსების შორს გამტანი პიროვნება, რომელმაც ღირსეული კვალი დატოვა საგანმანათლებლო სისტემის სრულყოფის საქმეში. გულსატკენია, რომ სოფლის სკოლის ისტორიაში ასე ზედაპირულად აღინიშნება მართლაც პედაგოგთა ოჯახის - ძმების ლევან და ვახტანგ წულუკიძეებს, მათი მეუღლეების - ეთერ ჩხაიძის, შუშანა დავითაძის ღვაწლი. ამათგან ბატონი ვახტანგ წულუკიძე სხვადასხვა დროს იყო ტბეთის რვაწლიანი, ღორჯომის საშუალო, ხულოს პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორი, შუახევის რაიონის განათლების განყოფილების გამგე და რაიონული საბჭოს აღმასკომის თავჯდომარე. 25 წლის განმავლობაში აჭარის განათლების მინისტრი, მინიჭებული ჰქონდა აჭარისა და საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება. 1984-1990 წლებში იყო გაზეთ „აჭარის“ რედაქტორი.

წავიკითხე წიგნი და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ვინც წიგნის ავტორს ეს მასალა მიაწოდა, მისთვის არაფერს ნიშნავს წარსული. სამწუხაროდ, ეს არ არის შორეული წარსული და მეტი პასუხისმგებლობა გემართებს ღვაწლმოსილი ადამიანებისადმი.

არავინ და არაფერი რჩება ამქვეყნად სახელის გარდა. თუ ამასაც გვერდს აუვლით და მხოლოდ საკუთარ თავის პატივისცემით, მხოლოდ აწმყოთი დაკმაყოფილებით, სწორედ ეს აწმყო შეუქმნის ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს ჩვენი დავიწყების საუკეთესო საფუძველს.

ღიას, ტბეთის სკოლის შესახებ წერილში მეტს ველოდი, მაგრამ ვინც იგი შეადგინა, დაავიწყდა, რომ „აწმყო-შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა“ (ლაიბნიცი).

ჩემს თანასოფელელ ტბეთელ პედაგოგებს კი მივმართავ: თქვენ ნუ ივიწყებთ საკუთარი მშობლების აღმზრდელ-პედაგოგებს, ბუნებრივია, არც თქვენ პედაგოგებს იხსენებთ კეთილად. ისე ნუ იზამთ, რომ პირადად თქვენც მომხსენიებული არავინ გყავდეთ!

იმედია წინამდებარე წიგნის ავტორი გაითვალისწინებს ჩვენს ამ შენიშვნებს და მომდევნო გამოცემებში დაზღვეული იქნება მსგავსი და სხვა სახის ნაკლოვანებებისაგან.

.შ. წიგნში შეტანილ ყველა წინადადებას კი არა, ყველა სიტყვას ფაქიზად და სათუთად უნდა მოექცეს ავტორიც და წერილში შეტანილი მასალების მიმწოდებელიც. ნიგაზეულის საშუალო სკოლა საზეიმოდ რომ მოიხსენა, წერილის ავტორს, დაავიწყდა 1977-1982 წლამდე ვინ იყო სკოლის დირექტორი, და ვისი დირექტორობის დროს გაიხსნა სკოლა. სკოლის გახსნაზე მოწვეული იყო აკაკი ადამია, რომელიც მუშაობდა ნიგაზეულში 1931-1933 წლებში. სკოლის გახსნაზე ვერ ჩამოვიდა მიხაკო ორაგველიძე.

აჭარის მთიანეთის კულტურულ ცხოვრებას ნათელი კვალი დააჩნიეს პედაგოგებმა, რომლებიც მთის სკოლებში მოსწავლეებს მუსიკასა და ქორეოგრაფიას ასწავლიდნენ. მათი დამსახურებაა, რომ ქართული ხელოვნების, კერძოდ ცეკვისა და სიმღერის კულტურა საქართველოს საზღვრებს გასცდა. ეს პედაგოგები არიან: სიმონ ფუტკარაძე აჭარის დამსახურებული ქორეოგრაფი და მასწავლებელი. მუშაობდა ტბეთისა და დაბა შუახევის საშუალო სკოლაში, ნუგზარ დავითაძე, როლანდ ივანაძე, შოთა ფუტკარაძე (დღვანი), ნოდარ ფევაძე (დაბა შუახევის და ჭალის საშუალო სკოლა) და სხვა...

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, წიგნის ავტორი სრულებით არ დაინტერესებულა მასალების ხარისხით, ჩანს მისთვის მთავარი იყო არა წიგნის ხარისხი და მკითხველთა რაოდენობა, არამედ წიგნის მყიდველთა რაოდენობა...



მკვლევარი-ბოტანიკოსი, ბუნების ქომაგი

დაბადებიდან 70 - წელი შეუსრულდა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის ყოფილ გამგესა და სრულ პროფესორს, ამჟამად პროფესორ-ემერიტუსს, მრავალი მეცნიერული მონოგრაფიისა და გამოკვლევის ავტორს, ჩვენი ჟურნალის - „ლაკლაკეთი“-ს სარედაქციო საბჭოს წევრს, მურმან დავითაძეს.

ჟურნალი „ლაკლაკეთი“, მისი სარედაქციო საბჭო, მკვლევარის მრავალრიცხოვან კოლეგებთან ერთად, გულითადად ულოცავს ღვაწლმოსილ მეცნიერს მისი ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს წელთხანგრძლივობას, შემდგომ მეცნიერულ წარმატებებს ქართული ბიოლოგიური მეცნიერების აღმავლობისთვის, მრავალ პირად და ოჯახურ ბედნიერებას.

მირიან (მურმან) დავითაძე

ცნობრების დილა (ავტობიოგრაფიული ჩანახატი)

წელიწადის დროთა შორის, ჭირნახულით ყველაზე მდიდარ-შემოდგომის პირველი თვის, პირველ რიცხვში დავიბადე: 1943 წლის პირველ სექტემბერს დაიწყო ჩემი სიცოცხლის დილა. ჩემი ცხოვრების ამ მონაკვეთში, უმნიშვნელოვანესი მშობლიურ სოფელ ტბეთის შვიდწლიან სკოლაში სწავლაა. პირველ კლასში ეთერი მასწავლებლის მიერ შერქმეული სახელი, თითქმის ბოლომდე შემომრჩა, თუმცა სამშობლოს მტრისა და შეყვარებულთა შორის ეკლად ამოსულის სიმბოლო - სახელს ვერასოდეს ვიტანდი. დღემდე მიშველა და სიბერის წინა ჟამს მირიანად მომნათლეს...

მერვე კლასიდან უჩამბის საშუალო სკოლაში გადამიყვანეს. ტბეთიდან სამოლეთის კონცხზე მდებარე სკოლაში აქეთ და იქით ქვისასროლიას და ქედრუნას აღმართებზე გავლით ყოველდღე 9 კმ-ს გავდიოდი, ზოგჯერ თოვლით გადაბარდნულ მალარას, უხუნაღელეს და ქვაბთას ხეობებში ზვავი ჩამოწვებოდა, მაშინ სკოლაში ვერ მივდიოდი, გაკვეთილები გვიცდებოდა... 1959 წელს ათწლეული დავათავრე.

იმაშ მასწავლებელს (ზაქარეიშვილს) ვუმაღლი, რომ უმაღლეს სასწავლებელში, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების დარგი - ბიოლოგია ავირჩიე. ჩემი ბოტანიკოსობა კი 2-3 მეტრიანი თოვლის საბურველის აჭრელებისთანავე, ჩხიკვეთსა და ზვარეს მშრალ, ქვლორიან მუხნარებში ბაბილოს (ფურისულის) და კვარაკუნჩხას (ყოჩივარდას) ყვავილებმა განაპირობეს, - მცენარეებმა, რომლებიც სიცოცხლის გაღვიძების მათე-წყებლნი არიან ხანგრძლივი, ცივი, ყინვიანი ზამთრის შემდეგ. უმაღლესის მეორე კურსზე, საკურსო თემადაც “ჩვენი მთის ადრე მოყვავილე მცენარეები” შემირჩიეს.

დღეს, როდესაც ვიტყვით პირველადი, ხელუხლებელი გარემო, სოფელ ტბეთის სუცხარო მდამოებში შემორჩენილი უღრანი, ნაძვნარ-წიფლნარი მარადმწვანე ქვეტყე რომაა, ის წარმომიდგება. იშვიათია ამაღვარი ადგილები

არა მარტო ჩვენს სამშობლოში, არამედ მთელ დადამიწაზე. ჩემი სოფლის დაბურული ტყეების სიღიადემ და თვითმყოფადობამ, ჩემში იღუმალების გრძობა გააჩინა. უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ კი ამ იღუმალების შეცნობისაკენ მიბიძგა. ასე აღმოჩნდი, აჭარაში პირველ სამეცნიერო დაწესებულებაში - ბათუმის ბოტანიკურ ბაღში. ბედმა აქაც გამიღიმა, ჩემი ცხოვრების შუადღისას, დამოუკიდებელი საქმიანობა აჭარის ფლორის გამოჩენილ მკვლევართან “აჭარის ფლორის დიდნენედ” წოდებულ ალექსანდრა დმიტრიევასთან მომიწია. მასთან ერთად მოვიარე აჭარის მთა და ბარი: მტირალა, ხინო, გომანი, ღომა, ჩირუხი, გოდერძი და სხვა; მდინარე კინტრიძის, ჩაქვისწყლის, მაჭახელას, აკავრეთას (მერი-სისწყლის), ჭვანისწყლის, სხალთის, უჩამბის და სხვა ხეობები. გავეცანი ბუნების უნიკალური ქმნილების-მცენარეულობის შემქმნელი ჭაობების, ბუჩქნარების, ტყეების, მდელოების არსს, მათ მნიშვნელობას დედამიწაზე. მათ როლს ისეთი მთიანი ქვეყნის გარემოში, როგორც ჩვენი სამშობლოა.


მცენარეულობა მთა-ბარის მწვანე სამკაულია, ჩვენი მარჩენალი და მფარველიცაა. მის შეუცვლელ მნიშვნელობას და სიღიადეს ბუნებაში ბევრჯერ მოვუხიბლივარ და განუცვიფრებლავარ სახალისსა თუ კურილიის კუნძულებზე, ციმბირის ტაიგაში თუ ბაიკალისპირეთში, კოლის ნახევარკუნძულზე და კარპატებში, კავკასიის მთებსა და შავშეთის ქედის მთაგრეხილებზე. ვი განუმერებელ სილამაზეს ქმნის კოლხეთშიც. აჭარაში (სამხრეთ კოლხეთში) კი ფლორის უძველესი რელიქტური სახეობებით შემქმნილი მცენარეული საფარი ბუნების უნიკალურ ქმნილებადაა მიჩნეული. მის მდიდარ მრავალფეროვნებას ბევრი სტუმარი განუცვიფრებია, ჩემში კი სიამაყის გრძობა გაუღვიძებია და დღესაც ბავშვობისდროინდელ განცდებთან მბრუნებს. ამ განცდით ალვისილი მოახლოებულ ცხოვრების საღამოსაც არ ვუშინდები...



მასწავლებლის გახსენება

საქართველოში არა ერთი ძირძველი გვარია ცნობილი - ზოგი თავისი სოციალურად პრივილეგირებული მდგომარეობით, ზოგი მეომრობით, ზოგიც ერისთვის გაწეული სხვადასხვა სამსახურით. თურმანიძეთა გვარი ათწლეულებია ქართველი კაცის ცნობიერებაში სახალხო მკურნალის, „თურმანიძეების მალამო“ კი სასწაულქმელობისა და უებრობის სინონიმადია ქცეული.

ამ წიაღიდან გამოვიდა უჩამბისხეობელი ლეწლმოსილი პედაგოგი, საქართველოს სახალხო განათლების წარჩინებული მუშაკი, ლოგიკოსი, მეგლულ თურმანიძე.



მეგლულ თურმანიძე

ამ კაცურ-კაცობით ამღლებული კაცის ცხოვრების გზასეთია: დაიბადა სოფელ სამოლეთში დაამთავრა სოფლის საშუალო სკოლა, შემდეგ ხულოს რაიონის პედაგოგიური სასწავლებელი, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე

ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობაზე. იგი მუშაობდა სოფლების - ყინაურისა და ლაკაკეთის დაწყებითი სკოლების გამგე-მასწავლებლად, უჩამბის რეწლიანი სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად. სასწავლო ნაწილის გამგედ. ამასობაში გადაიარა ომის წლებმაც და იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ლოგიკის სპეციალობაზე. განსწავლული ხულოს რაიონის რიყეთის 8-წლიანი სკოლის დირექტორად და ისტორიის მასწავლებლად განმწესდა, მალე შუახევის რაიონის უჩამბის საშუალო სკოლაში დირექტორად გადავიდა, აქედან იწყება აღმასვლა; საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის საოლქო ორგანიზაციის რეფერენტობა, საქართველოს განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის მეთოდური კაბინეტის გამგეობა, რამდენიმე მოწვევის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს დეპუტატობა, რაიკომის წევრობა... გაჩნდა ჯილდოებიც: „საპატიო ნიშნის“ ორდენი, მედლები: შრომითი მამაცობისათვის, დიდი სამაბულო ომის პერიოდში (1941-1945 წლები) „შრომის ვეტერანი“, „სამკერდე ნიშანი: „სსრ კავშირის განათლების წარჩინებული“...

ცხოვრების ბოლოს იყო რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

უჩამბის საშუალო სკოლაში ლეწლიანი მუშაობისას მასთან ერთად იხსენებენ პედაგოგები: პირველი ქალი მასწავლებელი ზემო აჭარაში საქართველოს სსრ დამსახურებული პედაგოგი ფადიმე გამრეკელიძე, ხუსეინ ბერიძე, ხუსეინ ვარმანიძე, ნიაზ თურმანიძე, ვახტანგ კეჟერაძე, მეგლულ შერვაშიძე, კოტე და ილია ბერიძეები. მისი მუშაობის საუკეთესო ნაყოფია გასული საუკუნის 60-იან წლების ადგილობრივ პედაგოგთა პლეადა: შოთა, თეიმურაზ, შოთა, ეთერი, გიორგი, მიხეილი, ესმა, ნაზი, სოსო, ავთანდილ, ფატი ბერიძეები; ივანე, სოფიო, ლევან ველიაძეები; მურმან, ტარიელ, ესხან აბუსელიძეები; ნოდარ და იოსებ გამრეკელიძეები; ეთერ ზოსიძე; იოსებ ცინარიძე და სხვები. იმავე პერიოდში უჩამბის სკოლა-დამთავრებულმა 120-მა ახალგაზრდამ მიიღო უმაღლესი და საშუალო-პროფესიული განათლება.

ბატონი მეგლული უღარესად სტუმართმოყვარე ბრძანდებოდა. უჩამბის ხეობაში შემოსული სტუმარი მას უთუოდ ეწვეოდა, ოჯახსა და ავტორიტეტს ამღლებდა ქალბატონი სალიე, შვილები, - თამაზი, ნანული და როლანდი. სპორტისა ხელოვნების დიდი მოყვარული იყო, უზადო იუმორის მქონე, საჭირო დროს შემტევი, ზოგჯერ, თუ ეს საჭირო იყო, უკან დამხვეიც, რაც მისი ჰუმანურობიდან გამომდინარეობდა...სამისო მოგონებაც მაქვს: მეთერთმეტე კლასში ვსწავლობდი, სკოლის თვითმოქმედ წრეში ვმონაწილეობდი, მახსოვს, ზედმეტი ცელქობის გამო სკოლიდან გაირიცხა ერთი ჩემი კლასელი. თანაკლასელებს ეს ამბავი ძალზე გვეწყინა. ისიც გუნდის წევრი იყო. სიმღერისას მესამე ხმა განგებ ავურ-დავურიეთ, რამაც დირექტორი მეტად შეაწუხა. მიზეზად ოთარის წასვლა დავასახელებთ და აუუსენით, რომ იგი მესამე ხმაში „შეუცვლელი“ იყო. დირექტორმა იმ წამსვე აფრინა გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მასწავლებელი ივანე ველიაძე და... ასე დავაბრუნეთ ოთარი ისევ სკოლაში. რეპედიცია მაღალ დონეზე ჩატარდა. ბატონმა მეგლულმა, რომელიც ბეჯითად გვისმენდა, გადაჭარბებული აღფრთოვანებით წარმოთქვა: ხედავთ, კაცო, „თურმე ველიაძე მღერისო“... ამჯერად იგი ორმაგად კმაყოფილი ჩანდა... და დღეს, როცა მას ხალხი, თანასოფლელები, მეზობლები სიყვარულით იგონებენ, მეამაყება, - იგი ჩემი მასწავლებელი იყო.

„ზე-კართან“ აჭარის მაღალმთიანეთში ლიტერატურულ ფესტივალს საფუძველი ჩაეყარა

(სპეციალურად ჟურნალ „ლაკლაკეთისთვის“)

შუახვევის მუნიციპალიტეტში ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ გაიმართა. ეს მოვლენა მაღალმთიანი აჭარის ისტორიაში პირველია, რომელიც რაიონში არსებული კულტურულ-ისტორიული ძეგლებისა და ადგილების პოლურალიზაციას ისახავდა მიზნად. ფესტივალის იდეა ამავე მუნიციპალიტეტის მკვიდრს, კულტურის ცენტრის რეჟისორს ვახტანგ ბერიძეს ეკუთვნის. მოეწყო ექსპედიციები შუახვევში არსებულ ისტორიულ-კულტურულ ძეგლებსა და ადგილებში, შემდგომი ისტორიული ესეების, ლექსების, მოთხრობის, ნოველებისა და ჩანახატების შექმნის მიზნით, რომლებიც პროექტის ფარგლებში თავს მოიყრის სპეციალურ კრებულში. პროექტი ასევე მოიცავდა შეხვედრებს მწერლებსა და პოეტებთან, მათი შემოქმედებითი სადამოების გამართვას მუნიციპალიტეტის სხვადასხვა თემში.

ფესტივალის მიზანი შუახვევში ლიტერატურული ფესტივალის დამკვიდრება და ახალგაზრდებში წიგნის პოპულარიზაცია გახლდათ. პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტს ცნობილი ქართველი ბათუმელი, თბილისელი და ქუთაისელი მწერლები და პოეტები ეწვივნენ - ემენ დავითაძე (პოეტი) ბათუმი, დავით თედორაძე (პოეტი) ბათუმი, ვახტანგ ლლონტი (პოეტი) ბათუმი, ლიკა ყიფშიძე (მწერალი) თბილისი, მინდია არაბული (პოეტი) თბილისი, ირაკლი შამათავა (პროზაიკოსი) თბილისი, როინ აბუსერაძე (პოეტი) ბათუმი, გენრი დოლიძე (პოეტი) ბათუმი, თორნიკე ჭელიძე (პოეტი) თბილისი, თამაზ მეტრეველი (მწერალი) თბილისი, მირიან გორგილაძე (პოეტი) ბათუმი, ცისანა ანთაძე (პოეტი) ბათუმი, ბელა ქებურია (პოეტი) ბათუმი, გიორგი ჭეიშვილი (პროზაიკოსი) ქუთაისი, ნიკა ფუტყარაძე (ნორჩი პო-

ეტი) ბათუმი, ზურაბ ზოიძე (პოეტი) შუახვევი, ნინო გუგეშაშვილი (მწერალი) თბილისი, აჩი ბერიძე (პოეტი) ბათუმი, ინო მოდრეკილაძე (პოეტი) თბილისი, ქალთამაზე (ანა) სურმანიძე (პოეტი) ბათუმი, ოთარ ფუტყარაძე (ჟურნალისტი, პუბლიცისტი) ბათუმი, მათ შორის იყვნენ ბათუმის მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლის „ნორჩ შემოქმედთა“ კლუბის წევრები - რუსუდან ლორთქიფანიძე, მირიან გორგილაძე და დათო ღუმბაძე.

ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა („თავისუფალი პროექტების კონკურსის ფარგლებში“) და შუახვევის გამგეობის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

ფესტივალი სამ დღეს მოიცავდა. პროექტის მონაწილეები პირველ დღეს, 20 სექტემბერს ზამღეთის ხეობას ეწვივნენ. შემოქმედებს მასპინძლობა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, პროფესიით არქეოლოგმა, პროფესორმა ტარიელ ებრალიძემ გაუწია. სოფელ ფურტიოს შესასვლელში მეთორმეტე საუკუნეში აგებული, ახლადრეაბილიტირებული თამარის ხიდი მონახულეს. მუნიციპალიტეტის სტუმრებმა მცირე ექსკურსიის შემდეგ სოფლის ცენტრში გადაინაცვლეს. პროფესორმა ტარიელ ებრალიძემ, რომელიც 2012 წელში სოფელ ფურტიოს ნაეკლესიარის არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობდა, ექსპედიციისას აღმოჩენილი ეკლესიის საძირკვლის ნაწილის, სამარხებსა და მრავალი სხვა ნივთის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

ტარიელ ებრალიძე: ლიტერატურული ფესტივალი შუახვევისთვის ახალი ხილია. ეს წამოწყება ახალგაზრდა ნიჭიერ კაცს ვახ-

ტანგ ბერიძეს ეკუთვნის. როგორც კი პროექტი ვნახე, შეძლებისადგარად დაუდექით გვრდით. ჩვენი თანამშრომლობა, რომელიც მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებას შეუწყობს ხელს, მომავალშიც გაგრძელდება.

პროექტის მონაწილეებმა ფურტიოს საჯარო სკოლის ეზოში შეკრებილი მოსწავლეებისა და ადგილობრივებისათვის პოეზიის საღამო გამართეს. ლექსით გამთბარმა ახალგაზრდებმა საკუთარი შემოქმედება სტუმრებს გააცნეს. პოეტმა ბელა ქებურიამ მოსწავლეებს აქტიური წერისკენ მოუწოდა და სამომავლოდ ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის ჟურნალთან „ზღვაური“ თანამშრომლობა დაჰპირდა.

ფურტიოს საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ფატი მიქელაძის თქმით, ქვეყნის მასშტაბით ყველა თაობის ცნობილი პოეტებისა და მწერლების სტუმრობა სოფელში პირველია. მოსწავლეების უმრავლესობაც ცოცხალ შემოქმედს პირველად შეხვდნენ. რაც შეეხება პროექტს, მადლობას ვუხდით მის იდეის ავტორსა და ორგანიზატორს, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულ ვახტანგ ბერიძეს რომ ასეთი თბილი და საინტერესო საღამო გვაჩუქა. ჩვენს მოსწავლეებშიც ღვივის ლექსისა და პროზის მარცვალი, მსგავსი შეხვედრები კი მათში პოეზიისადმი სიყვარულს კიდევ უფრო გააღვივებს.

ქეთევან მანელიშვილი: ვახტანგ ბერიძის პროექტს მხარი იმიტომ დავუჭირეთ, რომ იგი აჭარის მაღალმთიანეთში კულტურისა და ლიტერატურის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. ვახტანგმა იმდენად საინტერესო შემოქმედები შემოიკრიბა ირგვლივ, დარწმუნებული ვარ ნებისმიერი მკითხველისთვის საყვარელი კრებული გამოიცემა. რაც შეეხება „ზე-კართან“, დარწმუნებული ვარ იგი შუახევში ლიტერატურული ფესტივალის დამკვიდრების საფუძველი გახდება და სამომავლოდ მუნიციპალიტეტის ღონისძიებათა ნუსხაში შევა.

პროექტის პროგრამის ფარგლებში იმავე დღეს შემოქმედები სოფელ ნიგაზულს

ეწვივნენ. მათ პირველ რიგში საქართველოს ერთიანობისთვის წამებული სელიმ ბეგ ხიმშიაშვილის სახელობის მუზეუმი მონახულეს. მუზეუმის გამგემ ელგუჯა ხიმშიაშვილმა საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი ფოტონამუშევრებისა და ექსპონატების შესახებ ვრცლად ისაუბრა. მოეწყო შეხვედრა სოფლის მოსახლეობასთან და პოეზიის საღამოც გაიმართა. ექსპედიციის მონაწილეებმა სელიმ ბეგ ხიმშიაშვილის ციხის ტერიტორია დაათვალიერეს.

ბელა ქებურია: მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტებში ხშირად გვაქვს პოეზიის საღამოები, ნიგაზულში პირველად ვიმყოფები. შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. ჩვენი ქვეყნისა და კუთხისთვის ისტორიული პიროვნების სოფელში დღესაც ტრიალებს პატრიოტული სული. ადგილობრივები რუდუნებით უვლიან წინაპართა კერებს. ძალიან თბილად მიგვიღეს და მოგვისმინეს. საკუთარი ყოფაცხოვრებას და ტრადიციებზე გვესაუბრნენ. ასეთი ადამიანები ჭირდება დღეს საქართველოს. მათ ცხოვრებასა და თავდადებაზე მთელმა საქართველომ უნდა გაიგოს. ეს პროექტი კი ამ მნიშვნელოვან საქმეს შეუწობს ხელს. ფესტივალის ორგანიზატორმა სწორად განსაზღვრა პროექტის იდეა და ჩვენამდე მოიტანა, რისთვისაც ძალიან დიდ მადლობას ვიხდი მას. მჯერა, ეს ენერგიული და ნიჭიერი კაცი არა მარტო შუახევისთვის, არამედ მთელი მაღალმთიანი აჭარისთვის ბევრ საინტერესო და საჭირო საქმეს გააკეთებს.

ფესტივალის მონაწილეები მეორე დღეს ჭვანის ხეობას ეწვივნენ. ლიტერატურული ექსპედიციის წევრებმა ოთოლთას ციხე მონახულეს. მოისმინეს ციხის ისტორიულ-სტრატეგიული დანიშნულების შესახებ ისტორიული ცნობები. ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილობრივებისთვის პოეზიის საღამო გაიმართა, რომელშიც აქტიურად ჩაერთნენ სოფელ ტაკიძეების პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები.

ირაკლი შამათავა: ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას ინახავს შუახევში შემორჩენილი ციხეების ნაშთები. რომე-

ლიმე მათგანის ისტორია აუცილებლად აისახება ჩემს შემოქმედებაში. თითოეული შეხვედრა, რომელიც აქაურებთან იმართება ემოციებითაა დატვირთული. ლიტერატურისა და ქვეყნის სიყვარულით სავსე არიან. მათგან ბევრი ნამდვილი ისტორია და ლეგენდა მოვისმინეთ, რომლებიც მალე ლიტერატურულ ღონისძიებას შეიძენს. გარდა ამისა, ეს პროექტი ჩემთვის მნიშვნელოვანია სხვა კუთხითაც, გავიცანი და დაგემეგობრდი აქაურ პოეტებთან, რაც სამომავლოდ მსგავს ფეტივალებში ჩართვის კიდევ ერთი მოტივაცია გახდება.

პროექტის მონაწილეებისთვის განსაკუთრებული შთაბეჭდილება უჩამბის (ბოგილისწყლის) ხეობამ მოახდინა. ღონისძიებების მესამე დღეს მთის ცივი წვიმის მიუხედავად, ნისლში გახვეულ გზას, რომელიც მალლა და მალლა მიიწევდა, პოეტები ლექსების კითხვითა და სიმღერით განვლეს. სოფელ ცინარეთის ტყეში ჩაკარგული „ცინარეთის ციხისკენ“ მიმავალი ბილიკი საკმაოდ დახლართული და ტალახიანი აღმოჩნდა. თუმცა გზა თითოეულმა მათგანმა ხალისით განვლო.

გიდის როლი სოფელ ცინარეთის მკვიდრმა, ცნობილმა ჟურნალსიტმა ოთარ ცინარიძემ მოიგო. მისი განცხადებით, კლდეში ნაკვეთ ნაგებობას საუკუნეების წინათ, მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონია, ამჯერად აქ „სახლიდან გამოქცეული“ და ველური ფუტკრები სახლობენ. ექსპედიციის მონაწილეების აღფრთოვანება ციხის ნანგრევებთან უჩამბის შემოქმედებითი ცენტრის წევრების მიერ შესრულებულმა სიმღერებმა გამოიწვია.

მოგვიანებით, ფესტივალის მონაწილეები სოფელ ცინარეთის მცხოვრებლების ყოფაცხოვრებას გაეცნენ და მათთვის პოეზიის საღამო გამართეს.

ემენ დავითაძე: სიამოვნებით ავუბი მხარი ამ წამოწყებას. ჩემთვის, როგორც პოეტისა და მკვლევარისთვის, საინტერესო პროექტია. კრებული, რომელიც პროექტის ლოგიკური დაგვირგვინება იქნება, შუახვევლებისთვის ნამდვილ მარგალიტად გადაიქცევა. ყოველთვის ვამბობ, რომ სიახლეს ადამიანი ნებისმიერ

ასაკში სინარულით უნდა ხვდებოდეს, ამგვარ მოვლენათა კიდევ ერთი ხიბლი კი ახლაგაზრდების მონაწილეობაა, რაც ჩემთვის ორმაგად მისაღებია, - ახალგაზრდებმა უფროსებისგან უნდა ისწავლონ ლიტერატურაში ეროვნული გზით სიარული.

ლიკა ყიფშიძე: მე და ბატონი ვახტანგ ბერიძე სოციალურ ქსელ, ფეისბუქის, მეშვეობით ვემეგობრობთ. ის კარგად იცნობს ჩემს შემოქმედებას, ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ლიტერატურულ ფესტივალ „ზე-კართან“ მონაწილეობა შემომთავაზა. მაღალმთიანი აჭარის ხიბლზე მხოლოდ გადმოცემით ვიცოდი და საოცრად გამიხარდა ამ მხარის ხილვის საშუალება რომ მომეცა. თან ექსპედიციის შემდგომ მონაწილეებს ლიტერატურული ნაწარმოები უნდა შეგვექმნა და ეს ერთგვარი გამოწვევა იყო. ნანახმა ყოველგვარ წარმოსახვას გადააჭარბა. ალბათ რთული იქნება ის განცდა და ემოცია აღვწერო, რომ განვიცადე, ბუნება თავად სამოთხის ილუსტრაცია იყო, ხალხი-სიკეთის და კეთილშობილების ჯადოქარი, ჰაერი-ზეციური სუნთვის მადლი და მივხვდი, რატომ დაარქვა ბატონმა ვახტანგმა ამ პროექტს „ზე-კართან“, ჩვენ მიწისა და ზეცის გარდამავალ მიჯნაზე ვიმყოფებოდით! ჯერ ადრეა იმაზე ფიქრი რას დავწერ და როგორ დავწერ, რადგან ისევ ყელთან მაქვს მობჯენილი გრძნობები, ერთი კი ცხადია, დიდხანს გაყვება განცდები ჩემს შემოქმედებას!

ვასო ხიმშიაშვილი, შუახვევის კულტურის ცენტრის დირექტორი: თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ფესტივალი ბოლო წლების უდიდესი ლიტერატურული მოვლენა იყო. ამ ერთ წელიწადში შუახვევი 3-ჯერ მასპინძლობდა მწერლებს, მაგრამ ისეთი მასობრიობა, ინტერესი, ლიტერატურული ურთიერთგამოწვევა, შეხვედრები მკითხველებთან და მოსახლეობასთან, რაც ამ ფესტივალის დროს იყო, მე პირადად 35 წელზე მეტია შუახვევში ვმუშაობ და არ მინახავს. ყველა სოფელში, სადაც შეხვედრები გაიმართა, მოსახლეობა გვეუბნებოდა, აღარ მოიყვანოთ ჩვენთან პოლიტიკოსები, დეპუტატობისა და პრეზიდენტობის კადიდატები, მხოლოდ ასეთი

თბილი და პატრიოტი ადამიანები გვასტუმრეთო. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ფესტივალის ასეთი წარმატების გარანტი პროექტის ავტორის მაღალპროფესიონალიზმია, რაც ჩვენი კულტურის ცენტრის ნამდვილი მონაპოვარია. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს კულტურის ცენტრს მომავალ წელს რეაბილიტაცია ჩატარდება და განახლებულ სცენაზე სწორედ დათო ტურაშვილის პიესით გავხსნით, რომელიც სელიმ ბეგ ხიმშიაშვილს მიეძღვნება. ავტორი ნაწარმოებზე უკვე მუშაობს.

ვანტანგ ბერიძე: “ზე-კართან” ზეცის კარიბჭეს ნიშნავს, იგულისხმება ადგილი, ანუ ეს არის შემაერთებული ადგილი მიწასა და ცას შორის, სიცოცხლესა და ღმერთს შორის, სწორედ ასეთია ჩემი შუახვევი და ამიტომაც ჰქვია ამ პროექტს ეს სახელწოდება. ეს პროექტი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მეც შუახვევლი ვარ და ღონისძიებების ფარგლებში ჩემი მუნიციპალიტეტის, კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების ფართო პოპულარიზაცია მოხდება. თითოეული პროზაიკოსი და პოეტი, რომელიც შუახ-

ვეზე ერთ ფრაზას მაინც დაწერს, მთიელი ხალხის მეხსიერებას საუკუნეების განმავლობაში შემორჩება.

ძალიან დიდი მადლობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თავისუფალი პროექტების საკონკურსო კომისიას, რომელმაც ჩემი კუთხისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელების საშუალება მომცა... ასევე მადლობას ვუხდით შუახვევის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს.

ლიტერატურული ფერტივალი “ზე-კართან” საბოლოო სახეს კრებულის გამოცემის შემდეგ მიიღებს. ვნახოთ ვისი მუხა განდება ჩვენი რეგიონის ულამაზესი მუნიციპალიტეტი და როგორ აისახება იგი შემოქმედთა ნაწარმოებებში. პროექტის ავტორს კი დიდი იმედი აქვს, რომ მაღალმთიანი აჭარის ულამაზესი ხედებისა და კულტურის ძეგლების გარემოცვაში მოხვედრა სტუმრებისათვის შემოქმედებითი აღმაფრენის, ახალი პოეტური თუ პროზაული ქმნილებების დასაწყისი განდება.



ლიტერატურული ფესტივალის მონაწილენი და მასპინძლები შუახვევში, 2013, სექტემბერი.
(სამახსოვრო ფოტო)

მენატრები, ჩემო ხულო...*

ხულო ჩემი ბავშვობის საოცნებო გეოგრაფიული სახელია. მამაჩემი – ჰუსეინ ფუტკარაძე 25 წლის მანძილზე სოფელ ლომანაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. ხშირად ხულოში გამართულ თათბირებში მონაწილეობდა. ამიტომ ბავშვობიდანვე მესმოდა ეს სიტყვა. ხულოში მუშაობდა ბაბუაჩემიც (დედის მხრიდან) – ავთანდილ (ახმედ) ფუტკარაძე, მიწვანს ხელმძღვანელობდა. დაბადების ადგილადაც ხულოა აღნიშნული ჩემს დაბადების მოწმობაში. ხულოდან იწყება ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობაც. 1965–68 წლებში ვიყავი ხინაძირის სასოფლო საბჭოს სოფელ ვერნების რვაწლიანი სკოლისა და დიოკნისის საშუალო სკოლის დირექტორი, ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებელი. ბევრი ლამაზი მოგონება შემომრჩა ამ წლებიდან. ახლოს გავეცანი აჭარის მაღალმთიანეთის მომხიბლავ ბუნებას, მის შრომისმოყვარე, პატიოსან, ბრძენ, კეთილშობილ მოსახლეობას. მადლობას მოვასხენებ ყველას თანადგომისათვის, მშობლიური მზრუნველობისათვის. დიოკნისიდან დაიწყო ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობა. აქაურ ტკბილ ენაზე დაკვირვებით დავწერე პირველი საენათმეცნიერო ნაშრომი – „დიოკნისური მეტყველების თავისებურებანი“ და წარვადგინე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თანამედროვე ქართული ენის კათედრაზე. დოცენტ ელენე კოშორიძის (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული) წარდგინებით კათედრამ მოიწონა ჩემი ნაშრომი და უფლება მომეცა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული გამოცდების

ჩაბარებისა. მაშინ კათედრის წევრები იყვნენ სახელოვანი ენათმეცნიერები, პროფესორები, აკადემიკოსები: ვარლამ თოფურია, შოთა ძიძიგური, ივანე გივინეიშვილი, ივანე ქავთარაძე, დავით გეწაძე, გიორგი შალამბერიძე, ელენე ბაბუნაშვილი, ... ასეთი დიდებული წინაპრების წინაშე სიტყვის თქმა ადვილი არ იყო. აქაც მიხსნა ხულოში, დიოკნისში შემონახულმა, ძველი ქართული ენობრივი ფორმებით მდიდარი მეტყველების ნიმუშები; ამას მოჰყვა „ხინაძირული ქართულის გრამატიკული ანალიზი“, რამაც სახელი მომიხვეჭა საენათმეცნიერო საზოგადოებაში. დიდ მადლობას ვუძღვნი ხულოს მოსახლეობას ჩვენი დედაენის სათუთად, სუფთად შემონახვისათვის...

ხულოში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ჩემი უახლოესი მეგობრები, თანაკურსელები: თინა ძირკვაძე, ეთერ ქედელიძე, გულიკო ბოლქვაძე, ოთარ ჩოგაძე, იოსებ ჯორ ბენაძე, ჯემალ ბერიძე, ომარ ვანაძე, იოსებ შერვაშიძე (შვაძე), იოსებ აბულაძე, გივი მახარაძე, შუმანა ბერიძე, ნოდარ ძირკვაძე... ეთერ ლეკანაძე, გულნარა სოლომონიძე, მედიკო რიფვაძე...

ჩემს ხულოელ თანაკურსელებთან მეგობრობაში გავატარე სტუდენტური ცხოვრების საინტერესო, მიმზიდველი წლები. მათთან ერთად ჩამოვყალიბდი სამშობლოს სიყვარულში, მათაც მიუძღვით გარკვეული წვლილი ჩემს სულიერად დავაჟკაცებაში.

ლექციებს დიდი ინტერესით ვისმენდით. გვასწავლიდნენ ცნობილი მეცნიერები: ალექსანდრე ჩავლეიშვილი, ნელი ლუმბაძე, ნადია საბაშვილი, შუქრი ნიჟარაძე, იური სინარულიძე, გრიგოლ ბაბილოძე, მემედ სტამბოლიშვილი,

* რედაქციისაგან: ჟურნალ „ლაკლაკეთის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა ლექსი „მენატრები ჩემო ხულო“, რომლის ავტორობის შესახებ, გარკვეული მიზეზების გამო, ორგანიზაცია აზრი განიხილა: მის ავტორობას ზოგი მელათ ხიმშიაშვილს მიაწერს, ზოგი მუშანა ფუტკარაძეს, ამჯერად ვბეჭდავთ შ. ფუტკარაძის წერილს ამ ლექსის შექმნის შესახებ, რომელიც მკითხველს პირველ ნომერში შევპირდით. ამავე ავტორის მსგავსივე მოგონება მკითხველს შეუძლია იხილოს გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტში“ (2013 წ., მარტი, №3).

კოტე ბოლქვაძე... ფაკულტეტზე ჩამოყალიბებული იყო „დამწყებ პოეტთა, პროზაიკოსთა და კრიტიკოსთა წრე“. ხელმძღვანელი იყო პროფესორი ალექსანდრე ჩავლეიშვილი. სხდომებზე წრის წევრთა შემოქმედების ნიმუშები განიხილებოდა. ამ წრეში დაფრთხილდნენ ცნობილი პოეტები – ზურაბ გორგილაძე, ნოდარ ჯაფარიძე, გული სალუქვაძე, ცისანა ანთაძე, შოთა ზოიძე... მეც ვწერდი ლექსებსა და ნოველებს. ზოგჯერ ახლაც მეს ტუმრება ხოლმე მუზა და პოეზიის სამყაროში გამასეირნებს. ვფიქრობ, შეგვკრა ისინი ერთ პატარა კრებულად და მოვიხადო ვალი მუზის წინაშე, რომელიც თითქოს მაძალეს კიდევ კრებულის შექმნას. ბევრი ცრემლნარევი ლექსი დამაწერინა ისტორიულ ტაო-კლარჯეთთან დაკავშირებულმა სევდამ, მუჰაჯირი ქართველების გულ დათუთქულმა ქართულმა, სტამბოლში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირების მიერ 120 წლის მანძილზე ქართული კულტურის კერად ქცეული, აშუამდობლად დარ ჩენილი მონასტრის მწუხარებამ, სახელოვანი გვარიშვილების – აბაშიძეების, ბეჟანიძეების, თავდგირიძეების, ცივაძეების, ნოღაიდელების, ლორთქიფანიძეების, ხიმშიაშვილების – წარმომადგენელთა ნოსტალგიამ. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის შვილთაშვილებმა – ენვერ ბიძამ და მელაათ-ხანუმმა იმდენი ცრემლი ღვარეს ჩემთან საუბარში, იმდენი სასიყვარულო, მოსაფერებელი სიტყვები თქვეს ნიგაზეულის, სხალთის, ხულოს მიმართ, რომ დამაწერინეს ლექსი „მენატრები, ჩემო ხულო“. მე იგი მივუძღვენი 92 წლის ქალბატონს მელაათ ხიმშიაშვილს. ლექსი 20 წლის წინ დაიწერა. მაშინ იგი 70 წლისა იყო და კიდევაც ესტუმრა მშობლიურ ხულოს. ენვერ ბიძასთან ერთად დაათვალიერა მშობლიური ადგილები, მშობლიური სახლი. მათ მოითხოვეს ჯემალ ხიმშიაშვილის, შერიფ ხიმშიაშვილის შვილის, სახლ-

ში მუზეუმის გახსნა. მაშინ დელი მთავრობა კიდევ აპირებდა ამ თხოვნის შესრულებას, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო მათ ოცნებას ფრთები შეეკვეცა. იქნებ დღევანდელმა ხელისუფლებამ ითავოს ეს კეთილშობილური საქმე და ხულოში მდგარ ისტორიულ შენობაში გახსნას მუზეუმი. სტამბოლელი ხიმშიაშვილები და ბაქოში მცხოვრები ხიმშიაშვილთა შთამომავლები სამუზეუმო ნივთებს საჩუქრად გადასცემენ ამ მუზეუმს.

მკითხველს ვთავაზობ ჩემს პოეტურ სტრიქონებში მელაათ ხიმშიაშვილის გულისნაღების, სამშობლოს მონატრების გაცოცხლებას. ჩემი საგაზეთო სტატია „მენატრები, ჩემო ხულო“, ლექსთან ერთად, ადრე რამდენჯერმე დაიბეჭდა ადგილობრივ და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. ლექსი მიძღვნილია მელაათ ხიმშიაშვილი სადმი, დიდი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის შვილიშვილისადმი. ჩვენ ერთმანეთის ნათესავეები ვართ. შერიფ ხიმშიაშვილს ბოლო ცოლისგან – დანიელი პრინცესასგან – ნადიასგან შეეძინა მინირე ხანუმი. მელაათი მინირეს შვილია, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის შვილიშვილი. მე ვარ შერიფ-ბეგის დის-დილდარ ხანუმის შვილთაშვილი. დილდარ-ხანუმის (ხასან-ალა მელიქიშვილის მეუღლის) ქალიშვილის – შირვანა-ხანუმის შთამომავალი. შირვანა-ხანუმი იყო ლომანაურელი ზაბით-ალა თავდგირიძის მეუღლე.

მელაათ ხიმშიაშვილმა ეს ნათესაობა კარგად იცოდა და ენვერ ბიძასთან ერთად (ჯემალ ხიმშიაშვილის შვილიშვილთან), სტამბოლში მყოფს ხშირად მიმართავდა წვეულებას. თავს ვიყრიდით ენვერ ბიძას ოჯახში და სიცოცხლეს ვინახავდით სამშობლოს სიყვარულით.

მელაათმა ქართული იმდენად კარგად აღარ იცოდა, რომ ლექსი დაეწერა. მე მთხოვა და შევუსრულე ნატვრა. აი, განმეორებით ეს ლექსიც:

მენატრები, ჩემო ხულო, ჩემო მიწავ, ჭირნახულო,
თეთრ სიზმრებში დანახულო, იქნებ ვეღარც გინახულო...
ვეფერები სხალთას, თავოს: მანდ ჩამოსვლა მიქადაგოს,
მშობელ მიწამ წამლად მარგოს, უცხოეთში არ დამკარგოს...
ფიქრის ფრთებით გადავსერავ, ნიგაზეულს, სარიჩაირს,
კოცნი მიწას მონატრებულს, წყაროს, ყვავილს, ათასნაირს...

... სტამბულს შუქი ეფინება, ჩემს თვალებს კი ბინდი აკრავს.
 გულით როდი მელიძება, ამდენი ხნით ნალველნაკრავს...
 გული აქით აღარ მიძლებს, შენტან ყოფნა მუდამ მწადის,
 შენს ნატვრაში გავათიე ცხრაჯერ ათი წელიწადი...
 რა იქნება, ჩემო ღმერთო, თაფლის სანთლად ჩამომღვენთო.
 ხულოს ზეცა გადამხურო, ხულოს მიწა წამახურო,
 რომ მშობლიურ აჭარაში სული ჩემი სანთლად ენთოს...
 ... დამესიზმრე წუხელ, ხულო, მთის კალთაზე დახატულო,
 ჩემთვის ტაძრად შენახულო, თეთრ სიზმრებში დანახულო,
 ჩემი სულის გაზაფხულო.
 მენატრები, ჩემო ხულო...

ეს ლექსი პირველად დაიბეჭდა მელაათ ხიმშიაშვილის ავტორობით. ამის მიზეზი, მოკლედ რომ მოგახსენოთ, იყო ერთი ცნობილი ქალბატონის სურვილი. მითხრა, „შენ მაინც არ აპირებ პოეტობას, მოდი, ავტორად მელაათი მივაწეროთ. ეს გაზრდის მელაათისადმი აჭარის საზოგადოების ინტერესს და ხელს შეგვიწყობს ხიმშიაშვილების დელეგაციის დაპატიჟების საქმეში“. ბატონ თეიმურაზ კომახიძის (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ფაქიზი სული) კულტურის მინისტრად ყოფნის დროს, აჭარის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა ხიმშიაშვილების 25-კაციანი დელეგაციის მოპატიჟება. მათ შორის ეპატიჟებოდნენ ქალბატონ მელაათ ხიმშიაშვილსაც. დავთანხმდი, რომ ლექსის ავტორად მელაათი ყოფილიყო მიწერილი. მე იმ საპატიო ქალბატონს ვუთხარი: „ამ ლექსს მე მელაათს საჩუქრათ ვუძღვნი-მეთქი“. ასე გახდა მელაათი ჩემი ლექსის ავტორი. მელაათს რომ შევატყობინე, იუხერხულა: – „მე ლექსებს არ ვწერ, ჩემიანებს გაუკვირდებათ“. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მივაწერეთ ლექსს მელაათის გვარი. სამწუხაროდ, ეს ქალბატონი მალე შეუძლოდ გახდა, დელეგაციის მოწვევაც გადაიღო. იგი რამდენიმე ხანში გარდაიცვალა (ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული). მან ბევრი კარგი საქმე გაუკეთა ჩვენს მხარეს, სრულიად საქართველოს. ისტორია ამას არ დაივიწყებს...

ამჟამად მელაათ ხიმშიაშვილი 92 წლისაა, ცხოვრობს სტამბოლის ერთ-ერთ ლამაზ უბანში-კადიოქოიში. მასთან ხშირად მაქვს სატელეფონო საუბარი. მისი სათხოვარია ერთი მთავარი რამ: – ხულოში მისი ბიძის ჯემალ ხიმშიაშვილის კუთვნილ სახლში სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის მუზეუმის გახსნა. უფლის შეწევნით, იგი მოესწრება ამ სურვილის ახდენას; უფალს ვთხოვთ, ახალ მთავრობას შთააგონოს ამ საშვილიშვილო საქმის გაკეთება...

სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი ჩვენებურების ნალველჩამდგარი თვალებიდან მონაწერი ცხელი ცრემლები ქვასაც კი წვავს და აღნობს. ამ გრძნობას მშობელი მიწის სიყვარული ჰქვია. ახალგაზრდების გასაგონად ვამბობ: არავინ ისურვოს მშობელი მიწის მიტოვება და უცხოეთში გახიზნვა, თორემ სანანებელი, გულ საკლავი ნალველი შვიდ თაობას მაინც გადაჰყვება.

ცნობილმა მომღერალმა ბაიარ შაჰინმა-გუნდარიძემ ამ ლექსის – „მენატრები ჩემო ხულო“ – შესაბამისი მუსიკა შექმნა და სიმღერად აქცია. იგი მალე ესტუმრება ხულოს და ამ სიმღერასაც შეასრულებს. ბაიარი ზედა მაჭახლიდანაა, ჩემი წინაპრებიც მაჭახლის სოფელ საფუტკრეთიდან არიან ზედა აჭარაში გადასახლებული. ახლა ჯერი მაჭახელზეა. ამ ლამაზ კუთხეზეც უნდა შეიქმნას ლექსიცა და სიმღერაც. ვნახოთ, როდის მოფრინდება მუზა და მიკარნახებს მაჭახლის შესაფერის სტრიქონებს...

ფ ე რ ე ბ ი ს

კ ო ე ზ ი ა

ოთარ ცინარიძეს ჩვენი საზოგადოებრიობა იცნობს ცინცხალი რეპორტაჟებით, ინტერვიუებით, ნარკვევებით. იგი არაერთხელ წვევია ეკოემიგრანტებს ზემო აჭარიდან კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, ხლებია ჩვენს სასიქადულო მწერალს, აწვანსვენებულ ოტია იოსელიანს. შთაბეჭდილებების კვალობაზე რასაც წერდა, ყველაფერს სიყვარულით და უტყუარი ალღოს კარნახით აკეთებდა.

განსაცვიფრებელია ოთარ ცინარიძის შრომისმოყვარეობა, იგი მუდამ იქ არის, სადაც საჭიროა. ვფიქრობ, ასაკის მიუხედავად, მას შესაშური ენერჯია აქვს.

ოთარ ცინარიძე გაზეთის ჟურნალისტი. ამ მეტად საჭირობოროტო საქმეს ორგანულად უხამებს ფოტოჟურნალისტის მეტად შრომატევად საქმიანობას. თამამად შემიძლია


ვთქვა, გულმოდგინედ იღვწის ორივე სფეროში. მის საგანძურში უთვალავი ფოტოსურათია, რომელსაც ფოტოხელოვანის ხელწერა აქვს. მიმაჩნია, რომ ზოგიერთი მათგანი, ათწლეულების შემდეგ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გადაიქცევა.

ახლახან შუახვევის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის მცირე დარბაზში ოთარ ცინარიძის 70-ზე მეტი ფოტოსურათების გამოფენა მოეწყო. გამოფენის ინიციატორის, კულტურის ცენტრის უფროსის ვასო ხიმშიაშვილის თქმით, ოთარ ცინარიძის ფოტოხელოვნების ნიმუშების გამოფენა, ცოტა ადრე უნდა მოწყობილიყო.

ოთარ ცინარიძის ფოტონამუშევრების გამოფენას დაესწრნენ სტუმრები თბილისიდან, ბათუმიდან, მეზობელი ქედის, ხელვაჩაუ-



ოტია იოსელიანი და ფრიდონ ხალვაში



ხანძთა გუმბათის ჩამოქცევამდე



დიდი და პატარა აბული



ტბა ფარავანა

რის მუნიციპალიტეტიდან, გამოფენა დათვალა ვალიერეს ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ მონაწილეებმა.

პროფესიონალი ფოტოხელოვანის ხელწერა აქვს სურათებს: „ტბა ფარავანი“, „ყაზბეგიდან დანახული მყინვარწვერი“, „გერგეტის მონასტერი“, „სხალთა-ხიხანის ხეობა“, „ხიხანის ციხე“, „მამა სერაფიმეს ლოცვა“, „ხანძთის ტაძარი გუმბათის ჩამოქცევამდე“... და სხვა.

როგორც ზემოთ ვთქვი, გამოფენას უამრავი დამთვალიერებელი ჰყავდა. შთაბეჭდილებების წიგნში მრავალი ჩანაწერი გაკეთდა: ლია ყიფშიძე, პოეტი (თბილისი), – ოთარ ცინარიძეს არც თუ ისე დიდი ხანია ვიცნობ. განცვიფრებული ვარ მისი ფოტონამუშევრებით. თითოეულ ფოტოსურათს

ოთარისეული ხელწერა აქვს. მინდა უფრო დიდ დარბაზებში ვიხილო მისი ფოტოების გამოფენა.

გიორგი თავამაიშვილი, (აჭარის არ განათლების, კულტურის, სპორტის მინისტრი)- შუახევის მუნიციპალიტეტის სინამდვილეში ბევრი კულტურული ღონისძიებები გაიმართა. დღეს კულტურის ცენტრი ოთარ ცინარიძის ფოტონამუშევრების გამოფენას მასპინძლობდა. შთაბეჭდილება ძალიან დიდია, ყოჩაღ ოთარს, მის ენთუზიაზმსა და შრომისმოყვარეობას.

.... შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ..... ოთარ ცინარიძის მიერ ფოტობიექტივით შეჩერებული წამი ამღერებული ფერების პოეზიას, რომელსაც სწორად წაკითხვა და აღთქმა უნდა.



მამა სერაფიმე ხიხანის ციხის გალავანთან



შ უ ა ს მ შ ი

ტურისტულ-საექსკურსიო მონაცემები

შუახევის რაიონი მდებარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ ნაწილში. იგი სამი მხრიდან გარშემორტყმულია აჭარა-გურიის, არსიანისა და შავშეთის ქედებით. მინიმალური სიმაღლე ხიჭაურ-ზამლეთის მონაკვეთზე აჭარისწყლის კალაპოტში –328–508 მეტრი, მაქსიმალური სიმაღლე აჭარა-გურიის ქედზე, თაგინური –2668, არსიანზე, კენჭიანი –2992, შავშეთზე ხევა –2810 მეტრია.

რაიონის ტერიტორია 588 კვადრატული კილომეტრია. იგი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ვრცელდება 32, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 17–38 კილომეტრზე. საზღვრების სიგრძე 195 კმ-ია. ჩრდილოეთით და ჩრდილო დასავლეთით ესაზღვრება ოზურგეთის, ქობულეთის და ჩოხატაურის, აღმოსავლეთით ხულოს, დასავლეთით ქედის რაიონები, სამხრეთით 46 კილომეტრზე თურქეთი.

შუახევი მთიანი რაიონია და რთული რელიეფით ხასიათდება. განფენილია მდინარე აჭარისწყლისა და მისი შენაკადების ჭვანის, ბოგილისწყალი და ჩირუხისწყლის ხეობებში. მათი პატარა თუ დიდი შენაკადებით დანაწევრებულია ღრმა ხეობებით, მათაშორის ქვაბურებით, მთის დამრეც ხეობათა ფერდობებით, გორაკ-ბორცვებით, მაღალ ზონაში პატარ-პატარა ტაფობებითა და ამფითეატრისებური ველ-მინდვრებით. სამხრეთით შავშეთი მწვერვალებით ხევა 2810, შამბალეთი 2695, ქვიშნარი 2700, სანალია 2691 მეტრი. ჩრდილოეთითა და ჩრდილო დასავლეთით აჭარა-გურიის ქედი მისი განშტოებებით, მწვერვალებით, თაგინური 2668, პერანგა 2793 და ბოდიში 2380 მეტრი. სამხრეთ-აღმოსავლეთით არსიანის ქედი, აჭარის უმაღლესი

მწვერვალით მთა კენჭიანი 2992 მეტრი. ამ ქედებს შორის აჭარისწყლის შენაკადებს მიუყვება მთათა შიდაგანშტოებები აჭარა-გურიის ქედიდან გორაკეთ-საფილეეთის ქედი, მწვერვალი კარათი 2081 მეტრი, შავშეთიდან ნამწვარევის ქედი, მწვერვალი წმინდა სერი 2464 მეტრი, კარაპეტის ქედი მწვერვალი კარაპეტი 2621 მეტრი. მდინარე ჩირუხისწყალსა და სხალთისწყალს შორის სხალთის ანუ შერთულის ქედი მწვერვალებით: კობალთის მთა (გინჯავეთი) 2249, ფურტიოს 1560 და შტვირის 1463 მეტრი.

რაიონის რელიეფის საინტერესო ფორმად ითვლება სანალიის მთასთან ახლოს რაიონში ყველაზე დიდი 34 მეტრის სიღრმის გამოქვაბული, გორაკეთ-საფილეეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე სოფელ ჩანჩხალოს და მარეთის ხეობაში ჩირუხისწყლისა და ბალვანას შესართავ-ნაჭვევართან ბუნებრივი მაცივრები, სადაც ზაფხულობით იქმნება თავისებური მიკროკლიმატი და ჩნდება ყინულის ლოლუები.

რაიონის ტერიტორია მდიდარია სხვადასხვა წიაღისეული სიმდიდრეებით. წაბლანის მონაკვეთში გოგირდის კოლჩედანი: სელენის, ტელურის, სპილენძის და მოლიბდენის შემცველობებით. უჩამბის ალუნიტები: სპილენძის, ტყვიის, თუთიის, მოლიბდენის, ოქროს, ვერცხლის, სელენის, ტელურის, ბორის შემცველობებით. საბელაშვილების გაბროს, სანალიას ანდეზიტ-დაციტისა და ბრილის თიხა. არის მინერალურ-სამკურნალო წყლები: შუახევის, შამბალეთის, ლამაზმერეს, ბათალკაკის, ტომაშეთის, ბაბანაურის, წყალამპარას, გუნდის, ბოგილის, უჩამბის.

შუახევის რაიონის ჰავა ტენიანი სუბტროპიკულია. მასზე დიდ გავლენას ახდენს

შავი ზღვის სიახლოვე. საშუალო წლიური ტემპერატურა +9 11 გრადუსია. ზაფხულში +23 27, ხოლო ზამთარში +5 -7 გრადუსი, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1500–1800 მილიმეტრი. ზამთარში თოვლის სახით. ყველაზე მეტი თოვლიანობა იცის აჭარა-გურიის ქედსა და მის განშტოებებზე, მათ შორის მოქცეულ ხეობებსა და ფერდობებზე. თოვა იწყება ნოემბრის ბოლოს და მარტამდე გრძელდება, საშუალოდ 0.5-დან 1.5 მეტრამდე, ზოგჯერ 2-3 მეტრამდეც მოდის. ჰაერის სინოტივე 70–74 %-ია. მოღრუბლილობა საშუალოდ 170–175 დღე. რაიონში გაბატონებულია ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის ქარები, რომლებსაც მოაქვთ ტენი და ნალექი. დამახასიათებელია მთახეობათა ქარები.

შუახვევი მდიდარია შიდაწყლებით. ყველა მდინარე მიეკუთვნება აჭარისწყლის აუზს. მდინარეთა ვარდნა და დახრილობა დიდია, აქვთ ვიწრო და ღრმა ხეობები. ყველა მდინარე ჭორომიანია, არის ჩანჩქერები: ბრილის 30 მ. ინწკირვეთის 25 მ. ცხემლისის 20 მ. (მდინარე ჭვანისწყალზე). დოლაბის 8 მ. ლაშეში 7 მ. მთავარი მდინარეა აჭარისწყალი, რაიონის ტერიტორიაზე 17 კმ. სიგანე 9–11 მეტრი. შენაკადებიდან აღსანიშნავია მარცხენა შენაკადი ბოგირისწყალი-ჩირუხისწყალი და მარჯვენა ჭვანისწყალი.

ჩირუხისწყალი სათავეს იღებს შავშეთის ქედზე (2800 მ.), ყანლის მთის დასავლეთ ფერდობიდან, შავი წყაროებიდან. აჭარისწყალს ერთვის დაბა შუახვევთან. სიგრძე 32 კმ-ია, მოედინება მარეთის ღრმა ხეობაში, ზოგან მდინარე და მისი შენაკადები მოედინება კანიონისებრ ხეობაში. აღსანიშნავია: შუბნის, შუაგზის, კვიტამერის, პაპოშვილების, ლაშესის, დოლაბის, მომწრის, გუნდაურის კანიონები. შენაკადები ძირითადად მარცხნიდან ერთვის. აღსანიშნავია: ბოგილის წყალი, სოლიხევი, ბალვანისწყალი, სანალიისწყალი, შუბნისღელე, ტომაშეთისწყალი, ლელვანისწყალი და სხვა. ბოლოს ბოგილისწყალის ხეობიდან.

ჭვანისწყალი სათავეს იღებს აჭარა-გურიის ქედზე, ბადიშის გადასასვლელის (2389 მ.) სამხრეთ-დასავლეთ ფერდობიდან.

მისი სიგრძე 21 კმ-ია. აქვს კანიონისებრი ხეობები გიდელას, საყორნიას ნალვარევის. მარჯვენა შენაკადებია: ჭინჭათი, გიდელასწყალი, ხევისწყალი, ციხისწყალი (ოთოლთა) და სხვა. მარცხენა შენაკადები: ძალიანისწყალი, ფოთაროსწყალი, ინწკირვეთისწყალი, ბარათაულისწყალი, თერნალისწყალი.

რაიონის ტერიტორიაზე არის პატარა-პატარა ტბები. აღსანიშნავია ჩირუხში შავი ტბა (გასალიანის) 750 კვადრატული მეტრი, სიღრმე 10 მეტრი, შრატინი ტბა. ჭვანის ხეობაში ხაბელაშვილების თავზე ჭინჭაო, ლელთის, სოფელ ნალვარევთან და გორის ინწკირვეთის თავზე. ღომა-წინაველას აღმოსავლეთ ფერდობზე გუდნის ტბა, სოფელ ბუთურაულში „საწურბლიას ტბა“.

შუახვევის ტერიტორია მთის შუა და ზედა სარტყელშია მოქცეული. რელიეფის დანაწევრებამ ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება და უნიკალურობა გამოიწვია. მცენარეთა 1300 სახეა წარმოგდენილი. ბევრია რელიქტური სახეობები: შქერი, უნგერნის როდოდენდრონი, ძმერხლი, მელიქაური, უხრავი. რელიქტების დიდი ნაწილი კოლხური წარმოშობის ენდემია, ესენია: კოლხური ბზა, ჯონჯოლი, უხრავი, მეღვეღვეის არყი, პონტოური მუხა, ბამბი, კავკასიური მოცვი, კრახანა, სურო, ხემარწყვა, ღვია. განსაკუთრებულად მასიური ფართობები უკავია ნამდის, სოჭის, მუხის, რცხილის და წიფლის ტყეებს, ჭვანის ხეობაში წაბლი. სუბალპური ზონა დაფარულია ბალახეული საფარით.

დიდი ოდენობითაა ხეხილის ნარგავები. მსხლის 50, ვაშლის 16, კურკოვნების 15, კაკლის 7 ჯიში ხარობს.

ტყეში დიდი რაოდენობითაა ნადირი და ფრინველი. აღრიცხულია 330-მდე სახეობა. გარეული ღორი, შველი, არჩვი, მაჩვი, თეთრყელა და ყვითელყელა კვერნა, დელოფალა, მურა დათვი, მგელი, ტურა, ტყის კატა, ფოცხვერი, მელა, კურდღელი. საკმარ რაოდენობით მრრდნელები და ქვეწარმავლები.

ფრინველებიდან გვხვდება: კასპიური შურთხი, წითელთავა დაბუაჩიტი, შვეარდენი, მთის არწივი, შაკი, კავკასიური როჭო, მრავალი სახის ჩიტი.

აჭარისწყალში, ჭვანისწყალში, ჩირუხ-ისწყალში და ბოგილისწყალში ბინადრობენ სათევზაო მნიშვნელობის თევზები: კალმახი, კავკასიური ქაშაყი, კოლხური ქვირძღია, ბათუმური შამაია, ფრიტა, ვიშა, ტობი, წვერა, ხრამული, ფეტვია, კობრი.

რაიონის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაში წამყვანია სოფლის მეურნეობა.

მემცენარეობაში ძირითადი კულტურებია სიმინდი, ლობიო, კარტოფილი, პამიდორი, კიტრი, ბულგარული წიწაკი და სხვადასხვა ბოსტნეულ-ბალჩეული კულტურები, რომელთაც საკუთარი მოხმარებისათვის მოიყვანენ. კარტოფილი და წიწაკი გააქვთ ბაზარზე, მენილეობა კარგადაა განვითარებული და დიდოღენობით მოდის: მსხალი, ვაშლი, ქლიავი, ტყემალი, ბალი, კომში, აგრეთვე ატამი, მარწყვი, ამზადებენ მოცვის. ხილის დიდი ნაწილი გააქვთ ბაზარზე. ტრადიციულია მეცხოველეობა. თითქმის ყოველ ოჯახს ყავს მსხვილფეხა და წყრილფეხა პირუტყვი, ჭვანის ხეობაში ცხენები. კარგადაა განვითარებული მეფუტკრეობა. რიგი მეურნეები ბაზარზე ყიდნიან კარაქს, ყველს, თაფლს.

შუახვევის რაიონში ცხოვრობს 22.447 მცხოვრები. სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე 38 კაცია. სულ სახლობს 58 გვარის წარმომადგენელი. საკრებულოების მიხედვით: დაბა შუახვეში 927, ოქროპილაურის საკრებულოში 1885, დღვანში 1911, ოლადაურში 1513, შუბანში 1513, უჩამბაში 2951, ზამღეთში 4253, ჭვანაში 3897 წყალსაყარში 1769 კაცი.

ადმინისტრაციულად რაიონი წარმოდგენილია 1 დაბით, რაიონული ცენტრი შუახვევი, 9 საკრებულო და 62 სოფელი და უბანი.

რაიონში ფუნქციონირებს 3 მუზეუმი, 42 საჯარო სკოლა, 44 საკლუბო დაწესებულება, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, სასწრაფო დამედიცინო დახმარების სადგური, 9 სამედიცინო ამბულატორია, 12 სპორტული მოედანი, სპორტსკოლა მუსიკალური სკოლა. რაიონი დაფარულია ელექტრო, ფიჭური სატელეფონი და სატელევიზიო მომსახურების ქსელით. ყველა სოფელში, დასახლებულ უბანსა და საზაფხულო იალაღზე მიდის სამანქანე გზა.

რაიონში არის 1 მართლმადიდებლური ეკლესია, 1 სამლოცველო, მიმდინარეობს 2-ის მშენებლობა, რამოდენიმე სოფელში მოქმედებს მეჩეთი. არის ნისტორიული ციხე, 2 თაღოვანი ხილი. უმეტეს სოფლებში შემორჩენილი არის აჭარის მთიანეთისათვის დამახასიათებელი წარსულის დიდებული ტრადიციული ხალხური რეწვის: ყოფითი, შრომითი, გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნაწარმი. მდიდარია ხალხური შემოქმედების, ფოლკლორის ნიმუშებით, შემსრულებლებით, კოლექტივებით. მოსახლეობა ორიგინალურია თავისი სტუმართმოყვარეობით. ერთადერთი კუთხეა მსოფლიოში, სადაც ისტორიულად ყველა ოჯახს ქონდა და აქვს სასტუმრო ოთახი ე. წ. „მეიდანოდა“. ადგილზე წარმოებული მცენარეული და ცხოველური პროდუქტებისაგან ამზადებენ უნიკალურ ნაციონალურ კერძებს: სინორი, ერიშტა, კორკოტი, ბორანი, გევრეგი, ხავიწი, ყაისაფა, კაიმალი, ქალაჯო. ღომორვა და სხვა. აგრეთვე ხილის, მარწყვის, მოცვის, მავვალის თუ ხენდროს ნატურალურ წვენებს. გარეული და ტყის მცენარეებისაგან ამზადებენ რიგ ფხალეულ თუ სხვა კერძებსა და წვენებს, რასაც ყველაფერთან ერთად დიდი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი თვისებები გააჩნია.

ტყეები მდიდარია სანადირო ცხოველებით და ფრინველებით: გარეული ტახი, დათვი, კურდღელი, არჩვი; მდინარეები თევზით: კალმახი, ტობი, წვერა და სხვა.

რაიონი თავისი ისტორიული წარსულით, რელიეფით, კლიმატით, თვალწარმტაცი სანახაობებით, ყველა წერტილში მისვლის შესაძლებლობებით ხელსაყრელია სამთო საკურორტო, ზამთრის სპორტული ინფრასტრუქტურის, აგრო, ეკო და საოჯახო ტურიზმის, საექსკურსიო მეურნეობის განსავითარებლად.

დაბა შუახვევი თავისი მდებარეობით, ფიჭვის ტყითა და ზაფხულის თავისებური ცხელი და მშრალი კლიმატით, რიგი სოფლები და საზაფხულო იალაღები მთის ბალნეოლოგიური რბილი და ჯანსაღი ჰაერით, ზამთარში დიდთოვლიანობით, მაღალ ზონაში ხშირი წიწვივანი, დაბალ ზონაში შერეული და

ფოთლოვანი ტყეები, ანკარა ცივი წყაროები, ღელეები და მდინარეები, მინერალური და სამკურნალო წყლები, მოსახლეობის გულღიაობა და სტუმართმოყვარეობა, მდიდარი ფოლკლორი და სიძველეები, ადგილზე მოყვანილ დამზადებული ყუათითიანი პროდუქტები და კერძები ხელსაყრელ პირობებს ქმნის ზაფხულ-ზამთრობით დასვენების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გამართვისათვის, ტურისტული ლაშქრობებისა და ექსკურსიების მოსაწყობად 4 მიმართულებით: რაიონში დამუშავებული და შერჩეულია შემდეგი მარშრუტები: 1. **ხიჭაური-შუახევი-ნიგაზეული-სხალთა**; 2. **ხიჭაური-ჭვანა-გომარდული**, 3. **ხიჭაური-ჭვანა-ხაბელაშვილები-გომის მთა**, აქედან ლაშქრობის გაგრძელება ფეხითა და ცხენით ხინოსა და კურორტ ბანძაროს მიმართულებით. 4. **შუახევი ჩირუხისწყლის ხეობით ოლადაური-შუბანი-ჩირუხი**, აქედან ლაშქრობის მოწყობა შეიძლება კალთა-ხინაძირ-ხინანის მიმართულებით.

გომარდული თავისი რელიეფით, კლიმატით უხვთოვლიანობითა და დიდი ხანგრძლიობით ხელსაყრელია ზამთარ-ზაფხულის კურორტისა და ზამთრის სახეობათა სპორტულ კომპლექსის მოსაწყობად, გომისმთა, ჩირუხი, ღომა ადგილობრივი მნიშვნელობის საზაფხულო მთის ბალნეოლოგიურ კურორტებად.

ტურისტ-ექსკურსანტებსა და დამსვენებლებს შუახევში შეუძლიათ აღნიშნულ მარშრუტებზე ნახონ:

– ისტორიისა და მატერიალური კულტურის ძეგლები. (ხიჭაურის ოთოლთას, ოქროპილაურის, მთისუბნის, ნიგაზეულის ციხეები, ფურტიოსა, ვარჯანაულის თაღოვანი ხიდები,

ხაბელაშვილებიბრილის დახურული ხის 200 წლოვანი ხიდი)

– მუზეუმები და აკლდამები. (ნიგაზეულში სელიმ ხიმშიაშვილის ციხე მუზეუმი და საფლავი, ოლადაურისა და კვიახიძეების ეთნოგრაფიული მუზეუმები)

– ბუნების მშვენიერი ხედები და პეიზაჟები.

– მთის აჭარელთა ყოფა, ტრადიციები, ხელოვნება, კულტურა, ეთნოგრაფია, ფოლკლორი.

– სტუმართმასპინძლობა და საუცხოო ადგილობრივი კულინარიის ნიმუშები, ნატურალური პროდუქცია.

– სოფლებში ნიგაზეული, გომარდული და სხვაგან დაისვენონ ღამისთევითა და კვებით საოჯახო სასტუმროებში.

– მოაწყონ ტურისტული ლაშქრობები ფეხით, ცხენით, ავტოტრანსპორტით.

– მონაწილეობა მიიღონ აგროპროცესებში, რიტუალებსა და ღონისძიებებში.

– ინადირონ და ითევზაონ.

– ბუნების უმშვენიერეს ადგილებსა და ეთნოკუთხეებში მოაწყონ პიკნიკები და კოცონები.

– ნახონ და მოსახლეობიდან შეიძინონ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, გამოყენებითი და დეკორატიული ხელოვნების ნაწარმი.

– მოახდინონ ფოტო და ვიდეოგადაღება.

აქედან გააგრძელონ მარშრუტ-ლაშქრობები: ხულო-სხალთა-ხინანის, ხულო-გოდერძი-ახალციხის, ხულო-დიდაჭარა-ღორჯომი-ბადიში-ზორტიყელი-ბანძაროს, ხიჭაური-ცხემლისი-ხინო-ქობულეთის, ხიჭაური-ხაბელაშვილები-გომისმთა-ჩრდილა-ზორტიყელი-ბანძარო-გურიის მიმართულებით.

შუახევის რაიონის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები

წაბლანის ეკლესია

რეგიონი: შუახევი
ტიპი: საკულტო ძეგლები
თარიღი: XI-XII საუკუნეები
მისამართი: სოფელი წაბლანა



წაბლანის ნათლისმცემლის ეკლესია მდებარეობს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლანაში, შუახევის რაიონული ცენტრიდან 12 კმ-ის მოშორებით, ზღვის დონიდან 1220 მეტრის სიმაღლეზე, სოფლის ცენტრიდან 300 მეტრის სიმაღლის გორაზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ნათლისმცემლის გორას“ ეძახიან. გორაკის ფართობი 200 კვ. მეტრია. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით ამ გორაკზე უძველესი დროიდან ეკლესია ყოფილა. ასევე, სოფლის გავლით გადიოდა უმოკლესი საქარავნო გზა აჭარიდან არტანუჯისა და შავშეთის მიმართულებით. 2008 წელს საინიციატივო ჯგუფის ტ.ებრაღიძის, გ.ღუმბაძისა და შ.ველიაძის შემადგენლობით დაადგინეს „ნათლისმცემლის გორაზე“ ეკლესიის „ჯვარს“ კოორდინატები. 2009 წლის 1 ივნისიდან 12 ივნისამდე ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმისა და სამხრეთ-საქართველოს არქეოლოგიური ცენტრის ერთობლივმა ექსპედიციამ (შალვა ველიაძის ინიციატივითა და უშუალო მოწვევით) განახორციელა საკვლევი-საველე არქეოლოგიური სამუშაოები. გათხრების დასრულებისთანავე აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ეკლესია დარბაზული ტიპის საყდარი იყო,

ორფერდა გადახურვით, შესასვლელი დასავლეთიდან.

ეკლესიის სიგრძე 7 მ-ია, ხოლო სიგანე 6 მ. შიდა სივრცის ზომებია 5,8X4,2 მ, აქედან აბსიდის სიგანე 1,5 მ, ხოლო თვით დარბაზის სიგრძე 4,3 მ. სამხრეთ კედელთან ე.წ. ეკვდერის (მისი ზომებია: 3,0X7,5 მ) მიშენების შემდეგ მთლიანობაში უკვე ეკლესიას მიუღია ახალი განზომილებანი: 9,0X7,5 მ. არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი იქნა მცირერიცხოვანი, მაგრამ საკმაოდ საინტერესო არქეოლოგიური მასალა, როგორც წესი, სჭარბობს კერამიკული ნაკეთობანი, გვხვდება ქვევრების, ღერგების, ქოთნების, ჯამების და კეცების ნატეხები, ასევე ნაპოვანია საოჯახო ჭურჭლის ნატეხები. ზოგიერთი მათგანი ხელითაა ნაძერწი, ზოგიც მორგვზეა. წაბლანის ეკლესია თავისი მშენებლობის სტილით, გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეკლესია XI-XII საუკუნეებშია აგებული. ძეგლზე სრულ-ინფორმაციას, მის გარშემო განლაგებული სამარხების შესწავლისა და გათხრების ბოლომდე მიყვანის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

კავიანის ციხე (ხიჭაური)

რეგიონი: შუახევი

ტიპი: საფორტიფიკაციო და არქეოლოგიური ძეგლები

თარიღი: XII-XIII საუკუნეები

მისამართი: ხიჭაური (კავიანის სერი)



ხიჭაურის ციხე მდებარეობს ზღვის დონიდან 450 მ-ზე. იგი განლაგებულია კავიანის სერზე, ხიჭაურის პირდაპირ, მარცხენა მხარეზე, აჭარისწყლისა და ჭვანისწყლის შესაყრის ქვემოთ. იგი ზემოდან დაჰყურებს აჭარისწყლის ხეობის მთავარ მაგისტრალს, ციხიდან იშლება ჭვანის ხეობის ხედი. კავიანის სერს, რომელზეც ციხე მდებარეობს, ორი მხრიდან ჩამოუდის მშრალი ხევები.

ციხე შედგება ორი განყოფილებისაგან.

ნაგებია ფლეთილი და, აქა-იქ რიყის ქვით.

იგი გვიანი შუა საუკუნეების ნაგებობაა.

ასვლა ხიჭაურის მხრიდან მოუხერხებელია, ხელსაყრელია დანდალოს თაღოვანი ხიდის გავლით სოფელ ხარაულიდან მისვლა,

ვიწრო ბილიკით. ტერიტორია დაფარულია შერეული ტყით.

შეიძლება ორგანიზება:

–ხიჭაურში პიკნიკის ადგილი.

–თევზაობა.

–ბანაობა.

–კარავის გაშლა.

ახლოსაა შუახევის სამკურნალო აბანო მდებარეობს „ბათუმი-ახალციხის“ საავტომობილო გზის 62-ე კილომეტრზე, მდინარე აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე.

–ლამაზი პეიზაჟები.

–ოთოლთას ციხე (4.5 კმ.) ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მე-60 კილომეტრიდან მარცხნივ 3.5 კმ-ზე.

ოთოლთას ციხე (ტაკიძეები)

რეგიონი: შუახევი

ტიპი: საფორტიფიკაციო და არქეოლოგიური ძეგლები

თარიღი: XVI-XVII საუკუნეები

მისამართი: სოფელი ტაკიძეები



ოთოლთას ციხე მდებარეობს ზღვის დონიდან 500 მ-ზე. შუახევის ცენტრიდან დაშორებულია 1.5 კილომეტრით. განთავსებულია ჭვანისწყლისა და ტაკიძეების (ოთოლთა) ღელეს შესაყარში, კლდოვან გორაზე, რომელიც ციხიყელად იწოდება; ციხეს უკავია 600 მეტრ კვადრატი ფართობი და შედგება ორი განყოფილებისაგან: ციხე-კოშკით, სათავსოებით, ეზოთი. ამ უკანასკნელში რამდენიმე გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობაა. ანსამბლის ცენტრალური ნაწილი შედგება კოშკის, საცხოვრებელი ნაგებობების, ბუნებრივი კლდის, შიგა თავდაცვითი და სამეურნეო ნაგებობებისაგან.

ოთოლთას ციხე XVI-XVII სს-ით შეიძლება დათარიღდეს. იგი ფეოდალის რეზი-

დენცია ჩანს. გადმოცემით ეს ციხე იმ როსტომ შალიკაშვილისა უნდა იყოს, რომელიც ქართლიდან გადმოხვეწილ გიორგი სააკაძეს აჭარაში ეპატიჟებოდა.

ამასთან ტურისტ-ექსკურსანტები ნახავენ ჭვანის ხეობის ულამაზეს პეიზაჟებს, მდინარე ჭვანისწყლის მარჯვნივ და მარცხნივ გაშენებული სოფლების ხედებს, ვარჯანაულის თაღიან ხიდს, ითევზავებენ, გავლენ ბარათაულისა და წყალსაყრის სოფლებში, გომარდულში და სხვა.

ცნობისმოყვარი სათვის აქ ბევრი საინტერესო და მიმზიდველი ადგილია.

გადაადგილება შეიძლება ყველა სახის ავტოტრანსპორტით.

თამარის (ოქროპილაურის) ციხე (კალა-ყალა-ბონი)

რეგიონი: შუახევი

ტიპი: საფორტიფიკაციო და არქეოლოგიური ძეგლები

თარიღი: XI-XII საუკუნეები

მისამართი: ჩირუხისწყლის და ბოგილისწყლის შესართავი



თამარის (ოქროპილაურის) ციხე მდებარეობს. ზღვის დონიდან 400 მ-ზე, (დაბა შუახევის ცენტრიდან 1.5 კმ.) ჩირუხისა და ბოგილისწყლების შესაყარში, მარცხენა მხარეს. ციხე დაშენებულია მაღალ კლდოვან ბორცვზე. უკავია დაახლოებით 85 მეტრ კვადრატ ფართობი, შედგება ორი განყოფილებიდან. ნაშენებია რიყის ქვით. დარჩენილია ერთი კედელი, რომლის სიმაღლე 4-7 მეტრია.

ციხეზე წყალსადენის ან გვირაბის კვალი არ შეინიშნება, ვარაუდით ის მდინარე ბოგილის წყლით მარაგდებოდა, რომელზეც ჩასვლა ციხიდან უფრო მოხერხებულია.

იგი გვიანი შუასაუკუნეების ნაგებობაა.

შეიძლება მრავალი ტურისტული ღონისძიების ორგანიზება:

–გასვლა რიკი-ხიდის დასვენებისა და პიკნიკის ადგილას, აქვე შეიძლება თევზაობა, ბანაობა, კარვების გაშლა.

–უჩამბისა და მარეთის ხეობის პეიზაჟებით დატკობა.

–ახლოსაა გამონათლევის ეკლესია.

–ოლადაურისა და კვიახიძეების ეთნოგრაფიული მუზეუმები.

–დარჩიძეების (მთისუბნის) ციხე.

–სუბალპური ზონა, ჩირუხი და ღომა.

–სუფთა ანკარა წყაროები.

–მინერალური წყლები: „წყალლამპარა“, „ტომაშეთი“, „ბოგილი“ და „უჩამბა“.

ადგილების შერჩევით გასვლა შეიძლება ნებისმიერი ტრანსპორტით.

ნიგაზეულის ციხე-გალავანი

რეგიონი: შუახევი

ტიპი: საფორტიფიკაციო და არქეოლოგიური ძეგლები

თარიღი: XVIII საუკუნე

მისამართი: სოფელი ნიგაზეული



ნიგაზეულის ციხე-გალავა ზღვის დონიდან 872 მ-ზეა. იგი მდებარეობს სოფლის ცენტრში –ქუფთაღელის სერზე, რომელსაც სხვანაირად ბედენსაც ეძახიან. იგი აჭარის გვიან შუასაუკუნეების ციხე-სიმაგრეთა შორის ყველაზე უფრო გვიანდელია. ციხე-გალავანი ნაგებია ფლეთილი და ნათალი ქვით, ფართობი 2656 კვადრატული მეტრია, გალავნის სიგრძე წრიულად 229 მეტრი, სიმაღლე 4–7 მეტრი დიდი ნაწილი მოშლილია. აქვს 6 გოდოლი. შუახევის რაიონულ ცენტრიდან დაშორებულია 13, ცენტრალური სამანქანე გზიდან, ზომლეთიდან 5 კილომეტრით. იგი სელიმ ხიმშიაშვილის რეზიდენცია იყო. ციხე-გალავნის ეზოს შუაში, შემალღებულ ადგილას ადრე სელიმის ორსართულიანი სასახლე იდგა, რომლის ქვემო ნაწილი ქვისა იყო, ზემო ხისა. სელიმის სიკვდილის შემდეგ ოსმალებს დაუწვავთ. ამჟამად გალავნის ტერიტორიაზე სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის მუზეუმი, მეჩეთი, სოფლის ადმინისტრაციული შენობა და კლუბია განთავსებული.

2002 წელს ქველმოქმედმა თეიმურაზ კომახიძემ დაიწყო ციხე-გალავნის რესტავრაციის ჩატარება, რაც სხვადასხვა მიზეზთა გამო შეჩერებული იქნა.

აქ ტურისტებისა და ექსკურსანტ–დამთვალეირებლებისათვის ბევრი საინტერესო სანახაობაა:

–ბუნების მშვენიერი პეიზაჟები.

–აჭარისწყლის ხეობისა და შავშეთის მთების მონაკვეთები.

–ეროვნული გმირის სელიმ ხიმშიაშვილის საფლავ–მემორიალი.

–ოჯახური სასტუმროები.

–პიკნიკის ადგილი ფურტიოს ხიდზე.

–გასეირნება სოფლის უბნებში, ტყეში.

–ახლოსაა ფურტიოს თაღოვანი ხიდი და ტურისტული მარშრუტები სხალთისა და ხულოს მიმართულებით.

დაწვრილებით იხილეთ ინფორმაცია „ნიგაზეული“.

მთისუბნის ციხე (დარჩიბები)

რეგიონი: შუახევი

ტიპი: საფორტიპიკაციო და არქეოლოგიური ძეგლები

თარიღი: XI-XII საუკუნეები

მისამართი: სოფელი დარჩიბები (განაპირა უბანი)



დებარეობს ზღვის დონიდან 1522 მ-ზე. ჩირუხისწყლის მარჯვენა მხარეზე სოფელ დარჩიბების უბან მთისუბნის სამხრეთ ნაწილში. შუბნიდან დაშორებულია 5.5, ხოლო შუახევის რაიონულ ცენტრიდან 33.5 კილომეტრით.

გალავანის დარჩენილი კედლები შედარებით ცუდადაა მოღწეული. უმეტესი ნაწილი დაშლილია, დარჩენილია ერთი კედელი, რომლის სიმაღლე 5-7 მეტრია. ციხის შიგნით არის ქვევრების ნაშტები. ციხე ნაგებია ფლეთილი ქვით. წყობა უსწორმასწოროა. შეინიშნება კირის ხსნარის მოჭარბებული გამოყენება. (აქვე ახლოს იყო კირის კარიერი).

წააგავს ოქროპილაურის, კავიანის ციხეებს და მათივე დროის უნდა იყოს. ციხე ნაშინებია კლდოვან ქიმზე.

შუახევის რაიონული ცენტრიდან დაშორებულია საკმაო მანძილით.

გზაზე მდებარეობს ოქროპილაურის ციხე, გამონათლევის ეკლესია, კვიახიძეებსა და ოლადაურში ეთნოგრაფიული მიზეუბები, ხეობაში მინერალურ-სამკურნალო წყლები „წყალამპარა“, „ტომაშეთი“, „ბოგილი“. აქედან ახლოსაა საზაფხული იალაღი და ადგილობრივთათვის სამთო დასასვენებელი კურორტი ჩირუხი.

მისვლა შეიძლება ყველგანმავალი ტრანსპორტით

ცინარეთის ციხე

რეგიონი: შუახევი

ტიპი: საფორტიფიკაციო და არქეოლოგიური ძეგლები

თარიღი: XI-XII საუკუნეები

მისამართი: სოფელი ცინარეთი (განაპირა უბანი)



ცინარეთის ციხე მდებარეობს უჩამბის თემში, ზღვის დონიდან 900 მეტრზე, უჩამბა—ცინარეთის გზის ზედა ნაპირზე, ქარაფოვან კლდის თავზე. შუახევიდან დაშორებულია 11 კილომეტრით.

ციხე ადრეულ შუა საუკუნეებშია აგებული და მას როგორც თავდაცვითი ასევე სასიგნალო დანიშნულება ჰქონდა. აქედან მთლიანად კონტროლდებოდა ბოგილისწყლის ხეობა და მოჩანს ხიხანის ციხე. ამჟამად ის მთლიანად მოშლილია და ფრაგმენტულად მოჩანს საძირკველის ნაკვალები. ციხეს საფეხურებრივად კლდოვან ქარაფზე ორი

მოსწორებული კალო ჰქონდა, ცინარეთში საავტომობილო გზის მიყვანისას ერთი კალო წაიშალა, მეორე კარგად მოჩანს, კალოზე ციხის კედლის, ჩამარხული ქვევრების და წყლის დასაგროვებელი ქვის დიდი ავზის ნაშთებია შემორჩენილი, ციხის ძირშივე არის უზარმაზარი ქვევრი. ციხესთან მისვლა შეიძლება ყველა სახის ტრანსპორტით

ციხის ტერიტორიიდან მოჩანს აჭარისწყლის, მარეთის და ბოგილისწყლის ხეობები, მათზე ირგვლივ შემოჯარული მთების ულამაზესი პანორამა, მის ძირში გაივლის გზა უძველეს და კოხტა სოფელ ცინარეთისაკენ.


ფურტიოს თაღოვანი ხიდი

რეგიონი: შუახევი

ტიპი: საინჟინრო ნაგებობა-თაღოვანი ხიდები

თარიღი: XI-XIII საუკუნეები

მისამართი: მდინარე აჭარისწყლის სოფელ ფურტიოს მონაკვეთი



ფურტიოს თაღოვანი ხიდი ზღვის დონიდან 508 მ-ზეა. ცენტრალურ სამანქანე გზიდან 1 კმ-ითაა დაშორებული, შუახევის რაიონულ ცენტრიდან 9 კილომეტრით. იგი შუა ფეოდალური ხანისაა. ხიდის ბურჯები დაშენებულია კლდოვან ბაქნებზე, მისი სიგრძე – მეტრია. მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურის ძეგლებს შორის, როგორც არქიტექტურული ისე ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, ისტორიული გზების, მათი მიმართულებებისა და მნიშვნელობის შეცნობა-შესასწაულად.

ტურისტ-მნახველებს შეუძლიათ ნახონ მისი მიმდებარე სანახები.

–პირობებია თევზაობის.

–სულ რამოდენიმე მეტრშია ფურტიოს პიკნიკების კომპლექსი, ძველი აჭარული ოღასახლებით, შეიძლება კარავის გაშლა.

–აქედან მიემართება მარშრუტი სანახაობებით მდიდარ სხალთა-ხიხანის ისტორიული ხეობისაკენ, სადაც ნახავენ სხალთის ეკლესიას, ვერნების, თხილვანის, კალოთის ნაეკლესიარებს, შერიფ ხიმშიაშვილის სახელობისა და თხილვანის ეთნოგრაფიულ მუზეუმებს, შერიფ ხიმშიაშვილის გერმანელი მეუღლის ობელისკს, სერიყანას, სადაც სელიმ ხიმშიაშვილს მოკვეთეს თავი, შერიფ ხიმშიაშვილის და მისი ოჯახის წევრების საფლავებს ვარდციხესა და გმირულ ხიხანს, წაბლანის სტიქიის მსხვერპლთა მემორიალს. ხეობაში არის ბევრი თვალწარმთაცე ბუნების ხელები.

ფოტომოყვარულებისათვის მეტად საინტერესო ხელებია.

გადაადგილება შეიძლება ყველა სახის ტრანსპორტით.

ვარჯანაულის ხიდი

რეგიონი: შუახევი

ტიპი: საინჟინრო ნაგებობა-თაღოვანი ხიდები

თარიღი: XVIII საუკუნე

მისამართი: სოფელი ვარჯანაული



ვარჯანაულის ხიდი ზღვის დონიდან 550 მ-ზეა.

იგი აგებულია მდინარე ვანის წყალზე ჭვანის თემის სოფელ ვარჯანაულში. იგი მიეკუთვნება გვიან შუასაუკუნეებში აგებულ ხიდებს, შედარებით ახალგაზრდაა. გადმოცემით იგი აუშენებია ჭალელი სურმანიძის ქალს, საკუთარი მზითვის ხარჯზე რომელიც გათხოვილი იყო სელიმ ხიმშიაშვილზე.

ადრინდელ თაღოვან ხიდებს შორის იგი განსხვავდება არქიტექტურითა და სტილით. მაგრამ საინჟინერო და საყურადღებოა იგი

ლეგენდებისა და გადმოცემების თვალსაზრისით.

—აქ ტურისტ-ექსკურსანტებისათვის ბევრი საინტერესო სანახაობაა:

—მეჩეთი.

—თევზაობა კალმახზე, ბანაობა, დასვენება, ნადირობა.

—გასეირნება

—ადგილები ფოტომოყვარულთათვის.

—ოთოლთასა და კავიანის ციხე.

—პიკნიკის ადგილი ზიჭაურში.

მისვლა შეიძლება ნებისმიერი სახის ავტოტრანსპორტით



თემურ ბერიძე

ბავშვთა ქირურგი, ორთოპედ-ტრავმატოლოგი.
ქალაქ ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის ცენტრი

ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა

(სტატია ეძღვნება საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის თანდაყოლილი დეფორმაციებიდან, ყველაზე ხშირ პათოლოგიას – ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობის კლინიკას, დიაგნოსტიკას და მკურნალობას).

ძვალ სახსართა აპარატის ყველაზე ხშირი თანდაყოლილი დეფორმაციაა ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა. ამოვარდნილობის გამომწვევი მიზეზი არის, მენჯ-ბარძაყის სახსრის თანდაყოლილი დისპლაზია. გოგონებში ამოვარდნილობა 5-ჯერ ხშირია, ვიდრე ვაჟებში. ამასთანავე 2-ჯერ ხშირია მარცხნივ.

ამოვარდნილობის მიზეზი არის მუცლად ყოფნის პერიოდში მენჯ-ბარძაყის სახსრის ელემენტების განვითარების დარღვევა. ორსულთა ტოქსიკოზი და სხვა

მენჯ-ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობის წინა პირობაა სახსრის დისპლაზია და ქვეამოვარდნილობა. რაც გამოიხატება ტაბუნის ფოსოს განუვითარებლობით, ბარძაყის თავის პატარა ზომით და დაგვიანებული გაძვალბებით.

ამ დროს ბარძაყის ძვლის თავი პირველ თვეებში, გადანაცვლებულია გარეთ და შედარებით ზევით. გადაჭიმულია სასახსრე კაფსულა. ბარძაყის ძვლის ზედა ბოლო შემობრუნდება წინა მიმართულებით და ბარძაყის თავი გადადის პათოლოგიურ მდებარეობაში.

ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობის კლინიკური გამოვლინება სიარულის დაწყებამდე მწირი კლინიკური ნიშნებით გამოვლინდება, რასაც ხშირად დაგვიანებულ და სავალალო შედეგამდე მიყვავართ. ახალშობილის გასინჯვა უნდა მოხდეს სამშობიარო სახლში, შემდგომ 1,5 თვის, 3 და 9 თვის ასაკში.

დაავადების ადრეული კლინიკური ნიშანია ჩაცურების სიმპტომი, რომელიც გამოიყენება დაბადებიდან 2 კვირაში. შემდგომი კლინიკური

ნიშანია ბარძაყის განზიდვის შეზღუდვის სიმპტომი – ნორმაში დასაშვებია კიდურის განზიდვა 90 გრადუსამდე. პათოლოგიის დროს განზიდვა შეზღუდულია.

შემდგომი კლინიკური ნიშანი არის ბარძაყის კანის ნაოჭების ასიმეტრია.

ცალმხრივი ამოვარდნილობის დროს საყურადღებოა კიდურის დამოკლების ნიშანი. საყურადღებოა ამოვარდნილობის დროს კიდურის გარეთა როტაცია. ზემოთ ჩამოთვლილი 3 და მეტი კლინიკური სიმპტომის შემთხვევაში აუცილებელია ინსტრუმენტალური კვლევის გამოყენება.

თანდაყოლილი ამოვარდნილობის დროს ბავშვები იწყებენ ფეხზე დგომას და გავლას დაგვიანებით. სიარული არამყარია. გამოხატულია კოჭლობა, „ინვისებური“ სიარული, ადვილად დაღლა, წელის ლორდოზის განვითარება.

წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება დროულ დიაგნოსტიკას და შესაბამისი მკურნალობის დაწყებას. მენჯ-ბარძაყის სახსრის გამოკვლევის კლასიკური მეთოდია რენტგენოლოგიური გამოკვლევა. აღნიშნული მეთოდი მეტად ინფორმატიულია 3 თვის ასაკიდან. დღეისათვის დისპლაზიის ადრეული დიაგნოსტიკისათვის ეფექტურია ეკოსკოპიური გამოკვლევა, რომელიც დინამიკაში დაკვირვებისა და განმეორებითი კვლევის ჩატარების საშუალებას გვაძლევს.

რენტგენოლოგიური კვლევა საშუალებას გვაძლევს ადრეულ ეტაპზე დაისვას დისპლაზიის ქვეამოვარდნილობის და ამოვარდნილობის დიაგნოზი.

მკურნალობა 2 წლამდე ასაკის პაციენტებში არის კონსერვატიული მეთოდების გამოყენება. წარმატების საფუძველი არის ადრეული ფუნქციონალური მეთოდებით მკურნალობა, რომლის პრინციპია ბარძაყის თავის ჩაყენება ტაბუხის ფოსოში და აღნიშნულ მდებარეობაში დაფიქსირება.

დისპლაზიის მკურნალობისათვის საკმარისია ფართე შეხვევები, რომელიც საშუალებას გვაძლევს ახალშობილის კიდურები იყოს განზიდული, ბარძაყის თავი იყოს სრულად ფოსოში. თუ დაირღვა ბარძაყის თავის ცენტრაცია, აუცილებელია მკურნალობის დაწყება განმბჯენი შინის გამოყენებით. მას ემატება სამკურნალო ფიზკულტურა და მასაჟი.

ქვეამოვარდნილობის მკურნალობისათვის 1 თვიდან 1 წლამდე ეფექტურია განმბჯენი შინის გამოყენება 3-5 თვის განმავლობაში პავლიკის თასმების სახით.

ბარძაყის თავის ჩაყენება ხდება 3-4 კვირაში, რეზულტატი მოწმდება რენტგენოლოგიური კვლევით.

ამოვარდნილობის მკურნალობა შედარებით რთულია. 6 თვემდე მკურნალობის მეთოდია განმბჯენი შინის გამოყენება. 6 თვის შემოთ მოწოდებულია კომბინირებული მეთოდის გამოყენებით ბარძაყის ძვლის თავის ჩაყენება ფუნქციონალური დაჭიმვით. შემდგომ თაბაშირის ნახვევის გამოყენება.

პირველ თვეებში დაწყებული მკურნალობა ეფექტურია 100 %-ის ფარგლებში. 6 თვიდან 1 წლამდე 75-80%-ის ფარგლებში. 1 წლის ზევით 50 %-ის ფარგლებში.

კონსერვატიული მეთოდების არაეფექტურობის შემთხვევაში 2 წლის ასაკიდან მოწოდებულია ოპერაციული მკურნალობა, შემდგომ დისპანსერული მეთვალყურეობა ზრდის დასრულებამდე.



ახალი წიგნი

სასიქადულო წარსული და საამაყო აწყო



გამოვიდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ყოფილ საბჭოეთში ექოსკოპიური დიაგნოსტიკის პიონერის, საქართველოში ექოდიაგნოსტიკის ფუძემდებლის, აჭარის არ ონკოცენტრის ექოსკენირების კაბინეტის გამგის, ღირსების ორდენის კავალერის, შოთა ავთანდილის ძე დავითაძის ავტობიოგრაფიული წიგნი „ჩემი წარსული და აწყო“. წიგნის ავტორი, გამოჩენილი მეცნიერი-მედიკოსი, შუახვევის რაიონიდან, უჩამბის ხეობიდანაა.

წიგნი, რომელიც უხვად ილუსტრირებულია, მოგვითხრობს მეცნიერის საინტერესო ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. გამოცემის რედაქტორები არიან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აკ. ბერიძე და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ე. დავითაძე. წიგნი, რომელიც მაღალპოლიგრაფიულადაა შესრულებული, ქ. თბილისში, გამომცემლობა „ივერიონში“ დაიბეჭდა.

შინაარსი

შალვა ველიამი

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დედა-საქართველოსთან დაბრუნების
გასაღები საქართველოში დევს 3

ოთარ ცინარიძე

პატრიარქი სხალთის ეპარქიაში და 1400-ზე მეტი ნათელღებული 7

ემენ ღავითაძე

სიტყვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა
და უნეტარესის ილია II-სადმი 12

უმოთა ზოიძე

პატრიარქი აჭარაში 14

გურამ არაქნიანი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს 15

ნიკოლოზ დუმბაძე

სხვისი მეჩეთი რად უნდა... 17

ოთარ გოგოლიშვილი

რუსეთ-ოსმალეთის ომი 1877-78 წლებში 18

ავთანდილ დიასამიძე

ქრისტიანობისთვის ბრძოლის ისტორიიდან აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში 20

ემენ ღავითაძე

ერთი სოფლის ხუთი საისტორიო ფურცელი 28

გიორგი ველიჯანაშვილი

ვასწავლოთ მომავალი წარმატებებისთვის 37

ზურაბ ჯაფარიძე

ლექსები 40

პასტანბ ბერიძე

ლექსები 42

ცირა ფუტკარაძე

დედა, მე მოვინათლე! (ავტონოველა) 44

ბია ქათამაძე

ჯემალ ქათამაძე 47

გულიკო გაბაიძე

ლექსები 48

შალვა ველიამი

ძლიერი სოფელი, ძლიერი აგრარული სექტორი ფერმერთა გაერთიანების ბაზაზე 49

გურამ ველიამი

ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოს საზღვაო ინდუსტრიის მდგომარეობის შესახებ 53

ტარიელ მბრალიძე

ცინარეთის ციხე - კოშკი. 58

გიორგი სარაჯიშვილი

„ქალაქის მადანია თბილისში“, „კონვერტების გამოქვეყნება“, „თავადი“,
„მელექსე“, „ბესიკი“, და „ბესიკურის“ შემქმნელი გაბაშვილი 60

ირინე ცინცაძე

ქართული წიგნის ბეჭდვის სათავეები 66

ბურამ თურმანიძე	
კეთილი საქმე ხარვეზით...	70
მილოცვა	72
მირიან (მურმან) ღავითაძე	
ცხოვრების დილა (ავტობიოგრაფიული ჩანახატი)	72
შოთა აბუსელიძე	
მასწავლებლის გახსენება	73
ეპატმირინე ღავითაძე	
„ზე-კართან“ აჭარის მაღალმთიანეთში ლიტერატურული ფესტივალს საფუძველი ჩაეყარა	74
შუშანა ფუტკარაძე	
მენატრები ჩემო ხულო... (ერთი ლექსის შექმნის ისტორია)	78
ზაზა ბეთანელი	
ფერების პოეზია	81
ვასო სიმშიაშვილი	
შუახვევი, ტურისტულ-საექსკურსიო მონაცემები	83
შუახვევის რაიონის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები	87
თემურ ბერიძე	
ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა	96
ინფორმაცია	
სასიქადულო წარსული და საამაყო აწმყო	96

ძვირფასო მკითხველო! მიუხედავად მრავალი ძიებისა, ჟურნალ „ლაკლაკეთის“ პირველი ნომრის გამოცემაში ფინანსური მხარდაჭერა ვერცერთმა ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა ვერ გაგვიწია. ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა მთავარი რედაქტორისა და დამფუძნებლის მიერ ბანკიდან აღებული სესხით. ფინანსური მიზეზითვე მეორე ნომრის გამოცემა ორი თვით დაგვიანდა, რისთვისაც მკითხველს ვთხოვთ პატიებას. განმეორებით, მოგმართავთ თუ ვინმეს დაგებადებით ფინანსური მხარდაჭერის ნება, ვთხოვთ დაგვიკავშირდეთ, ნომერზე: მობ: 591 71 57 70.

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ნაზი ველიაძე**
დამკაბადონებელი: **ანაიდა ავეტისიანი**

ფოტო უზრუნველყოფა: **ოთარ ცინარიძე**

ჟურნალი „ლაკლაკეთი“ დაიბეჭდა: თბილისი, გამომცემლობა „ივერიონი“
დეკემბერი, 2013 წელი. ტირაჟი: 300. ფასი შეთანხმებით.

ჟურნალი გამოდის სამ თვეში ერთხელ.
გარეკანის პირველ გვერდზე ლაკლაკიძეების ღვთისმშობლის ჭედური ხატი,
მეოთხეზე - ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ხულოში.

დამფუძნებელი: შ პ ს „ლომსიანთა“, ელ. ფოსტა lomsianta@mail.ru;
მ/ო საჯარო რეესტრი რ/ნ 447860609; თარიღი 22. 03. 2013;
საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი: 22 ანგარიშის ნომერი: 75 0000000306366200

რედაქციის მისამართი: შუახევის რაიონი, სოფელი წაბლანა.
ელ. ფოსტა laklakti2013@mail.ru, ტელ: 591 71 57 70; 577 20 36 28.



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი საეკლესიო მოღვაწეებთან
და საზოგადოებასთან ერთად ამუსერისძე ტბელის უნივერსიტეტში შეხვედრისას.
(სამახსოვრო ფოტო)

